avtoris stili dacul ia

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

მარიამ ხოფერია

ოჯახის გაყრის წესები ძველი ქართული სამართლის მიხედვით

ხელმძღვანელი: ნუგზარ სურგულაძე,
ისტორიის დოქტორი, პროფესორი

სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

უნივერსიტეტის გამომცემლობა

თბილისი
2015

სარჩევი

გამოყენებული შემოკლებები 4

შესავალი 5

პირველი თავი 11

ოჯახის წარმოშობა და მისი ფორმები 11

I. 1. ოჯახის ინსტიტუტის წარმოშობა 12

I. 2. გვაროვნული ოჯახი 13

I. 3. დიდი პატრიარქალური ოჯახი 15

I. 4. ინდივიდუალური ოჯახი 22

მეორე თავი 27

ოჯახის გაყრის ცნება და მისი სამართლებრივი შედეგები 27

II. 1. ოჯახის გაყრის ცნება 27

II. 2. დიდი ოჯახის მოშლით გახშირებული ოჯახის გაყრის ჩვეულების შესახებ 28

II. 3. ოჯახის გაყრის მიზეზები 32

მესამე თავი 37

სახელმწიფოს დამოკიდებულება ოჯახის გაყრისადმი 37

III. 1. ოჯახის გაყრის სამართლებრივი ნორმები ქართული სამართლის ძეგლებში 37

III. 2. გაყრის წიგნის აღწერილობა 42

მეოთხე თავი 49

ოჯახის გაყრის ფორმები 49

IV. 1. ოჯახის გაყრა უცხო პირის/პირთა მონაწილეობის გარეშე 49

IV. 2. ოჯახის გაყრა გარეშე პირის/პირთა მონაწილეობით: მედიატორობის ინსტიტუტი 57

IV. 3. მედიატორთა შერჩევის წესი 59

IV. 4. მედიატორთა ფუნქციები 60

IV. 5. დიდი ოჯახის გაყრა და მემკვიდრეობა 64

მეხუთე თავი 69

დიდი ოჯახის გაყრის მოწილე სუბიექტები 69

V. 1. მამა, როგორც მოწილე სუბიექტი ოჯახის გაყრის დროს 69

V. 2. ქვრივი ქალი, როგორც მოწილე სუბიექტი ოჯახის გაყრის დროს 73

V. 3. ვაჟიშვილები, როგორც მოწილე სუბიექტები ოჯახის გაყრის დროს 78

V. 4. ქალიშვილი, როგორც მოწილე სუბიექტი ოჯახის გაყრის დროს 89

V. 5. შვილიშვილი (ობოლი), როგორც მოწილე სუბიექტი ოჯახის გაყრის დროს 92
V. 6. ზე[დ]სიძე, როგორც მოწილე სუბიექტი ოჯახის გაყრის დროს 95
V. 7. ბასტარდი, როგორც მოწილე სუბიექტი ოჯახის გაყრის დროს97
V. 8. გერი, როგორც მოწილე სუბიექტი ოჯახის გაყრის დროს 99
V. 9. ნაშვილები, როგორც მოწილე სუბიექტი ოჯახის გაყრის დროს 100
V. 10. ორსული, როგორც მოწილე სუბიექტი ოჯახის გაყრის დროს 101
V. 11. სნეული და შრომისუუნარო პირები, როგორც მოწილე სუბიექტები ოჯახის გაყრის დროს 102
მეექვსე თავი 104
დიდი ოჯახის გაყრის ობიექტები 104
VI. 1. სათემო-საოჯახო ქონება 104
VI. 2. ოჯახის გაყრის დროს ქონების გაყოფის წესი 108
VI. 3. ოჯახის გაყრის დროს მშობლების წილად გაცემული ქონება 112
VI. 4. ოჯახის გაყრის დროს ვაჟიშვილების წილად გაცემული ქონება 115
VI. 5. ოჯახის გაყრის დროს ქალიშვილების წილად გაცემული ქონება 123
VI. 6. ოჯახის გაყრის დროს მიწის განაწილების წესი 128
VI. 7. კეთილმონაგები ქონების განკარგვის წესი 134
VI. 8. ვალის გადახა ოჯახის გაყრის დროს 136
VI. 9. ბეითალმანი ქონების განკარგვა 137
VI.10 ოჯახის შეყრა 139
VI. 11. გაყრილ ოჯახთა ურთიერთობა 140
VI. 12. ოჯახის შეყრის მიზეზები 143
დასკვნა 152
გამოყენებული ლიტერატურა 162

გამოყენებული შემოკლებები

ა.შ. – ასე შემდეგ
გაზ. – გაზეთი
გვ. – გვერდი
ე.ი. – ესე იგი
ე.წ. – ეგრეთ წოდებული
ჟურნ. – ჟურნალი
რვ. – რვეული
ს. – საუკუნე
ტ. – ტომი
ცსსა – ცენტრალური საქართველოს საისტორიო არქივი
с. ст. – страница
т. – том
изд. – издательство
СПб. – Санкт-Петербург

შესავალი

თანამედროვე ეპოქაში კიდევ უფრო მეტი აქტუალურობა შეიძინა ერთადერთი ბუნებრივი და უძველესი სოციალური ინსტიტუტის – ოჯახის – სამართლებრივ პრობლემატიკასთან დაკავშირებულმა საკითხთა კვლევამ როგორც მონათესავე, ისე არამონათესავე ცივილიზაციათა სამართლებრივ სისტემებში. ოჯახის ინსტიტუტისა და მისი განვითარების კვლევის ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე საკმაოდ მდიდარი ლიტერატურა შეიქმნა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია შვეიცარიელი მეცნიერის ი.ბახოფენის (Johann Jakob Bachofen, Das Mutterrecht, 1861) შრომა. ოჯახისა და საზოგადოების გენეზისისა და განვითარების კვლევა ახალ დონეზე აიყვანა ამერიკელმა ეთნოგრაფმა ლ.მორგანმა (Lewis H. Morgan, Ancient Society, 1877). XIX-XX საუკუნეებში ოჯახის შესწავლაში სათანადო წვლილი შეიტანეს ხსენებული ეპოქის მკვლევრებმა, მათგან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ჯ.მაკლენანი (John Ferguson Mclennan, Primitive Mariage, 1865) და ჯ.ლებოკი (John Lubbock, The Pleasures of Life, 1887). მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, ოჯახისა და საოჯახო ყოფის პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებულ გამოკვლევათაგან, ძალზე ღირებულია ი.ბრომლეის (Бромлей Ю.В. „Этнические процессы в современном мире, 1987 და Бромлей Ю. В.(отв. ред.) История первобытного общества. Эпоха классообразования“, მ.კოსვენის, ლ.შტენბერგის, ა.პერშიცის, ი.სემიონოვის და სხვათა შრომები.

ისტორიულ-ეთნოგრაფიული კუთხით ოჯახის წარმოშობისა და საოჯახო ყოფის საკითხების კვლევის კარგი ტრადიცია არსებობს საქართველოში. ოჯახის ინსტიტუტის თაობაზე შექმნილ სამეცნიერო ნაშრომთაგან საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ ქართველ ეთნოგრაფ-მეცნიერთა – რ.ხარაძის „ქართული საოჯახო თემი“ (Грузинская семейная община), თ.აჩუგბას „ოჯახი და საოჯახო ყოფა აჭარაში“, ვ.ითონიშვილის „ცენტრალური კავკასიელების საოჯახო ყოფა“, გ.მამარდაშვილის „საოჯახო ყოფა და რწმენა-წარმოდგენები ლეჩხუმის მოსახლეობაში“, გ.ცეცხლაძის „გურიის მოსახლეობის საოჯახო ყოფა, მ.ბექაიას „ძველი და ახალი საქორწინო ტრადიციები აჭარაში“, რ.თოფჩიშვილის „კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია“, ნ.მგელაძის, „ბუნობის მნიშვნელობისათვის გურიის მთიანეთში“, ი.ჭყონიას, „ქორწინების ინსტიტუტი მთიულეთში“, გ.ცეცხლაძის, „გურიის მოსახლეობის საოჯახო ყოფა“ და სხვ. – შრომები, რომლებშიც ასახულია ქართული ოჯახისა და საოჯახო ყოფის საკითხები.

კვლევის პროცესში ჩვენ გამოვიყენეთ თეორიული ხასიათის მასალა იმ მეცნიერებისა, რომელთა ნაშრომებმაც გაამდიდრეს

ქართული სამართლებრივი აზროვნება და განსაზღვრეს მისი ღირებულება (ივ. ჯავახიშვილი, „ქართული სამართლის ისტორია“, ის. დოლიძე, „ქართული სამართლის ძეგლები“, ივ.სურგულაძე, „ ქართული სამართლის ისტორიის ნარკვევები“, გ.ნადარეიშვილი, „ქართული საოჯახო სამართალი“, განსაკუთრებით გვსურს გამოვყოთ ბ.ზოიძე, „ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი“, რომლის ნაშრომმაც დიდი დახმარება გაგვიწია სადისერტაციო თემაზე მუშაობისას; ასევე გ.დავითაშვილი, „სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი ქართულ ჩვეულებით სამართალში“, დ.ბოსტოღანაშვილი, „მიწათმფლობელობა აღმოსავლეთ საქართველოში“ და სხვ.), რადგან ძირითადი პოსტულატი, რომელსაც ეფუძნება ჩვენი კვლევა ეს არის სამართლის ისტორიის თვალსაჩინო წარმომადგენელთა შრომებში გამოთქმული სრულიად მართებული მოსაზრებები უშუალოდ ოჯახის გაყრის თაობაზე.

კვლევის საგანი

წინამდებარე ნაშრომში ჩვენი კვლევის საგანია ოჯახის გაყრის მიზეზების, გაყრის სუბიექტებისა და გაყრის შედეგად გასაყოფი ობიექტების საკითხთა შესწავლა ძველი ქართული სამართლებრივი რეგულირების კუთხით.

საკვლევ საკითხთან მიმართებით საგულისხმოა შემდეგი ფაქტი: თეორიული ხასიათის იურიდიულ ნაშრომებში ოჯახის გაყრა, ისტორიულ-სამართლებრივი კუთხით, ძალზე ზოგადადაა განხილული და ცალკე საკითხად გამოკვლეული და სიღრმისეულად შესწავლილი პრაქტიკულად არ არის; გამოკვლევა ძირითადად ეთნოგრაფიულ-კულტურული ხასიათისაა, რის გამოც ოჯახის გაყრასთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხები არასათანადოდაა პრობლემატიზებული.

კვლევის მიზანი

ოჯახის გაყრასთან დაკავშირებულ საკითხთა შესწავლა სამართლებრივი კუთხით; ოჯახის გაყრის განსხვავებულ და მსგავს მიზეზთა გამოკვეთა ქართული სამართლებრივი კულტურისა დაიურიდიული აზროვნების განვითარების ჭრილში. აღნიშნულთან დაკავშირებით, არსებულ ინტერპრეტაციათა შეჯერება; ასევე, როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი იურიდიული წყაროებიდან მოხმობილი მასალის საფუძველზე ოჯახის გაყრასთან დაკავშირებულ სამართლებრივ საკითხთა ექსპლიციტურად ფორმულირება.

კვლევის წყაროები

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მსჯელობა განყენებული რომ არ გამოგვსვლოდა, კონკრეტული მასალის – ქართული სამართლის ძეგლების, საარქივო მასალების, იურიდიულ-ისტორიული და ეთნოგრაფიული შრომებიდან მოხმობილი მაგალითების – საფუძველზე განვიხილეთ ის, რაც, ჩვენი აზრით, ღირებულია ოჯახის გაყრის ინსტიტუტთან დაკავშირებულ თავისებურებათა ნათელსაყოფად ქართულ სამართლებრივ სისტემაში.

კვლევის მეთოდი

ოჯახის გაყრის კვლევის პროცესში ერთი რომელიმე კონკრეტული კვლევის მეთოდით ხელმძღვანელობა არ აღმოჩნდა საკმარისი, შესაბამისად, ჩვენ ვიხელმძღვანელეთ ისტორიულ-შედარებითი და სამართლებრივი ანალიზის მეთოდით.

ნაშრომის თეორიული ღირებულება

ნაშრომში დადგენილია სამართლებრივი აზროვნებისათვის დამახასიათებელი სპეციფიკა, ჩვეულებითი სამართლის აზროვნების კუთხით განსაზღვრულია ოჯახის გაყრის თავისებურებები, სათანადო ფორმები, სახელმწიფოს დამოკიდებულება ოჯახის გაყრისადმი; საკვლევი საკითხი გაანალიზებულია წყაროებისა და საარქივო მასალის საფუძვლეზე, წარმოჩენილია სამართლებრივი აზრონების მაღალი დონე იმ ეპოქების შესაბამისად.

მსჯელობა განყენებული რომ არ გამოგვსვლოდა, შევეცადეთ და კონკრეტული მასალის – ძირითადად წყაროებიდან და ეთნოგრაფიული მასალებიდან მოხმობილი მაგალითების – საფუძველზე განვიხილეთ ის, რაც, ჩვენი აზრით, ღირებული იყო ოჯახის გაყრის ინსტიტუტთან დაკავშირებულ თავისებურებათა ნათელსაყოფად ქართულ სამართლებრივ სისტემაში.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა

გამოკვლევა შეიძლება გამოყენებული იქნეს იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტების მიერ ოჯახის შესწავლისას ან იურისტების მიერ ოჯახის ინსტიტუტის სამართლებრივი კუთხით შესწავლის ისტორიულ ასპექტში, მით უმეტეს, რომ ოჯახის ინსტიტუტი ჩვეულებითი სამართლის კუთხით გამოკვლევა არც ისე ფართოდაა გამოკვლეული.

სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა

ნაშრომი შესრულებულია ქართულ ენაზე, შედგება შესავლის, შვიდი თავის (თავები დაყოფილია ქვეთავებად), დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურის სიისაგან.

შესავალ ნაწილში საუბარია საკვლევი თემის აქტუალურობაზე, მისი დამუშავების თეორიული დონზე; ჩამოყალიბებულია სადისერტაციო ნაშრომის მიზნები და ამოცანები, დახასიათებულია მისი თეორიული საფუძვლები, ფორმულირებულია თემის სამეცნიერო სიახლე, პრაქტიკული და თეორიული მნიშვნელობა; დადგენილია ოჯახის გაყრის სპეციფიკა. აღნიშნული კვლევა ჩატარებული იქნა საარქივო მასალების, იურიდიულ-ისტორიული და ეთნოგრაფიული ლიტერატურის შესწავლის საფუძველზე.

ნაშრომის ძირითადი შინაარსი

ნაშრომის პირველი თავი – ოჯახის ინსტიტუტის წარმოშობა და მისი ფორმები – შედგება ოთხი ქვეთავისაგან (ოჯახის ინსტიტუტის წარმოშობა, გვაროვნული ოჯახი, დიდი პატრიარქალური ოჯახი, ინდივიდუალური ოჯახი) და ეთმობა ოჯახის ინსტიტუტის ზოგად

მიმოხილვას საქართველოში და ასევე კავკასიის მკვიდრ ხალხებში. წარმოდგენილია ქართულ ენაში ოჯახის ინსტიტუტის აღმნიშვნელი ყველა ის ტერმინი, რომლებიც კვლავაც იხმარება ქართულ ენაში. აღნიშნულია, რომ ცივილიზებული სამყაროს მსგავსად, ჩვენში არსებობდა ოჯახის სამი ტიპი (გვაროვნული, დიდი პატრიარქალური, პატარა ანუ ინდივიდუალური ოჯახი). გამოკვეთილია თითოეული მათგანის სტრუქტურა; მატრიარქალური ოჯახის არსებობა ირიბად, მაგრამ მაინც დასტურდება იმ დამოკიდებულებით, რომელიც ქართველებს ჰქონდათ ობოლი დის შვილისა თუ დის შვილების მიმართ.

ნაშრომის მეორე თავი – ოჯახის გაყრის ცნება და მისი სამართლებრივი შედეგები – შედგება სამი ქვეთავისაგან (ოჯახის გაყრის ცნება, დიდი ოჯახის მოშლით გახშირებული ოჯახის გაყრის ჩვეულების შესახებ, ოჯახის გაყრის მიზეზები) და ეთმობა დიდი ოჯახის მოშლით გაყრის ინსტიტუტის წარმოშობას. წარმოდგენილია ყველა ის ტერმინი, რომელიც გამოიყენებოდა გაყრის აღსანიშნავად ქართულ ენაში; განხილულია დიდი ოჯახის გაყრის ყველა არსებითი მიზეზი.

ნაშრომის მესამე თავი – სახელმწიფოს დამოკიდებულება ოჯახის გაყრისადმი – შედგება ორი ქვეთავისაგან (ოჯახის გაყრის სამართლებრივი ნორმები ქართული სამართლის ძეგლებში და გაყრის წიგნის აღწერილობა); ხაზგასმით აღნიშნულია ბერძნულ-რომაული წარმომავლობის სამართლის გავლენა ქართული სამართლებრივი აზროვნების განვითარებაზე; აღნიშნულია, რომ ოჯახის გაყრასათან დაკავშირებული ყველა არსებითი საკითხი კანონმდებლობით რეგულირდებოდა. ქართული სამართლის ძეგლებიდან მოხმობილი გვაქვს გაყრასთან დაკავშირებული სათანადო მუხლები; მოცემული გვაქვს გაყრის წიგნები და აღწერილობა, რითაც დასტურდებოდა ოჯახის გაყრის კანონიერება.

ნაშრომის მეოთხე თავი – ოჯახის გაყრის ფორმები –შედგება ხუთი ქვეთავისაგან (ოჯახის გაყრა უცხო პირის/პირთა მონაწილეობის გარეშე, ოჯახის გაყრა გარეშე პირის/პირთა მონაწილეობით, მედიატორობის ინსტიტუტი, მედიატორთა შერჩევის წესი, მედიატორის ფუნქციები, დიდი ოჯახის გაყრა და მემკვიდრეობა). ამ თავში ლაპარაკია იმ ორი წესის შესახებ, რომლის მიხედვითაც რეგულირდებოდა დიდი ოჯახის გაყრის პროცესი. აღნიშნულია, რომ მოწონებას იმსახურებდა ის ოჯახი, რომელიც გაყრის დროს გარეშე პირის/პირების ჩარევას არ საჭიროებდა. მოხმობილია განჩინება ასეთი სახის გაყრის შესახებ. მოგვიანებით, როდესაც ოჯახის გაყრის დროს უთანხმოებებმა იმატა, ოჯახის გაყრა გარეშე პირის მეშვეობით ხდებოდა. ასე მიეცა წარმოშობა მედიატორობის ინსტიტუტს საქართველოში. მოხმობილი გვაქვს ყველა ის ტერმინი, რომლითაც ასეთი პირი იწოდებოდა. მითითებული გვაქვს მედიატორთა შერჩევის წესი ანუ ის პიროვნული კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც ხდებოდა მედიატორთა შერჩევა; ის, თუ რა ევალებოდა მათ. ნათქვამის დასტურად მოხმობილი გვაქვს საბუთები საარქივო მასალებიდან. აღნიშნული გვაქვს ის ფაქტიც, რომ, სხვაობის მიუხედავად, ოჯახის

გაყრაში იკვეთება მემკვიდრეობითი ურთიერთობების სამართლებრივი ხასიათი.

ნაშრომის მეხუთე თავი – დიდი ოჯახის გაყრის მოწილე სუბიექტები – შედგება თერთმეტი ქვეთავისაგან (მამა, როგორც მოწილე სუბიექტი ოჯახის გაყრის დროს, ქვრივი ქალი, როგორც მოწილე სუბიექტი ოჯახის გაყრის დროს, ვაჟიშვილები, როგორც მოწილე სუბიექტები ოჯახის გაყრის დროს, ქალიშვილები, როგორც მოწილე სუბიექტები ოჯახის გაყრის დროს,შვილიშვილი (ობოლი), როგორც მოწილე სუბიექტი ოჯახის გაყრის დროს, ზე[დ]სიზე, როგორც მოწილე სუბიექტი ოჯახის გაყრის დროს, ბასტარდი, როგორც მოწილე სუბიექტი ოჯახის გაყრის დროს,გერი, როგორც მოწილე სუბიექტი ოჯახის გაყრის დროს, ნაშვილები, როგორც მოწილე სუბიექტი ოჯახის გაყრის დროს, ორსული ქალი, როგორც მოწილე სუბიექტი ოჯახის გაყრის დროს, შრომისუუნარო პირი, როგორც მოწილე სუბიექტი ოჯახის გაყრის დროს). ამ თავის ქვეთავების სიჭარბეს ბუნებრივად განპირობებს დიდი ოჯახის გაყრის მოწილე სუბუექტთა რაოდენობა. თითოეულ ქვეთავში, როგორც ჩვეულებითი სამართლის, ისე კანონის თანახმად, აღნიშნულია მოწილეთა (მამის, ქვრივი ქალის, ვაჟიშვილის, ქალიშვილის) წილის სახელდებები; ქართული სამართლის ძეგლებიდან მოხმობილი გვაქვს შესაბამისი მუხლები, რომელთა მიხედვითაც რეგულირდებოდა ოჯახის გაყრის დროს მოწილე სუბიექტთა წილის განსაზღვრა; ასევე, გაყრილობის წიგნები, რომლებშიც მითითებულია გაყრის მოწილე პირები.

ნაშრომის მეექვსე თავი – დიდი ოჯახის გაყრის ობიექტები – შედგება ექვსი ქვეთავისაგან (სათემო-საოჯახო ქონება; ოჯახის გაყრის დროს ქონების გაყოფის წესი; ოჯახის გაყრის დროს მშობლების წილად გაცემული ქონება; ოჯახის გაყრის დროს ვაჟიშვილების წილად გაცემული ქონება; ოჯახის გაყრის დროს ქალიშვილების წილად გაცემული ქონება; ოჯახის გაყრის მიწის განაწილების წესი). ხაზგასმით აღნიშნული გვაქვს ის, რომ, დიდი ოჯახის გაყრამდე, სათემო-საოჯახო ქონებაზე საკუთრების უფლება გაუყოფლად ეკუთვნოდა მთელ ოჯახს; ქვეთავებში აღნიშნულია, თუ რა ოდენობით ეძლეოდა წილი საერთო ქონებიდან გაყრის მონაწილე პირ სუბიექტებს. მოხმობილი გვაქვს სათანადო მუხლები ქართული სამართლის ძეგლებიდან, რომელთა მიხედვითაც განისაზღვრებოდა ოჯახის გაყრის დროს თითოეული სუბიექტის ქონების ოდენობა წილის სახით. ასევე, მოხმობილია ოჯახის გაყრის საბუთები, რომლებშიც ზუსტად არის განსაზღვრული ის, თუ ვის რა ქონება ერგებოდა. მრავალი ქვეყნის მსგავსად, ჩვენშიც საგანგებო ყურადღების ობიექტი იყო. ამდენად, ცალკე ქვეთავი აქვს დათმობილი მიწის განაწილების წესს.

ნაშრომის მეშვიდე თავი – ოჯახის შეყრა – შედგება ორი ქვეთავისაგან (გაყრილ ოჯახთა ურთიერთობა და ოჯახის შეყრის მიზეზები); მეშვიდე თავში ლაპარაკია იმის შესახებ, რომ ძველ ქართულ სამართალში ერთ-ერთ აქტუალურ საკითხად განიხილებოდა ოჯხის შეყრაც. აღნიშნულია განაყარ ოჯახთა შეყრის ძირითადი მიზეზები; ასევე ისიც, რომ განაყარ ოჯახთა შეყრის ერთგვარი

წინაპირობა იყო გაყრილ ოჯახთა ურთიერთობის ტრადიციაც. გაყრის მსგავსად, შეყრილობაც წერილობითი ფორმდებოდა და ზუსტად განისაზღვრებოდა შეყრილი ოჯახის წევრ-სუბიექტთა უფლებები მათ მფლობელობაში არსებულ ქონებაზე. დასტურად მოხმობილი გვაქვს ოჯახის შეყრილობის საბუთები.

დასკვნა – შეჯამების სახით, ჩატარებული მეცნიერული კვლევა-ძიების შედეგები წარმოდგენილია ნაშრომის დასკვნით ნაწილში. ნაშრომს ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია.

პირველი თავი

ოჯახის წარმოშობა და მისი ფორმები

ოჯახი არის საზოგადოებათა შორის ერთ-ერთი უძველესი და ბუნებრივი საზოგადოება

ცნობილია, რომ სწორედ დიდმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა დაუდო წარმოშობა ოჯახის მეცნიერულ კვლევას. ევროპელი მოგზაურები, მისიონერები, ეთნოგრაფები და სხვადასხვა დარგის მეცნიერები ინტერესით აკვიდრებოდნენ ამერიკისა და ავსტრალიის აბორიგენების ცხოვრების წესს, იმ ინსტიტუტს, რომელშიც ნათლად იკვეთებოდა მრავალი და მათ შორის ოჯახური ცხოვრების წესი.

თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ოჯახი გახდა არა ერთი მეცნიერების კვლევის ობიექტი. რეალურად ოჯახი „წარმოადგენს მეცნიერების სხვადასხვა დისციპლინათა (ეთნოგრაფიის, სოციოლოგიის, სამართლის, ფსიქოლოგიის, პედაგოგიკის და სხვ.) ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას“.[1]

ოჯახის წარმოშობიდან მოყოლებული, ოჯახსა და საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებებსა და განვითარებას შორის არსებულ მუდმივ კავშირზე მეტყველებს ის, რომ ფაქტობრივად, ოჯახი არა მარტო ასახავს საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებს, არამედ, გარკვეულწილად, ზემოქმედებს კიდეც მასზე. „ოჯახის წევრებს აერთიანებს მთელი მათი ექსისტენცია [...] ოჯახი არის ერთიანი საზოგადოების ერთგვარი სახეობა, რომლის ზემოქმედება ვრცელდება როგორც ჩვენს ეკონომიკურ საქმიანობაზე, ისე რელიგიურ, პოლიტიკურ, სამეცნიერო და ა.შ. აქტივობებზეც“.[2] დიდ როლს ასრულებს პიროვნების აღზრდაში, მისთვის იდეალებისა და მაღალი ღირებულებისადმი სწრაფვის ჩამოყალიბებაში, კულტურული მემკვიდრეობისადმი პატივისცემის შთაგონებაში, ეროვნული თუ ეთნიკური ტრადიციების თაობიდან თაობაზე გადაცემაში, საზოგადოების განვითარების თვალსაზრისით, ინდივიდის სოციალიზაციაში.

ამდენად, ისტორიულ ჭრილში ოჯახის ინსტიტუტის შესწავლა საშუალებას იძლევა „თვალი გავადევნოთ [მის] წარმოშობას რის შემდეგაც გამოჩნდება, თუ როგორ განვითარდა და გართულდა იგი თანდათანობით, როგორ იქცა იმად, რაც არის დროის მოცემულ მონაკვეთში“.[3]

ისმის კითხვა: ფორმათა გენეზისისა და სტრუქტურის მიხედვით, როგორ განვითარდა ოჯახის ინსტიტუტი საქართველოში?

---

[1] აჩუგბა თ., ოჯახი და საოჯახო ყოფა აჭარაში, მეცნიერება, თბილისი, 1990, გვ. 3.

[2] დიურკემი ე., სოციალური შრომის დანაწილება, Carpe diem, თბილისი, 2012, გვ. 30.

[3] დიურკემი ე., სოციოლოგიის მეთოდის წესები, იოანე პეტრიწი, თბილისი, 2001, გვ. 18.

I. 1. ოჯახის ინსტიტუტის წარმოშობა

ერთ-ერთი განსაზღვრების თანახმად, რომელსაც გვთავაზობს ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, სიტყვით ოჯახი „ერთად მცხოვრებ უახლოეს ნათესავთა ჯგუფი (ცოლ-ქმარი, მშობლები, შვილები, შვილიშვილები)“[4] აღინიშნება. ქართულ ენაში ოჯახის აღსანიშნავად ასევე იხმარებოდა სიტყვები: „ჯალაბი“[5], „ჯალაბობა“[6], „სახლ-კარი“.[7] „სახლი“,[8] „სახლეული“,[9] „სახლეულობა“,[10] „სახლობა“,[11] „ქულფათი“,[12] „კერა“,[13] „კომლი“,[14] „კომლეული“,[15] „ცოლ-შვილი“,[16] „კერძობა“,[17] „კომლობა“,[18] „შინაობა“.[19]

ოჯახი არის ის რთული სოციალური ინსტიტუტი, რომელიც უკავშირდება მთელი საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროს. „ეს კავშირი სხვადასხვა ხასიათისა და მრავალმხრივი მნიშვნელობისაა ოჯახის წევრთათვისაც და მთელი საზოგადოებისათვისაც. მთავარი ამ ურთიერთობაში ისაა, რომ ოჯახი საზოგადოების ცხოვრებაზე დამოკიდებულიცაა და ერთგვარ გავლენასაც ახდენს მასზე“.[20]

საზოგადოებრივ ცხოვრებაში „ოჯახი, როგორც საზოგადოების განუყოფელი მიკროუჯრედი, ისტორიული განვითარების ყოველ ეტაპზე ასახავს ამა თუ იმ ხალხის ან ეთნოგრაფიული ჯგუფის ცხოვრების ყველა ძირითადი ასპექტის გათვალისწინებით.“[21]

ოჯახის ორგანიზაციის შესწავლის მიზნით, თავდაპირველად, უნდა განისაზღვროს მისი ყველაზე რუდიმენტული ტიპი, რათა ჩავწვდეთ მასთან დაკავშირებულ საკითხთა იმ წრეს, როგორიც არის ქორწინება, საკუთრება, მემკვიდრეობა და ა.შ., მთელი ცივილიზებული სამყაროს დარად ჩვენშიც რომ არსებობდა, შემდეგ კი, ევოლუციის პროცესის თანადროულად, განვიხილოთ ოჯახის სტრუქტურული ცვლილებები და აქედან გამომდინარე სამართლებრივი შედეგები.

თანდათან ქორწინება გახდა ოჯახის შექმნის ლეგალური საფუძველი. ქორწინება, როგორც საზოგადოების მიერ აღიარებული ქალისა და მამაკაცის სანქციონირებული სქესობრივი ურთიერთობა,

---

[4] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, „ენციკლოპედია“, თბილისი, 1986. გვ. 365.
[5] ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, ალ. ნეიმანის ავტორობით, „განათლება“, თბილისი, 1978. გვ. 553.
[6] იქვე, გვ. 553.
[7] იქვე, გვ. 371.
[8] იქვე, გვ. 371.
[9] იქვე, გვ. 371.
[10] იქვე, გვ. 371.
[11] იქვე, გვ. 371.
[12] იქვე, გვ. 438.
[13] იქვე, გვ. 217.
[14] იქვე, გვ. 222.
[15] იქვე, გვ. 222.
[16] იქვე, გვ. 503
[17] იქვე, გვ. 217.
[18] იქვე, გვ. 222.
[19] იქვე, გვ. 330-331.
[20] ბექაია მ., საოჯახო და საქორწინო ტრადიციების მნიშვნელობა თანამედროვე ქართული ოჯახის სიმტკიცისათვის, მეცნიერება, თბილისი, 1981, გვ. 15.
[21] აჩუგბა თ., ოჯახი და საოჯახო ყოფა აჭარაში, მეცნიერება, თბილისი, 1990, გვ. 5.

ყოველთვის იყო მთელი საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღების საგანი.

თუმცა „ქორწინებაზე საზოგადოების სანქცია სხვადასხვა დროს სხვადასხვა ხასიათს ატარებდა. იყო დრო, როდესაც ქორწინებაზე სრული სანქციისათვის მარტო ხალხური წეს-ჩვეულებები კმაროდა (მაგალითად, დასაქორწინებელთა ოჯახების შეთანხმება, ნიშნობა, ქორწილი და სხვ.)“.[22] მოგვიანებით, ჯვრისწერის შემოღებით, ეს ფუნქცია რელიგიამ იტვირთა. დაბოლოს, დადგინდა სამოქალაქო ქორწინება. დღესდღეობით მექორწინე პირები თავიანთ თანხმობას ქორწინებაზე ხელის მოწერით ადასტურებენ, რაც რეგისტრირდება სამოქალაქო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ადგილობრივი ბიუროს მიერ.

საოჯახო ყოფის შესწავლა დიდად იყო და არის დამოკიდებული საზოგადოებრივი ურთიერთობების კანონზომიერებათა დადგენაზე, რადგან ოჯახური ცხოვრება იცვლებოდა მისი სიდიდისა და იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩაკეტილი იყო იგი საკუთარ წიაღში. კაცობრიობის ისტორიის მანძილზე, ფორმათა გენეზისისა და სტრუქტურის მიხედვით, არსებობდა ოჯახის სამი ტიპი: გვაროვნული, დიდი პატრიარქალური და ინდივიდუალური ოჯახი.

I. 2. გვაროვნული ოჯახი

ოჯახის ისტორიაში იყო ისეთი ეპოქა, როდესაც ქორწინება არ არსებობდა; პირთა შორის სქესობრივი ურთიერთობები მათივე სურვილისამებრ იწყებოდა და წყდებოდა, წყვილს არავითარი იურიდიული ვალდებულება არ აკავშირებდა. კაცობრიობის განვითარების ადრეულ ეტაპზე, ველურ მამაკაცსა და ველურ ქალს შორის სქესობრივი ურთიერთობა – პრომისკუიტეტი – შეუზღუდავი იყო, რასაც მოგვიანებით, საზოგადოების განვითარების კვალობაზე, ჯგუფური ქორწინება მოჰყვა. ჯგუფები მკაცრად განსაზღვრული შეიქნა, შესაბამისად, ჯგუფის წევრთა შორის სქესობრივი ურთიერთობის ერთგვარი წესრიგი დამყარდა; ერთი ჯგუფის წევრებს მხოლოდ მეორე ჯგუფის წევრებთან ჰქონდათ სქესობრივი ურთიერთობების უფლება, ანუ ერთი ჯგუფის ნებისმიერ მამაკაცს შეეძლო სქესობრივი ურთიერთობა მეორე ჯგუფის ნებისმიერ ქალთან და პირიქით; თუმცა თავად ჯგუფის წევრთა შორის სქესობრივი ურთიერთობა შეზღუდული იყო.

ჯგუფის წევრებს შორის სქესობრივი ურთიერთობის შეზღუდვა ნათესაურ პრინციპს ეფუძნებოდა; თავდაპირველად, სქესობრივი ურთიერთობა მშობლებსა და შვილებს, შემდეგ და-ძმებს, მოგვიანებით, კი შორეულ ნათესავებს შორისაც აიკრძალა; საბოლოოდ, ერთი მამაკაცისა და ერთი ქალის კავშირის საფუძველზე წარმოიშვა ქორწინება, რომელიც თავდაპირველად არამყარი იყო და ადვილად იშლებოდა.

მ. ბექაიას აზრით, „დუალურ-გვაროვნული გაერთიანება, რომელმაც პირველყოფილი ჯოგი შეცვალა, არის სწორედ უკვე ბიოლოგიურად

[22] ბექაია მ., საოჯახო და საქორწინო ტრადიციების მნიშვნელობა თანამედროვე ქართული ოჯახის სიმტკიცისათვის, მეცნიერება, თბილისი, 1981, გვ. 13-14.

ჩამოყალიბებული, უკვე მზა, თანამედროვე ტიპის ადამიანის პირველი სრულიად ფუნქციონირებადი სოციალური გაერთიანება. გვაროვნული ურთიერთობების წიაღში ყალიბდება დედის უფლებაზე დამყარებული ერთობა – მატრიარქატის ინსტიტუტი“.[23]

მკვლევართა მიერ დადგენილ იქნა მატრიარქალური ოჯახის არსებითი მახასიათებლები; კერძოდ, ბ. ზოიძე აღნიშნავს, რომ: „გვიანი მატრიარქატისათვის [...] დამახასიათებელია ის, რომ აქ ისევ დედისეული გვარი ბატონობს და მის შიგნით მწიფდება კერძო საკუთრება, კლასები და სახელმწიფო“.[24]

ჩვეულებრივ, მატრიარქალური ტიპის ოჯახში ყველა სამეურნეო საქმიანობას უძღვებოდა ქალი; ოჯახის უფროსადაც იგი მიიჩნეოდა. მამაკაცი უუფლებო იყო, იგი ეწეოდა ნადირობას ან მესაქონლეობას. სამკვიდრო გადაიცემოდა დედის ხაზით, ოჯახის ქონების მემკვიდრეები იყვნენ დედის ნათესავები. აღნიშნული ვითარების ერთ-ერთი მიზეზი გახლდათ ის, რომ არსებული საქორწინო ურთიერთობის პირობებში, ცნობილი იყო მხოლოდ ბავშვის დედა. ამასთან დაკავშირებით ბ. ზოიძე აღნიშნავს, „რადგანაც მემკვიდრეობა ეფუძნებოდა სისხლით ნათესაურ პრინციპს, ქონება გადადიოდა დედის ნათესავებზე, ბავშვის ნათესავებზე დედის ხაზით. [...] ამრიგად, შვილების უფლებრივი მდგომარეობა დამოკიდებულია დედის უფლებრივ მდგომარეობაზე, ხაზი ევლება არა მამის მხრიდან ნათესაობას, არამედ დედის ხაზით“.[25]

მატრიარქატის კვალი შეინიშნება საქართველოში. დაობლებულ დისწულს/დისწულებს, რომელთაც მამის მხრიდან პატრონი არ ჰყავდათ, დედის ძმები ზრდიდნენ; ზოგჯერ თავის სახლშივე დააქორწინებდნენ ხოლმე. ოჯახის გაყრის დროს ქონებასაც აძლევდნენ, თუმცა მოხევური ჩვეულების მიხედვით, დისწული დედის ძმის ოჯახის მოწილედ არ ითვლებოდა. ამიტომ დისწულებისათვის წილის სახით რაიმე ქონების მიცემა უშუალოდ დედის ძმის სურვილზე იყო დამოკიდებული. მაქს. კოვალევსკის აზრით, ამას ცხადყოფს ქართველთა დამოკიდებულება დის შვილსა და დედის ძმის მიმართ. ასე იყო, მაგალითად, ფშავსა და ხევსურეთში. „იქ დედის ძმა ცვლის მამას ზოგიერთი მოვალეობის შესრულებისას. სახელდობრ, როცა საქმე ეხება სისხლის აღებას. მკვლელის გვართან მორიგებისას პასუხისმგებლობის საზღაურის მეტი წილი მას ერგება. ასევე ხევსურებში ობოლი ბავშვის მეურვე მხოლოდ დედის ძმაა“.[26] მატრიარქატის კვალი ასევე შეინიშნება ცენტრალური კავკასიის მკვიდრთა ყოფაშიც.

ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მატრიარქალური ოჯახი ბოლომდე გასდევს გვაროვნულ წყობილებას და მხოლოდ მისი დაშლისა და ადრეკლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბების შემდეგ ყალიბდება პატრიარქალური ურთიერთობები.

---

[23] იქვე გვ. 18.

[24] ზოიძე ბ., ძველი ქართული მემკვიდროებითი სამართალი, უფლება, თბილისი, 2000, გვ. 28.

[25] იქვე, გვ. 27-28.

[26] Ковалевский Мак., Очерки происхождения и развития семьи и собственности, Пер. с Фр. Б. Иолшина, СПБ., 1896,г. с. 25-27, მითითებულია ზოიძე ბ., ძველი ქართული მემკვიდროებითი სამართალი, უფლება, თბილისი, 2000, გვ. 29.

I. 3. დიდი პატრიარქალური ოჯახი

საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კვალდაკვალ, ერთი მამაკაცისა და ერთი ქალის ცოლქმრული კავშირი, გაცილებით მყარი მონოგამიური ოჯახის საწყისი შეიქნა. „წყვილადიდან მონოგამიურზე გარდამავალს კი წარმოადგენდა პატრიარქალური ოჯახი, რომელიც უშვებდა ცალკეულ შემთხვევებში მრავალცოლიანობასაც (პოლიგინია) და მრავალქმრიანობასაც (პოლიანდრია), რომლებიც სამეცნიერო ლიტერატურაში პოლიგამიის სახელითაა ცნობილი“.[27]

დიდმა პატრიარქალურმა ოჯახმა განვითარების გრძელი გზა განვლო, თუმცა მისი შემადგენლობა ყოველთვის ახლო ნათესაურ ერთობას ეფუძნებოდა. დიდი ოჯახის სტრუქტურის დასახასიათებლად და მისი ბუნების შესწავლის თვალსაზრისით, არსებითია განვიხილოთ, თუ როგორია მისი სტრუქტურა. ცხადია, პირველ რიგში, იგულისხმება ოჯახის შემადგენლობა თაობათა და წევრთა ასაკისა და სქესის რაოდენობის მიხედვით, რაც ოჯახის შრომისუნარიან და არაშრომისუნარიან წევრთა რაოდენობის დადგენის საშუალებას წარმოადგენს.

დიდი პატრიარქალური ოჯახი იყო ორი, სამი და ოთხი თაობის სისხლითმონათესავე ადამიანთა ჯგუფი. ამ ტიპის ოჯახის განსაზღვრისას ი. ბრომლეი წერს: „დიდი შეიძლება ეწოდოს ისეთ ოჯახს, რომელშიც ცხოვრობდა „გვერდითი მონათესავე ორი დაქორწინებული მამაკაცი“.[28] „დაახლოებით ამავე აზრისაა მ. კოსვენი. იგი წერდა: „დიდი შეიძლება ეწოდოს ისეთ ოჯახს, რომელიც შედგება ორი, სამი და მეტი დაღმავალი და გვერდითი თაობებისაგან“.[29]

ადრეფეოდალური ხანიდან, ქართული საზოგადოებრივი ორგანიზმის ძირითად უჯრედსაც დიდი ოჯახი წარმოადგენდა. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში, დიდი ოჯახის ზოგი სახელწოდება უშუალოდ ოჯახის წევრთა ნათესაურ კავშირს გამოხატავს. ასე, მაგალითად, ტერმინები: მოძმეში ცხოვრება, განუყოფელი სახლობა, საძმო სახლი, რაც სიტყვასიტყვით მიუთითებს ძმების ერთ ჭერქვეშ ცხოვრებას. ივ. ჯავახიშვილის აზრით, „სანამ ტერმინი „სახლი“ საცხოვრებელი ნაგებობის აღმნიშვნელ სიტყვად გადაიქცეოდა, ერთ სახურავს ქვეშ მცხოვრებ ადამიანთა ახლო ნათესაურ ჯგუფს ანუ დიდ ოჯახს ნიშნავდა“.[30]

ზემო იმერეთის საოჯახო თემი განსხვავებული სახელით–ჯალაბი ოჯახი – იხსენიება. „ტერმინით **ჯალაბი** ქართულ ენაში ოჯახის წევრები აღინიშნება, ხოლო **ოჯახი** – ოჯახის აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინია. სიტყვასიტყვით **ჯალაბი ოჯახი** აღნიშნავს ოჯახსა და ოჯახის წევრებს, ე.ი. ოჯახს მრავალრიცხოვანი წევრებით“.[31]

---

[27] ბექაია მ., საოჯახო და საქორწინო ტრადიციების მნიშვნელობა თანამედროვე ქართული ოჯახის სიმტკიცისათვის, მეცნიერება, თბილისი, 1981, გვ. 14-15.

[28] აჩუგბა თ., ოჯახი და საოჯახო ყოფა აჭარაში, მეცნიერება, თბილისი, 1990, გვ. 14.

[29] იქვე.

[30] იქვე, გვ. 32.

[31] Харадзе Р. Грузинская семейная община, т. I, Тбилиси, изд-во Советский писатель Грузии, Заря Востока, Тбилиси, 1960, с. 67.

დიდი ოჯახის აღმნიშვნელად და გაუყრელად ცხოვრების ტრადიციაზე ნათლად მეტყველებს აჭარულ დიალექტში დამკვიდრებული ტერმინები: დიდი ოჯახი, ჯალაბი ოჯახი, ჯარისული ოჯახი, დიდი კვამლი, ერთიანობის სახლი, რომელიც საცხოვრებელი სახლის აღმნიშვნელადაც იხმარებოდა. ხევში ასეთ ტერმინად გვხვდება როგორც „ერთიანობის სახლი“, ისე „ერთობის სახლი“, რითაც ახლო ნათესავთა რამდენიმე თაობის გაუყრელად ცხოვრება იგულისხმებოდა. ძმების გაუყრელად ცხოვრებაზე სიტყვასიტყვით მიგვანიშნებს ტერმინი „საძმო სახლიც“.

სამეცნიერო ლიტერატურაში დიდი ოჯახების არსებობა ახსნილია „როგორც ტრადიციით, ისე სამეურნეო მიზანშეწონილობით“.[32] ერთსახლად ცხოვრება არსებულ პირობებში, როგორც ჩანს, ამ ინტერესთა დაკმაყოფილების მეტ გარანტიებს ქმნიდა, რასაც ნათლად მოწმობს ის, რომ, როგორც მთიანი რეგიონის – სვანეთი, ხევი, ხევსურეთი, თუშეთი, აჭარა, ასევე ბარის – სამეგრელო, გურია, იმერეთი, ქართლი, კახეთი – დიდი პატრიარქალური ოჯახების ერთიანობას საერთო-საოჯახო საკუთრება განამტკიცებდა. მაგალითად, მ. მაჩაბელის, მ. კოვალევსკის, ვაჟა-ფშაველას მონაცემებით, ფშავში პატრიარქალური ოჯახის ქონების დიდი წილი საოჯახო საკუთრება იყო, იგივე მდგომარეობა იყო თუშეთშიც. ასეთ ვითარებაში გაყრის საფუძველი ნაკლებად იყო.

დიდი ოჯახის სიძლიერის გარანტი მისი ერთიანობა და გაუყოფლობა იყო. მართლაც, ვიდრე ადამიანთა ასეთი ერთობლიობა თავს ერთ კორპუსად მიიჩნევდა, მათ ჰქონდათ ერთი ნება, რომლის მიზანი ამ მთელის შენარჩუნება და საერთო კეთილდღეობაზე ზრუნვა იყო. „თუკი ოჯახი ძლიერია, მისი ურთიერთობა გვარსა, თემსა და ხევისადმი მტკიცე და შეუვალია, რითაც ჩვეულებითი სამართლის ნორმათა დაცვის მეტი შესაძლებლობა იქმნება“.[33]

ჩვეულების მიხედვით, „დიდ ოჯახებში ფუნქციები სქესის, ასაკის და უნარის მიხედვით იყო განაწილებული. მის სათავეში იდგა უფროსი მამაკაცი, კომლის „მეთაური“, თავკაცი ან როგორც მას ზოგიერთ სოფელში უწოდებდნენ „სახლის დიდი“. ასეთად სწორედ უფროსი თაობის მამაკაცთა უნარიანი წარმომადგენელი რომ გვევლინება, ეს დასტურდება საქართველოს სხვადასხვა კუთხისა თუ ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები ხალხების მაგალითზეც. სვანურ დიდი ოჯახებთან მიმართებაში ეგნატე გაბლიანი მიუთითებდა – „ასეთ ოჯახებს სათავეში უდგას ყველაზე უფროსი მამაკაცი, ხოლო თუ იგი ამისათვის შეუფერებელია, ფიზიკურად სუსტია, ამ საზოგადოებაში ავტორიტეტით ვერ სარგებლობს, მაშინ ასეთად შეიძლება დაინიშნოს მისი ძმა ან უფროსი შვილი“.[34]

ფაქტობრივად, თითოეული ოჯახის სათავეში იყო მამა, რომელსაც ჰქონდა დესპოტიზმის ზღვარზე მყოფი ხელისუფლება. დ. ბოსტოღანაშვილი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ოჯახის შიგნით კომლის თავკაცი იღებდა საბოლოო გადაწყვეტილებას სამეურნეო საკითხებზე,

---

[32] თოფჩიშვილი რ., კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია, თბილისი, 2007, გვ. 267.

[33] ქართული ჩვეულებითი სამართალი, წიგნი I, მეცნიერება, თბილისი, 1988, გვ. 66.

[34] ბოსტოღანაშვილი დ., მიწათმფლობელობა აღმოსავლეთ საქართველოში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2004, გვ. 34; მოხმობილია ეგ. გაბლიანი, „თავისუფალი სვანეთი“, თბილისი, 1927, გვ. 91.

ანაწილებდა მოზრდილ მუშახელზე სამუშაოს, განსაზღვრავდა თუ ვინ რა საქმეს წარუძღვებოდა ოჯახში“.[35]

ფშავში, სადაც ძველად დიდ პატრიარქალურ ოჯახებად ცხოვრობდნენ, სახელშეკრულებო ურთიერთობებს ოჯახის სახელით ახორციელებდა ოჯახის უფროსი. რადგან „პატრიარქალურ ოჯახებში შეუზღუდავია ოჯახის მამის ძალაუფლება, ასეთ ვითარებაში ძნელია რაიმე ქონებრივ თანასწორობაზე საუბარი“.[36] აღნიშნულის დასადასტურებლად მოვიხმობთ მ. მაჩაბელს, რომელსაც მოჰყავს ერთი ჩარგლელელი მოხუცის სიტყვები, რომ იგი „ოჯახის უფროსის თანხმობის გარეშე, ვერ იყიდდა უბრალო ბარსაც კი, რომელიც შეიძლება ძალიან საჭიროც ყოფილიყო ოჯახისათვის“.[37]

ქართული ჩვეულებითი სამართლის თანახმად, კომლის საკუთრებას შეადგენდა სახლ-კარი, ბოსელი და სხვა ნაგებობანი; ასევე პირუტყვი, საოჯახო ნივთები, საბრძოლო და შრომის იარაღები. დიდ, გაუყრელს ოჯახში ოჯახის უფროსის ნებართვის გარეშე ოჯახის არც ერთ წევრს არ ჰქონდა უფლება არა თუ გაეყიდა საოჯახო ქონებიდან რაღაც, არამედ ოჯახის სახსრებით შეეძინა რაიმე. ოჯახის უფროსი მამაკაცი იყო, მისი სიტყვა კანონი იყო ოჯახის ყველა წევრისათვის.

ეთნოგრაფიული და საარქივო მასალების მიხედვით იკვეთება, რომ საკომლო ქონება ოჯახის ყველა მამაკაცის საერთო საკუთრებად ითვლებოდა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „დიდ ოჯახებში მამაკაცთა რაოდენობა ჭარბობდა დედაკაცთა რიცხვს. ამგვარი განსხვავება, შედარებით მცირერიცხოვან, დიდ ოჯახებში ერთი ან ორი ერთეულით იყო წარმოდგენილი, მრავალსულიან დიდ ოჯახებში მამაკაცთა ხვედრითი წილი შესამჩნევად მაღლდება.[38]

ქართული ჩვეულებითი სამართლის თანახმად, „მთაში დიდი ოჯახი გვევლინება ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების სუბიექტად, სადაც ოჯახის ქონების გაყიდვისას ან ოჯახის საერთო სახსრებით რაიმეს ყიდვისას, როგორც წესი, ოჯახის წევრთა საერთო თანხმობა იყო საჭირო. ასეთივე წესებით ხელმძღვანელობდნენ საოჯახო ქონების გაცვლის, გაქირავების და გაჩუქების დროსაც“.[39]

მრავალრიცხოვანი დიდი ოჯახის მაგალითებად რ. ხარაძეს მოხმობილი აქვს აღმოსავლეთ საქართველოს სოფ. დიდ ილაანში მცხოვრები საოჯახო თემები; ერთ შემთხვევაში საოჯახო თემი „აერთიანებდა ორ ძმას თავიანთი ცოლებითა და შვილებით. გაყოფის შემდეგ ერთ-ერთი ძმის – თედოს შვილები ერთ ოჯახად, დიდ თემად ცხოვრობდნენ“[40], მეორე შემთხვევაში „საოჯახო თემი გებიანთ უბანი –

---

[35] ბოსტოღანაშვილი დ., მიწათმფლობელობა აღმოსავლეთ საქართველოში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2004, გვ. 35.

[36] ზოიძე ბ., ძველი ქართული მემკვიდროებითი სამართალი, უფლება, თბილისი, 2000, გვ. 31.

[37] მაჩაბელი მ., Экономический быт государственных крестьян Тианетского уезда, Тифлисской Губернии. Материалы для экономического быта государственных крестьян Закавказского Края, Т. 5, Тифлис, 1887, с. 399.

[38] აჩუგბა თ., ოჯახი და საოჯახო ყოფა აჭარაში, მეცნიერება, თბილისი, 1990, გვ. 33-34.

[39] ქართული ჩვეულებითი სამართალი, წიგნი IV, მეცნიერება, თბილისი, 1993, გვ. 107.

[40] Харадзе Р.Л., Грузинская семейная община, т.I, , изд-во Советский писатель Грузии, Заря Востока, Тбилиси 1960, с. 68.

ელიოზაანი, 1918 წლამდე არსებობდა; იგი წარმოადგენდა ხუთი ძმის გაერთიანებას მათივე ცოლებითა და შვილებით“.[41]

იმავე ავტორის თანახმად, „იოსელიანების საოჯახო თემი, რომელიც 27 წევრისაგან შედგებოდა, [...] ოთხ ძმას, მათ ცოლებს, შვილებსა და შვილიშვილებს აერთიანებდა“.[42]

„დიდ ოჯახებში გაუყრელად ცხოვრობდა არა მარტო კომლის თავკაცი თავისი შვილებით, არამედ მისი ახლო ნათესავებიც (ძმები, ძმიშვილები, ბიძაშვილები და ა.შ.). ამიტომ ასეთი ოჯახები ოცი-ოცდაათი, უფრო იშვიათად კი ორმოცდაათი-სამოცი წევრისაგან შედგებოდა. ა. არღუთინსკი აღწერს სოფელ ზურაბაანში (დღევანდელი ქვემო ბოდბე) გიგია კოჭლამაზაშვილის ოჯახს, რომელიც ოცდარვა სულისაგან შედგებოდა. ერთად ცხოვრობდნენ მისი ექვსი ვაჟი, ხუთი ძმიშვილი და ორი ბიძაშვილი თავისი ოჯახებით. აქედან თერთმეტი მოზრდილი მამაკაცია, რომელიც შეიძლებოდა მუშახელად ჩათვლილიყო (ე.ი. თხუთმეტ წელს გადაცილებული). ა. არღუთინსკი დასძენს ასევე, რომ მე-19 საუკუნის 80-იან წლებში „ყველა სოფელში ხშირია შემთხვევები ოცი-ოცდაათსულიანი ოჯახებისა, ერთ სოფელში კი ორმოცდარვა სულიანი ოჯახი იყო“.[43]

ზაქარია ფულისაშვილი თავის წერილში, სადაც ქიზიყის დიდ ოჯახებზე საუბრობს წერს, რომ აქ „ხშირად სამოცამდე სული“ ცხოვრობდაო“.[44] რ. ხარაძის თანახმადაც: „ქიზიყური საოჯახო თემები მრავალრიცხოვანი იყო და ჩვეულებრივ შედგებოდა არა მხოლოდ ძმათა ინდივიდუალური ოჯახების გაერთიანებისაგან, არამედ უმეტეს შემთხვევაში ნათესაობის მეოთხე მუხლამდე მისულა ბიძაშვილთა ოჯახების გაერთიანებისაგანაც“.[45]

მთიან აჭარაში დიდი პატრიარქალური ოჯახი ოთხთაობიანი იყო და 25-35 და 47-სულიან ოჯახსაც კი ითვლიდა. ეთნოგრაფთა შრომების თანახმად, ასეთ ვითარებას სხვა ფაქტორებთან ერთად, ხელს უწყობდა ალპურ მესაქონლეობასთან, მიწათმოქმედებასა და საოჯახო მეურნეობის სხვადასხვა საქმიანობასთან დაკავშირებული შრომის ორგანიზაციის თავისებურება; კერძოდ, სეზონის ხანმოკლეობა, რაც, თავის მხრივ, მუშა ხელის სიმრავლეზე იყო დამოკიდებული.

აჭარაში დიდი ოჯახის არსებობის ერთ-ერთ მიზეზად მკვლევარებს ასევე მიაჩნიათ ოსმალთა ბატონობის დროს მოქმედი საგადასახადო სისტემა, რომლის მიხედვით, გამოსაღებთა ერთი ნაწილი საკომლო ხასიათს ატარებდა და როგორც ძლიერ, ისე ეკონომიკურად სუსტ ოჯახებს ერთნაირი ოდენობის გადასახადი უნდა გაეღოთ. ასეთ

---

[41] Харадзе Р.Л., Грузинская семейная община, т.I, , изд-во Советский писатель Грузии, Заря Востока, Тбилиси 1960, с. 64.

[42] იქვე, с. 68.

[43] ბოსტოღანაშვილი დ., მიწათმფლობელობა აღმოსავლეთ საქართველოში, თბილისი უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2004, გვ. 33; მოხმობილია ა. არღუთინსკი, Аргутинский А., Матерялы для изучения экономического быта государственных крестьян Закавказского края, т. 4, часть 2, с. 190-191.

[44] ბოსტოღანაშვილი დ., მიწათმფლობელობა აღმოსავლეთ საქართველოში, თბილისი უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2004, გვ. 33; მოხმობილია გაზ. „დროება“, 1884, №168.

[45] ბოსტოღანაშვილი დ., მიწათმფლობელობა აღმოსავლეთ საქართველოში, თბილისი უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2004, გვ. 33; მოხმობილია რ. ხარაძე, „ქართული საოჯახო თემი“, ტ.I, თბ. 1960. გვ. 94. (რუსულ ენაზე).

გამოსაღებთა რიგს მიეკუთვნებოდა: **სალიანი** – გუბერნიის, მაზრის და უბნის ადმინისტრაციის შესანახი თანხა, საღერბო გამოსაღები, ზაფთიებისა და შიკრიკების საგზაო ხარჯები.

აჭარულ დიდ ოჯახს, რომელსაც მამა ედგა სათავეში, სოლიდარობის ნიშნები არ ჰქონდა დაკარგული. ოჯახის უფროსისა და ახალგაზრდა თაობის წარმომადგენელთა ურთიერთობის საკითხის განხილვისას, ჩვეულებითი სამართალი ითვალისწინებდა ოჯახის ტიპს, ანუ ***სამამო*** იყო ოჯახი თუ ***საძმო.*** სპეციალურ ლიტერატურაში ე.წ. ***სამამო*** დიდი ოჯახი კლასობრივ ურთიერთობასთან შეგუებულ დესპოტურ ოჯახადაა მიჩნეული, მაგრამ სამამო ოჯახში სამამაკაცო საქმეებს ოჯახის უფროსი ანუ წენდა ხელმძღვანელობდა. მას, როგორც სახლის დიდს, მეტი უფლებები ჰქონდა, თ. აჩუგბას მიერ მოძიებული ინფორმაციის თანახმად, „წენდა განაგებდა რა ოჯახს, მას სხვების დაუკითხავად შეეძლო ოჯახის ეკონომიური წარმოება, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც ოჯახის უფროსად იდგა მამა. მას შეეძლო ქონების გაყიდვა, იჯარით გაცემა, მაგრამ ფაქტიურად ასეთი ნაბიჯის გადადგმა დასაშვებად ითვლებოდა მხოლოდ ოჯახის სრულწლოვან მამაკაცებთან დათათბირება-შეთანხმების შემდეგ. თუ ოჯახის წევრთაგან ვინმე წინააღმდეგი იქნებოდა ქონების გაყიდვისა, წენდას ან უნდა უარეყო თავისი გადაწყვეტილება, ანდა დაეშვა ოჯახის გაყრა. ოჯახში ყველა სახის შემოსავალი ბარდებოდა წენდას. თვით საშოვარზე გასული წევრიც ვალდებული იყო დამორჩილებოდა ასეთ რეჟიმს. ოჯახის უფროსის გადაყენება ოჯახს არ შეეძლო: უკმაყოფილო პირებს შეეძლოთ მხოლოდ მოეთხოვათ გაყრა“.[46] ასეთი იყო ***სამამო*** დიდი ოჯახი.

ასევე, უშუალოდ ოჯახის უფროსს ევალებოდა ახალგაზრდის საქციელის განსჯა. ეთნოგრაფიული მასალებით დასტურდება, რომ აჭარული დიდი ოჯახისათვის არ ყოფილა დამახასიათებელი დესპოტიზმის ისეთი ელემენტები, როგორიცაა: სახლის დიდის მიერ პირადი შეხედულებისამებრ ქონების თვითნებურად განაწილება, გაყრის დროს ყველაზე მეტი ქონების მითვისება, ოჯახის ასაკოვანი წევრების აზრის უგულებელყოფა, შვილის ან შვილიშვილის ფიზიკური შეურაცხყოფა ან ურჩი ახალგაზრდის უწილოდ დატოვება, მისი სახლიდან გაგდება ან ოჯახიდან მისი უწილოდ მოკვეთა; ურჩი ახალგაზრდის მიმართ ის, ძირითადად, სიტყვიერი შეურაცხყოფით კმაყოფილდებოდა, ან ოჯახის წევრებთან შეთანხმების საფუძველზე, მას კუთვნილ წილს მისცემდა და ცალკე დაასახლებდა.

ერთი სიტყვით, ოჯახის წინამძღოლი ითვალისწინებდა სახლობის ყველა წევრის სურვილს. თ. აჩუგბა მის მიერ მოკვლეული საველე ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე წერს: „აჭარულ დიდ ოჯახში იმდენად მტკიცედ იყო ფეხმოკიდებული ძირძველი ქართული ტრადიციები, რომ შარიათმა ვერ შეძლო ღრმად შეეღწია ოჯახის შიგნით არსებული ურთიერთობის სფეროში და აჭარაშიც, ისევე როგორც მთლიანად საქართველოში, ოჯახის მმართველობა ძირითადად სოლიდარულ პრინციპებს ეფუძნებოდა“.[47]

---

[46] აჩუგბა თ., ოჯახი და საოჯახო ყოფა აჭარაში, მეცნიერება, თბილისი, 1990, გვ. 16.
[47] იქვე, გვ 77-78.

საქართველოში მამის ხელისუფლება ვრცელდებოდა არა მარტო ოჯახის ქონებაზე, ცოლსა და მცირეწლოვანი შვილების პიროვნებაზე, არამედ სრულწლოვან დაქორწინებულ ვაჟებსა და მათ შთამომავლებზეც. ოჯახის უფროსის ხელისუფლებაში იგულისხმებოდნენ არა მარტო ერთი გვარის პირები, არამედ ბიძაშვილები და მათი ოჯახები, განკარგავდა მათ ბედს, აქორწინებებდა ვაჟიშვილებსა და შვილიშვილებს, ათხოვებდა ქალიშვილებსა და შვილიშვილებს; ყველა უსიტყვოდ ემორჩილებოდა მას.

საქართველოში მცხოვრებ „მთის ებრაელთა ოჯახის ძირითადი ტიპი XX ს-ის პირველ მესამედამდე გაუყრელი, დიდი ოჯახი იყო. ასეთ ოჯახებში სულთა რაოდენობა 10-დან 40 კაცამდე მერყეობდა. ერთი წინაპრიდან მომდინარე რამდენიმე ოჯახი თუხუმს შეადგენდა“.[48]

კავკასიის მკვიდრ ხალხთა ადათ-წესების მკვლევარ რ. თოფჩიშვილის მონაცემების საფუძველზე, მსგავსი ვითარება მოწმდება კავკასიის მკვიდრ სხვა ხალხებშიც. აღმოსავლეთ სომხეთში XIX ს-ის ბოლოს დიდი ოჯახი 50 და მეტ წევრასაც ითვლიდა. კერძოდ, „სომხეთში XIX ს-ის მთელ მანძილზე შემორჩენილი იყო დიდი ოჯახი („გერდასტან“). დიდი პატრიარქალური ოჯახი სომხეთში გვხვდება არა მარტო ერევნის, არამედ თბილისის გუბერნიაშიც. დიდი ოჯახის წევრები ერთ საცხოვრებელ სახლში ცხოვრობდნენ და მათ საერთო მეურნეობა ჰქონდათ. ასეთ გერდასტანებში ზოგიერთ მიყრუებულ ადგილას თურქეთის სომხეთში კი დიდი ოჯახი ბოლო დრომდე, მათ ფიზიკურ განადგურებამდე და დეპორტაციამდე შემორჩა“.[49]

„სომხეთში ოჯახის უფროსი მამაკაცი („ტანტერი“) ერთპიროვნულად განაგებდა გერდასტანის როგორც მოძრავ, ისე უძრავ ქონებას, ასევე მისი წევრების პირად ბედს. ტანტერის ფუნქციაში შედიოდა საერთო-საოჯახო მეურნეობის ორგანიზაცია, სამამაკაცო სამეურნეო საქმიანობის ხემძღვანელობა, ოჯახის მთელი შემოსავლების კონტროლი“.[50]

ცენტრალური კავკასიის მკვიდრ ხალხებშიც დიდი ოჯახის სათავეში იყო მამა, რომელსაც ჰქონდა დესპოტიზმთან ახლოს მყოფი ხელისუფლება. ვ. ითონიშვილი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „მაგრამ თუ მას სურდა ოჯახსა და საზოგადოებაში ავტორიტეტი ჰქონოდა, ვალდებული იყო ყველა მნიშვნელოვანი საკითხი გადაეწყვიტა ოჯახის წევრებთან შეთანხმების შემდეგ. საკმარისი იყო ოჯახის უფროსს ბოროტად გამოეყენებინა თავისი მდგომარეობა და დესპოტური, ერთპიროვნული მმართველობისადმი მიდრეკილება გამოემჟღავნებინა, რომ ოჯახის მთლიანობას საშიშროება დამუქრებოდა, ხოლო მისი ხელმძღვანელის ავტორიტეტი დაცემულიყო. ასეთი ვითარება განსაზღვრავდა ოჯახის უფროსის უფლებებს, გზას უღობავდა დესპოტზიმს და აპირობებდა გაუყრელად ცხოვრების შესაძლებლობას“.[51]

რ. თოფჩიშვილის თანახმად, „XIX საუკუნისა და XX ს-ის დასაწყისში კავკასიის მკვიდრი სხვა ტომების ყოფაში, კერძოდ,

---

[48] თოფჩიშვილი რ., კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია, თბილისი, 2007, გვ. 119.
[49] იქვე, გვ. 348.
[50] იქვე 345-346.
[51] ითონ,იშვილი ვ., ცენტრალური კავკასიელების საოჯახო ყოფა, თბილისი, 1969, გვ. 247.

ბალყარებში, ჩერქეზებში, კაპუჭელებში დიდი ოჯახები მეტი რაოდენობით მთაში არსებობდა. ოჯახში გაბატონებული იყო პატრიარქალური ურთიერთობები; ქალები ემორჩილებოდნენ მამაკაცებს, უფროსები – უმცროსებს. ხინალუღებს შორის ბევრი დიდი ოჯახი არსებობდა. ხშირად ერთ ოჯახში ოთხი-ხუთი ცოლშვილიანი ძმა ცხოვრობდა. კავკასიის მკვიდრი ჩერქეზები და ანდიელები გაერთიანებულნი იყვნენ დამოუკიდებელ და სამეზობლო-სასოფლო თემებში".[52] „ნოღაელებში XIX ს-ში ოჯახის ფორმა არსებობდა (დიდი) პატრიარქალური და პატარა".[53]

იმავე ავტორის ინფორმაციით, „XIX ს-ის 80-იან წლების ერთ-ერთი მოგზაურის ჩანაწერებში აღწერილია, რომ ინგუშეთში იშვიათი არაა დიდი ოჯახი, რომელშიც ათამდე მამაკაცია. საერთოდ, ინგუშური დიდი ოჯახი 20-40 სულისაგან შედგებოდა. ჩვეულებრივ, როგორც კავკასიის სხვა ხალხებში, ინგუშებშიც ოჯახის მეთაურს ასაკით უფროსი მამაკაცი წარმოადგენდა. პატრონიმიის წევრები ერთმანეთს ეხმარებოდნენ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დროს, ქორწილისა და დაკრძალვისას. ნათესავებს შორის დიდი პატივისცემით სარგებლობდა ასაკით უფროსი (უხუცესი), რომლის მონაწილეობის გარეშე არცერთი მნიშვნელოვანი საქმე არ წყდებოდა (მაგალითად, ქორწინების, მესისხლეთა შერიგების საქმეები). მოგვიანებით ოჯახების რაოდენობის ზრდამ პატრონიმიების რღვევა და ახალი პატრონიმიების წარმოქმნა გამოიწვია".[54]

ოჯახთა განვითარების ისტორიის თვალსაზრისით, გვსურს საგანგებოდ აღვინიშნოთ რომაული ოჯახის ტიპი, რომელიც ძალზე ორიგინალური ფენომენი იყო. ფაქტობრივად, ეს იყო სამოქალაქო ოჯახი, რომელიც ეფუძნებოდა მამის ძალაუფლებაში მყოფ პირთა გაერთიანების პრინციპს და არა სისხლით ნათესაობის პრინციპს. რომაული დიდი ოჯახი იყო ერთგვარი კორპორაცია; ხშირი იყო ისეთი შემთხვევები, როდესაც ახლო სისხლისმიერი ნათესავები მორალურად თუ იურიდიულად უცხონი იყვნენ ერთმანეთისათვის, მაგრამ მის წევრებს შორის ნამდვილი ძმობა სუფევდა. ამის მაგალითია კოგნატები რომაულ ოჯახში. ფაქტობრივად, ოჯახის წევრებს აერთიანებდა მთელი მათი ექსისტენცია – ეკონომიკური საქმიანობა, რელიგიური აქტივობა, გარდა ამისა, ოჯახი იყო ერთგულებისა და თავდადების, ზნეობის უპირატესი სკოლა. ოჯახის წევრად ითვლებოდა ის, ვინც იყო მამის ძალაუფლებაში, და შესაბამისად, მემკვიდრეობის უფლებითაც ის სარგებლობდა. „ეს იყო აგნატური მემკვიდრობის ხანა რომის ისტორიაში, როცა მემკვიდრეებია მამაკაცის ხაზით ნათესავები (აგნატები), ხოლო ქალის ხაზით ნათესავები (კოგნატები) არ ითვლებოდნენ მემკვიდრეებად რათა ერთი გვარის ქონება არ მოხვედრილიყო სხვა გვარის ხელში".[55] მემკვიდრეობის ასეთი წესი განპირობებული იყო იმით, რომ ერთი გვარის ქონება სხვა გვარის მფლობელობაში არ მოხვედრილიყო. მაგრამ, შემდგომ, იუსტინიანეს

[52] თოფჩიშვილი რ., კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია, თბილისი, 2007, გვ. 51-52.
[53] იქვე, გვ. 150.
[54] იქვე, გვ. 60-61.
[55] ზოიძე ბ., ძველი ქართული მემკვიდროებითი სამართალი, უფლება, თბილისი, 2000, გვ. 31.

დროიდან მდგომარეობა იცვლება და შემოდის მემკვიდრეობის აგნატური ანუ სისხლით ნათესაობის პრინციპი.[56]

პუნიკურ ომამდე რომში, სადაც უმთავრესად, ოჯახი იყო პატრიარქალური და პირთა საკმაოდ დიდ რაოდენობას მოიცავდა. დიდი ოჯახის წევრები იყვნენ ქმარი, ცოლი, ორივე სქესის შვილები, კლიენტები და მონები. რომში ასეთი ტიპის ოჯახს „კერძო ოჯახი" ეწოდებოდა. *ულპიანეს* თანახმად, „რამდენიმე პირს, ვინც ან ბუნებითი ან სამოქალაქო სამართლის თანახმად, იმყოფებიან ერთი ძალაუფლების ქვეშ, უწოდებენ „კერძო ოჯახს". ასეთი პირები არიან ოჯახის მამა ან დედა, ვაჟიშვილი ან ქალიშვილი და მთელი მათი ჩამომავალი – შვილიშვილები, შვილთაშვილები და ა.შ „ოჯახი" მონებსაც გულისხმობს".[57]

მართალია რომაული დიდი ოჯახი და ქართული დიდი ოჯახი ბევრი რამით ჰგავდა ერთმანეთს, თუმცა რომაული დიდი ოჯახისაგან განსხვავებით – სადაც თავისი ხელისუფლების ფარგლებში მამა უფლებამოსილი იყო დაესაჯა ცოლი, შვილები და ოჯახის სხვა წევრები თუკი ისინი რაიმეს დააშავებდნენ, მეტიც paterfamilias-ს ოჯახის წევრების სიცოცხლისა და სიკვდილის უფლებაც (ius vitae necisque) კი ჰქონდა – საქართველოში ოჯახის უფროსს ასეთი უფლება არ გააჩნდა.

I. 4. ინდივიდუალური ოჯახი

წარმოების კაპიტალისტური წესის მზარდი განვითარების კვალობაზე, საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებები საოჯახო ყოფაზეც აისახა. წლიდან წლამდე ოჯახის პატრიარქალური წყობის რღვევის გამო დიდმა საოჯახო გაერთიანებებმა დაშლა დაიწყო. ოჯახის ტიპურ ფორმად პატარა ოჯახი იქცა. ასე გაჩნდა XIX საუკუნის ბოლოს საქართველოში ინდივიდუალური ანუ პატარა ოჯახები და, თანდათან, ოჯახის საყოველთაოდ გავრცელებული ფორმა შეიქმნა.

დიდი ოჯახისაგან განსხვავებით, ინდივიდუალურ ოჯახში, მხოლოდ ცოლ-ქმარი და მათი შვილები ცხოვრობდნენ; ოჯახის საკუთრებაში არსებული ქონების მესაკუთრე იყო ოჯახის უფროსი მამაკაცი; იგი გადაწყეტილებას ერთპიროვნულად იღებდა.

პატარა ოჯახის სტრუქტურის შესახებ მ. კოსვენი წერს: „პატარა შეიძლება ეწოდოს ორთაობიან ოჯახს [...] მაგრამ ამოსავალი მაინც საკუთრების საერთო-საოჯახო ფორმაა, რასაც, [...] პირველად ფ. ენგელსმა მიაქცია ყურადღება".[58]

ამგვარად, საოჯახო თემის გაყოფა გულისხმობს როგორც დიდი, ისე პატარა ახალი, დამოუკიდებელი ოჯახების გამოყოფას, სადაც თითოეულ მათგანში ყალიბდება დამოუკიდებელი ქონება.

დ. ბოსტოღანაშვილის თანახმად, „საოჯახო თემების დაშლის შედეგად წარმოშობილ ინდივიდუალურ ოჯახებში, სადაც მხოლოდ ცოლ-ქმარი და მათი შვილები იცხოვრებდა, ოჯახის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების (საკარმიდამო ნაკვეთები, ბაღ-ვენახი და

---

[56] ზოიძე ბ., ძველი ქართული მემკვიდროებითი სამართალი, უფლება, თბილისი, 2000, გვ. 31.

[57] Digeste ou Pandectes, Livre Cinquantième, 16.195.1, Paris, 1995, pp. 633-634.

[58] აჩუგბა თ., ოჯახი და საოჯახო ყოფა აჭარაში, მეცნიერება, თბილისი, 1990, გვ. 14.

დაჩემებული მიწები) გასხვისების შემთხვევაში ოჯახის უფროსი აღარ იქნებოდა შეზღუდული, დიდი ოჯახის მსგავსად, ოჯახის წევრ უფროს მამაკაცთა თანხმობის აუცილებლობით. ამდენად, იგი საჭიროებისამებრ განკარგავდა კიდეც ამ ქონებას და მაშასადამე ერთპიროვნულად განახორციელებდა საკუთრების უფლებასაც".[59]

თ. აჩუგბას თანახმად, XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში საქართველოს ყველა კუთხის მსგავსად, აჭარაში „ოჯახის ძირითად ფორმას ინდივიდუალური ანუ პატარა ოჯახი წარმოადგენდა, რომელიც აერთიანებდა ორ ან სამ თაობას. ორთაობიან პატარა ოჯახში ცხოვრობდნენ ცოლ-ქმარი თავიანთი შვილებით, ხოლო სამთაობიანში – მშობლები ერთი დაცოლშვილებული ვაჟით".[60]

აჭარაში პატარა ანუ ინდივიდუალური ოჯახის წევრებად, ფაქტობრივად, მოიაზრებოდნენ მშობლები და დაუქორწინებელი შვილები, ანდა მშობლები, ერთ-ერთი დაქორწინებული შვილი და შვილიშვილები. „ამგვარ ოჯახში, ბუნებრივია, წევრთა რაოდენობა და მათ შორის შრომისუნარიან წევრთა რიცხვი მცირე იყო".[61]

თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ XIX ს. ბოლოსა და XX ს. დასაწყისში სოფლად მიმდინარე ღრმა სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებების გავლენით, ოჯახის წევრთა შემადგენლობა მრავალფეროვნად იყო წარმოდგენილი აჭარაში. აღნიშნულ პერიოდში პატარა ოჯახის როგორც რიცხობრივი, ისე თაობათა შემადგენლობა, ძალზე იცვლებოდა და შესაბამისად 4-6, ზოგჯერ მეტ წევრს და 2-3 თაობას აღწევდა. დიდი ოჯახები კი ამ მიმართებით საგრძნობ ცვლილებებს განიცდიდნენ: მცირდებოდა როგორც თვით დიდ ოჯახთა რაოდენობა, ისე მის წევრთა რიცხვი და თაობათა შემადგენლობა. ოჯახის წევრთა რაოდენობა დამოკიდებული იყო იმ კონკრეტულ პირობებზე, რომელშიც ამა თუ იმ ოჯახს უხდებოდა არსებობა.

საველე ეთნოგრაფიული მასალები მოწმობს, რომ „ალპურ მესაქონლეობასთან დაკავშირებულ ცენტრალურ გზებსა და სავაჭრო ცენტრებს დაშორებული მთიანი აჭარის სოფლებში დიდ ოჯახთა საერთო რაოდენობაც იყო და ოჯახში მცხოვრებთა რიცხვიც მაღალი, ხოლო ხეობათა გზისპირა სოფლები, დაბლობ რაიონებში და სავაჭრო თუ სამრეწველო ცენტრებთან ახლო განლაგებულ დასახლებულ პუნქტებში, პირიქით, – დიდი ოჯახის რიცხვიც ნაკლები იყო და მასში მცხოვრებთა საშუალო რაოდენობაც საგრძნობლად დაბალი. ქვემო აჭარის დაბლობ რაიონებსა და მთისწინა სოფლებში იშვიათად თუ გვხვდებოდა 20 სულზე მეტი და ოთხთაობიანი ოჯახები".[62] აჭარაში დიდი ოჯახიდან გამოყოფილი პატარა ოჯახი ყველა ზემოხსენებულ გადასახადს იმავე რაოდენობით იხდიდა, რამდენსაც დიდი ოჯახი.[63]

რ. თოფჩიშვილის თანახმად, იგივე ვითარება იყო აფხაზეთშიც. „XIX საუკუნეში აფხაზები ძირითადად პატარა ოჯახებად ცხოვრობდნენ. მაგრამ არც თუ ცოტა იყო დიდი ოჯახიც".[64]

---

[59] ბოსტოღანაშვილი დ., მიწათმფლობელობა აღმოსავლეთ საქართველოში, თბილისი უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2004, გვ. 46.
[60] აჩუგბა თ., ოჯახი და საოჯახო ყოფა აჭარაში, მეცნიერება, თბილისი, 1990, გვ. 14.
[61] იქვე, გვ. 32- 33.
[62] იქვე, გვ. 29-30.
[63] იქვე, გვ. 29-30.
[64] თოფჩიშვილი რ., კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია, თბილისი, 2007, გვ. 390.

კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარების შედეგად, დიდმა საოჯახო გაერთიანებებმა დაშლა დაიწყო აღმოსავლეთ სომხეთში. „ამ დროიდან [XIX საუკუნიდან] მოკიდებული ოჯახის ტიპიურ ფორმად პატარა ოჯახი იქცა“.[65]

საქართველოს მსგავსი ვითარება იყო ცენტრალური კავკასიის მთიანეთში; ეთნოგრაფიული ლიტერატურის გაცნობის შედეგად, რ. თოფჩიშვილის თქმით, აშკარად იკვეთება, რომ „დიდმა ოჯახმა პოზიციები დათმო და წამყვანი პოზიციები ინდივიდუალურმა ოჯახმა მოიპოვა“.[66] ვ. ითონიშვილის თანახმად, ცენტრალურ კავკასიაში, ძირითადად, გაბატონებული იყო „ინდივიდუალურ ოჯახებად ცხოვრების წესი, მაგრამ, ამასთან ერთად, გადმონაშთური ფორმით იყო შემორჩენილი საოჯახო თემი“.[67]

იმავე ავტორის თანახმად, ცენტრალური კავკასიის მკვიდრ ხალხებში ინდივიდუალურ ოჯახში, ოჯახის მართვისა და საოჯახო საქმიანობის ორგანიზაციის სფეროში განმსაზღვრელი იყო ოჯახის წევრთა სქესი და ასაკი. აღნიშნულიდან გამომდინარე, „როგორც საოჯახო თემში, ისე ინდივიდუალურ ოჯახში ყველაზე დიდი უფლებით სარგებლობდა უხუცესი მამაკაცი, რომელსაც ჩაბარებული ჰქონდა ოჯახის საერთო ხელმძღვანელობა”.[68]

ეთნოგრაფიული მონაცემებით ასევე დასტურდება, რომ პატარა ოჯახების გვერდით ჯერ კიდევ არსებობდა დიდი ოჯახები; მაგალითად, „ლეზგებში დიდი გაუყოფელი ოჯახიც ბევრი იყო შემორჩენილი. ასეთ ოჯახებში ხშირად 50-დან 100 სულამდე ადამიანი იყო გაერთიანებული. ქორწინება ენდოგამიური იყო. მაგრამ აუცილებელი არ იყო მხოლოდ თუხუმის შიგნით დაქორწინება“.[69]

ვ. ითონიშვილი ასევე ადასტურებს იმ ფაქტს, რომ „ცენტრალური კავკასიის მთიელთა ყოფაში XIX საუკუნის ბოლომდე ადგილი ჰქონდა ორი ტიპის ოჯახის – ინდივიდუალური ანუ პატარა ოჯახის და საოჯახო თემის ანუ დიდი ოჯახის თანაარსებობას, რომელთაგან დიდი ოჯახი საოჯახო თემის გადმონაშთურ სახეს ინარჩუნებდა და რომ ის ინდივიდუალური ოჯახისაგან განსხვავებულ სოციალურ უჯრედს წარმოადგენდა“.[70] ასეთი ვითარება იყო მაგალითად, აბაზებში; ამ ხალხის ყოფაში არსებობდა ოჯახის ორი ფორმა: პატარა ანუ ინდივიდუალური (ერთი, ორი, ზოგჯერ სამის თაობით) და დიდი ანუ გაუყრელი ოჯახი (ორი და მეტი საქორწინო წყვილით, რომელიც სამი და მეტი თაობისაგან შედგებოდა. დიდი ოჯახის შემონახულობა საოჯახო მეურნეობის გაძღოლის პირობებით განისაზღვრებოდა. დიდ ოჯახში შემავალ ყოველ საქორწილო წყვილს საერთო კარ-მიდამოში ცალკე სახლი ჰქონდა დაკავებული. შედარებით პატარა საოჯახო თემი საერთო სახლში ცხოვრობდა, რომელშიც ყველა ცალკეულ საოჯახო წყვილს ცალკე ოთახი ეკავა. აბაზებში გაბატონებული იყო მონოგამია.

---

[65] თოფჩიშვილი რ., კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია, თბილისი, 2007, გვ. 345-346.
[66] იქვე, გვ. 129.
[67] ითონიშვილი ვ., ცენტრალური კავკასიელების საოჯახო ყოფა, თბილისი, 1969, გვ. 11.
[68] იქვე, გვ. 246.
[69] თოფჩიშვილი რ., კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია, თბილისი, 2007, გვ. 249.
[70] ითონიშვილი ვ., ცენტრალური კავკასიელების საოჯახო ყოფა, თბილისი, 1969, გვ. 12.

თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იმავე პერიოდში „ძალზე დაჩქარდა დიდი ოჯახის დაშლის პროცესი ცენტრალურ კავკასიაში; ზოგ ტომში, მაგალითად, ბაგულალებში ოჯახის ძირითადი ფორმა ორთაობიანი (პატარა) ოჯახი იყო. XX ს-ის დასაწყისში იშვიათად გვხვდებოდა გაუყოფელი ოჯახებიც“.[71] ძირითადად, ნუკლიარული ტიპის ოჯახი იყო ანდიელთა ტომში. ადათის თანახმად, უმცროსი შვილი მშობლებისაგან მემკვიდრეობით სახლს იღებდა, უფროსი შვილები კი მშობლების ქონებიდან მხოლოდ წილის მიღებით კმაყოფილდებოდნენ. „აქ თემი (ჯამაათი) იყოფოდა რამდენიმე (სამიდან შვიდამდე) თუხუმად. თუხუმები მონათესავე მონოგამიური ოჯახების ერთობლიობას წარმოადგენდნენ.[72]

რ. თოფჩიშვილის მიერ მოკვლეული მასალების თანახმად, „XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში კავკასიის მკვიდრ მრავალ ტომში (მაგალითად, ჭამალელებში[73], კაპუჭელებში[74], ჰუნზიბებში[75], ლაკებში[76], თაბასარანელებში[77], ბოთლიხელებში[78]) გავრცელებული იყო ინდივიდუალური ანუ პატარა ოჯახი. ოჯახის ძირითადი ფორმა პატარა ოჯახი იყო, რომელიც მეუღლეების, ბავშვებისა და ზოგჯერ ქმრის მშობლებისაგან შედგებოდა. ოჯახს პატრიარქალური ყოფის არაერთი ნიშანი ჰქონდა შემორჩენილი. ოჯახის სრულუფლებიანი უფროსი, მამაკაცი იყო.[79] თათებში ოჯახის ძირითადი ფორმა პატარა ოჯახი იყო. გაუყოფელი, დიდი ოჯახი თათებს შორის იშვიათობას წარმოადგენდა.[80]

იმავე ავტორის მონაცემებით, XIX საუკუნესა და XX ს-ის დასაწყისში დიდოელები, უდიები, ახვახელები, რუთულები, ლეზგები, ჰინუხელები, დარგუელები „დაქორწინებისთანავე ცდილობდნენ ახალგაზრდები ცალკე დაესახლებინათ“.[81] ავტორი თავისი სიტყვების დასტურად იმოწმებს 1886 წლის საოჯახო სიებს. „ამ დროს ოჯახის საშუალო სიდიდე დარგოს ოკრუგში 4.2 კაცი იყო, ხაიტაყთაბასარანში კი – 4.9. თუმცა ამ პერიოდში დიდი ოჯახებიც გვხვდებოდა. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მთელ დაღესტანში XIX-XX სს-ის მიჯნაზე დიდი ოჯახების რაოდენობა 13.4%-ს შეადგენდა. დარგუელებში ასეთი ოჯახების პროცენტული რაოდენობა გაცილებით ნაკლები იყო“.[82] ამგვარად, ზემოხსენებულ ხალხთა ოჯახის ძირითადი ფორმა იყო პატარა ოჯახი.

რ. თოფჩიშვილი ასევე აღნიშნავს, რომ XX ს-ის დასაწყისამდე ასევე გვხვდება დიდი, გაუყოფადი ოჯახებიც. „შემორჩენილი იყო დიდი გაუყრელი ოჯახებიც, რომლებიც რამდენიმე საქორწინო წყვილისაგან შედგებოდნენ. ასეთ ოჯახებს საერთო მეურნეობა ჰქონდათ“.[83] დიდი

---

[71] თოფჩიშვილი რ., კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია, თბილისი, 2007, გვ. 184.
[72] იქვე, გვ. 174.
[73] იქვე, გვ. 202.
[74] იქვე გვ. 212.
[75] იქვე, გვ. 223.
[76] იქვე, გვ. 243.
[77] იქვე, გვ. 263.
[78] იქვე, გვ. 189.
[79] იქვე, გვ. 81-82.
[80] იქვე, გვ. 113.
[81] იქვე, გვ. 180.
[82] იქვე, გვ. 231.
[83] იქვე, გვ. 259-260.

ოჯახისათვის დამახასიათებელი ტრადიციის თანახმად, ასეთ ოჯახებში „შიდასაოჯახო ურთიერთობები პატრიარქალურ საწყისებს ეფუძნებოდა: უმცროსები ემორჩილებოდნენ უფროსებს, ქალები – კაცებს, ოჯახის ყველა წევრი – ოჯახის უფროსს“.[84]

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ მიერ განხილული ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე, აშკარად გამოიკვეთა რამდენიმე არსებითი ფაქტი:

1. ადრეფეოდალური ხანიდან, ქართული საზოგადოებრივი ორგანიზმის ძირითად უჯრედსაც დიდი ოჯახი წარმოადგენდა; საქართველოში დიდი ოჯახი ქმნიდა ერთიან რელიგიურ, ნათესაურ და სამეურნეო საწყისებზე დაფუძნებულ ორგანიზმს, ხოლო საოჯახო ურთიერთობები, საზოგადოებრივი ურთიერთობების მსგავსად, ჩვეულებითი სამართლის ნორმებით რეგულირდებოდა.

2. მრავალრიცხოვანი საოჯახო თემიდან ინდივიდუალურ ოჯახზე გადასვლის პროცესი ხანგრძლივ პერიოდს მოიცავდა. წარმოების კაპიტალისტური წესის განვითარების კვალობაზე წარმოქმნილი ინდივიდუალური ოჯახი დიდი პატრიარქალური ოჯახისაგან განსხვავებულ სოციალურ მიკროუჯრედს წარმოადგენდა.

[84] თოფჩიშვილი რ., კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია, თბილისი, 2007, გვ. 180.

მეორე თავი

ოჯახის გაყრის ცნება და მისი სამართლებრივი შედეგები

საზოგადოების ევოლუციის თანადროულად, დიდი ოჯახების დაშლის პროცესი სულ უფრო მზარდ, ინტენსიურ ხასიათს იძენდა მსოფლიოს ცივილიზებულ ქვეყნებში. ჩვენი აზრით, ეს საყოველთაო მოვლენა სრულიად ბუნებრივი პროცესი იყო.

ფაქტობრივად, უშუალოდ დიდი ოჯახის მოშლით დაედო საფუძველი ოჯახის გაყრის ინსტიტუტს. იგივე ვითარება შეინიშნება საქართველოშიც, სადაც XIX ს. ბოლოსა და XX ს. დასაწყისისათვის მრავალსულიანი ოჯახების რაოდენობა საგრძნობლად შემცირდა.

ისმის კითხვა: როდის და რა მიზეზით იყრებოდა დიდი ოჯახი?

II. 1. ოჯახის გაყრის ცნება

ქართულ ჩვეულებით სამართალში დიდი ოჯახის დაშლა ანუ გაყრა, არსებითად, ერთ მიზანს ისახავდა და აღინიშნებოდა ტერმინით – „ოჯახის გაყრა“, რითაც ახალი, დამოუკიდებელი ოჯახების შექმნა და თითოეული მათგანის მყარად განსაზღვრული საკუთარი ქონების გამოყოფა იგულისხმებოდა. ოჯახის გაყრის აღსანიშნავად ქართულ ენაში ასევე იხმარებოდა სიტყვები „ოჯახის გაყოფა“. ასე რომ, ყოველი ოჯახის გაყოფა, როცა იგი თავისი სიმწიფის პერიოდს დაასრულებდა, მიზანშეწონილი იყო

ეთნოგრაფიული მასალების თანახმად, გაყრის პროცესის აღსანიშნავად იგივე ტერმინები იშვიათად გამოიყენებოდა გურიაში. გ. ცეცხლაძე ხაზგასმით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ, „ტერმინები „ოჯახის გაყრა“, „ოჯახის გაყოფა“ გურიის ეთნოგრაფიულ ყოფაში იშვიათად დასტურდება. მათ შესაბამისად იხმარება ტერმინი „გარიგება“. მაგ.: „ძმები გარიგდნენ, „ოჯახის გარიგება მამის სურვილით ხდება“, „გარიგებას ესწრება“ და სხვა“.[85] გ. ცეცხლაძის თანახმად, „გარიგება“ იმავე მნიშვნელობით იხმარებოდა აჭარაშიც“.[86]

თუმცა ტერმინი „გარიგება“ ორი მნიშვნელობით გამოიყენებოდა და ნიშნავდა როგორც „გაყოფას“, ისე „განაწილებას“, შესაბამისად, იხმარებოდა როგორც ოჯახის გაყრის, ასევე ქონების განაწილების აღსანიშნავად. „ერთი მხრივ, ამბობენ – „ოჯახი გარიგდა“, „ძმები გარიგდნენ“, ე. ი. მოხდა ოჯახის გაყრა. მეორე მხრივ, კი იტყვიან, „ქონება გეირიგეს“, „ქონება გარიგდა“. ამ შემთხვევაში იგულისმებოდა ქონების განაწილება“.[87]

გ. ცეცხლაძე ყურადღებას ამახვილებს კიდევ ერთ ტერმინზე, რომელიც ქონების განაწილების (მაგრამ არა ოჯახის გაყრის)

---

[85] ცეცხლაძე გ., გურიის მოსახლეობის საოჯახო ყოფა, მეცნიერება, თბილისი, 1991, გვ. 84.

[86] იქვე.

[87] იქვე.

მნიშვნელობით ასევე გამოიყენებოდა გურიაში და წერს: „გურიაში ქონების განაწილების, მაგრამ არა ოჯახის გაყრის მნიშვნელობით, ასევე იხმარებოდა ტერმინი „გაფარდება“, რაც განაწილებას, გაყოფას ნიშნავს და სიტყვა „ფარდიდან“ მომდინარეობს“.[88] ეს სიტყვა გვხვდება დავით ბატონიშვილის „სამართალშიც“. ოჯახის გაყრისას იგი მომხრეა, რომ საერთო-საოჯახო ქონება განაწილდეს სამართლიანობის დაცვით „ფარდი წესიერი კარგითა განფარდონ [...] „რათა არა უფარდოებისა გამო წარმოიშუას შფოთი“.[89]

ოჯახის გაყრის საკითხს ცალკე კარი ეძღვნება ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში „ქ. აქა კარი – დასაწყისი გაყრისა, და ერთმანეთის დაშორვებისა თუ ვით უნდა“. ამ კარში წარმოდგენილი კანონთა მუხლებით სათანადოდ რეგულირდებოდა ოჯახის საერთო ქონების განკარგვის წესი და წილი მოწილე სუბიექტთა შორის.

II. 2. დიდი ოჯახის მოშლით გახშირებული ოჯახის გაყრის ჩვეულების შესახებ

ადრეფეოდალური ხანის საქართველოში ინდივიდუალური ოჯახები ინარჩუნებდნენ საოჯახო თემის გარკვეულ ნიშნებს. ამის შესახებ ივ. ჯავახიშვილი წერს: „V საუკუნიდან მოყოლებული IX საუკუნემდე ქართული ინდივიდუალური ოჯახები კიდევ ინარჩუნებდნენ წინამორბედი საოჯახო თემის ცალკეულ ელემენტებს, როგორიცაა უძრავი ქონების გაუყოფლობა, მშობლების გარდაცვალებამდე შვილების გაუყრელობა“.[90]

გვიანფეოდალური ხანის საქართველოს ყველა მხარესა და ყველა სოციალურ ფენაში გახშირდა დიდი ოჯახის გაყრის ჩვეულება. როდესაც დიდი ოჯახი მიაღწევდა, განვითარების ასე ვთქვათ, „სრულყოფილ“ სახეს, ამის შემდეგ მისი დანაწილება სავსებით მართებული იყო. დიდი ოჯახის გაყრის შედეგად დასაბამი ეძლეოდა ახალ ოჯახებს, შესაბამისად, იცვლებოდა დიდი ოჯახის სტრუქტურა. „ოჯახური ცხოვრება იცვლება იმის მიხედვით, თუ რამდენად მეტ-ნაკლებად დიდი იქნება ოჯახი, რამდენად მეტ-ნაკლებად ჩაკეტილია ის საკუთარ თავში“.[91]

დიდი ოჯახის გაყრისა და საოჯახო ქონების განაწილებისას საჭირო იყო დიდი სიფრთხილე, რათა არ დარღვეულიყო ოჯახის წევრთა უფლებები და საქმე არ მისულიყო კონფლიქტამდე. ოჯახის გაყრის დროს მთავარი სიტყვა ოჯახის უფროს მამაკაცს ეკუთვნოდა, მაგრამ ხშირად (მაგალითად, გურიაში), გაყოფას შეიძლება უფროსი ქალიც დასწრებოდა და გაყრის საკითხი მათ ერთად გადაეწყვიტათ.

---

[88] ცეცხლაძე გ., გურიის მოსახლეობის საოჯახო ყოფა, მეცნიერება, თბილისი, 1991, გვ. 84.

[89] სამართალი ბატონიშვილის დავითისა, (დ. ფურცელაძის რედაქტორობით), მეცნიერება, თბილისი, 1964, გვ. 23.

[90] ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია, ტ. II, ნაკვეთი 2, 1965, გვ. 389; 376; მითითებულია გ. მამარდაშვილი, საოჯახო ყოფა და რწმენა-წარმოდგენები ლეჩხუმის მოსახლეობაში, „უნივერსალი“, თბილისი, 2006, გვ. 5.

[91] დიურკემი ე., სოციოლოგიის მეთოდის წესები, იოანე პეტრიწი, თბილისი, 2001, გვ. 149.

ჩვეულებრივ, დიდი ოჯახის გაყრა პირველი თაობის შემდეგ იყო მიზანშეწონილი. მაგრამ XIX ს. ბოლოსა და XX ს. დასაწყისისათვის სრულიად საპირისპირო რამ შეინიშნება საქართველოში. როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში არაერთი საოჯახო თემი გაიყარა. აჭარაში ამ მოვლენას გაზეთ „დროებ"-ის ერთ-ერთი სტატიის ავტორი უკავშირებდა ბატონყმობის გაუქმებას და წერდა: „იგი მხარის [იგულისხმება აჭარა] კაპიტალისტურ სასაქონლო-ფულად ურთიერთობაში ჩართვით უნდა აიხსნას".[92]

ამავე მოვლენასთან დაკავშირებით 1886 წელს სიღნაღის მაზრაში არსებული ვითარების თაობაზე გაზეთი „ივერია" წერდა: „ძველ საკომლო სიებთან შედარებით, კომლთა რიცხვმა საშინლად იმატა. იმ სოფელში, სადაც ირიცხებოდა ძველი საკომლო სიებით ხუთასი ანუ ექვსასი კომლი, ახლა ათას კომლამდე აღმოჩნდა. ბევრგან ერთი კომლი ათად არის გაყრილი და ისეთი ოჯახი ხომ იშვიათია, რომ ორ კომლად არ იყოს გასული".[93]

რ. ხარაძის ინფორმაციით, „ბოლო გაყრა XIX ს. 90-იან წლების პირველი გაყრიდან 25 წლის შემდეგ მოხდა".[94] იმავე ავტორის თანახმად, „ერთ-ერთი XX საუკუნის დასაწყისში „გაიყარა იოსელიანების საოჯახო თემი, რომელიც 27 წევრისაგან შედგებოდა, მანამდე იგი ოთხ ძმას, მათ ცოლებს, შვილებსა და შვილიშვილებს აერთიანებდა".[95]

მართალია, თავისი რაობით დიდი ოჯახი არ ყოფილა გაუყოფელი ერთეული, მაგრამ ზემოხსენებულ პერიოდში დიდი ოჯახის მოშლით გახშირებული ოჯახის გაყრის ჩვეულება, ფაქტობრივად, ამ ტიპის ოჯახის დეგრადაციაზე მიგვანიშნებს. ისიც უნდა ითქვას, რომ ოჯახის გაყრა არ გახლდათ მხოლოდ საზოგადოების ერთი რომელიმე კონკრეტული ნაწილისათვის დამახასიათებელი მოვლენა, იგი ხდებოდა მოსახლეობის როგორც დაბალ, ისე მაღალ ფენაში.

გვსურს ასევე აღვნიშნოთ, რომ მამის გარდაცვალების შემდეგ ძმების გაყრა გაცილებით ადრინდელი მოვლენა იყო, ვიდრე მამის სიცოცხლეში ოჯახის განაწილება. ცოლშვილიანი ძმები მშობლებთან ერთად საცხოვრებლად იშვიათად რჩებოდნენ დიდხანს, რადგან მრავალსულიან ოჯახში უთანხმოება მალევე იჩენდა ხოლმე თავს; თუ დიდი ოჯახი მაინც ახერხებდა თანხმობით თანაცხოვრებას, მისი წევრები მეზობელ-ნათესავთა განსაკუთრებულ პატივსცემას იმსახურებდნენ.

ქართული ფეოდალური სამართლით თავადური სახლის გაყრას მისი სოციალური და პოლიტიკური დამდაბლება მოსდევდა. ამდენად, გვარის ერთობის დაცვას თვით გვარისავე ინტერესები მოითხოვდნენ. მაგრამ, იმავდროულად, ამ ერთიანობის საწინააღმდეგოდ მოქმედებდნენ საკუთრების განკერძოების ინტერესები. „სახლის რიგის" დარღვევა,

---

[92] აჩუგბა თ., ოჯახი და საოჯახო ყოფა აჭარაში, მეცნიერება, თბილისი, 1990, გვ. 100-101.

[93] გაზეთი „ივერია", 1886, №147, ციტირებულია დ. ბოსტოღანაშვილის სტატიიდან „ოჯახის გაყრის წესები აღმოსავლეთ საქართველოში", ჟურნ. სამართალი, №1-2, 1998, გვ. 76.

[94] Харадзе Р., Грузинская семейная община, т.I, Тбилиси, изд-во Советский писатель Грузии, Заря Востока, 1960, с. 52.

[95] იქვე, с. 68.

„საკუთრების ინდივიდუალიზაციისაკენ“ მისწრაფება, „საერთო მამულის“ შემოსავლის ერთმანეთისაგან „გარდაპარვა“ და სხვ. იწვევდა ზოგჯერ თავადური სახლის გაყრას, მაგრამ გაყრა ყოველთვის არ ნიშნავდა სათავადოს დაშლას. საერთო ქართული წესები მოქმედებდა გურიის წარჩინებულთა წრეშიც“.[96]

ეთნოლოგთა თანახმად, ოჯახის გაყრის ჩვეულების აღმოცენება პირდაპირ დაკავშირებულია დიდი ოჯახის მოშლასთან, რაც, თავის მხრივ, მთელ რიგ სოციალურ, უპირველეს ყოვლისა კი ეკონომიკურ მიზეზებს უკავშირდება. თუ დავემოწმებით შ. ლ. მონტესკიეს, „ოჯახი საკუთრების ერთგვარი ფორმაა“.[97] ფაქტობრივად, კერძო საკუთრების პირველი ნიშნები იმთავითვე ოჯახში ისახებოდა, ამდენად, გაყრის ძირითადი არსი, რეალურად, ქონების განაწილება, საკუთრების განკერძოებულობა ანუ ყოველი განაყარი ინდივიდუალური ოჯახისათვის საერთო საოჯახო ქონებიდან მისი კერძო საკუთრების განსაზღვრა და გამოყოფა იყო.

საქართველოს ყველა კუთხეში საოჯახო თემის გაყოფით იგულისხმებოდა როგორც დიდი, ისე პატარა, დამოუკიდებელი ოჯახების გამოყოფა, რის შემდეგაც ხდებოდა წლების მანძილზე ერთიან, გაუყოფელ ოჯახში დაგროვებული ქონების გაყოფა და თითოეულ ინდივიდუალურ ოჯახში ქონების დამოუკიდებელი სახით ჩამოყალიბება.

ქართველ მთიელებში გავრცელებული წესის თანახმად, ოჯახის სიძლიერის გარანტი მისი ერთიანობა იყო. ლ. ბოძაშვილის თქმით, „ოჯახის გაყოფა ფშავში სირცხვილადაც კი ითვლებოდა“.[98] სანამ ოჯახის მამა ცოცხალი იყო, ოჯახის გაყრა ყოვლად შეუძლებელი იყო. წესით, დიდი ოჯახის გაყრა, ოჯახის უფროსის ე. ი. პირველი თაობის უხუცესების გარდაცვალების შემდეგ მიიჩნეოდა მიზანშეწონილად; ხშირ შემთხვევაში, ოჯახში ერთად ცხოვრების ხანგრძლივობა სწორედ ამიტომ ემთხვეოდა უფროსი თაობის სიცოცხლის ხანგრძლივობას.

ასე რომ, ხშირ შემთხვევაში, ოჯახის გაყრის საფუძველი მშობლების გადაცვალებაც ხდებოდა. ჰეგელის აზრით, „ოჯახის ბუნებრივ დაშლას, რომელიც გამოწვეულია მშობლების, განსაკუთრებით მამაკაცის სიკვდილით, შედეგად მოსდევს ქონების მემკვიდრეობა“.[99]

თუმცა იყო შემთხვევები, როცა უხუცესის გარდაცვალების შემდეგაც ოჯახი არ იყრებოდა; ასეთი რამ უფრო მთიანი რეგიონებისთვის იყო ნიშანდობლივი. თ. აჩუგბას თანახმად, „აჭარის სინამდვილეში დამოწმდა ისეთი ოჯახებიც, რომლებიც სახლის დიდის გადრაცვალების შემდეგაც ინარჩუნებდა გაუყოფლად ცხოვრების ტრადიციას“.[100] ამავე ავტორის თანახმად, დიდი ოჯახი, ზოგჯერ, მეორე,

---

[96] ცეცხლაძე გ., გურიის მოსახლეობის საოჯახო ყოფა, მეცნიერება, თბილისი, 1991, გვ. 85.

[97] მონტესკიე შ. ლ., კანონთა გონი, მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, თბილისი, 1994, გვ. 495.

[98] ბოძაშვილი ლ., ფშავი და ფშაველები, გვ. 64; მითითებულია ქართული ჩვეულებითი სამართალი, წიგნი IV, მეცნიერება, თბილისი, 1993, გვ. 108.

[99] Гегель Г, Философия права, Соч. т. 7, М-Л; 1934 г. с.205; მითითებულია ზოიძე ბ., ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი, უფლება, თბილისი, 2000, გვ. 21.

[100] აჩუგბა თ., ოჯახი და საოჯახო ყოფა აჭარაში, მეცნიერება, თბილისი, 1990, გვ. 23-25.

მესამე თაობამდეც კი ერთად ცხოვრებას ამჯობინებდა „ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ვხვდებით შემთხვევებს, როცა გაუყოფლად ცხოვრება პირველი თაობის შემდეგაც გრძელდებოდა და დიდი ოჯახი ძმათაშვილებისა და რამდენიმე საფეხურით დაშორებული ბიძაშვილების წრის შექმნის შემდეგ იშლებოდა“.[101]

თუმცა მამის გარდაცვალების შემდეგ „ძმების გაყრა უფრო ადრინდელი მოვლენაა, ვიდრე მამის სიცოცხლეში ოჯახის განაწილება“.[102] ის, თუ როდის ხდებოდა გაყრა „მამის სიცოცხლეში [...] თუ მისი გარდაცვალების შემდეგ, შეიძლება ვიმსჯელოთ ამა თუ იმ ოჯახის ტრადიციულობის შესახებ“.[103]

თუ დიდი ოჯახის გაყრა მშობლების სიცოცხლეში მხოლოდ საოჯახო თემის დაშლის მომენტისათვის იყო დამახასითებელი, ინდივიდუალური მრავალრიცხოვანი ოჯახების გაყრა, ძირითადად, მშობლების, კერძოდ, მამის სიცოცხლეში ხდებოდა; გ. მამარდაშვილის მიერ მოძიებული მასალის თანახმად, ლეჩხუმში „ინდივიდუალური ოჯახის უფროსის აღმნიშვნელ ტერმინად შეიძლება „ცოლქმარა კაცი“ [...] ჩაითვალოს“.[104]

ინდივიდუალური საოჯახო ქონების განაწილება მამის სურვილით მის სიცოცხლეშივე რომ ხდებოდა, ამის ნიმუშად მოვიხმობთ ოჯახის გაყრის ერთ-ერთ საბუთს:

> *„1904 წლის თებერვლის 17 დღესა მე ქვემორე ამაზედ ხელის მომწერმა, მცხოვრებმა სურების საზოგადოებაში ოზურგეთის მაზრისა ალმასხან გიორგის ძე რამიშვილმა ჩემის სურვილით და ნებაყოფლობით და არა სხვის ძალდატანებით თანდასწრებით ჩემის შვილების გრიგოლ, რაფიელ და არჩილ ალმასხანის ძე რამიშვილებისა, იმათივე თანხმობით დღევანდელს რიცხვს გავყავი ჩემს შვილთა შორის ყოველივე უძრავ-მოძრავი ქონება შემდეგ ნაწილებად...“*[105]

მაშასადამე, დიდი ოჯახის გაყრა დასაშვები იყო მამის, მშობლების სიცოცხლეშიც. ამ ფაქტს ადასტურებს ბ. ზოიძე და წერს: „ოჯახის გაყრა მოსალოდნელია მაშინაც, როცა მამა ცოცხალია. მართალია თავდაპირველად იურიდიული ცხოვრება ვერ ეგუებოდა ამ ვითარებას, მაგრამ ბოლოს ამგვარი გაყრაც იქნა აღიარებული“.[106]

ოჯახის უფროსის ე. ი. პირველი თაობის უხუცესების გარდაცვალების შემდეგ დიდი ოჯახის გაყრის ჩვეულება არსებობდა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ცენტრალური კავკასიის მკვიდრ ხალხებშიც. შესწავლილი ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე ვ. ითონიშილი ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ადათის თანახმად, ოჯახის

---

[101] აჩუგბა თ., ოჯახი და საოჯახო ყოფა აჭარაში, მეცნიერება, თბილისი, 1990, გვ. 101.
[102] Косвен М.О., Семейное община и патримогия, изд-во АН СССР, Москва, 1963, с. 54.
[103] აჩუგბა თ., ხალხური საოჯახო სამართლის ნორმები აჭარაში (ქონებრივ-უფლებრივი მდგომარეობა), სდსყკ, X, თბილისი, 1983, გვ. 144.
[104] მამარდაშვილი გ., საოჯახო ყოფა და რწმენა-წარმოდგენები ლეჩხუმის მოსახლეობაში, თბილისი, უნივერსალი, 2006, გვ. 11.
[105] ფარდის ფურცელი, 1904, ჩმმ ხელნაწერი ფონდი, №1566.
[106] ზოიძე ბ., ძველი ქართული მემკვდრეობითი სამართალი, უფლება, თბილისი, 2000, გვ. 41.

გაყოფა მიუღებელი იყო არა მარტო უფროსი თაობის წარმომადგენელთა სიცოცხლეში, არამედ „ოჯახის გაყრა არ შეიძლებოდა არა მარტო მამის სიცოცხლეში, არამედ ასევე მიუღებელი იყო ცალ-ცალკე გასვლა ყველა მოწილის დაქორწინებამდე“[107]; იმავე ავტორის თქმით, „ეს ჩვეულებაც დიდხანს შემოინახა მთა ინგუშეთის საოჯახო ყოფამ“.[108]

კავკასიის მკვიდრ ზოგ ხალხში გაუყოფლად ცხოვრება პირველი თაობის შემდეგაც რომ გრძელდებოდა, ამის მაგალითად ვ. ითონიშვილს მოყავს ნახები: „ჩანს, რამდენიმე თაობის გაუყრელად ცხოვრების წესი ნახებმა XIX საუკუნებდე შემოინახეს. ამავე მასალის მიხედვით, ისიც აშკარაა, რომ ასეთი ოჯახის გაყრა მიუღებელი იყო უფროსი თაობის წარმომადგენელთა სიცოცხლეში“.[109]

ამრიგად, მოხმობილი მაგალითები ნათლად მოწმობს იმ ვითარებას, რომ „ოჯახის გაყრამ, რომელიც ძველად იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენდა ბოლო დროს საკმაოდ დიდი გავრცელება ჰპოვა. გაყოფა დაიწყეს არა მარტო დიდმა ოჯახებმა, არამედ ისეთებმაც, რომლებიც მხოლოდ 5-6 წევრისაგან შედგებოდა“.[110]

II. 3. ოჯახის გაყრის მიზეზები

ვახტანგ VI-ის სამართლის 98-ე მუხლში ოჯახის გაყრის მიზეზად კანონმდებელი წერს: „უკეთუ ძმანი ანუ მამა-შვილნი, ანუ ბიძა-ძენი, ანუ ბიძაშვილნი, გინა სხვა ნათესავნი, ერთსახლნი და ერთად მემამულენი, ვეღარ მოთავსდნენ და გაიყარნენ, ამ წესით და რიგით არის მათის დაშორვების რიგი...“.[111]

ზემოხსენებული კანონიდან გამომდინარე, ოჯახში, სადაც ქონების ძირითადი ნაწილი საერთო-საოჯახო საკუთრება იყო, ოჯახის უფროსს ანგარიში უნდა გაეწია ოჯახის წევრთა ინტერესებისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, ოჯახის უფროსთან უთანხმოებას მაგალითად, საოჯახო ქონების გასხვისების გამო, შეიძლება გამოეწვია ოჯახის უფროსისადმი ოჯახის წევრთა დაუმორჩილებლობა და ოჯახის გაყოფაც კი.

ოჯახის გაყოფის შესახებ ეთნოლოგთა მიერ მოპოვებული ცნობები ნაწილობრივ წარმოდგენას მაინც გვიქმნიან ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ოჯახის გაყრის საფუძვლები თუ მიზეზები, გაყრაში მონაწილე პირთა სამოსამართლო უფლებამოსილებანი, ოჯახის ცალკეულ წევრთა ქონებრივი უფლებები და სხვა.

ოჯახის გაყოფის მიზეზად არაერთი ფაქტორი სახელდება; მთხრობელები ოჯახის გაყრის სხვადასხვა მიზეზს ასახელებენ. ასე

---

[107] ითონიშვილი ვ., ცენტრალური კავკასიელების საოჯახო ყოფა, თბილისი, 1969, გვ. 114.

[108] იქვე.

[109] იქვე, გვ. 100.

[110] Аргутинский Д.М., Материалы для изучения экономического бытия государственных крестян Закавказского края, т.VI, Тбилиси, 1886, с. 218; მითითებულია დ. ბოსტოღანაშვილის სტატიიდან, ოჯახის გაყრის წესების აღმოსავლეთ საქართველოში, ჟურნ. „სამართალი“, №1-2, 1998, გვ. 76.

[111] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებული (ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1963, გვ. 507.

მაგალითად, ერთნი აღნიშნავენ, რომ დიდი ოჯახის გაყრის მიზეზი იყო მის წევრთა სიმრავლე, რის გამოც საერთო საცხოვრებელი სახლის ფართობის სიმცირე ოჯახის წევრებს დისკომფორტს უქმნიდა. მეორენი გაყრის მიზეზად მიიჩნევენ ოჯახის წევრთა უთანხმოებას, განსაკუთრებით ქალების დაპირისპირებას, რაიმე ყოფითი საკითხის გამო ურთიერთობის გამწვავებას. ამ მოსაზრებას გ. ცეცხლაძეც იზიარებს. გურიის ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე, იგი ოჯახის გაყრის ერთ-ერთ მიზეზად ოჯახის წევრთა უთანხმოებას ასახელებს, რითაც, უმთავრესად, ოჯახის წევრებთან რძლების უთანხმოება იგულისხმება.

მესამეთა აზრით, ოჯახი მხოლოდ მაშინ იყრებოდა, როდესაც პირველი თაობის წარმომადგენელების გარდაცვალების შემდეგ მათი შვილების ანუ მეორე თაობის წარმომადგენელთა მეთაურობით შეიძლებოდა ახალი ოჯახები დამოუკიდებელ ერთეულთა სახით გამოყოფილიყვნენ. ამ შეხედულების მომხრეთა აზრით, „დიდი ოჯახი უნდა მოიცავდეს უახლოესი ნათესაობის წრეს მშობლების, შვილების, შვილიშვილებისა და შვილთაშვილის შვილების სახით. როდესაც გამრავლება აღნიშნულ საზღვრებს გასცდებოდა და მეხუთე თაობიდან სისხლით ნათესავთა გაერთიანების ახალი კონტურები გაჩნდებოდა, სოციალური ერთეულის ის ჩარჩოები, რომელშიაც დიდი ოჯახი იყო ჩასმული, ირღვეოდა და ნათესავთა ეს წრე უკვე პატრიმონიული გაერთიანების ჩარჩოებში ექცეოდა“.[112]

„დიდი ოჯახის დანაწილების მიზეზების შესახებ მთხრობელები სხვადასხვა განმარტებას იძლევიან. ერთნი აღნიშნავენ, რომ დიდი ოჯახის გაყრის საკითხი დგებოდა მისი მეტისმეტად გაზრდის გამო. მეორენი გაყრის მიზეზად თვლიან ოჯახის წევრთა უთანხმოებას, განსაკუთრებით სხვადასხვა თაობის რძლების დაპირისპირებას და რძლებსა და მულებს შორის ურთიერთობის გამწვავებას. მესამენი კი აღნიშნავენ, რომ ოჯახი იყრებოდა მხოლოდ მაშინ, როდესაც პირველი თაობის წარმომადგენელების გარდაცვალების შემდეგ მათი შვილების ანუ მეორე თაობის წარმომადგენელთა მეთაურობით შეიძლებოდა გამოყოფილიყვნენ ახალი დამოუკიდებელი ოჯახები. ამ შეხედულების მქონე მთხრობელებს მიაჩნიათ, რომ დიდი ოჯახი უნდა მოიცავდეს უახლოესი ნათესაობის წრეს მშობლების, შვილების, შვილიშვილებისა და შვილთაშვილის შვილების სახით. როდესაც გამრავლება აღნიშნულ საზღვრებს გასცდებოდა და მეხუთე თაობიდან სისხლით ნათესავთა გაერთიანების ახალი კონტურები გაჩნდებოდა, სოციალური ერთეულის ის ჩარჩოები, რომელშიაც დიდი ოჯახი იყო ჩასმული, ირღვეოდა და ნათესავთა ეს წრე უკვე პატრიმონიული გაერთაინების ჩარჩოებში ექცეოდა“.[113]

„საველე-ეთნოგრაფიული მასალები ოჯახის გაყრის სხვადასხვა მიზეზებზე მიანიშნებენ: ერთ შემთხვევაში, ოჯახის გაყრა დაკავშირებულია მის წევრთა უთანხმოებაზე. განსაკუთრებით შილთა (რძალთა) დაპირისპირებულ ურთიერთობაზე, რძლებსა და მულებს შორის ან რძლებისა და დედამთილებს შორის წამოჭრილ უთანხმოებაზე. რძლების ურთიერშეუგუებლობის ნიადაგზე ოჯახის

[112] ითონიშვილი ვ., ცენტრალური კავკასიელების საოჯახო ყოფა, თბილისი, 1969, გვ. 273.
[113] იქვე.

გაყრასთან დაკავშირებით ხალხში ამბობდნე: „ძმა ძმის ჭკუით გეიარს, მაგრამ შილი შილის ჭკუით – არაო“, ან „ძმა ძმას შერჩება, მაგრამ რძალი რძალს ვერაო“. მეორე შემთხვევაში ოჯახის განაწილების მიზეზად ითვლება ოჯახის წევრთა ისეთი სიმრავლე, როდესაც ისინი მოცემულ საცხოვრებელს სახლში შევიწროებულად ცხოვრობდნენ; სხვა შემთხვევაში პირველი თაობის შემდეგ დანარჩენ თაობებს თავიანთი დამოუკიდებელი ოჯახები უნდა შეექმნათ“.[114]

იკვეთება, რომ თავისი რაობით დიდი ოჯახი არ ყოფილა გაუყოფელი; აქედან ნათელია: „ყოველი ოჯახის გაყოფა, როცა იგი სიმწიფის პერიოდს დაასრულებდა, [სრულიად] მიზანშეწონილი“[115] და ბუნებრივი იყო.

დიდი ოჯახის დაშლის მიზეზად ა. არღუთინსკი ასახელებს „კომლში შრომის დანაწილების გაღრმავებას, დარგობრივი სპეციალიზაციის განვითარებას, ოჯახის უფროსის ავტორიტეტის შერყევასა და ახალ პირობებში (იგულისხმება კაპიტალისტური ურთიერთობების დამკვიდრება) დიდ ოჯახებად ცხოვრების მოუხერხებლობას“.[116]

გ. ცეცხლაძეც ოჯახის გაყრის ერთ-ერთ მიზეზად მიიჩნევს „ოჯახის წევრთა რაოდენობრივ ზრდას – ჯარსულიანობას, რაც საცხოვრებელი ფართის სივიწროვეს განაპირობებდა“.[117]

იგივე ავტორი მის მიერ მოპოვებული მასალების საფუძველზე დასკვნის სახით წერს: „გურიის ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით ოჯახის გაყრის, გარიგების მიზეზები ასე შეიძლება დაჯგუფდეს: 1. ოჯახის წევრთა უთანხმოება. პირველ რიგში, აქ იგულისხმება რძლების უთანხმოება ოჯახის წევრებთან; 2. ოჯახის წევრთა რაოდენობრივი ზრდა, ჯარსულიანობა; 3. საცხოვრებელი ფართის სივიწროვე“.[118]

სამართლებრივ ჩვეულებებზე დაფუძნებული ფშაური ოჯახის წევრთა უფლებები და მოვალეობები განსკუთრებით კარგად მჟღავნდება იმ დროს, როცა ოჯახი იყრება. თანმიმდევრულად განვიხილოთ ინფორმატორთა მიერ მოწოდებული ცნობები იმის შესახებ, თუ რა შეიძლება გამხდარიყო ოჯახის გაყოფის საფუძველი თუ მიზეზი:

„როცა ოჯახი გაიზრდებოდა იმდენად, რომ ერთად ცხოვრება შეუძლებელი იყო, ოჯახი იყრებოდა...“ – ამბობს ერთ-ერთი ინფორმატორი. მისივე თქმით „ოჯახის გაყრის საფუძველი ხშირად მშობლების გადაცვალებაც ხდებოდა“.[119] ჯ. მერაბიშვილის თანახმად, გაყოფის მნიშვნელოვანი პირობა, როგორც ჩანს, იყო ოჯახში ყველა

---

[114] აჩუგბა თ., ოჯახი და საოჯახო ყოფა აჭარაში, მეცნიერება, თბილისი, 1990, გვ. 99-100.

[115] ითონიშვილი ვ., ცენტრალური კავკასიის მთიელების საოჯახო ყოფა, მეცნიერება, თბილისი, 1969, გვ. 129.

[116] ბოსტოღანაშვილი დ., მიწათმფლობელობა აღმოსავლეთ საქართველოში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2004, გვ. 45.

[117] ცეცხლაძე გ., გურიის მოსახლეობის საოჯახო ყოფა, თბილისი, მეცნიერება, 1991, გვ. 84.

[118] იქვე.

[119] მერაბიშვილი ჯ., მასალები ფშავის ჩვეულებით სამართალზე, 1986, რვ. გვ. 9 მითითებულია ქართული ჩვეულებითი სამართალი, წიგნი IV, მეცნიერება, თბილისი, 1993, გვ. 160.

სრულწლოვანი მამაკაცის დაქორწინება, რადგან „გაყოფას ძირითადად მაშინ ჰქონდა ადგილი, როცა ყველა ძმა დაქორწინებული იყოო“.[120]

თუმცა ზოგ მკვლევარს, მაგალითად, თ. აჩუგბას, აჭარაში შინასაოჯახო კონფლიქტი არ მიაჩნია დიდი ოჯახის გაყრის არსებით მიზეზად, „რადგან ასეთ ოჯახში დამკვიდრებული შრომის მაღალი ორგანიზაცია, მმართველობის სტრუქტურა და საოჯახო წესრიგი, ჩვეულებრივ, გამორიცხავდა ოჯახის წევრთა უკმაყოფილების კონფლიქტში გადაზრდას“.[121]

მაგრამ დიდი ოჯახის განვითარების ბოლო ეტაპზე ოჯახის გაყრა, საერთო ქონების გაყოფა და ინდივიდუალური ოჯახების შექმნა საყოველთაო მოვლენა იყო; იგივე ითქმის გვიანფეოდალური ხანის საქართველოსა და კავკასიაზეც. „XIX ს. ბოლოსა და XX ს. დასაწყისისათვის დიდი ოჯახების დაშლის პროცესმა იმდენად ინტენსიური ხასიათი მიიღო საქართველოში, რომ გაზეთი „დროება“ სრულიად მართებულად უკავშირებდა ამ პროცესს ბატონყმობის გაუქმებას აჭარაშიც და წერდა, რომ იგი მხარის კაპიტალისტურ სასაქონლო-ფულად ურთიერთობაში ჩართვით უნდა აიხსნას“.[122]

დ. ბოსტოღანაშვილს ქიზიყში დიდი ოჯახის გაყრის ძირითად მიზეზად მიაჩნია „მიწების პერიოდული გადანაწილების გავრცელება. მიწების გადანაწილებისას ათვლის ერთეული იყო კომლი. თითოეულ კომლზე მიწის თანაბარი ნაკვეთების შეხვედრისას, ბუნებრივია, მრავალსულიანი ოჯახები წამგებიან მდგომარეობაში ხვდებოდნენ. სწორედ ეს მიზეზი უბიძგებდა დაშლისაკენ არა მარტო მრავალსულიან, არამედ უფრო მცირერიცხოვან ოჯახებსაც“.[123]

ოჯახის გაყრისას მსგავსი ფაქტორები მოქმედებდა საქართველოს სხვა კუთხეებშიც. ოჯახის გაყრა, მიუხედავად მიზეზისა (ოჯახის უფროსთან უთანხმოება, მისდამი ოჯახის წევრთა დაუმორჩილებლობა, ოჯახის მრავალრიცხოვნობა, ოჯახის წევრ ქალებს შორის უთანხმოება და სხვა) სრულიად მიზნაშეწონილად და ბუნებრივად მიიჩნეოდა. ასე რომ, „ერთი რომელიმე ცალკეული ფაქტორის გადამწყვეტი როლი საკვლევი საკითხის თაობაზე შექმნილ სპეციალურ ლიტერატურაშიც უარყოფილია“.[124]

მართალია, ოჯახის გაყრის მიზეზად რამდენიმე ფაქტორი განიხილება, მაგრამ, ჩვენი აზრითაც, დიდი ოჯახის დაშლის ზემოხსენებულ მიზეზთაგან ძირითად ფაქტორად რომელიმეს აღიარება არასწორი იქნება. ოდითგანვე, რაკი კერძო საკუთრების პირველივე ნიშნები ისახებოდა ოჯახში, ამდენად, გაყრის ძირითადი არსი, რეალურად, უმალ ქონების განაწილება, ყოველი განაყარი ოჯახისათვის მისი კერძო საკუთრების განსაზღვრა, საერთო საოჯახო ქონებიდან

---

[120] მერაბიშვილი ჯ., მასალები ფშავის ჩვეულებით სამართალზე, 1986, რვ. გვ. 9 მითითებულია ქართული ჩვეულებითი სამართალი, წიგნი IV, მეცნიერება, თბილისი, 1993, გვ. 160.

[121] აჩუგბა თ., ოჯახი და საოჯახო ყოფა აჭარაში, მეცნიერება, თბილისი, 1990, გვ. 99-100.

[122] იქვე, გვ. 100-101.

[123] ბოსტოღანაშვილი დ., ოჯახის გაყრის წესები აღმოსავლეთ საქართველოშო, ჟურნ. სამართალი, №1-2, 1998, გვ. 76.

[124]. Харадзе Р., Грузинская семейная община, т.II Тбилиси, изд-во Советский писатель Грузии, Заря Востока, 1961, с43; ითონიშვილი ვ., ცენტრალური კავკასიის მთიელების საოჯახო ყოფა I ნახებისა და ოსების საოჯახო ყოფა, თბილისი, 1969, გვ. 274.

გამოყოფა უნდა ყოფილიყო. დიდი ოჯახი არ ყოფილა გაუყოფელი ერთეული; როცა იგი თავისი სიმწიფის პერიოდს დაასრულებდა, გაყრა ბუნებრივი რამ იყო, ე.ი. მიზანშეწონილ აქტს წარმოადგენდა. ამიტომ უწოდებდნენ ამ პროცესს გაყოფასაც.

ჩვენი აზრითაც, ოჯახის გაყრის ერთ-ერთ მიზეზად, ნაწილობრივ მაინც ასევე უნდა მივიჩნიოთ ოჯახის უფროსის უფლებებში მომხდარი ცვლილებები (ანუ მისი უფლებების უგულებელყოფა, ან პირიქით, სწრაფვა ერთმმართველობისადმი) და ქალებს შორის უთანხმოება.

ჩვენი აზრით, ქონების ერთობა, დიდ ოჯახებად ცხოვრებით გამოწვეული უხერხულობა, ასუსტებდა და ამახინჯებდა სისხლით ნათესაურ კავშირებს; საკუთარი კეთილდღეობის ზრდის მიზნით, ძმები იძულებულნი იყვნენ ერთი და იმავე ბილიკით ევლოთ, რის გამოც მათი ინტერესები ხშირად ეჯახებოდა ერთმანეთს და კონფლიქტიც არ აყოვნებდა, რასაც ნათლად მოწმობს იმდროინდელ ოჯახურ დავათა არაერთი ფაქტი; თუნდაც გაყრის დროს წარმოქმნილი უთანხმოებები და მედიატორობის ინსტიტუტის სიხშირე; ამას ცხადყოფს ის ლიტერატურული თხზულებებიც, რომლებშიც ხსენებულმა ვითარებამ ჰპოვა ასახვა.

მიუხედავად ოჯახის გაყრის სხვადასხვა სუბიექტური მიზეზისა, ობიექტურად, ყოველი მათგანი მაინც ეკონომიკური ფაქტორით იყო განპირობებული, რასაც, დროის კვალობაზე, სულ უფრო ამწვავებდა, ერთი მხრივ, ოჯახის ახალგაზრდა წევრთა სწრაფვა ქონების დამოუკიდებლად ფლობისა და განკარგვისადმი, მეორე მხრივ, ოჯახში ოჯახის უფროსის როლის დაკნინება და ქალის ემანსიპაცია.

თუმცა დიდი ოჯახის განვითარების ბოლო ეტაპზე ოჯახის გაყრის ერთ-ერთ მიზეზად, ნაწილობრივ მაინც, უნდა ჩაითვალოს ოჯახის უფროსის უფლებებში მომხდარი ცვლილებები (მისი უფლებების უგულებელყოფა, ან პირიქით, ერთმმართველობისადმი სწრაფვა). ამდენად, ვფიქრობთ, გაყრის არსებითი საფუძველი, მიზეზის მიუხედვად, მაინც იყო, ერთი მხრივ, ეკონომიკური ფაქტორი, შრომის დანაწილების სულ უფრო მეტად სპეციალიზაცია, და, მეორე მხრივ, ოჯახის უფროსის ავტორიტეტის დაკნინება.

მესამე თავი

სახელმწიფოს დამოკიდებულება ოჯახის გაყრისადმი

ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამ ძალზე დიდი გავლენა იქონია ქართული კულტურისა და სამართლებრივი აზროვნების განვითარებაზე. გაძლიერდა ბერძნულ-რომაული წარმომავლობის სამართლის ზეგავლენა ქართული ჩვეულებითი სამართლის ნორმებზე. ბერძენი თუ რომაელი იურისტების მსგავსად, ქართველი იურისტებიც განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდნენ ოჯახის ინსტიტუტს; ოჯახთან დაკავშირებულ ყველა არსებით საკითხთან მიმართებით კანონმდებელი საქმის ფაქტობრივ მდგომარეობას ითვალისწინებდა და კანონის მიხედვით მოქმედებდა.

შესაბამისად, ისმის კითხვა: როგორ რეგულირდებოდა სახელმწიფოს მიერ ოჯახის გაყრა და რა სამართლებრივი დოკუმენტი მოწმობდა ოჯახის გაყრის ნამდვილობას?

III. 1. ოჯახის გაყრის სამართლებრივი ნორმები ქართული სამართლის ძეგლებში

საერთოდ, ოჯახის შიდა საქმეებში სახელმწიფო არ ერეოდა. ადრეფეოდალური ხანის საქართველოში ოჯახის გაყრა იმდენად მიუღებელი და იშვიათი მოვლენა იყო, რომ ქართული სამართლის ადრეულ ძეგლებში ოჯახის გაყრის შესახებ მუხლები არ გვხვდება.

მოგვიანებით, როდესაც ოჯახის გაყრამ ინტენსიური ხასიათი მიიღო, გვიანფეოდალური ხანის ძეგლებში რამდენიმე მუხლი, ზოგან კი მთელი კარიც დაუთმეს ამ საკითხს. ქართული სამართლის ძეგლებით დასტურდება, რომ კანონმდებლობის თანახმად, ოჯახის გაყრის თაობაზე სარჩელის მაშინვე დაკმაყოფილება მიზანშეწონილად არ მიიჩნეოდა; ოჯახის გაყრა ხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ ოჯახის გაუყრელად შენარჩუნება შეუძლებელი იყო.

ჩვეულებრივ, ოჯახის წევრები სხვა პირთა ჩარევის გარეშე გაყრას ამჯობინებდნენ. „ხშირად ხალხი შინაურულად მორიგებას ანიჭებდა უპირატესობას, ვიდრე ხელისუფლების ჩარევას“.[125] სახელმწიფო მოხელეები სასურველად მიიჩნევდნენ დიდი ოჯახების, როგორც ეკონომიკურად ძლიერი სამეურნეო ერთეულების, გაუყრელად ცხოვრებას. გაუყრელობის მოთხოვნა დასტურება როგორც თავადთა და აზნაურთა, ისე გლეხების მიმართ. ამიტომ დიდი ოჯახების პატარა და ეკონომიკურად სუსტ ოჯახებად დაშლას არა მხოლოდ გაბატონებული კლასი, არამედ სახელმწიფოც ეწინააღმდეგებოდა.

---

[125] დავითაშვილი გ., სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2004, გვ. 209.

აღნიშნულის დასტურად მოვიხმობთ ერთ-ერთ წყაროს – *განჩინება ერეკლე I-ისა ამილახვართა ერთსახლობის საქმეზე*, რომლიც 1692 წლის 15 მარტით თარიღდება.

„და ამისათვის ჩვენ ვიგულმოდგინეთ და თავად მეფენი შუა ჩავდექით და ჩვენი ეპისკოპოზნი და დარბაისელნი შუა ჩამოვაყენეთ და მათი გაყრა ადარ მოვახდინეთ და ისევ ერთობა და ერთსახელობა მოვანდომებინეთ და ასე გავაერთიანეთ და ამ წესით შევარიგეთ“.[126]

დიდი ოჯახის გაუყრელობის მომხრეა ვახტანგ VI, რის შესახებაც საგანგებოდ არის აღნიშნული ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 98 მუხლში:

„ბატონმა უნდა დაიბაროს, უფროსი სწვართოს და დაახედოს, უმცროსი დატუქსოს; თუ ყმანი სჩხუბევდენ, ავად მოეპყრან, ნუ მოიშლებით, ნუ გაიყრებით-თქო; ამგვარები დაახედონ, ურჩიონ თავის მოყურეთ, კარის კაცით, გაუყრელობას ეცადენ.

და თუ არ იქნას და არ დაიშალონ, ასრე გაჰყარონ“.[127]

ცხადია, ოჯახის მთლიანობის დაცვას თავად გვარის ინტერესები მოითხოვდა, მაგრამ რეალისტი კანონმდებელი იმასაც ითვალისწინებდა, რომ ადამიანთა ცხოვრებაში ყოველთვის გაუყრელად ცხოვრებაც შეუძლებელი იყო. ამის შესახებ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 99 მუხლში წერია:

*„[304r] **99**. ადამს აქეთ ქუეყანა გაყრით არის მოშენებული, რომ არ იქნას, არც იქნების. [...] გაყრა ძნელი საქმე არის“.*[128]

როგორც საბუთებიდან ჩანს, იყო შემთხვევები როცა ხელისუფალთა, სასულიერო პირთა და დიდებულთა დიდი ძალისხმევის მიუხედავად, ოჯახი მაინც იყრებოდა. ოჯახის ერთიანობის საწინააღმდეგოდ სულ უფრო ძლიერად მოქმედებდა საკუთრების განკერძოების ინტერესები – „სახლის რიგის“ დარღვევა, „სწრაფვა საკუთრების ინდივიდუალიზაციისაკენ“, „საერთო მამულის“ შემოსავლის ერთმანეთისაგან „გარდაპარვა“ და ა. შ. – რაც თავადის სახლის გაყრას და პატარა ოჯახებად დაშლას იწვევდა.

„სამი და ოთხი წელიწადი უშალეთ და გაუყრელობას ურჩევდით, მათი სახლისკაცობის საქმეც გაურჩევლად იყო, მაგრამ არ იქნა და ყულარაღასი გაუყრელობას არ მოეშვა“.[129]

---

[126] ქართული სამართლის ძეგლები, სასამართლო განჩინებანი, (XVI-XVIII სს.), ტ. IV, (ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1972, გვ. 158.

[127] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებული (ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1963, გვ. 507.

[128] იქვე.

გაყრის თაობაზე რამდენიმე მუხლია მოცემული ბაგრატ კურაპალატის სამართალში. ერთი მათგანი დიდებულთა, ხოლო მეორე გლეხთა გაყრის წესს ეხება. ორივე შემთხვევაში კანონმდებელი ერთი პრინციპით ხელმძღვანელობს: უფროსისათვის ადგენს უკეთეს სოფელს ანუ მდებარეობითა და მოსავლიანობით უკეთეს მამულს ე. ი. პრივილეგია ენიჭება ასაკს, რითაც კანონი შესაბამისობაშია ძველ ადათთან და დანარჩენი ქონების თანაბრად გაყოფას მოითხოვს. ეს ნორმა ასევე მოწმობს, რომ გაყრა ხდებოდა საზოგადოების როგორც მაღალ, ისე დაბალ ფენაში.

*[275r] **154** თუ დიდებულნი გაიყარნენ, ერთი უკეთესი სოფელი საუხუცესოდ აიღონ და სხუაჲ შუა გაიყონ.*
და მონაგებიცა ასრე გააჩინონ.[130]

***155**. თუ გლეხნი გაიყარნენ, უხუცესსა იმასა ანუ თავი სახლი, ანუ ერთი ვენაკი, ანუ უფროსნი ჭურნი – საუხუცესოდ; სხუაჲ შუა გაიყონ.*[131]

ვახტანგ VI-ის სამართლის 98-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფო ოჯახის გაყრას დასაშვებად მიიჩნევს იმ შემთხვევაში, როცა მრავალრიცხოვანი ოჯახის ერთსახლად ცხოვრება შეუძლებელია, შესაბამისად ოჯახის წევრებს შორის ურთიერთობებიც დაძაბულია და ოჯახის გაყრა საუკეთესო გამოსავალია:

„უკეთუ ძმანი ანუ მამა-შვილნი, ანუ ბიძა-ძენი, ანუ ბიძა-შვილნი, გინა სხვა ნათესავნი, ერთსახლნი და ერთად მემამულენი ველარ მოთავსდნენ და გაიყარნენ, ამ წესითა და რიგით არის მათის დაშორვების რიგი.
როდესაც სახლის ჯალაბნი აიშალნენ და დამდურდენ, მოყვარემან და ყმამ მათი აშლა შეიტყონ, და თითქმის ბატონთანაც მიაწიონ, და მათი საქმე მოკსენდეს, მანამდინ არ გაიყარნენ და ან ისრევ კარგად ერთსახლობა არ მოუჴდეს, ნურც ყმასდა არბევენ და ნურც პურსა და ღვინოს ურიგოდ ხარჯვას დაუწყებენ, თორემ, თუ გაყრა მოუჴდებისთ, ერთმანეთს უანგარიშებენ და ცუდად არ შერჩებისთ.
როდესაც მაგაზე გამოჩენილი შეიქნან, რომე აიშალნენო და ველარ მოთავსდებიანო, ბატონმა კაცი უჩინოს, ნუღარც მამულს არბევინებს, ნუღარც ურიგოდ ახარჯვინებს“.[132]

---

[129] ქართული სამართლის ძეგლები, სასამართლო განჩინებანი, (XVI-XVIII სს.), ტ. IV, (ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1972, გვ. 557.
[130] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებული (ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1963, გვ. 507.
[131] იქვე.
[132] იქვე.

ვახტანგ VI-ის სამართალში ჩვენს ყურადღებას იქცევს კიდევ რამდენიმე მუხლი, რომელშიც კანონმდებელი ოჯახის გაყრის მსურველ როგორც მამას, ისე შვილს ურთიერთპატივისცემისაკენ მოუწოდებს. კერძოდ, 80-ე მუხლში წერია:

„[80] შვილს მამის უპატიურობა [...] არ მართებს“.[133]

და კიდევ:

„[80] იქნება მამას შვილი ერთიმეორეზე ან უღონობისათვის, ან სიავისათვის სძულდეს და სჩაგრავდეს და სხვას შვილს უფრო ჰკერძევდეს, მამა ნუ უზამს, არა ჯამს – უფროსი უფროსად იმყოფოს და უმცროსი – უმცროსად“.[134]

კანონის პოზიციების განმტკიცების მიზნით, ვახტანგ VI-ის სამართლის 78-ე მუხლი შვილს მამისადმი პატივისცემას რელიგიის მეშვეობითაც შეახსენებს:

„[*78*[1]*] თუ შვილმან მამა ან გალაჯა, ან უკადრისი რამ ჰკადრა, იმას ავად მოპყობა უნდა, ამიტომ [რომე] მეათე მცნება მამისა და დედის პატივის-დება არის“.*[135]

გვიანფეოდალური ხანის საქართველოში ოჯახის გაყრისა და საოჯახო ქონების განაწილება უფრო მეტ სიფრთხილესა და წინდახედულებას საჭიროებდა. შესაბამისად, საქმის სირთულიდან გამომდინარე კანონმდებელი მოსამართლეს ავალდებულებდა, რომ ოჯახის გაყრის დროს მაქსიმალური სიფრთხილე გამოეჩინა და სამართლიანობით ეხელმძღვანელა.

*„[304r] **99**. ...მაგრამე, ზეითაც დაგუიწერია, მოსამართლეს თავად ყოვ[ე]ლს სამართალში სიფრთხილე და უქრთამობა მართებს, და ნამეტნავად ამაში, რომ გაყრა ძნელი საქმე არის“.*[136]

როდესაც ოჯახი იყრებოდა სახელმწიფოს ჩარევით, კანონი მოსამართლეს ავალდებულებდა ძმათა უფროს-უმცროსობის მიხედვით არა მარტო უძრავი ქონების, არამედ ყმა-გლეხების გაყოფასაც.

„[103[4]*]. იქნების, გლეხი ოცი არ ყუანდეს, ან მეტი, ან ნაკლები იყოს, და იმისი საუფროსოს მიცემა ან გასამყრელოს აღება, ან*

---

[133] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებული (ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1963, გვ. 501.
[134] იქვე გვ. 502.
[135] იქვე, გვ. 501.
[136] იქვე, გვ. 507.

საშუალოს აღება გაჭირდების. ამას კარგა გასინჯვა და მოსამართლისაგან გარკვევა უნდა, ჩათულა და ანგარიში უნდა“.[137]

ამგვარად, ვახტანგ VI-ის სამართლით ზუსტად იქნა განსაზღვრული ის საფუძვლები, როდესაც ოჯახის გაყრა დასაშვებად მიიჩნეოდა.

ფრანგ განმანათლებელთა იდეებითა და სულისკვეთებით აღზრდილი დავით ბატონიშვილი იზიარებს ვახტანგ VI-ის მოთხოვნას გაყრასთან დაკავშირებით და მოსამართლეებს უფრო მეტი სიმკაცრისა და სამართლიანობისაკენ მოუწოდებს:

„[29] იბ. გაყრისათჳს
გარნა ემკაცრნენ მოსამართლენი, რათა ფარდი წესიერითა კარგითა განფარდონ და გამსწილონ, რათა არა უფარდებისა გამო წარმოეშუას შფოთი“.[138]

ოჯახის გაყრის დროს, დავით ბატონიშვილი თავის ნაშრომებში, „ობოზრენიე“ (მუხლი 342, 735) და „სამართალი“ ქონების განაწილების შესახებგ ვახტანგ VI-ის წესებს უცვლელად ტოვებს. თვალსაჩინოებისათვის, მოვიხმობთ შესაბამის მუხლებს:

„[102.]კგ. ***მამა-შვილის გაყრისათვის***
უკეთუ მამამან შვილი გაიყაროს და უკეთუ დაუშთეს მამულიგაუყოფელი, შემდგომად მისსა ძეთა განიყონ, და ნივთიცა, დანაშღომი წინაპართაგან; ხოლო მამისა დანაშთენი ნივთი, რომელა საკუთარი, ვიზედაცა ანდერძ ექმნას, ნურავინ ეცილების მას“.[139]

„[117] ლგ. ***მშობელთ გან სიცოცხლესა შინა მამულის გაცემისათვის***

უკეთუ სიცოცხლესა თვისსა მშობლეთა მამული გასცენ, მაშინ მემკვიდრესა არა ექმნების საქმეი, ამად რომელ სი[42]ცოცხლესა მშობელთთასა არარაიმე უქმნიეს გამოცხადებად მსაჯულთა წინაშე საჩივარი თვისი მემკვიდრესა მას.
და უკეთუ უანდერძოს ვისმე მშობელთა, მაშინ მდგმოობისამებრ საქმისა განსინჯონ მოსამართლეთა“.[140]

[160] იგ. ***საძმო მამულისათვის***
რაიცა საძმოდ იყოს მამული დადებული, იგი, მებრ ჩვეულებისა, საძმოდ იქმნებოდეს.

---

[137] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებული (ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1963, გვ. 509.
[138] სამართალი ბატონიშვილის დავითისა, (დ. ფურცელაძის რედაქტორობით), მეცნიერება, თბილისი, 1964, გვ. 23.
[139] იქვე, გვ.62.
[140] იქვე, გვ.67.

და იქმნების; რომელ საძმო მამული ებოძოს ყმათა; იგი მამულისა ყმად გაყრისა შინა ვისცა ერგების, იგი დაპატრონდების.
და უკეთუ იქმნეს, რომელ ნაწყალობევისა მისგანი მეტი რაჲმე გარდასდვან ძმათა, მისი ჯამს საძმოდ გაყოფაჲ".[141]

თუმცა *საუფროსო* და *საუმცროსო* წილის თაობაზე დავით ბატონიშვილის ნაშრომიდან მოხმობილი მუხლი შეიცავს ძალზე საყურადღებო დადგენილებას, რომლითაც დავით ბატონიშვილი ტრადიციულად დამკვიდრებული წესის გაუქმებას ადგენს და ყველა ძმისათვის თანაბარი წილის გადაცემის ინიციატივით გამოდის.

„[29] იბ. გაყრისათჳს
„მაგრა საუფროსოსა და საუმცროსათჳ არა რაიმესა მოვიხსენებთ [...] უხამს არს საუფროსოსა, გინა საუმცროსოსა და საშუალისა გამოძიება და განყოფა, მით რომე ყოველივე შფოთი და სიძულილი ამის მიერ არს ერთა შორის ჩვენთა წარმოდებულ, და რაიცა წარმოშობს სიძულილსა, უხამს არს და ბუნებითისაგან სჯულისა გარეგან. და ვინაითგან ეს[v]რეთ არს, მაშა ჯერ-არს ყოვლისავე თანასწორ ზომით განყოფაჲ".[142]

მ. გარიშვილის აზრით, დავით ბატონიშვილი „მეტ სიმტკიცეს იჩენს და თანმიმდევრულად აღიქვამს განმანათლებელთა შეხედულებებს სამართლისა და კანონიერების შესახებ. მისი შეხედულების პროგრესული ხასიათი [...] გამოიხატება კანონების უზენაესობის, კანონიერების და მართლწესრიგის საყოველთაო აღიარებაში ".[143] დროის მოთხოვნათა გათვალისწინებით, დავით ბატონიშვილი „ცდილობდა ახლებურად ჩამოეყალიბებინა სამართლის, კერძოდ კი სამოქალაქო სამართლის სუბიექტის ცნება და განესაზღვრა მისთვის დამახასიათებელი უფლრბაუნარიანობა და ქმედუნარიანობა".[144]

III. 2. გაყრის წიგნის აღწერილობა

ჩვენ მიერ შესწავლილი საარქივო მასალებით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ საქართველოში ოჯახების გაყრის საბუთების შედგენა დაახლოებით XVI საუკუნიდან დაიწყეს. ოჯახის გაყრის უფრო ადრინდელი საბუთები არ მოგვეპოვება. ჩვენი აზრით, ოჯახის გაყრის დოკუმენტალური გაფორმება მანამადე ან საერთოდ არ ხდებოდა, ან ძალზე იშვიათი მოვლენა იყო, ან სათანადო დოკუმენტი, სავარაუდოდ, ჩვენამდე შემონახული არ არის.

საკუთრივ დიდი ოჯახების გაყრა, რომელთა დოკუმენტალური აღწერა ზემოხსენებული საუკუნიდან შეინიშნება თანდათან ინტენსიურ ხასიათს იძენდა და მთელ რიგ ცვლილებებს იწვევდა სამართლებრივი

---

[141] სამართალი ბატონიშვილის დავითისა, (დ. ფურცელაძის რედაქტორობით), მეცნიერება, თბილისი, 1964, გვ. 90.
[142] იქვე, გვ. 24.
[143] გარიშვილი მ., დავით გიორგის ძე ბაგრატიონის (ბატონიშვილის) პოლიტიკური და იურიდიული შეხედულებანი, თბილისი, 2004, გვ. 111.
[144] იქვე, გვ. 114.

კუთხით. ოჯახის გაყრის კანონიერება დადასტურებული უნდა ყოფილიყო სათანადო დოკუმენტით, რომლის გარეშეც გაყრა კანონიერად არ მიიჩნეოდა ანუ „გაყრა არ არის ჭეშმარიტი“.

„თუ ვინც ძმანი გაიყარნენ და გაიყონ მამული და საქონელი, და კაცთა წინა გაიყარნონ და არ დასწერონ გასამყრელოს წიგნი მართალი, უწიგნოთ გაყოფა რისაც და გაყრა არ არის ჭეშმარიტი“.[145]

სამართლის ნორმათა შესაბამისად, გაყრის დოკუმენტი სათანადო ფორმით და წესების დაცვით დგებოდა. ჩვენ მიერ გაცნობილი ოჯახის გაყრის წიგნების უმრავლესობა, წესისამებრ, იწყება მამა ღმერთის, ძე ღმერთის, სულიწმინდისა და ღვთისმშობელ მარიამისადმი მიმართვით. ასე მაგალითად,

„ქ. ნებითა შეწევნითა მღთისა მამისა მისისა სულისა წმინდისა აწადა კურთხეულის ჩვენის დედუ-ფლის ?? ?? მარნდის ქანწულის მარიამისით და ზეცით მაღლითა უხითა და მეუხებითა ათ თორმეტის მოწამის მოციქულითა პეტრე და პავლისითა მათვარ ანგელ-ზის მიქელ და გაბრიელისითა და იშვნე უქარ-ს პირისა და იშვნე მახრ-მლისა და იშვნე ნათლის მცემისა სამას სამუცდა სამის წმინდა გიორგისითა ამთის შუამდგუმელობითა და თავდებობითა და ქალაქის მელქი და მამასახლისის ქევხუდების სალ?ითა ესე გასამყრელო წიგნი და სიგელი დაგიწერაე და მომეცი მე მამედნას შვილმა არუთინამ თქვუემ ჩემის მამა და პაპას ასე რ-მე თუ რამ გავებად ცოტა ან ბევრი ან სახლი ან სახლის ავტნასი წვრთ გავყავით და ერგო პაპას თავიანთი სახლები ნახევარი დარბაზი და შიგნით სათორნე და დარბაზის წინა დერეფანი და ამისი მაგიერ ერგო პრუნენსა წილად ნახევარი ჭალა თავისი რიგითა და იარაღითა და ერთი ?? რითა და დედა ჩვენის, სამარხი მივეცით და თურამ მამიჩვენისა ასლები გამოჩნდეს ან მისაცემი ერთათა უნდ პასუხი გავცეთ და ჩვენში აღარ დარჩა სადავო არცა სლპარაკ არცა ერთი იოტის ?სი მამების და მოყვრობის მეტი და ამას იქით ყველას ხელი და ?მარი თავიანთ და აეს ამისი მოწამე თვთლთ და მისი ყველა წმინდნი და კაცთმან ქალაქის მელიქი მამასახლისი ამახრბუმა და ხარიმნთ ოსეფა და ოქოანთ ნსაცა დმ და ბაული ავი-ფნთ არუეფხმ... 1726, ივლისი“.[146]

ზოგი გაყრის წიგნი იწყება ღმერთის და წმინდანების მოხსენიებით, შემდეგ ჩამოთვლილია ოჯახის გაყრის მონაწილე საერო პირები და მოხელეები [მამასახლისები]. მაგალითად,

„არის ამის მოწამე თავად ღმერთი და მისნი წმინდანი და ხორციელნი და უხურცონი; კაცთაგან: მელიქი ავთანდილ. ბეჭედი მელიქი ავთანდილ და მამასახლისი გიორგი. ბეჭედი: მამასახლისი

[145] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებული (ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1963, გვ. 257.
[146] ძველ საბუთთა არქივი, ფონდი №1448, საქმე №1109.

გიორგი და იავანგულთა გარსუა და ოსინა და ყარყაშა, პაპუა და მელიქანთ ვართან. და მე, ოჰანას დამიწერია და მოწამეცა ვარ.

*დაიწერა ქორონიკონსა **ტნი**, მარტის ბ. † †".*[147]

არქივში დაცულია ისეთი გაყრის წიგნები, რომლებიც უშუალოდ წმინდანების მოხსენიებით იწყება. მაგალითად,

განჩინება ბანდურას და შვილების არუთენასა და გიორგის გაყრის საქმეზე
1716 წ. მარტის ნახევარს

...[პე]ტრე, პავლე, ან[დ]რიასითა, წმინდის წინასწარმეტყველის [და იოვანე] მახარობლის, იოვანე ნათლისმცემლის და იოვანე ოქროს პირისითა; დიდებულის წმინდის გიორგის სადგრის, წმიდის გიორგის გორის ჯვარის, წმიდის გიორგის მოღნინის, წმიდის გიორგის თელეთის მათით შუამდგომლობითა და მელიქის და მამასახლისის და ქალაქის ქეთხუდების საჭლითა გავეყარენით ჩვენ, ბანდურას შვილებმან, არუთენამა და ჩემი ძმამა გიორგიმან.
როცა რომა სახლის რიგი გვქონდა, შუა გავიყავით. და გიორგის ერგო ყალმოათა საქოა რომ ზის, ის დუქანი; და გარეთა უბანში ზეითა ნაპირს ქჭნას დისწული რომ ზის, ის დუქანი; და ბაღის ნახევარი; და ახალქალაქს ჯავახისშვილი ფარემუზისაგან ნასყიდი წისქვილი; და შაპრნთაგანა, თავისი ერთი კაცითა და ერთის ქალითა და თავის სახლკარითა; და კიდევ იასე, თავისი ძმითა და თავისის დედითა.
არუთენა რომე დუქანში ზის, იმ დუქნის ფასი საერთო ოცი თუმანი ვალი ქო[ნ]დათ და არუთენამ უნდა პასუხი მისცეს. და კიდევ ბაღის ნახევარიც გიორგის მივეცით.
არის ამისი მოწამე თავად ღმერთი. კაცთაგან:
მელიქი აშხარბეგ ბეჭედი: მელიქი აშხარბეგ
მამასალიხისი ზურაბ ბეჭედი : მამასახლისი ზურაბ
ჩითხათ ოსეფა ბეჭედი : არ ირჩევა
ზაქართ ბერია ბეჭედი : არ ირჩევა
ფოდოათ გრიქორა ბეჭედი : გრიქურ
სურგუნთ ოსეფა ბეჭედი: არ ირჩევა
ხუდინთ ნასყიდა ბეჭედი: ნასყიდა
ასლანბეგთ ავეტისა ბეჭედი: არ ირჩევა.
*მე, სოლაღის შვილს თანდინას დამიწერია, მოწამეც ვარ. დაიწერა ესე წიგნი და სიგელი მარტის ნახევარს, ქორონიკონს **უდ** +*[148]

წმინდანების ხსენების გარდა გაყრის წიგნში ვხვდებით საერო პირების ჩამონათვალს. თვალსაჩინეობისათვის მოვიხმობთ ერთ საბუთს:

---

[147] ქართული სამართლის ძეგლები, სასამართლო განჩინებანი, (XVI-XVIII სს.), ტ. IV, (ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1972, გვ. 127-128.
[148] იქვე, გვ. 269.

ქ. ნებითა და შეწევნითა ღმრთისათა და ბრძანებითა მეფეთ-მეფის პატრონის შაჰნავაზისათა დავსხედით ჩვენ, მდივანბეგი ბატონი ედიშერ და მდივნები შანშიაშვილის პაპიასა და მისის ძმისა დოლმაზას გასაყრელად და გასაცალცალკევებლად. [149]
ქ. ჩუენ მეფე საქართველოსი ირაკლი მეორე. ამ გარიგების ადგილს, წიგნს ვამტკიცებთ მარტის ვდ : ექვს უოშ
ქ. ჩუენ ქემიქჩმაში აშამიმე იოანე ეზრონიკა შვილი ზაალ და ერასტიშვილები მამულზედ ვლაპარაკობდით მისის უმაღლესობის მეფის სამართალში მივედით მაგრამ ჩუენ ერთ მანეთის მშობლისა და სიყვარულისათვის სამართალშივი ადარ ვილაპარაკეთ და მდივანბეგი ბეჟან ჭავწავაძე ემივაღაშამი გარსევან ვაჩაძე ლუარსაბ ჯიმითის მოურავი ზალ მაყაშვილი იოსებ და ყორჩიბაშის შვილ ბეჟან ესენი დამვისხდნენ დასე მემვა რაიმეს ჩუენ ამ გარიგებას დავჯერდით დაყაბულებული გვაქვს.
ქ. ბეჟან შაღი დავაჭრენი ქვემოთ საქიზიყოსშ არამდის ეს სამათ უნდა გაიყოს ერთ წილვე მიქჩბაშის იოანესია ერთ წილი ზალისა არის და ერთ წილი ერასტიშვილების არის ამავე ბეჟან შალისა დავაჭრეთის მო და საქიზიყოს მარას ქვემოთ რაც არის ეს სამთავისი საერთო არის მაგრამ გაყოფამდის ერთმანეთს ბევრი მოხნავს თუ ცოტას ხვნას არ დაუშლიან ქ. ამას გარდა ზიარის ბოლო რაც გაუყოფელი არის ის საერთო არის ზიარელთყაულას ვაჟმა უნდა ხსნას მაგრამ მეტნაკლების მოთხოვნას ერთმანეთს არ დაუმლიან და ვერც ვერავინ სამამულეთ დაიჭერს ჩუენს კაცს გარდა სხვამ კაცმა რომ მოხნას იქი დამ რაც ღალა ადგეს სამათ უნდა გაიყონ.
ქ. ზიარის ტყე რაც არის აქედამ თვით სახოდაბუზე თანასწორე ამ ზემოხსენებულთ სამთავ ძმანი უნდა აიღონ სხვა რაც დარჩება ზიარის მთელი სავომდი უნდა ჩაგდონ და საკომლზედ გაიყონ ქნინამხარში როცა მოურავიანთთან საერთო მამული გვაქვს მოურავიანთადამ რასაც ჩუენს წილს გამოვიტანდეთ როცა მოურავიანთადამ ჩუენ ჩილი გამოვიტანთ სანამდის გავიყოფდეთ ისიც ამ ზემოხსენებულსავით საერთო უნდა ეხნათ როდესაც გაიყონ სამთავ საძმოთ უნდა გაიყონ მარტის ***ვბ*** *?? უოშ ქრიმთავს. თვით ამისთანა განაჩენი მიგვიცია... 1784*[150]

ზოგ შემთხვევაში ოჯახის გაყრის საბუთი იწყება კათალიკოზისა და საერო დიდებულთა ხსენებით. მაგალითად,

განჩინება ანტონ I-ისა მაღალაძეთა გაყრის საქმეზე
1755 წ. 1 ივლისი

ქ. ჩვენ, ყოვლისა საქართველოსა მაკურთხეველმან, მაღალთა მეფეთა შარავანდედმა, კათალიკოზ-პატრიარქმა, ძემან ქართველთა მეფისა იესესმა, პატრონმა ანტონიმ გვერთ ვიახელი ორბელიანი

[149] ქართული სამართლის ძეგლები, სასამართლო განჩინებანი, (XVI-XVIII სს.), ტ. IV, (ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1972, გვ. 123-124.
[150] ძველ საბუთთა არქივი, ფონდი 1448, საქმე №682.

მდივანბეგი იოანე და ყოველნი მცხეთელნი აზნაურშვილნი და მაღალაძე მდივანი ნიკოლოზ და მისი ძმა დავით სვიმონ თავის ბიძაშვილის სახლთუხუცეს[ს] გიორგის გავყარეთ.

და სამართლიანი საქმით მივეცით ნიკოლაოზსა და იმის ძმებს წილითა და ბარათითა ყმა და მამული.

ქ. ზერტს : ტერუნაშვილი ივანე თავისი სახლისაკაცებითა, დღეს რისაც მამულის მქონებელნი იყვნენ.

ქ. ციხებდავს : მაისას შვილი საბა, დღეს რისაც მამულის მქონებელი იყოს.

ქ. იქავ ციხებდავს : ხომიზურის გიორგის მამული და დიღომს კოპაძის ბერის ნაქონის მამულითა, დღეს რისაც მამულის მქონებელი ყოფილიყოს.

ქ. თრიალელი ახაშნელი ბოგველი გიუა თავის სახლისკაცებით ახაშენს რაც მამული ქონებოდეს და ჩოჩეთს ქოფიტის ნაქონის მამულითა, დღეს რისაც მამულის მქონებელი იყოს.

ქ. მცხეთას : ხახუტასშვილი იასე თავის ძმებითა და სახლისკაცითა, რისაც სახლისა და ალაგის მქონებელი იყოს.

ქ. წინარეხს : აღაპისშვილი გოდერძა, უმამულო.

ქ. ძეგვს : ერთი შაშუტასშვილი მამული, დღეს რისაცა მამულის მქონებელი ყოფილიყოს.

ქ. თრიალელი ძმასარასშვილის მამული, დღეს რისაც მამულის მქონებელი იყოს.

ქ. იქავ ლეუი მამუკას მამული, დღეს რისაც მამულის მქონებელი ყოფილიყოს.

ქ. იქავ სახლკარისა და საჴდელისა ნახევარი ქვემოუბანს.

ქ. ტფილის[ს] ქალაქს გარეთუბანს ქაშოეთთან ქარვასლის ალაგი, რაც წილი უძეს.

ქ. და კიდევ გარეთუბანს სასახლის ალაგი და რაც წილი უძესთ.

ქ. და ახოში ბაცანიძის ნაქონი მიწები იმის ნახევარი, და რაც სახლთუხუცეს[ს] გიორგის და მდივანს ნიკოლაოზს და იმის ძმებს წილი ხოდაბუნები არის ზერტსა, ნიაბ-ჩოჩეთსა და ციხედიდს და ან ძველი ნაზვრევი აქვთ, ისეთ ორთავ შუა უნდა გაიყონ.

ესეთი წილითა და ბარათით ერგოთ.

ქ. და ამას და გარდა საუნცროსოთ ერგოთ ნიკოლაოზსა და იმის ძმებს : სასახლე კოშკთან, როგორც ძველს გაყრის წიგნში უწერიათ; და კიდევ ზეით სახლთხუცის ამილბარის აშენებულს სახლებს, დარბაზსა და საწოლს გარდა, რაც სახლთხუცის რევაზისა და არქიმანადრიტისა ნიკოლოზისა აშენებული ძველთავე სათორნე და მარანი ჩამოიტანს, შიგ რომ ბაღი დაჰყვება, იქით გვერდამდი და ქვემო შარამდი – ეს ნახევარი, რაც ვარდის ბაღი ჩამაიტ[ან]ს, ნიკოლოზსა და იმის ძმებს დარჩა და საუნცროსოთ ერგოთ.

და იმ ვარდის ბაღს იქით ამილბარ სალთხუცის აშენებული ნასახლარები და საჯინიბო რასაც გაიტანს იქით შარამდი – ეს სალთხუცე[ს] გიორგის დარჩა.

და თუ რამ სოლომონ მდივანს და იმის შვილებს ნასყიდობა და ნაშოვნი ყმა და მამული და სახელო თავთავისთვის ცალცალკე ჰქონდესთ, როგორც უწინ ქონებიათ, ახლაც ისე ცალცალკე ჰქონდესთ.

ნასყიდობა წილში არც ჩაიგდება სამართლითა, არც ჩვენ ჩაგვიგვდია.

ამას წინათ ბევრი დავა და ლაპარაკი ჰქონდებოდათ და ჰქონდათ. ჩვენ ეს სამართლით გავარჩიეთ, გავსაზღვრეთ, გავასამართლეთ და გავარიგეთ.

და ნუმცა ვინმე მკადრე არს შლად და ქცევად გარიგებასა ამას ჩვენსა.

და უკეთუ მცირედი რამე ბარათი ანუ წიგნი ამ ჩვენს გარიგებულს უწინდელი გამოჩნდეს, წიგნითა ამით გაგვიცუდებია.

ქ. და სახელოებიც ასე განვსაზღვრეთ და გავასამართლეთ. სალთხუცობა დღეს ადამომდე წილში და ბარათში არ იყო და ჩვენ ასე გავარიგეთ სალთხუცობა.

და ციხედიდს გელხაური სალთხუცეს[ს] გიორგის ერგო; და მის ფარდათ მდივნობა, ქადაგობა და სამამამთავრო ნიკოლაოზსა და იმის ძმებს ერგო.

ჩვენ ეს სამართლიანის საქმით გაგვირიგებია.

აღიწერა თვესა ივლისსა ***ა,*** *ჴელითა ჩვენისა არქიდიაკვნის კირილესითა, ქორონიკონს* ***უმგ,*** *ქრისტეს აქეთ* ***ჩღნე.***[151]

ჩვენი ყურადღება მიიპყრო ერთმა განჩინებამ, რომელიც ეხება მამულაშვილების გაყრის საქმეს.

განჩინება მამულაშვილების გაყრის საქმეზე
1731 წ. 10 იანვარი

ქ. მამულაშვილები ერთმანეთს რომე ძმები გაეყარნენ, რაც ან სახლოსნობა, ან სისხლიანი საქონელი ყვანდათ და ან მამულები ქონდათ, ყველა ჩვენ, ბატონმა თქვენმან, მდივან სულხან გაგიყავით.

და ამ ერთს ძმას ებალას ძალა დაემართა გაყრაში: საქონელი არა გაყვა რა და იმის სამუწფოთ, რადგან საქონელისაგან უწილოდ რჩებოდა, ბრალი იყო.

და წინ რომე საერთო ნაფუზარი ერთი დღის მიწა ქონდათ, ის ამ ებალას დავანებეთ. სხვებს ძმებს ჴელი არა აქვს, სამართლის ამას დარჩა.

დაიწერა იანვრის ***ი,*** *ქორონიკონს* ***უით.***

ბეჭედი: მდივანი სულხან[152]

მოხმობილი დოკუმენტი არ იწყება არც წმინდა სამების, არც წმინდანების და არც მეფე-დიდებულთა მოხსენიებით. თუმცა, ჩვენი ვარაუდით, ეს დოკუმენტიც ისეთივე წესით იქნებოდა შედგენილი,

---

[151] ქართული სამართლის ძეგლები, სასამართლო განჩინებანი, (XVI-XVIII სს.), ტ. IV, (ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1972, გვ. 440-442.

[152] ქართული სამართლის ძეგლები, სასამართლო განჩინებანი, (XVI-XVIII სს.), ტ. IV, (ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1972, გვ. 324-325.

როგორც ჩვენ მიერ ზემოთ მოხმობილი დაკუმენტები; ამდენად, გამოვთქვავთ ვარაუდს, რომ ეს დოკუმენტი, უბრალოდ, არასრული ფორმითაა შემონახული ჩვენამდე.

ჩვენ მიერ განხილული მასალის საფუძველზე აშკარად გამოიკვეთა შემდეგი:

მოგვიანებით, როდესაც სამართლის წერილობითი ძეგლები შეიქმნა, ოჯახის გაყრასთან დაკავშირებით მოწილე სუბიექტთა ქონების საკითხის რეგულირებისას კანონმდებელი ხელმძღვანელობდა სახელმწიფო ინტერესებით; გადაწყვეტილებას კანონის საფუძველზე, საქმის ფაქტობრივი მდგომარეობის შესაბამისად იღებდა; თუმცა, იმავდროულად, ჩვეულებითი სამართლის ოდინდელ წესებსაც ითვალისწინებდა.

შეჯამების სახით, საარქივო მასალების შესწავლის საფუძველზე, შეიძლება ითქვას შემდეგი: იმის მიუხედავად, თუ ვისდამი (ღმერთი, ძე ღმერთი, წმინდა სამება, სულიწმინდა, ღვთისმშობელი მარიამი, წმინდანები, მეფე-დიდებულები) მიმართვით იწყება წერილობით შედეგენლი გაყრის დოკუმენტი, ის აშკარად მეტყველებს ქართული სამართლებრივი აზროვნების განვითარებაზე, გაყრის საბუთის სამართლებრივ გამართულობაზე, რასაც მოწმობს გაყრის წიგნში ზუსტად განსაზღვრული შემდეგი სამართლებრივი საკითხები:

1. როგორ და რა ფორმით იყრებოდა ოჯახი (გარეშე პირების ჩაურევლად თუ მედიატორის დახმარებით);

2. ვინ იყვნენ ოჯახის გაყრის სუბიექტები; ზუსტად იყო მითითებული თითოეული სუბიექტის ვინაობა;

3. ასევე ის, თუ რომელ მოწილეს ქონების რა წილი ერგებოდა ოჯახის გაყრის დროს;

4. ვინ ესწრებოდა და ადასტურებდა ოჯახის გაყრის ფაქტს;

5. ვის მიერ და რამდენ ეგზემპლარად ხდებოდა გაყრის საბუთის ჩაწერა.

ბოლოს მიეთითებოდა ოჯახის გაყრის ზუსტი თარიღი და დოკუმენტი მოწმეთა ხელმოწერით და/ან ბეჭდით დასტურდებოდა.

ამგვარად, გვიანფეოდალური ხანის საქართველოში გაყრის დოკუმენტი, სათანადო ფორმითა და წესების დაცვით, სამართლის ნორმათა შესაბამისად დგებოდა.

მეოთხე თავი

ოჯახის გაყრის ფორმები

როგორც აღვნიშნეთ, ოჯახის გაყრის ჩვეულების აღმოცენება პირდაპირ დაკავშირებულია დიდი ოჯახის ინსტიტუტის მოშლასთან. ამ პროცესის შედეგად, მსოფლიოს ცივილიზებული ქვეყნების მსგავსად, XIX ს. ბოლოსა და XX ს. დასაწყისისათვის საქართველოსა და ცენტრალური კავკასიის რეგიონში მრავალსულიანი ოჯახების რაოდენობა მკვეთრად შემცირდა. დიდი ოჯახების ინდივიდუალური ოჯახებით შეცვლის მზარდ პროცესს, უმთავრესად, საერთო საოჯახო ქონების გაყოფა-დანაწილება, კოლექტიური ინტერესების შესუსტება, ოჯახის წევრთა ქონებრივი და უფლებრივი მდგომარეობის დადგენა მოყვა, რაც ბუნებრივად აისახა ოჯახის სტრუქტურასა და ოჯახის წევრთა საკუთრების ფორმაზე.

ამდენად, საოჯახო ყოფის შესაწავლის მიზნით, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება დიდი ტრადიციული ოჯახების გაყრის ფორმისა და ქონების განაწილების პრინციპების დახასიათებას.

ისმის კითხვა: როდის და რა ფორმით ხდებოდა დიდი ოჯახის გაყრა?

IV. 1. ოჯახის გაყრა უცხო პირის/პირთა მონაწილეობის გარეშე

დიდი ოჯახის გაყრის მიზეზის მიუხედავად, საქართველოს ყველა კუთხეში, მთასა თუ ბარში, არსებობდა დიდი ოჯახის გაყრის ორი წესი:

1. გაყრა უცხო პირის/პირთა მონაწილეობის გარეშე;
2. გაყრა უცხო პირის/პირთა მონაწილეობით.

გაყრის წესები მტკიცედ იყო განსაზღვრული ვახტანგ VI-ის სამართლით. კერძოდ, 98-ე მუხლი გვაუწყებს:

„უკეთუ ძმანი ანუ მამა-შვილნი ანუ ბიძა-ძენი, ანუ ბიძა-შვილნი, გინდა სხვა ნათესავნი, ერთსახლნი და ერთად მემამულენი, ვედარ მოთავსდნენ და გაიყარნენ, ამ წესითა და რიგირთ არის მათის დაშორების რიგ“.[153]

ქონების გაყოფის დროს მოსამართლეს (რანგის მიუხედავად) უნდა ემოქმედა კანონით დადგენილი შემდეგი წესით:

„[104] მეფე, თუ ვინც მოსამართლე ბრძანდებოდეს, იმან ჭელისა ჭოცში უნდა ჩაყაროს, აურიოს, ამოიღოს და თვითო-თვითოს

[153] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებული (ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1963, გვ. 510.

გარდუგდოს. რომელიც რომელს ერგოს, მდივანმა ზედ მოუწეროს. მაგრამე გარდაგდება რიგით უნდა, რამდენიც ძმანიც იყუნენ, შეფარდებით“.[154]

კანონის თანახმად, ქონება ნაწილდებოდა ძმების რიგითობის მიხედვით.

აღნიშნულის შესახებ ვახტანგ VI-ის სამართალში ვკითხულობთ:

*„**104**. იქნების, ძმებში სულ ერთმან, მცოდნემ ძმამ შეაფარდოს, იქნების, რიგით შეაფარდოს, იქნების, ყმამ შეაფარდოს, – რადგან ბარათს შეყრიან, არა იცის რა.*
რჩევაც იქნების, – ჯერ ერთმან ირჩიოს შეფარდებული და მერმე რიგით ყუელამ ირჩიოს“[155].

ამ წესის არსებობაზე მეტყველებს აგრეთვე ერთ-ერთი „გაფარდების ხელწერილი“, რომელშიც ნათქვამია:

„1886-სა წელსა ნოემბრის თუთხმეტსა დღესა მე ქვემოთ ამისა ოზურგეთი ვეზდის ჯურუყვეთის საზოგადოების მცხოვრებმა ყმებმა ესიკა ივანე გაბრიელ და იობი ოტიას ძე სალუქვაძნებმა ჩვენი სურვილისამებრ ვისურვეთ ჩვენი მამის და ჩვენი ნამოქმედის გაფარდება უძრავისა და კიდევაც გავაფარდეთ. ამავე საზოგადოების მცხოვრებ ყმების მაქსიმე და ივანე სალუქვაძის ივანე ნიკოლოზის ძე ტუყუშის და ივანე გიორგის ძე ტუყუშის დასწრებით და ამა სამა ძმამა მივეცით მეოთხეს ჩვენს ძმას ივანეს მისი საწილო კოპიტის სახლის ძელი და კოპიტის ხულის ძელი, ერთი ურემი, ქვის ჩამური და ხუთი მანეთი, შეფასებული ფულათ თერთმეტ თუმნათ (და) დანარჩენ ძმებს გვრჩება – აშენებული სახლი ღირებული ორასი მანეთისა ნალია თუთხმეტი მანეთისა კოპიტის ხულა და სახლის ძელი წიფლის ღირებული ორმოცი მანეთისა საღორე და თობი (?) ათი მანეთისა, ერთი ურემი თუთხმეტი მანეთისა ცალი ხარი ღირებული ორმოცი მანეთისა ერთი ფუჯენდური (?) ღირებული ხუთი მანეთისა ორი წისქვილი ღირებული ექვსი მანეთისა.“[156]

თავდაპირველად, ოჯახის გაყრის პროცესი რეგულირდებოდა ჩვეულებითი სამართლის წესებით, რომლებიც, მოგვიანებით, სათანადოდ აისახა ქართული სამართლის წერილობითი ძეგლების საკანონმდებლო ნორმებში. ჩვეულებრივ, ოჯახური ყოფის შიდა საქმეებში სახელმწიფო არ ერეოდა. საკუთარ ოჯახში სახელმწიფო ხელისუფალს, რომის *paterfamilias*[157]-ის მსგავსად, განასახიერებდა ოჯახის უფროსი, –

---

[154] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებული (ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1963, გვ. 510.

[155] იქვე.

[156] ცეცხლაძე გ., გურიის მოსახლეობის საოჯახო ყოფა, მეცნიერება, თბილისი, 1991, გვ. 85-86.

[157] ოჯახის უფროსი, მამასახლისი რომაულ სამართალში.

რომელიც აჭარაში *წენდად*[158], სვანეთში *მახვშად,* ხოლო ლეჩხუმში კომლის *თავად*[159] იწოდებოდა; ადათის თანახმად, ქონების გაყოფის საკითხსაც იგი განაგებდა. სვანეთში „ყოველს კერძო საქმეში და ოჯახში მახვშს ისე მიუწვდებოდა ხელი, როგორც საზოგადოებრივ საქმეზე“.[160]

ხალხი მიიჩნევდა, რომ ოჯახის გაყრის საქმე თავად ოჯახს უნდა მოეგვარებინა, მის საქმეებში სახელმწიფო მოხელეთა ჩარევის გარეშე. ძველთაგანვე დამკვიდრებული ჩვეულების მიხედვით, ეს ასეც ხდებოდა. თვალსაჩინოებისათვის მოვიხმობთ უცხო პირთა გარეშე ოჯახის გაყრის ერთ-ერთ საბუთს:

განჩინება ხუცნთ სრაპიონას შვილების გაყრის საქმეზე
1741 წ. 24 დეკემბერი

ქ. გავიყარენით ჩვენ, ხუცნთ სრაპიონას შვილებმა, ტერ-ოსეფამ და ფარსიღამ და მ[ი]კ[ი]რტუმამ. თუ რამე ჩვენი ქონება იყო სამწილათ გავივავით ან სახლის აჯნსი.
ტერ-ოსეფას ერგო: სახლის წილი ქვეითი და ზეითი სამი ოთახი და მთლივ ჭიშქარი, რაც ოთახის კედელი გაიტანს.
და ამისი ფარდი მიკირტუმას ერგო: სახლის წილი, დარბაზის უკან მარანი და სათორნე და პატარა ოთახი და გვერდით ცარიელი ალაგი თავისის კარითა და გზითა.
და ამისი ფარდი ფარსიღასა ერგო: დარბაზი და საკუჭნავი დერეფანი და ეზო და ბაღჩა და თავლა კარითა და დარბაზის კედელი გაიტანს.
და ფარსიღამ თავისი ქირიდამ დარბაზისათვინ სამი თუმანი სართი მისცა. და ეს სამი თუმანი თავიანთ დედას სამარხათ მისცეს.
და ამას აქეთ ყველას ხერი და შარი თავთავიანთია და ჩვენში არა დარჩა რა სალაპარაკო და სადავო, არცა ერთის იოტის ფასი კარკაცობის მეტი. და თუ ძველი მამეული ასაღები გამოჩნდეს ან მისაცემი სამთავ ძმისა [არის].
და ეს წიგნი მიკირტუმასია. და ერთი ამისი ფარდი ტეროსეფასა აქვს და ერთი ფარსიღასა აქვს.
და არის ამისი მოწამე თავათ ღმერთი და მისი ყველა წმინდანი და კაცთაგან: თბილისის ქალაქის მელიქი მამასახლისი აღა და ბაღდიდანთ ნასყიდას შვილი გიორგა და ნარიმანთ ოსეფა, ყორყანათ ფარსადანასშვილი ზურაბა და გარსოას შვილი მარტიროსა და შარიანთ გასპარას შვილი ისაია და ტერ-საჰაკას შვილი პაპა. და მე, ზურაბას შვილს ფარსადანს დამიწერია და მოწამეც ვარ.

---

[158] ითონიშვილი ვ., ცენტრალური კავკასიელების საოჯახო ყოფა, თბილისი, 1969, გვ. 62.

[159] მამარდაშვილი გ., საოჯახო ყოფა და რწმენა-წარმოდგენები ლეჩხუმის მოსახლეობაში, „უნივერსალი“, თბილისი, 2006, გვ. 5.

[160] კეკელია მ., სვანეთის სულხან-საბას – ბესარიონ ნიჟარაძის – დაკვირვებები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ქართული ჩვეულებითი სამართალი, წიგნი I, მეცნიერება, თბილისი, 1988, გვ. 66.

დაიწერა ესე წიგნი და სიგელი ქრისტიშობის ***კდ****, ქორონიკონს* ***უკთ****. +++*[161]

ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, მოწონებას იმსახურებდა ისეთი ოჯახები, რომლებიც გარიგების დროს საოჯახო ქონების გასანაწილებლად გარეშე პირისა თუ პირების ჩარევას არ საჭიროებდნენ; გარეშე პირის დახმარებით ქონების განაწილებას ასეთი ოჯახები სირცხვილად მიიჩნევდნენ; ოჯახის ყოფით საქმეებს უფროსი თაობის წევრები დამოუკიდებლად და იმდენად კარგად აგვარებდნენ, რომ ქონების გაყოფა უკონფლიქტოდ ხდებოდა. ოჯახის გაყრის დროს მთავარი სიტყვა ოჯახის უფროს მამაკაცს ეკუთვნოდა; ოჯახი იმდენად მშვიდ ვითარებაში იყრებოდა, რომ, ზოგჯერ, ამ მნიშვნელოვან ამბავს ნათესავები და მეზობლები მხოლოდ რამდენიმე ხნის შემდეგ იგებდნენ.

გ. მამარდაშვილის მიერ მოძიებული ინფორმაციის თანახმად, ჩვეულებრივ, ლეჩხუმში უფროსის სიცოცხლეში ოჯახის გაყრა მშვიდ ვითარებაში ხდებოდა; წილის გამო რაიმე გაუგებრობა თუ უთანხმოება იშვიათად ხდებოდა,[162] „ოჯახის ქონებას თანაბრად ანაწილებდა ოჯახის უფროსი და მის გადაწყვეტილებას ყველანი ემორჩილებოდა“.[163]

გურიაში ოჯახის გაყრა და ქონების განაწილება ოჯახისათვის ერთ-ერთ არსებით მოვლენად მიიჩნეოდა. ამიტომ, ჩვეულებრივ, ეს დღე საგანგებოდ აღინიშნებოდა. ოჯახის გაყრისთვის ზოგი რომელიმე რელიგიურ დღესასწაულსაც კი ირჩევდა ხოლმე. ქონების განაწილების შემდეგ იშლებოდა სუფრა, იმართებოდა ლხინი, უფროსი მამაკაცი ლოცავდა ოჯახს და „გარიგებულ ძმებს სიამტკბილობით ცხოვრებას უსურვებდა“[164].

გურიაში ოჯახის გაყრის დროს საოჯახო ქონების განაწილებისას დემოკრატიული პრინციპით ხელმძღვანელობდნენ. ოჯახის გაყრისას მთავარი სიტყვა „ოჯახის უფროს მამაკაცს ეკუთვნოდა“.[165] გ. ცეცხლაძე მის მიერ შესწავლილი ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე დასკვნის სახით წერს: „გურიაში ოჯახის გაყრისა და ოჯახის წევრთა ქონებრივი მდგომარეობის განსაზღვრის დროს ინდივიდუალური, პატარა ოჯახებისათვის დამახასიათებელი წესები მოქმედებდა, რომელთაც დიდი ოჯახების დაშლისა და პატარა ოჯახებად ცხოვრების წესზე გარდამავალ პერიოდში ჩაეყარათ საფუძველი. ეს წესები შემდეგში გამოიხატებოდა: 1. ოჯახის გაყრა მშობლების სიცოცხლეში შეიძლებოდა და მშობლებსაც წილი ერგებოდათ. 2. უფროს ძმას ზოგჯერ ეძლეოდა საუფროსო. 3. ისეთ ოჯახში, რომელიშიც მამაკაცი

---

[161] ქართული სამართლის ძეგლები, სასამართლო განჩინებანი, (XVI-XVIII სს.), ტ. IV, (ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1972, გვ. 353.

[162] მამარდაშვილი გ., საოჯახო ყოფა და რწმენა-წარმოდგენები ლეჩხუმის მოსახლეობაში, უნივერსალი, თბილისი, 2006, გვ. 38.

[163] იქვე.

[164] ცეცხლაძე გ., გურიის მოსახლეობის საოჯახო ყოფა, მეცნიერება, თბილისი, 1991, 104.

[165] იქვე, გვ. 87

არ იყო, შეიძლებოდა მემკვიდრე ქალი ყოფილიყო. 4. საოჯახო ქონების განაწილება დემოკრატიულ პრინციპს ემყარებოდა“.[166]

იმავე ავტორის თანახმად, „თუ დიდი ოჯახის გაყრა მშობლების სიცოცხლეში მხოლოდ საოჯახო თემის დაშლის მომენტისათვის იყო დამახასითებელი, ინდივიდუალური მრავალრიცხოვანი ოჯახების გაყრა, ძირითადად, მშობლების, კერძოდ, მამის სიცოცხლეში ხდებოდა, რაც მხოლოდ ინდივიდუალური ოჯახისათვის დამახასიათებელი მოვლენა იყო, სადაც უფროს მამაკაცს უფლება ჰქონდა ოჯახის კერძო საკუთრება გაეყო“.[167] მაგრამ იმ შემთხვევაში, „თუ ოჯახი მამის გარდაცვალების შემდეგ გაიყრებოდა, მაშინ საოჯახო ქონებას ანაწილებდა ის ძმა, რომელიც ოჯახის უფროსის მოვალეობას ასრულებდა“.[168]

გურიაში ოჯახის გაყრის დროს ძმების გამოყოფის ორგვარი წესი არსებობდა: „1. ცოლშვილიანი ძმები გარკვეული დროით ერთად ცხოვრობდნენ; ამ ოჯახის გაყრისა და ქონების განაწილებისთანავე ხდებოდა ძმების ერთდროული გასვლა ოჯახიდან. ასეთი წესით გურიაში იშვიათად იყრებოდნენ. 2. გურიაში, ისევე როგორც იმერეთში, აჭარაში. ხშირი იყო ქონების განაწილების დროს ჯერ უფროსი ძმის, შემდეგ კი დანარჩენი ძმების, ქორწინების თანმიმდევრობის შესაბამისად, თანდათანობით გამოყოფა, ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით „პირველად რიგდებოდა ქონება, მაგრამ ძმები ნელ-ნელა გადიოდნენ ოჯახიდან“.[169]

რ. ხარაძის აზრით, „ძმების თანდათანობითი გამოყოფა არ არის მიჩნეული დიდი ოჯახის სეგმენტაციის ტიპიურ ფორმად; ზოგადად გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ეს იყო მხოლოდ ინდივიდუალური ოჯახისათვის დამახასიათებელი მოვლენა“.[170]

თ. აჩუგბა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ აჭარაში ოჯახის გაყრასა და ქონების განაწილებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ნორმები ჩვეულებითი სამართლის სათანადო წესებით რეგულირდებოდა. „ოჯახის გაყრა, ისევე როგორც საოჯახო თუ საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხების გადაჭრა, ძირითადად ტრადიციული ხალხური სამართლის საფუძველზე ხდებოდა“.[171]

იმავე ავტორის მიხედვით, „თუ ოჯახი მამის სიცოცხლეში იყრებოდა, ქონების გამანაწილებლად ამ შემთხვევაში თვით მამა გვევლინებოდა, რომელიც საოჯახო ქონებას თანასწორად ყოფდა. მას არ ჰქონდა უფლება მეტი ან ნაკლები ქონება მიეცა რომელიმე შვილისათვის. ამავე დროს, მამას არც რომელიმე მოწილის უწილოდ დატოვება შეეძლო, ე.ი. ქონების გაყოფაშიც ტრადიციულად თანასწორობის პრინციპი მოქმედებდა“.[172]

---

[166] ცეცხლაძე გ., გურიის მოსახლეობის საოჯახო ყოფა, თბილისი, მეცნიერება, 1991, გვ. 106.
[167] იქვე, გვ. 86.
[168] იქვე, გვ. 87.
[169] იქვე, გვ. 85-86.
[170] Харадзе Р., Грузинская семейная община, т.I изд-во Советский писатель Грузии, Заря Востока, Тбилиси, 1961, с. 76.
[171] აჩუგბა თ, ოჯახი და საოჯახო ყოფა აჭარაში, მეცნიერება, თბილისი, 1990, გვ. 99.
[172] იქვე, გვ. 102-103.

თ. აჩუგბას აზრით, „ეს ტექსტი მიგვანიშნებს როგორც ოჯახის წევრთა მრავალრიცხოვნობაზე, ისე მათ ნათესაურ კავშირსა და მამულის სახით საერთო საოჯახო ქონების არსებობაზე“.[173]

რაც შეეხება საქართველოს მთიან რეგიონს, დ. ჯალაბაძის თანახმად, „ოჯახში ყველას ჰქონდა თავ-თავისი ქონება“.[174] აქ „გაყრისას ქონების გაყოფის სამართლებრივი მოწესრიგება და ორგანიზაცია [თუშეთში], ინფორმატორთა ცნობებით, ეს საკითხი წყდებოდა, როგორც ვიწრო ოჯახურ ფარგლებში, ასევე სოფლის „თავკაცებისა“ და „საბჭოს კაცების“ [...] მონაწილეობით: „ოჯახის გაყრა შეიძლებოდა მომხდარიყო როგორც კაცების [...] მონაწილეობით, ისე ურთიერთშეთანხმებით, უცხო პირთა მონაწილეობის გარეშე“.[175] ჯ. მერაბიშვილის თქმითაც, ფშაველებში და ქისტებში „ოჯახის გაყოფას ამორჩეული კაცები ესწრებოდნენ, გაანაწილებდნენ ყველაფერს თანაბრად, მშობლები სამარხს იღებდნენ. რამდენადაც ვიცი, სამარხი დამატებითი წილი იყო. უფროს ძმას საუფროსოს აძლევდნენ“.[176] ოჯახის გაყრისას მშობლები იღებდნენ სამარხს. შემდეგ უფროსი ძმა აიღებდა საუფროსოს (ცოტა მეტ წილს), დანარჩენი ქონება თანაბრად ნაწილდებოდა.

ჩვეულებრივ, ფშავში დიდი ოჯახის გაყოფა ვაჟების დაქორწინების შემდეგ ხდებოდა „როცა ვაჟები დაქორწინდებოდნენ, მაშინ ოჯახი გაიყრებოდა. მოხდებოდა განაყრობა. გაყრისას ჯერ მშობლები აიღებდნენ სამარხს, დანარჩენი ძმებს შორის ნაწილდებოდა“.[177]

ფშავში დიდი ოჯახის გაყოფის წესთან დაკავშირებით, დ. ჯალაბაძე წერს: „ინფორმატორები ძალზე საინტერესო ცნობებს გვაწვდიან. კერძოდ ყურადსაღებია ინფორმატორის ცნობა იმის თაობაზე, რომ გაყოფა შეიძლებოდა მომხდარიყო „წილით“ (კენჭისყრა), ანდა „განაჩენით“, მითუმეტეს, რომ ჩვეულებით სამართალზე დამყარებული, როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო საქმეების განხილვა, წესისამებრ ზეპირად, წერილობითი აქტების გარეშე ხდებოდა. ხსენებულ ცნობაში კი სწორედ წერილობით აქტზეა („განაჩენი“) ლაპარაკი. აი, ეს ცნობაც: „ძმების გაყრისას თვით ძმები დაწერდნენ განაჩენს, ამ განაჩენში აღინიშნებოდა, თუ რომელ ძმას რა ქონება ერგებოდა და მასზე ხელს მოარეწდნენ. ამ განაჩენს ყველა ინახავდა, დავის წარმოშობის შემთხვევაში ამ განაჩენით იმართლებდნენ თავს. თუ გაყრისას ძმები შეთანხმებას ვერ მიაღწევდნენ, მაშინ ამორჩეულ კაცებს (სამ კაცს) მოიწვევდნენ და ქონებას მათ

---

[173] აჩუგბა თ., ოჯახი და საოჯახო ყოფა აჭარაში, მეცნიერება, თბილისი, 1990, გვ. 31

[174] ჯალაბაძე დ., მასალები ფშავის ჩვეულებით სამართალზე, 1987, რვ; 12; მითითებულია ქართული ჩვეულებითი სამართალი, წიგნი I, მეცნიერება, თბილისი, 1988, გვ. 161-162.

[175] კეკელია მ., მასალები ფშავის ჩვეულებით სამართალზე, 1967, რვ; გვ.15; მითითებულია ქართული ჩვეულებითი სამართალი, წიგნი IV, მეცნიერება, თბილისი, 1993, გვ. 160.

[176] მერაბიშვილი ჯ., მასალები ფშაურ და ქისტურ ჩვეულებით სამართალზე, 1987, რვ., გვ. 108; მითითებულია ქართული ჩვეულებითი სამართალი, წიგნი I, მეცნიერება, თბილისი, 1988, გვ. 163.

[177] ჯალაბაძე დ., მასალები ფშაურ და ქისტურ ჩვეულებით სამართალზე, 1987, რვ; გვ. 69; მითითებულია ქართული ჩვეულებითი სამართალი, წიგნი IV, მეცნიერება, თბილისი, 1993, გვ. 163.

გააყოფინებდნენ. ჯერ შეთანხმდებოდნენ წილით, ე.ი წილის ყრით გაყოფილიყვნენ თუ განაჩენით...".[178]

ასეთი ცნობის თავიდან ბოლომდე გაზიარება, სათანადო წერილიბითი საბუთის არარსებობის პირობებში, ეთნოგრაფ-მკვლევართა და ჩვენი აზრითაც, არ იქნებოდა სწორი, თუმცა, იგი მთლად საფუძველმოკლებულიც არ უნდა იყოს. მცირე კომენტარის სახით უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ ცნობათა არაერთგაროვნების მთავარი მიზეზი უნდა იყოს, ერთი მხრივ, გაყრის მარეგულირებელ ჩვეულებათა მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია და მათი ნაწილის საერთოდ გაქრობა, მეორე მხრივ, „აღნიშნულის მიუხედავად, ამ ცნობებს მაინც პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვთ რეგიონის საოჯახო სამართლებრივი ინსტიტუტების შესასწავლად. მითუმეტეს, რომ სხვა რამ ეჭვმიუტანელი ცნობები საამისოდ თითქმის არ მოგვეპოვება".[179]

სოფელ დედისფერულის მკვიდრი მათე ქეშიკაშვილის ინფორმაციის თანახმად, ოჯახში „ქონების გაყოფა თვით ოჯახის წევრთა შეთანხმებით ხდებოდა, მაგრამ შეიძლება მასში საბჭოს კაცებიც ჩაერიათ. თვითონ რამდენჯერმე მიმიღია ასეთ განაყრობაში მონაწილეობა, როგორც საბჭოს კაცს".[180]

გვიანფეოდალური ეპოქისათვის დამახასიათებელ მოვლენათა თანახმად, ოჯახის გაყრისას ქონების წილს იღებდა ყველა, ვისაც კი რაიმე წვლილი ჰქონდა შეტანილი საერთო საოჯახო დოვლათის მოპოვებაში. საოჯახო უძრავ-მოძრავი ქონების განაწილების დროს მოწილის ასაკსა და ოჯახურ მდგომარეობას ყურადღება არ ექცეოდა. მოწილეებს შორის ქონება თანაბრად ნაწილდებოდა.

დიდი ოჯახის გაყრის დროს ქონების განაწილების დაახლოებით იგივე წესი მოქმედებდა ცენტრალური კავკასიის მკვიდრ ხალხებში; ვ. ითონიშვილი მიერ მოძიებული მასალების საფუძველზე ვგებულობთ: „ოჯახის გაყრა თემის კაცების ჩარევით მოეწყობოდა თუ მათგან დამოუკიდელად, ქონების გაყოფა უნდა მომხდარიყო იმდენ თანაბარ წილად, რამდენი კაციც ოჯახის გაყრის მომენტში წილის (ხ ა ი) მოღების უფლებით იყო აღჭურვილი. ასეთი უფლების მქონე პირს ერქვა მოწილ (ხ ა ი ჯ ი ნ), რომელიც გვევლინებოდა დიდი ოჯახის დაყოფის შედეგად ჩამოყალიბებული ახალი ოჯახის მეთაურად".[181]

აქვე უნდა აღინიშნოს შემდეგი ფაქტიც: რამდენიმე თაობის მომცველი დიდი ოჯახის გაყრისა და საოჯახო ქონების განაწილების შედეგად, მართალია, ინდივიდუალური ოჯახების სახით ახალი ეკონომიკური უჯრედები იქმნებოდა, მაგრამ გაყრა არ ნიშნავდა განაყართა სრულ იზოლაციას. გაყრილი ოჯახები მაინც ინარჩუნებდნენ ერთიანობას; ამის ერთ-ერთი ნიშან-მახასიათებელია ის, რომ დიდი ოჯახიდან გამოყოფილ პატარა ოჯახშებიც, გარკვეულ წილად, ძირითადად ოჯახის უფროსი მამაკაცის უფლებები ვრცელდებოდა.

---

[178] ჯალაბაძე დ., მასალები ფშაურ ჩვეულებით სამართალზე, 1987, რვ; 14. მითითებულია ქართული ჩვეულებითი სამართალი, წიგნი IV, მეცნიერება, თბილისი, 1993, გვ. 161.

[179] იქვე, გვ. 164.

[180] ჯალაბაძე დ., მასალები ფშაურ და ქისტურ ჩვეულებით სამართალზე, 1987, რვ; გვ. 8; მითითებულია ქართული ჩვეულებითი სამართალი, წიგნი I, მეცნიერება, თბილისი, 1988, გვ. 161.

[181] ითონიშვილი ვ., ცენტრალური კავკასიელების საოჯახო ყოფა, თბილისი, 1969, გვ. 274-275.

მამას დიდი გავლენა ჰქონდა განაყოფ შვილებზე და მათ ოჯახზე. მოგვიანებით, როდესაც მშობლების სიცოცხლეში ოჯახის გაყრა წესად შემოვიდა, მშობლები ცალკე ოჯახად იცხოვრებდნენ თუ რომელიმე შვილთან დამკვირდებოდნენ, ყველა შვილი ვალდებული იყო მონაწილეობა მიეღო მათი დასაფლავებისათვის საჭირო ხარჯების გაღებაში. ეს მოწმობს, რომ დასაფლავების ძველი ტრადიცია მაინც არსებობდა.

მ. მგელაძის თანახმად, გურიაში „ოჯახების გაყრის შემდეგ იქმნებოდა ნათესაური გაერთიანებები (მაგალითად, ნეგრო, ბუნობა და სხვა), რასაც ნათლად მოწმობს მკვლევართა მიერ შესწავლილი ფაქტები, კერძოდ, სურების ხეობის (გურია) ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე“.[182]

გაყრილი ოჯახების ურთიერთობის ეს წეს-ჩვეულება გავცრელებული იყო საქართველოს ყველა კუთხეში. ურთიერთობის შენარჩუნების მიზნით, განაყარი ოჯახები და ახლო ნათესავები ერთად იკრიბებოდნენ. მთაში ეს წესი დღემდე შემორჩა. გაყრილ ოჯახთა ერთობა განსაკუთრებით ვლინდებოდა წინაპრის კულტთან დაკავშირებულ საერთო წეს-ჩვეულებათა ერთად ჩატარებაში.

დღესდღეობითაც სალოცავები იმდენად მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საქართველოს მთიანი რეგიონების (ხევი, ფშავი, ხევსურეთი, თუშეთი, სვანეთი) მცხოვრებთა ყოფაში, რომ სალოცავებთან მიმართებით კვლავაც საგანგებო რიდსა და კრძალვას იჩენენ. ამის ნათელი მაგალითია ისიც, რომ დღესასწაულების დროს (მაგალითად, ათანგენობის, ან ლომისობის და ა. შ.) სალოცავებთან ერთმანეთს ხვდებიან როგორც ადგილობრივი მცხოვრებლები, ასევე ბარში გადასახლებულები. გარდა ამისა მთაში ურთიერთდახმარების გარეშე ცხოვრება პრაქტიკულად დღესაც შეუძლებელია; ეს მკვეთრად ვლინდება ზამთრის პერიოდში, როდესაც ერთობლივად უმკლავდებიან საერთო პრობლემებს. ეს პროცესი ხელს უწყობს ადგილობრივთა შორის ერთიანობის სიმტკიცეს.

მაშასადამე, გაყრის შედეგად ოჯახის წევრთა ურთიერთობა ერთმანეთთან სრულად არ წყდებოდა და ნათესავთა შორის ამა თუ იმ სახით მაინც გრძელდებოდა. ბ. ზოიძის თანახმად, „ეკონომიკურად და სულიერად მაინც რჩება რაღაც საერთო ღირებულებები, რომელზეც მათი უფლება თანასწორია“.[183]

ცენტრალური კავკასიის მკვიდრ ხალხებშიც იგივე პრინციპით ხელმძღვანელობდნენ. როდესაც დიდი ოჯახი თავისი სიმწიფის პერიოდს დაასრულებდა და მისი დანაწილება უკვე მიზანშეწონილი იყო, უმეტეს შემთხვევაში, ქონების გაყოფაც უკონფლიქტოდ ხდებოდა. ოჯახის უფროსი თაობის წარმომადგენლები თავის შინაურ საქმეს დამოუკიდებლად აწარმოებდნენ, გარეშე პირთა ჩარევას არ საჭიროებდნენ. როდესაც გაყრის პრეტენდენტები ვერ შეთანხმდებოდნენ,

[182] მგელაძე ნ., ბუნობის მნიშვნელობისათვის გურიის მთიანეთში (სურების ხეობის ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით), სდსყკ, XIII, თბილისი, 1986, 72-90; მითითებულია ცეცხლაძე გ., გურიის მოსახლეობის საოჯახო ყოფა, თბილისი, მეცნიერება, 1991, გვ. 105.

[183] ზოიძე ბ., ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი, უფლება, თბილისი, 2000, გვ. 43.

მათი მორიგება, ისევე, როგორც ბევრი სხვა საჭირბოროტო საკითხის გადაწყვეტა, ნიხასში ბჭეებს ევალებოდათ.[184]

ოჯახის გაყრის შემდეგ განაყოფთა შორის ურთიერთობა, ფაქტობრივად, არც ცენტრალური კავკასიის მკვიდრ ხალხებში წყდებოდა; პირიქით, განაყარი ოჯახების შემდგომი ურთიერთობა გარკვეულ ვალდებულებათა შესრულებას, კერძოდ, ჭირსა თუ ლხინში მხარში დგომას, ეკონომიკურ შემწეობას ითვალისწინებდა. მოყვასისადმი თანადგომის ეს წესი მთელ კავკასიაში მოქმედებდა. საყურადღებოა, რომ ინგუშეთში შეძლებული ოჯახის მიერ ღარიბისადმი დახმარების ნორმებიც კი განსაზღვრული იყო. ვ.ითონიშვილი მის მიერ მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე წერს: „შეძლებული ოჯახი ღარიბს თავისი მოსავლიდან ყოველ 10 ფუთზე 1 ფუთ მარცვლეულს, ხოლო ყოველ 60 სულ ცხვარზე 1 ცხვარს აძლევდა. განსაკუთრებით ხშირად ხდებოდა დახმარება პურით, რადგანაც მთიელი ყველაზე მეტად პურის ნაკლებობას განიცდიდა. [...] გარდა ამისა, განაყრები ვალდებული იყვნენ ერთმანეთს დახმარებოდნენ ყალიმისა და სისხლის საურავის გადახდის შემთხვევაშიც“[185].

IV. 2. ოჯახის გაყრა გარეშე პირის/პირთა მონაწილეობით: მედიატორობის ინსტიტუტი

თავდაპირველად, გაყრის დროს წილის გამო უკმაყოფილება თუ იშვიათობა იყო, მოგიანებით, ქონების განაწილებისას მოწილეებს შორის – მამასა და შვილებს, ან ძმებს შორის – უთანხმოებებმა იმატა; ასეთ შემთხვევაში, დაცინვითაც კი იტყოდნენ ხოლმე „ისე აქვს საქმე, გარიგებაზე კაცი სჭირდებაო“[186] და პრობლემურ საკითხთა მოსაგვარებლად მოყავდათ გარეშე პირი, რომელიც „გამრიგედ“, „შვაკაცად“[187], „შუაკაცად“[188], სვანეთში „ნემსგამეზალად“ იწოდებოდა; თუმცა რომაული სამართლის ზეგავლენით, ქართულში ტერმინად ლათინური სიტყვა *mediator* დამკვიდრდა.

სხვისი თანდასწრებით ქონების გაყოფის სიხშირეზე მიუთითებს მედიატორობის ინსტიტუტის არსებობა საქართველოს ყველა კუთხეში. ოჯახის გაყრისა და ქონების განაწილების დროს „მედიატორე მაშინ მოყავდათ, როცა მამასა და შვილებს, ან ძმებს შორის ქონებრივი ურთიერთობებისა და ოჯახის წევრთა დამოკიდებულების გამო უთანხმოება წარმოიშობოდა“.[189] ეს ინსტიტუტი რომ ძალზე ფართოდ იყო გავრცელებული ამის თაობაზე მრავალი წერილობითი მასალაა შემონახული.

---

[184] Каргинов С., Из народных преданий и обычаев Осетии, ИКОИРГО, т. XXIV, №2,Тифлис, 1916, с. 231-234; Гаглоев Х., Из истории судопроизводства у осетин, ИЮОНИИ АН ГССР, XIII, 1964; მითითებულია ითონიშვილი ვ., ცენტრალური კავკასიის მთიელთა საოჯახო ყოფა თბილისი, 1969,

[185] ითონიშვილი ვ., ცენტრალური კავკასიელების საოჯახო ყოფა, მეცნიერება, თბილისი, 1969, გვ. 135-136.

[186] ცეცხლაძე გ., გურიის მოსახლეობის საოჯახო ყოფა, მეცნიერება, თბილისი, 1991, გვ. 87.

[187] იქვე, გვ. 88.

[188] იქვე.

[189] იქვე.

გ. ცეცხლაძე იმოწმებს 1852 წლის ერთ-ერთ საბუთს იმის თაობაზე, რომ გაყრისას ოჯახი ვერ მორიგდა და მედიატორედ გარეშე პირთა ჩარევა გადაწყვიტეს; „რადგანაც ჩვენ ერთად ვერ მოვრიგდით, [...] მედიატორედ აღმოვირჩიეთ ჩვენის ნებითა“.[190] როგორც ჩანს, ასეთ შემთხვევებში მედიატორთა სიტყვა იყო გადამწყვეტი.

იმავე ავტორის თანახმად, გურიაში „ ხოლო იმერეთში „მესამე მედიატორს ორივე მხარე ირჩევდა ურთიერთშეთანხმებით, რომელსაც *ზედამხედველი მედიატორი* ერქვა“.[191]

გ. დავითაშვილის ცნობით, „ოჯახის გაყოფისას კი იმდენი მედიატორი ირჩეოდა, რამდენი ოჯახის წევრიც იყრებოდა და ისინი კიდევ ურთიერთშეთანხმებით, ერთ უფროს მედიატორსაც ირჩევდნენ. ოჯახის გაყოფისას, უმრავლეს შემთხვევაში მედიატორებად ოჯახის ახლობელ-ნათესავები გვევლინებოდნენ“.[192]

საარქივო მასალებში ჩვენ მიერ მოძიებული იქნა საინტერესო საბუთი, რომელშიც გადმოცემულია დიდი ოჯახის გაყრა მედიატორის მონაწილეობით.

ჩყ?ზ? წელსა ივნისის დ? დღესა ჩვენ სინდისით აღმორჩეულთა თავადთა ფარსადან ბეჟანის ძის ბეჟან, დავით, ელენე და ეფემია ტუხიევთაგან მედიატორეთა აზნაურთ ალექსანდრე სეხნიასძე ჯავროვმა, რაჟდენ გიორგი ძე ჯავროვმა და დავით გაბრიელის ძე ოტიტოვმა თანახმად მეოცე მუხლის, სამს რიცხვსა ამა ივნისსა ტუხიევთაგან ხელწერილისა, განვიხილეთ მათი საქმე და ჩვენის წმინას სინდისით გარდავსწყვტეთ ესრეთ, რადგანაც ამათ შორის დაიბადა ესიამოვნობა და ვეღარ იცხოვრეს დამშვიდებით ერთთა, ამისათვის განუნაწილეთ მათ ყოველივე ქონება, რაღცა აღმოჩნდა უძრავცა და მოძრავცა. ფარსადანს მიეცა სავრის მიწა ორდღე ნახევრისამ ექვსის დღისაც შაქროს ვენახთ ნა, აგრეთვე ზემოთი ვენახიცა მიეცა და ვალი პრიკაზისა უნდა ამანვე გარდიხადოს ორმოცდა ათი თუმანი, უფროს ჭვილს ბეჟანს მიეცამიწის ოთხდღე ნახევრისა ტუხიანთ ვარსა, ორის დღისა ნათლისმცემლის მიწა და ჭირიან ლელის ვენახი, რომელსაც დღეს ჩვენ დაუსხით სამმდღიურგზი. დავითს მიეცა საყდარსწინ დღ ნახევარის მიწა, შაქროს სახლისწინ ორიზდისა, სანალეში ერთის დღის მიწა, ვაკის მიწა ტუხიანთ ზვარში ოთხის დღისა, ვენახი ერგო ქვემოთი და პრიკაზის ვალიცა ორმოცდა ათი თუმანი ამანვე გარდაიხადოს.[193]

ჩვენი აზრით, კონფლიქტურ სიტუაციებში ოჯახის გაყრა მედიატორთა დახმარებით, მხარეთათვის იმდენად სამართლიანი ფორმა აღმოჩნდა, რომ გასულ საუკუნეშიც კი მისაღებად მიიჩნეოდა. გ.

---

[190] ცეცხლაძე გ., გურიის მოსახლეობის საოჯახო ყოფა, თბილისი, 1991, 88.

[191] კეკელია მ., მასალები იმერეთის ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, 1989, გვ. 1,11,41; მითითებულია გ. დავითაშვილი, სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბილისი, 2004, 112-113.

[192] დავითაშვილი გ., სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2004, გვ. 222.

[193] საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1448, ანაწერი №1, საქმე № 6229.

დავითაშვილის თანახმად, „მედიატორთა არჩევა ოჯახის გაყრისას XX საუკუნის განმავლობაშიც კი ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა“.[194]

IV. 3. მედიატორთა შერჩევის წესი

მედიატორთა გარკვეული კონტიგენტი არ არსებობდა; ჩვეულებრივ, ყველა ოჯახი თავისი სურვილით ირჩევდა სხვადასხვა კაცს. მთავარი მოთხოვნის თანახმად, ოჯახის გაყოფის საქმეზე მედიატორად არჩეული კაცი უნდა ყოფილიყო სოფელში გონიერებით გამორჩეული და გამოცდილი კაცი; მას კარგად უნდა სცოდნოდა ადგილობრივი წესები და ჩვეულებები, წერა-კითხვა და მიწის გაზომვა. მედიატორად შეიძლებოდა მოეწვიათ როგორც გარეშე პირი, რომელსაც არანაირი ნათესაური კავშირი არ ჰქონდა იმ ოჯახთან, რომლის გაყოფის საქმესაც აგვარებდა, ისე ოჯახის ახლობელი, ხშირად მოძმე ან მეზობელი; მთაში მედიატორად იწვევდნენ რომელიმე ხევისკაცს. ქიზიყში ოჯახის გაყრა ყოველთვის მედიატორთა და მამასახლის თანდასწრებით ხდებოდა. გამონაკლის შემთხვევაში მედიატორად იწვევდნენ მოწილეთა დედის ძმებს.

თ. აჩუგბას თანახმად, „მედიატორებად იწვევდნენ უხუცეს *გამრიგოებს*, ხან მოწილეთა დედის ძმებს. ამ უკანასკნელთ უმეტესად მაშინ ისწრებდნენ, როცა მოწილეები ნახევრადძმები ან ბიძაშვილები იყვნენ“.[195]

იმავე ავტორის აზრით, მედიატეორად დედის ძმების მოწვევის ფაქტი ასევე მოწმობს შემდეგს: „დედის ძმის როლი დისშვილის ბედსა და მომავალ საქმეში იმდენად ძველია, რომ მარტო ეს ფაქტი საკმარისია იმისათვის, რომ საერთო-საოჯახო საკუთრება მიგვეჩნია საკუთრების ძველ ფორმად“.[196]

ოჯახის გაყოფის დროს გადაწყვეტილების მიღებისას მედიატორი მოქმედებდა ჩვეულებითი სამართლით დამკვიდრებული წესების მიხედვით და ოჯახის თითოეული წევრის ინტერესებს ითვალისწინებდა. მედიატორს სამართლიანობაში იმდენად დარწმუნებული იყვნენ, რომ ხშირად მას „მართალ პირსაც“[197] ეძახდნენ. მაგალითად, მარტყოფელი მედიატორები იმდენად კარგი სახელით სარგებლობდნენ, რომ ოჯახის გასაყოფად მეზობელ სოფლებშიც კი იწვევდნენ ხოლმე. „შეიძლებოდა, ერთ კაცს რამდენიმე ოჯახის ქონების განაწილება მოსწრებოდა. ეს მის ავტორიტეტზე იყო დამოკიდებული“.[198] იმ შემთხვევაში, „თუ ერთ მხარეს არ მოსწონდა მეორის მედიატორი, მეორე ვალდებული იყო მედიატორად სხვა მოეყვანა, მედიატორთა გადაწყვეტილება კი ორივე მხარისათვის სავალდებულო იყო“.[199]

---

[194] დავითაშვილი გ., სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2004, გვ. 209.

[195] აჩუგბა თ., ოჯახი და საოჯახო ყოფა აჭარაში, მეცნიერება, თბილისი, 1990, გვ. 101-102.

[196] იქვე.

[197] ცეცხლაძე გ., გურიის მოსახლეობის საოჯახო ყოფა, მეცნიერება, თბილისი, 1991, გვ. 88.

[198] იქვე.

[199] კეკელია მ., მასალები გურიის ჩვეულებით სამართალზე, 1989, ეთნოგრაფიული რვეული, გვ. 12; მითითებულია გ. დავითაშვილი, სასამართლო ორგანიზაცია და

ასევე უნდა აღინიშოს ის გამონაკლისი შემთხვევა, რომელიც შეინიშნებოდა იმერეთში. მ. კეკელიას თანახმად, „იმერეთში იყო შემთხვევები, თუ ძმები შეთანხმდებოდნენ ქონების გაყოფაზე, მაშინ მედიატორები, როგორც გაყრის დამსწრენი გაყოფის ფაქტს იურიდიულად ადასტურებდნენ“.[200]

ადათის თანახმად, მედიატორად ქალს არ ირჩევდნენ. დ. ბაქრაძის თანახმად, „ქალი მოკლებული იყო სამედიატორო, სასამართლო პროცესებში მხარედ მონაწილეობის უფლებას, თუმცა ზოგჯერ გამორიცხული არ იყო ამ ხასიათის საქმიანობაში ჩარევაო“.[201] მართლაც, იშვიათ შემთხვევაში ქალსაც ირჩევდნენ მედიატორად. ქალისთვის დიდი დაფასება იყო ქონების გამყოფად ანუ მედიატორედ არჩევა. მედიატორად ქალის არჩევა უფრო გვიანდელ პერიოდს განეკუთვნება და ქართული საზოგადოების რეალობაში ქალის ემანსიპაციასა და მის მიმართ პატივიცემაზე მეტყველებს. მამაკაცი მედიატორის მსგავსად, მედიატორად შერჩეული ქალიც უნდა ყოფილიყო გონიერებით, ავტორიტეტით, სამართლიანობით გამორჩეული ანუ მისი ნდობა უნდა ჰქონოდათ.

გ. ცეცხლაძის თქმით, ეთნოგრაფიულმა მასალებმა მედიატორი ქალების ვინაობაც შემოგვინახა. კერძოდ, „გურიაში მედიატორებად ყოფილან ანეტა მგალობლიშვილი, კატო ასათიანი (ოზურგეთი რ-ნი, სოფ. ბახვი). ქონების გამყოფად არჩევა ქალისთვის დიდი დაფასება იყო. ვფიქრობთ, მედიატორედ ქალს თავდაპირველად ცოლ-ქმრის გაყრის დროს ირჩევდნენ, შემდეგ დაიწყეს ქალის დასახელება საოჯახო ქონების გამყოფ მედიატორეთა რიცხვში“.[202]

IV. 4. მედიატორთა ფუნქციები

მედიატორს ევალებოდა ოჯახის მთელი ქონების (როგორც მოძრავი, ისე უძრავი ქონების) აღწერა და ოჯახის გაყრისა და ქონების განაწილების საბუთის შედგენა. ბ. ზოიძის თანახმად: „ქონების გაყოფის წესები ძველი ჩვეულებით იყო დადგენილი და მედიატორებს ისღა დარჩენოდათ, კეთილსინდისიერად შეეფასებინათ ქონება“.[203]

ოჯახის ქონების გაყოფამდე „ყველა დაინტერესებული პირი ხელწერილს აძლევდა მედიატორებს, რომ მათი გადაწყვეტილება უსიტყვოდ იქნებოდა მიღებული მათ მიერ. გაყოფისას მედიატორები განსაზღვრავდნენ ოჯახის თითოეული წევრის მიერ შეტანილ წვლილს ქონების შეძენაში, რასაც ითვალისწინებდნენ გაყოფისას, ასევე იმას, თუ საერთო ქონების რომელი ნაწილი ერგება ოჯახის ამა თუ იმ

პროცესი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2004, 113.

[200] კეკელია მ., ციტირებულია დავითაშვილი გ., სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბილისი, 2004, გვ. 61.

[201] Бакрадзе Д., Сванетия – Записки Кавквзского отдела императорского русского географического общества. Тифлис, 1864, №6 – ქართული ჩვეულებითი სამართალი, წიგნი I, თბილისი, 1988, 60.

[202] ცეცხლაძე გ., გურიის მოსახლეობის საოჯახო ყოფა, მეცნიერება, თბილისი, 1991, გვ. 88-89.

[203] ზოიძე ბ., ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი, უფლება, თბილისი, 2000, გვ. 171.

წევრს. როგორც ჩანს, მედიატორები არსებითად განიხილავდნენ საკითხს და შემდეგ იღებდნენ გადაწყვეტილებას“.[204] ასევე, უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ „ჩვეულებითი სამართლის თანახმად, ყოველ მოწილეს „გაყრის საბუთი“[205] ეძლეოდა; ამის შემდეგ, ძმებს ერთმანეთთან „აღარაფერის საქმე ექნებოდათ“.[206]

ეთნოგრაფიულ მასალებსა და არქივებში დაცული XIX ს. და XX საუკუნის დასაწყისის დოკუმენტებში განაწილების საბუთი შემდეგნაირად მოიხსენიება: „ფარდის ფურცელი“, „ფარდის ქაღალდი“, „გაფარდების ხელწერილი“, „სია ქონების გაყოფის შესახებ“, „განჩინება ქონების გაყოფის შესახებ“, „საბუთი“, „ხელწერილი ქონების განაწილების შესახებ“ და სხვა. გ. ცეცხლაძის მიერ მოძიებული ინფორმაციის თანახმად, ამ სახის საბუთს იმდენ ცალად წერდნენ, რამდენი მოწილეც იყო, ამასთანავე ერთი პირი მედიატორესაც უნდა დარჩენოდა. მათ ძალზე გულმოდგინედ და დიდხანს ინახავდნენ; ზოგიერთ ოჯახში გასულ საუკუნეში შედგენილი რამდენიმე „ფარდის ფურცელი“ მოიძიეს ეთნოგრაფებმა. ამ საბუთებს დიდი მნიშვნელობა აქვთ როგორც ოჯახის გაყრისა და ქონების განაწილების წესების, ასევე ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლის საქმეში“.[207]

აჭარაში საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების, საოჯახო ინვენტარისა და პირუტყვის განაწილებაც თანასწორობის პრინციპზე იყო აგებული. ინფორმატორთა თანახმად, „თუ ექვსი მოწილიდან ხუთ მოწილეს თითო ხარი მოუწევდა, მეექვსეს ორი ძროხა ერგებოდა ან ერთი ცხენი, ანდა რამდენიმე სული თხა ან ცხვარი, ზოგჯერ საქონლის საფასურიც“.[208]

აჭარაში მედიატორი მთლიან ქონებას, თანაბარ წილად დაყოფდა და გაყრის პრეტენდენტებს კენჭისყრის წესით ურიგებდა. კენჭისყრა *ფიშექის ყრად* (ფიშექ – თურქ. ვაზნა) იწოდებოდა. „მოხუცები ქუდში ჩაყრიდნენ იმდენ ნიშანდასმულ ჩხირს, რამდენი მოწილეც იყო. ჩხირზე აღნიშნული იყო ჭდეები – ერთი ჭდე, ორი ჭდე, სამი ჭდე და ა.შ. ცალკეული ჩხირი რომელიმე წინასწარგანსაზღვული წილის კუთვნილების გამომხატველი იყო, რომლის შესახებაც, საიდუმლოების პირობებში, მხოლოდ მედიატორებმა იცოდნენ. ისინი ქუდში ჩაყრილ ჩხირებს ერთმანეთში აურევდნენ, თითოეული მონაწილე თითო ჩხირს ამოიღებდა და ამის მიხედვით ისაკუთრებდა თავის წილხვედრ ქონებას“.[209]

იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც მიწის გაყოფა „განხეთქილების ვაშლი იყო ცალკეულ თემსა და საზოგადოებრივ ერთეულებს შორის“.[210] ამიტომ მედიტორედ მოწვეულ პირებს

---

[204] დავითაშვილი გ., სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2004, გვ. 60-61.

[205] გაყრილობის წიგნი, ცსსა, 1448, 8109.

[206] ზოიძე ბ., ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი, უფლება, თბილისი, 2000, გვ. 172.

[207] ცეცხლაძე გ., გურიის მოსახლეობის საოჯახო ყოფა, მეცნიერება, თბილისი, 1991, გვ. 88-89.

[208] აჩუგბა თ., ოჯახი და საოჯახო ყოფა აჭარაში, მეცნიერება, თბილისი, 1990, გვ. 102-103.

[209] იქვე.

[210] Свод материаловъ по изученію экономического быта государственныхъ крестьян Закавказского края, т. I, Тифлис, 1887, с. 93.

განსაკუთრებით „დიდი წინდახედულობა მართებდათ საოჯახო ქონების, განსაკუთრებით, სახნავი და სათიბი მიწების გაყოფის დროს, რადგან მიწის ნაკვეთები ერთმანეთისაგან ხარისხითაც განსხვავდებოდა და ახლო თუ შორი მდებარეობითაც. გარდა ამისა, ისედაც მცირე ფართობის ნაკვეთი, დაქუცმაცებას ძნელად ექვემდებარებოდა. ზოგჯერ, როდესაც ნაკვეთის დანაწილება არ ხერხდებოდა, გამოსავალს პოულობდნენ მიწების „ურთიერშებადლებაში“,[211] რომლის დროსაც „ნაკვეთის მდებარეობასაც ითვალისწინებდნენ და მის მოსავლიანობასაც“[212]. ამ ფაქტს მოწმობს 1801 წლის გაყრილობის ერთ-ერთ ბარათი, რომელშიც ვკითხულობთ:

„მამული როგორც ზემოთ დაგვიწერია ისე უნდა გაიყონ და ნავენახობები რომელსაც კაცს დღეს ხელთ უჭირავს და შემოუღობავს ის მისთვის არ ჩამოგვირთმევია და იმისი ზომა სხვას ძმებისათვინ სხვაგან მიგვიცია რაც კაცები ამ განაჩენში დაგვიწერია საუფროსო სასაშუალო საჭირნახულო თუ საუმცროსოს სასახლეზე რომ შენობისთვის კაცი დავადევით ყველასი ბარათები მიგვიცია და თავთავისი ბარათები ყველას ხელთ უჭირავთ რაც იოსების სასახლის ზომა არის თავისის მეიდნითა იმდენ სამნიც ძმანი სადაც უნდა მოზომონ საერთოს მამულშია ზვარსა და ხოდაბუნს გარდა“[213].

ინფორმატორთა უმრავლეობის თანახმად, მედიატორი თავის მოვალეობას უსასყიდლოდ ასრულებდა. მ. კეკელია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ერთ-ერთი ინფორმატორი „ოჯახის გაყოფისას ორჯერ ყოფილა მედიატორად, თუმცა გასამრჯელო არც ერთხელ არ აუღია“.[214] მაგრამ მ. კეკელიას მიერ მოძიებული ინფორმაციის თანახმად, „ზოგ მხარეში (მაგალითად, იმერეთში) მართალია მედიატორები თავად არაფერს ითხოვდნენ, მაგრამ თუ ქონების განაწილებისას მედიატორებს დიდი დროისა და ძალისხმევის გაღება მოუწევდათ, მაშინ „მხარეები თავად ასაჩუქრებდნენ ფულით ან პირუტყვით“.[215]

მსგავსი წესი ჰქონდათ ქიზიყშიც: ოჯახის გაყრის პროცესში გაწეული შრომისათვის მედიატორს, წესისამებრ, საჩუქარს აძლევდნენ. დ. ბოსტოღანაშვილის თანახმად, ქიზიყში ოჯახის „გაყრისას მედიატორები და მამასახლისი იღებდნენ გასამრჯელოს. ზოგიერთ სოფლებში მათთვის დაწესებული იყო დღეში ერთი მანეთი თითოეულზე, ზოგან კი გაყრის დამთავრებისას მათ აძლევდნენ რაიმე საჩუქარს – ძროხას, ხარს ან ცხვარს, შეძლებისდა მიხედვით“.[216]

აქვე გვსურს აღვნიშნოთ ის შემთხვევები, როდესაც უკვე გაყრილ ძმებს შორის ქონების გამო დავა წარმოიშობოდა და მედიატორთა

---

[211] აჩუგბა თ., ოჯახი და საოჯახო ყოფა აჭარაში, მეცნიერება, თბილისი, 1990, 102-103.

[212] Свод материаловъ по изученію экономического быта государственныхъ крестьян Закавказского края, т. I, Тифлис, 1887, ст.93.

[213] გაყრილობის წიგნი, ცსსა, 1448, 8109.

[214] კეკელია მ., მასალები ქართულ ჩვეულებით სამართალზე, 1976-77, 42. მითითებულია დავითაშვილი გ., სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბილისი, 2004, გვ. 120.

[215] იქვე.

[216] ბოსტოღანაშვილი დ., ოჯახის გაყრის წესები აღმოსავლეთ საქართველოში, ჟურნ., „სამართალი“, №1-2, 1998, გვ. 77.

მეშვეობით სადაო ქონება ხელმეორედ ნაწილდებოდა. ამის საილუსტრაციოდ მოვიხმობთ შემდეგ საბუთს:

განჩინება შაშიაშვილების გაყრის საქმეზე
1696 წ. 1 მაისი

[71] ამას წინათ შანავაზ მეფის ჯამში შაშიაშვილი პაპია, მისი ძმა დონმაზ და ელიზბარა გაყრილიყვნენ, სოსნის ნასოფლარი გასაყოფარათ დარჩომოდათ და ზოგს რასმე სხვასაც ერთმანეთს ედავებოდენ. ახლა ერთმანერთს ედავებოდნენ და ვერ შეჯერებულიყვნენ. მოვიდნენ და ჩვენ – სარდალს ლუარსაბთან ილაპარაკეს და ორთავესი საჩივარი გავიგონეთ. ზოგი რაც რამ მაშინ გაყრაში დარჩომოდათ, ახლა ჩვენთან იჩივლეს, სხვას განაჩენით გაგვირიგებია.
არღუთაშვილ[ი] ფარსადანა, ზინდარი ვახუშ[ტ]ი და ყაფიჩი შანაზარა გავაჩინეთ და ეს განაჩენი ამათ გავატანეთ. ასე, რომ მივიდნენ და სოსნის ნასოფლარი ამგვარად გაყონ: ავკარგობით თავისთვი[ს] საუფროსოდ აიღონ და პაპიაშვილებს და[ა]ნებონ. სხვა რაც დარჩეს, სამათ გაიყონ, და როგორც სამ ძმათ შვილები არიან, ისრე სამათ დაიჭირონ.
ქ. კიდევ პაპიაშვილი და დონმაზაშვილი ელიზბარაშვილს საჭირნახულოზედ ელაპარაკებოდეს სოსნისასა. ის ამ მოსაქმეთ სომხითის მოკითხული ქნას, როგორც სხვა ექნას, ამათაც ისრე გაურიგოს.
ქ. კიდევ პატარა სახუნდრულე ახოები სამათ გაიყონ. დი[ვ]ვანხანა და საჯინიბო დოლმაზაშვილებს დარჩა და ამირეიზას ქალი.
ქ. ამის ფარდით ამირეზას სახლკარი ორის დღის თავის ნაქონის მიწით და ორი დღის დავითური მიწით ერგო ელიზბარაშვილს ნაზარასა.
რაც დოლმაზაშვილებს ნასყიდობა ექნა. ელაპარაკა ნაზარა. მაგრამ სამართალში ვერას შეუვიდა და ნასყიდობა დოლმაზაშვილებს დარჩა.
ქ. კიდევ სახუნდარს დოლმაზაშვილებს პაპიაშვილთან სახლისა, კალო-საბზლისა და ბოსტნებისა სალაპარაკო ჰქონდათ. მოსაქმემ გასინჯოს და გაურიგოს.
ქ. კიდევ ნასყიდას სახლი და ბოსტანი, მამუკას სახლი დოლმაზაშვილმა და ნაზარამ გაიყონ.
რაც ილაპარაკეს ამგვარად გავარიგეთ და რაც დარჩომილა, კიდევ ილაპარაკონ და იმასაც გავაროგებთ
*ქორონიკონსა **ტპდ**.*[217]

თ. აჩუგბა ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ დიდი ოჯახის განვითარების ბოლო ეტაპზე, ოჯახის გაყრის პროცესში, იშვიათად, მაგრამ ზოგჯერ ხდებოდა ძალმომრეობა. ეთნოლოგ-მკვლვართა აზრით,

[217] ქართული სამართლის ძეგლები, სასამართლო განჩინებანი, (XVI-XVIII სს.), ტ. IV, (ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1972, გვ. 171-172.

ეს „ქონების უთანასწორო განაწილებაში გამოიხატებოდა“[218]. ამგვარი შემთხვევები, მართალია, სპეციფიკურ მოვლენად ვერ იქნება მიჩნეული, მაგრამ გარკვეულწილად მაინც ყურადსაღებია.

მედიატორობის ინსტიტუტი ფართოდ იყო გავრცელებული კავკასიის მკვიდრ ხალხებშიც. მაგალითად, როდესაც ნახებში გაყრის პრეტენდენტები ვერ შეთანხმდებოდნენ, მათი მორიგება ისევე, როგორც ბევრი სხვა საჭირბოროტო საკითხის გადაწყვეტა, ადათის მტკიცედ დაცვა, მინდობილი ჰქონდათ სიდარბაისლით სახელგანთქმულ მოხუც მედიატორს.

მედიატორის უპირველესი მოვალეობა სახლის გაყოფა იყო, „სახლისა, რომელიც გამრავლების შედეგად წარმოქმნილ ყველა ახალ ოჯახს ვეღარ იტევდა. ამის გამო, გამოყოფილი ოჯახების ერთი ნაწილი რჩებოდა ფუძე სახლში, ხოლო ნაწილი ოჯახებისა საცხოვრებელი ფართობის ნაცვლად ღებულობდა საფასურს საქონლის, საოჯახო ინვენტარის ან მიწის ნაკვეთის სახით. ასეთ შემთხვევაში უპირატესობას ანიჭებდნენ ყველაზე ხნიერ მოწილეს, რომელსაც ევალებოდა მამა-პაპეულ კერასთან განაყრების კავშირის კვლავ შენარჩუნება“[219].

ოჯახის გაყრა ხდებოდა სოფლის „თავკაცებისა“ და „საბჭოს კაცების“ მიერ („საბჭოში“ იგულისხმება მმართველობის გვაროვნულ-თემობრივი სტრუქტურა). „ოჯახის გაყრა შეიძლებოდა მომხდარიყო როგორც კაცების მონაწილეობით, ისე ურთიერთშეთანხმებით, უცხო პირთა მონაწილეობის გარეშე“[220], ქონების გაყოფის ამავე წესს ადასტურებს ჯ. მერაბიშვილიც, როდესაც იგი ხაზგასმით აღნიშნავს რომ „ოჯახის გაყოფას, ამორჩეული კაცები ესწრებოდნენ“.[221]

IV. 5. დიდი ოჯახის გაყრა და მემკვიდრეობა

ჩვეულებრივ, ოჯახის საერთო ქონების გაყოფა ხდებოდა როგორც ოჯახის გაყრის, ისე ქონების მემკვიდრეობით დატოვების შედეგად. თავისი არსით, ოჯახის საერთო ქონების გაყოფა არის ის საერთო პირობა, რომელიც განაპირობებს გაყრისა და მემკვიდრეობის ინსტიტუტთა მსგავსებას: ორივე შემთხვევაში ქონებას ყოფდა მისი მფლობელი სუბიექტი – ოჯახის უფროსი; ქონების განაწილების შემდეგ ოჯახის წევრ სუბიექტთა – მოწილეთა თუ მემკვიდრეთა – უფლება-მოვალეობები ერთმანეთისა და საფლობ ნივთთა მიმართ იმთავითვე ადათის თანახმად რეგულირდებოდა.

თავდაპირველად, როდესაც ოჯახის უფროსის სიცოცხლეში ადათის თანახმად გაყრა დაუშვებელი იყო, საკუთრების დამკვიდრება, ჩვეულებრივ, მშობლების სიკვდილის შემდგომ შეიძლებოდა, ე ი. ოჯახის წევრებს ქონების გაყოფის უფლება ეძლეოდათ მხოლოდ ოჯახის უფროსის გარდაცვალების შემდეგ, ანუ მემკვიდრეობის პრინციპით ქონების განაწილების საკითხი ავტომატურად დგებოდა

[218] აჩუგბა თ., ოჯახი და საოჯახო ყოფა აჭარაში, მეცნიერება, თბილისი, 1990, გვ. 109.
[219] ითონიშვილი ვ., ცენტრალური კავკასიელების საოჯახო ყოფა, თბილისი, 1969, გვ. 100-101.
[220] კეკელია მ., მასალები ფშავის ჩვეულებით სამართალზე, 1967, რვ; 15.
[221] მერაბიშვილი ჯ., მასალები ფშაურ და ქისტურ ჩვეულებით სამართალზე, 1987, რვ; 108, ქართული ჩვეულებითი სამართალი, წიგნი IV, თბილისი, 1993, 159.

ოჯახის ცხოვრებაში და თავად ეს ფაქტი (ოჯახის უფროსის გარდაცვალება) ხდებოდა მემკვიდრეობის საფუძველი. ცხადია, ოჯახიც გარკვეულ ტრანსფორმაციას განიცდიდა. ამდენად, ქონების დაუფლება იყო მემკვიდრეობით-სამართლებრივი, რადგან, გაყრით, ფაქტობრივად, „სამკვიდროს გახსნა“ იგულისხმებოდა.

ადრეფეოდალური პერიოდის საქართველოში, ოჯახის უფროსის გარდაცვალება იყო როგორც გაყრის, ისე მემკვიდრეობის ის აუცილებელი პირობა, რომლის შემდეგაც ოჯახის წევრები იყოფდნენ და ეუფლებოდნენ ოჯახის საერთო ქონებას. თუმცა, ხშირ შემთხვევაში, ძმები მშობლების გარდაცვალების შემდეგაც არ იყრებოდნენ და მათ დანატოვარ ქონებასაც არ იყოფდნენ. ბ. ზოიძის თანახმად, „ამის ისტორიული ცნობები უამრავია. ხშირად ისე იყო, რომ მშობლის გარდაცვალების შემდეგაც არ იყრებოდნენ ძმები, არ იყოფდნენ საერთო, მშობლებისაგან დანატოვარ ქონებას. ფაქტიურად ოჯახი ხდებოდა ქონების მემკვიდრედ მისი მეთაურის გამოკლებით“.[222] ასეთ შემთხვევაში ქონების ფლობა და განკარგვა ეფუძნებოდა კოლექტიურ პრინციპს, მისი მესაკუთრე ინდივიდის – ოჯახის უფროსის – გარშე. ოჯახის წევრები, როგორც დამოუკიდებელი სუბიექტები, თავიანთი წილის სახით კი არ ღებულობდნენ სამემკვიდრეო ქონებას, არამედ როგორც ერთ მთლიანს. შესაბამისად, არ იქმნებოდა ქონებრივ უფლება-მოვალეობათა ის ახალი სახეობა, რომელსაც ოჯახის გაყრა დაეფუძნებოდა.

მართალია, გაყრაში ნათლად იკვეთება მემკვიდრეობითი ურთიერთობების სამართლებრივი ხასიათი, მაგრამ გაყრასთან შედარებით, მემკვიდრეობის ინსტიტუტი ბევრად უფრო ძველი და ფართოა. ბ. ზოიძის თანახმად, „მთელი მემკვიდრეობითი სამართლის ისტორია, ესაა ბრძოლა სხვადასხვა საწყისებს შორის, საოჯახო და საგვარეულო მემკვიდრეობას შორის, კოლექტიურ საკუთრებასა და კერძო საკუთრებას შორის. ამ ბრძოლაში ხაზიც იკვეთებოდა: ეს იყო ხაზი კერძო ინტერესის გამარჯვებისა კოლექტიურზე, მემკვიდრეობის საოჯახო პრინციპისა – საგვარეულოზე“.[223]

არსებითი მაინც ის არის, რომ, როგორც ოჯახის გაყოფის, ისე მემკვიდრეობის წესი და რიგი შესაბამისი სამართლის ნორმებით წესრიგდებოდა. მათ შორის არსებითი განხვავება არის ის, რომ ისინი ოჯახის არსებობის სხვადასხვა მომენტს მიეკუთვნებიან: ჩვეულებრივ, მემკვიდრეობის შემთხვევაში მამკვირდებლის გარდაცვალება იგულისხმება, გაყოფა კი, როგორც ოჯახის დაშლის უშუალო შედეგი, შეიძლება ოჯახის უფროსის სიცოცხლეშივე მოხდეს. ასე რომ, როგორც ბ. ზოიძე წერს: „ესაა დროისმიერი სხვაობა, მემკვდირეობასა და ოჯახის გაყოფას შორის. [...] გაყრა და მემკვიდრეობა [...] ერთიმეორეს ავსებენ. ამასთან არც იდენტური მოვლენებია. მემკვიდრეობა უფრო ფართო ინსტიტუტია და გარკვეული თვალსაზრისით გაყრასაც მოიცავს. შეიძლება სულაც არ ქონდეს ადგილი გაყრას, მაგრამ მემკვიდრეობა სახეზე იყოს“.[224]

---

[222] ზოიძე ბ., ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი, უფლება, თბილისი, 2000, გვ. 41.
[223] იქვე, გვ. 46.
[224] იქვე, გვ. 41.

იმერეთსა და გურიაში როგორც ოჯახის გაყოფის, ისე მემკვიდრეობის შემთხვევაში საკუთრების გაყოფის ერთი და იგივე საფუძვლით ხელმძღვანელობდნენ. მამის სიცოცხლეში მშობლების ოჯახს გამოყოფილი და ცალკე გასული ვაჟი რა ოდენობის ქონებასაც იღებდა, იგივე ოდენობის ქონება ეკუთვნოდა მამის სამკვიდროდან. საერთო საოჯახო უძრავი საკუთრების გაყოფიდან ქალს წილი არ ეკუთვნოდა; ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ასევე ოჯახის უფროსის გარდაცვალების შემთხვევაში, პირდაპირი ან გვედრითი ხაზის მამრობითი სქესის მემკვიდრეების არ არსებობის შემთხვევაში, მემკვიდრედ ქალის მოწვევა დასაშვებად მიიჩნეოდა.

ზოგჯერ ძმები მშობლების გარდაცვალებისთანავე იყრებოდნენ, ზოგჯერ გარკვეული დროის შემდეგ. ცხადია, ქრონოლოგიური თვალსაზრისით იკვეთება არსებითი სხვაობა. ბ. ზოიძის აზრით, „აქ განსხვავება იმაშია, რომ ისპობა იმის შესაძლებლობა, რომ იგი გადავა მათს საერთო მფლობელობაში. მეორე შემთხვევაში, სწორედ დროის ფაქტორითაა განპირობებული ის, რომ ოჯახის წევრები სამემკვიდრეო ქონებას ღებულობენ არა, როგორც დამოუკიდებელი სუბიექტები თავიანთი წილის სახით, არამედ როგორც ერთ მთლიანს. მაგრამ, აქ სულაც არ იქმნება ქონებრივ უფლება-მოვალეობათა რაღაც ახალი სახეობა, რომელსაც ასეთი ოჯახის გაყრა დაეფუძნება. იგი ემყარება იგივე პრინციპებს, რა პრინციპებიც მოქმედებდა მშობლის სიკვდილისთანავე ქონების გაყოფისას. ცხადია, გარკვეული ტრანსფორმაცია კი ხდება, მაგრამ ისიც უმნიშვნელოდ“.[225]

მემკვიდრეობის მსგავსად, ადათით ქონების გაყოფის სამართლებრივი მოწესრიგება და ორგანიზაცია ხდებოდა ოჯახის ფარგლებში, უშუალოდ მესაკუთრის (ოჯახის უფროსის) მიერ. მოგვიანებით, მემკვიდრეებს ქონებით სარგებლობის უფლება კვლავინდებურად მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ ეძლეოდათ; მაგრამ როდესაც გაყრა ოჯახის უფროსის სიცოცხლეშიც დაიშვებოდა, ვითარება შეიცვალა: მსგავსების მიუხედავად, საოჯახო ქონების მიღება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა მემკვიდრეობისაგან. ჯერ ერთი, წილი მშობლებსაც ერგებოდათ, მაგრამ იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც მშობელი (მშობლები) უარს ამბობდა წილზე და, ჩვეულებრივ, საცხოვრებლად ერთ-ერთ (უმცროს) შვილთან რჩებოდა; ქონების განკარგვისას მამკვიდრებელი ერთპიროვნულად მოქმედებდა; ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქონების განაწილების შედეგად ახალი ეკონომიკური ერთეულები – ინდივიდუალური ოჯახები იქმნებოდა, რაც ქონების მემკვიდრეობით მიღების შემთხვევაში ყოველთვის არ ხდებოდა.

ჩვენი აზრით, ამ ორ ინსტიტუტს შორის მსგავსებას და განსხვავებას ძალზე კარგად გამოკვეთს ბ. ზოიძე. იგი ადასტურებს, რომ, გარკვეული აზრით, გაყრის წესი ეს იგივე მემკვიდრეობის საფუძველზე ქონების განაწილებას ნიშნავს. „გაყრა დაკავშირებულია ოჯახის მეთაურის სიკვდილთან ე. ი. ისეთ ფაქტთან, რომელიც აფუძნებს თვით მემკვიდრეობას [...] გაყრის წესი ეს იგივე მემკვიდრეობის საფუძველზე ქონების განაწილებას ნიშნავს [...] თვით დაუფლების წესი გაყრისას აშკარად მემკვიდრეობით-

[225] ზოიძე ბ., ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი, უფლება, თბილისი, 2000, გვ. 42.

სამართლებრივია“.[226] მაგრამ ოჯახის გაყრის შედეგად ახალი ოჯახები იქმნება, რასაც მემკვიდრეობა ყოველთვის არ გულისხმობს. მემკვიდრეობის შემთხვევაში, ეს არის მეორხარისხოვანი ფაქტი. ბ. ზოიძე არსებითად მიიჩნევს იმას, რომ ერთი სუბიექტის ქონებას ეუფლება მეორე. თუმცა გაყრისას ქონების დაუფლების წესი მემკვიდრეობით-სამართლებრივია. ჩვენ ვიზიარებთ მის სრულიად მართებულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ „ჩვენ გაყრა და მემკვირეობა არ უნდა დავუპირისპიროთ ერთმანეთს. გაყრა და მემკვიდრეობა [...] ერთიმეორეს ავსებენ. ამასთან არც იდენტური მოვლენებია. მემკვიდრეობა უფრო ფართო ინსტიტუტია და გარკვეული თვალსაზრისით გაყრასაც მოიცავს. შეიძლება სულაც არ ქონდეს ადგილი გაყრას, მაგრამ მემკვიდრეობა სახეზე იყოს“.[227]

ზოგადად, ადათით დადგენილ მემკვიდრეობის ობიექტურ წესებსა და მშობლის ნებას შორის სრული თანხმობა სუფევდა. მაგრამ დროის კვალობაზე, იცვლებოდა მისი დამოკიდებულება ქონების გაღებისას. მემკვიდრეობის განაწილებისას ზოგჯერ თავს იჩენდა სუბიექტური ფაქტორი – მშობლის ნება. ამ ვითარებას კარგად განსაზღვრავს ჟ.ჟ. რუსო. მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, რაკი „ქონება, რომლის რეალური ბატონ-პატრონიც მამაა, ის შემაკავშირებელია, შვილებს მამის ქვემდებარებაში რომ აჩერებს, [...] ამდენად, იგი უფლებამოსილია მისივე ნება-სურვილთა შესრულების საფუძველზე გაიხადოს შვილები მემკვიდრეებად“.[228] როდესაც ოჯახის უფროსი უმალ გულისთქმას მიყვებოდა, საკუთარი სურვილით იხდიდა შვილებს მემკვიდრეებად და მათი სამკვიდრო წილის მეტ-ნაკლებობასაც სუბიექტური ნებით განსაზღვრავდა, მის გადაწყვეტილებაში გარეშე პირებს ჩარევის უფლება არ ჰქონდათ. ხსენებული სუბიექტური ფაქტორი („საყვარელი შვილი“) ცხადყოფს მემკვიდრეობის პრინციპით საერთო ქონების გაყოფისათვის დამახასითებელ თავისებურებას, რასაც მოწმობს ეთნოგრაფიული მასალები და სამართლის ძეგლები.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ გაყრის ფორმის მიუხედავად (ოჯახის გაყრა უცხო პირის/პირების მონაწილეობით, თუ ოჯახის გაყრა უცხო პირის/პირების მონაწილეობის გარეშე) ქონების გაყოფის სამართლებრივი რეგულირების თვალსაზრისით არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, თუ როდის ხდებოდა გაყრა – ოჯახის უფროსის სიცოცხლეში თუ მისი გარდაცვალების შემდეგ. ოჯახის გაყოფის მსგავსი ფორმები მოქმედებდა არა მხოლოდ საქართველოს ყველა მხარეში, არამედ ცენტრალურ კავკასიაშიც. ოჯახის გაყრის ინსტიტუტის ორივე ფორმის ძირითადი ასპექტების ფონზე, გამოვკვეთეთ რამდენიმე საკითხი:

ლათინურ ტერმინ „მედიატორის“ ეკვივალენტური მნიშვნელობით ქართულ ჩვეულებით სამართალში იხმარებოდა ტერმინები – „შუაკაცი“, „გამრიგე.“ ოჯახის გაყრის დროს მედიატორთა მეშვეობით ქონების გაყოფა სამართლიანად რეგულირდებოდა; ამ ფაქტს მოწმობს მათი მეშვეობით ოჯახის გაყრის სიხშირე და ამ მედიატორობის ინსტიტუტის

[226] ზოიძე ბ., ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი, უფლება, თბილისი, 2000. გვ. 41.
[227] იქვე
[228] რუსო ჟ.ჟ., მსჯელობა ადამინათა შორის უთანასწორობის დასაბამისა და საფუძველბის შესახებ, Carpe Diem, თბილისი, 2009, გვ. 140.

არსებობის ხანგრძლივობა. მედიატორთა მონაწილეობით ოჯახის გაყრის ფორმა გასული საუკუნის ბოლომდე გამოიყენებოდა.

ოჯახის საერთო ქონების გაყოფის სამართლებრივი რეგულირება როგორც ოჯახის გაყრის, ისე მემკვიდრეობის დროს ჩვეულებითი სამართლის მიხედვით ხდებოდა. საერთო მიზნისა და შედეგის მიუხედავად, გაყრისა და მემკვიდრეობის ინსტიტუტი მაინც განსხვავდება ერთმანეთისაგან. აღნიშნულიდან გამომდინარე, მართლაც, არამიზანშეწონილია როგორც მათი დაპირისპირება, ისე გაიგივება.

მეხუთე თავი

დიდი ოჯახის გაყრის მოწილე სუბიექტები

დიდი ოჯახის გაყრის დროს ქონების გაყოფისას მთელი სისრულით იჩენდა თავს მისი ცალკეული წევრის ქონებრივი უფლებები. არსებითად, სწორედ ამ მომენტიდან ხდებოდა თითოეული მოწილე განცალკევებული ქონების მფლობელი; მანამდე მათი უფლება ქონებაზე მხოლოდ ფორმალური ხასიათისა იყო.

ჩვეულებისამებრ, ოჯახის გაყრის დროს საოჯახო ქონებას იმდენ თანაბარ ნაწილად დაყოფდნენ, რამდენი მოწილეც იყო. არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, თუ როდის იყრებოდა ოჯახი – მამის სიცოცხლეში, თუ მისი გარდაცვალების შემდეგ, რადგან ამის მიხედვით დგინდებოდა ის თუ:

ა) ვინ ანაწილებდა დიდი ოჯახის ქონებას;

ბ) ვინ იყვნენ დიდი ოჯახის ქონების მოწილეები ანუ ოჯახის გაყრის სუბიექტები.

V. 1. მამა, როგორც მოწილე სუბიექტი ოჯახის გაყრის დროს

ჩვეულებითი სამართლის თანახმად, როგორც ბარში, ისე მთაში, ყველაფერი ეფუძნებოდა უფროსობის ინსტიტუტს. ჯ. მერაბიშვილი თუშთა ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ოჯახის უფროსი მამაა, რომელიც განუსაზღვრელი უფლებით სარგებლობს“.[229] დიდი ოჯახის ერთადერთი სრულუფლებიანი მესაკუთრე იყო ოჯახის სათავეში მყოფი მამა, შესაბამისად, მის გარეშე უმნიშვნელო წვრილმანიც კი არ წყდებოდა. „საოჯახო თემის წევრები ყველა საკითხში ოჯახის უფროსს ექვემდებარებოდნენ, რომლის ქმედებაც ოჯახის საბჭოს შესაბამისი იყო“.[230]

თუ დიდი ოჯახის გაყრა მშობლების სიცოცხლეში მხოლოდ საოჯახო თემის დაშლის მომენტისათვის იყო დამახასითებელი, ინდივიდუალური მრავალრიცხოვანი ოჯახების გაყრა, ძირითადად, მშობლების, კერძოდ, მამის სიცოცხლეში ხდებოდა; ასეთ შემთხვევაში მთავარი პირი იყო მამა, რომელიც უფლებამოსილი იყო ოჯახის კერძო საკუთრება გაეყო.

როდესაც ოჯახის გაყრისას ქონებას ყოფდა მამა, ცხადია, ერთ-ერთი მოწილე ანუ გაყრის სუბიექტები იყვნენ მშობლებიც. საოჯახო ქონების განაწილების დროს მშობლების წილი ცალკე გამოიყოფოდა. გ ცეცხლაძის ინფორმაციით, „ეს წესი მამის სიცოცხლეში ოჯახის

---

[229] მერაბიშვილი ჯ., ივანე ცისკარიშვილის ცნობები თუშურ ჩვეულებით სამართალზე; მითითებულია ქართული ჩვეულებითი სამართალი, წიგნი I, მეცნიერება, თბილისი, 1988, გვ. 44.

[230] Харадзе Р., Грузинская семейная община, т.I, изд-во Советский писатель Грузии, Заря Востока, Тбилиси, 1960, с. 49.

გაყრის წესთან ერთად, მეცნიერ-მკვლევართა მიერ ახალ მოვლენად არის მიჩნეული“.[231]

მამის წილი მეცნიერ-მკვლევართა მიერ სხვადასხვა სახელწოდებით არის მოხსენიებული. გარდაცვალებამდე მამას წილის სახით ეძლეოდა ***სამარხი ან საუხუცესო***. მთიულეთ-გუდამაყარში მამის წილს, ჯ. მერაბიშვილის თანახმად, „სანახ-სამარხი“ ეწოდებოდა. ფშავში მოქმედი წესის თანახმად, „ოჯახის გაყრისას ყველაფერი თანაბრად ნაწილდებოდა, მშობლები ზედმეტ სამარხს იღებდნენ მხოლოდ“[232][..] იმავე ავტორის თანახმად, „მშობლებს წილის გაყოფისას სამარხი რჩებოდათ. დაუქორწინებელ შვილს საქორწილოს აძლევდნენ დამატებით. ქონება ძირითადად სულთა რაოდენობის მიხედვით იყოფოდა“.[233]

თ. აჩუგბას თქმით, აჭარაში მშობლების წილს ***„მოსამლელო და ასამწევრო“*** ეწოდებოდა, რაც ეთნოლოგ-მკვლევართა მიერ სანახ-სამარხის იდენტურადაა მიჩნეული. იმავე ავტორის თანახმად, „მამის გარდაცვალების შემდეგ ძმების გაყრა უფრო ადრინდელია, ვიდრე მამის სიცოცხლეში ოჯახის განაწილება. ამას უნდა მოყოლოდა ასამწევროს გაჩენა, რომელიც ღრმად მოხუცებული მშობლის სიცოცხლეში ოჯახის გაყრას უკავშირდება და შემდეგ – მოსამლელო წილის გამოყოფა, რაც, თავის მხრივ, ჯერ კიდევ ჭარმაგი მშობლების სიცოცხლეში შვილების გაყრასთანაა დაკავშირებული“.[234]

ხშირი იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც გაყრისას მოხუცი მშობლები თავისივე სურვილით აიღებდნენ ნაკლებ წილს ან, ზოგჯერ, საერთოდ უარს იტყოდნენ მასზე, რადგან ფიქრობდნენ, რომ თავიანთი შრომით კვლავ გარკვეულ წვლილს შეიტანდნენ იმ შვილის ოჯახში, რომელთანაც ისინი იცხოვრებდნენ. მაგრამ თუ გაყრისას მოხუცი მშობლები თავიანთ წილზე იმ მიზნით იტყოდნენ უარს, რომ შვილებს მეტი რგებოდათ, ასეთ შემთხვევაში, შვილები ვალდებულნი იყვნენ მშობლებისათვის ყოველწლიურად ***სარჩო*** ეძლიათ.

ოჯახის გაყრისას, ქონებასთან დაკავშირებით, გურიაში ხელმძღვანელობდნენ შემდეგი წესით: თუ ოჯახის გაყრა ხდებოდა მშობლების სიცოცხლეში, მაშინ წილი მშობლებსაც ერგებოდათ; ზოგჯერ, უფროს ძმას საუფროსო ეძლეოდა; ასეთ შემთხვევაში მთავარი ფიგურა იყო მამა. ოჯახის უფროსის დაუკითხავად არაფერი არ კეთდებოდა, მოწილეებს შორის ქონება თანაბრად ნაწილდებოდა „ქონებას მამა, უფროსი ძმა ან მედიატორე ანაწილებდა“.[235] მსგავსი წესით ხელმძღვანელობდნენ აჭარასა და სვანეთშიც.

გურიაში, ცალკეულ შემთხვევაში, მამა შვილების თანაბარ წილს იღებდა, ზოგჯერ ნახევარს, უფრო ხშირად კი წილის მესამედს.[236] მშობლებისათვის განკუთვნილი წილი გურიაში ***სარჩოდ*** იწოდებოდა. გ.

---

[231] ცეცხლაძე გ., გურიის მოსახლეობის საოჯახო ყოფა, თბილისი, მეცნიერება, 1991, გვ. 93.

[232] მერაბიშვილი ჯ., მასალები ფშავის ჩვეულებით სამართალზე, 1986, რვ., გვ. 28, მითითებულია ქართული ჩვეულებითი სამართალი, წიგნი IV, მეცნიერება, თბილისი, 1993, გვ. 159.

[233] იქვე, გვ. 162.

[234] აჩუგბა თ., ოჯახი და საოჯახო ყოფა აჭარაში, მეცნიერება, თბილისი, 1990, გვ. 107.

[235] ცეცხლაძე გ., გურიის მოსახლეობის საოჯახო ყოფა, მეცნიერება, თბილისი, 1991, გვ. 89.

[236] იქვე, 1991, გვ. 93.

ცეცხლაძეს „სარჩო“ მიაჩნია გამაერთიანებელ ტერმინად, „რადგანაც ის მშობლების სიცოცხლეში მათი საარსებო, ხოლო გარდაცვალების შემდეგ – დასამარხი საშუალება იყო“.[237]

ფშავში მოქმედი წესის თანახმად, თუ „მშობლები სიკვდილის წინ დაუბარებდნენ შვილებს, ვინც ჩვენ დაგვმარხავს და ხარჯებს გაიღებს, ჩვენი ქონება მას დარჩებაო. ასეთი, როგორც წესი, უმცროსი ძმა იყო“.[238]

მამის გარდაცვალებამდე ოჯახის გაყრის შემთხვევაში შვილები ღებულობდნენ თანაბარ წილს და თავ-თავისთვის იშენებდნენ სახლებს. მამასთან რჩებოდნენ ცოლი და ქალები. ოჯახის გაყრისას მშობლები იღებდნენ სამარხს. „შემდეგ უფროსი ძმა აიღებდა საუფროსოს (ცოტა მეტ წილს), დანარჩენი ქონება თანაბრად ნაწილდებოდა“,[239] ხშირ შემთხვევაში მშობელი უმცროს შვილთან რჩებოდა. ჯ. მერაბიშვილი ფშავსა და ქისტებში მოკვლეული მასალების საფუძველზე წერს, რომ იქ მოქმედი წესის თანახმადაც, „გაანაწილებდნენ ყველაფერს თანაბრად, მშობლები სამარხს იღებდნენ. რამდენადაც ვიცი, სამარხი დამატებითი წილი იყო. უფროს ძმას საუფროსოს აძლევდნენ“.[240]

აჭარაში მოკვლეული მასალების საფუძველზე, თ. აჩუგბა ყურადღებას ამახვილებს იმ წესზე, როდესაც „მშობლების გარდაცვალების შემდეგ შვილები საქონელს ყიდდნენ და აღებულ ფულს მშობლების დასაკრძალავად ხმარობდნენ, ხოლო მიწის ნაკვეთებს განაყარი ძმები ერთმანეთში იყოფდნენ, ან საზიაროდ იტოვებდნენ, ზოგჯერ კი იმ ძმას აკუთვნებდნენ, ვისთანაც მშობლები გაყრის შემდეგ ცხოვრობდნენ“.[241]

თ. აჩუგბას აჭარული დიდი ოჯახის სოლიდარობის დამადასტურებელად მიაჩნია ისიც, რომ „მას [მამას] არ ჰქონდა უფლება მეტი ან ნაკლები ქონება მიეცა რომელიმე შვილისათვის. ამავე დროს, მას არც რომელიმე მოწილის უწილოდ დატოვება შეეძლო, ე.ი. ქონების გაყოფაშიც ტრადიციულად თანასწორობის პრინციპი მოქმედებდა“.[242]

თუმცა ბ. ზოიძე საგანგებო ყურადღებას ამახვილებს იმ ცალკეულ შემთხვევებზეც, როდესაც ვაჟიშვილები ოჯახის გაყრისას არათანაბარ წილს იღებდნენ და „მშობლის ნება [...] ამ წესიდან გადახვევას გულისხმობს [...] მშობელს ზოგიერთი შვილისათვის მეტი მიუკუთვნებია, ზოგიერთისათვის კი – ნაკლები“.[243]

---

[237] ცეცხლაძე გ., გურიის მოსახლეობის საოჯახო ყოფა, მეცნიერება, თბილისი, მეცნიერება, 1991, გვ. 93.

[238] ჯალაბაძე დ., მასალები ფშავის ჩვეულებით სამართალზე, 1987, რვ., გვ. 13; მითითებულია ქართული ჩვეულებითი სამართალი, წიგნი IV, მეცნიერება, თბილისი, 1993, გვ. 163.

[239] მერაბიშვილი ჯ., მასალები ფშუარ და ქისტურ ჩვეულებით სამართალზე, 1987, რვ., 108, ციტირებულია: ქართული ჩვეულებითი სამართალი, წიგნი IV, თბილისი, 1993, გვ. 163.

[240] მერაბიშვილი ჯ., მასალები ფშუარ და ქისტურ ჩვეულებით სამართალზე, 1987, რვ., 108, ციტირებულია: ქართული ჩვეულებითი სამართალი, წიგნი IV, თბილისი, 1993, გვ. 161.

[241] აჩუგბა თ., ოჯახი და საოჯახო ყოფა აჭარაში, მეცნიერება, თბილისი, 1990, გვ. 107.

[242] იქვე, გვ. 102-103.

[243] ზოიძე ბ., ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი, უფლება, თბილისი, 2000, გვ. 44.

იმ შემთხვევაში, თუ მშობლები თავისი კუთვნილი წილითა და სამარხით რომელიმე შვილთან მივიდოდნენ მასთან სამუდამოდ ცხოვრების სურვილით, ასეთ შემთხვევაში ამ შვილს ევალებოდა როგორც მათი მოვლა-პატრონობა, ისე თავისი ხარჯით მათი დამარხვა. სხვა შვილებს არავითარი მოვალეობა არ ეკისრებოდათ. თუ თავიანთი წილის მიღებაზე მშობლები უარს იტყოდნენ, მხოლოდ სამარხის გამოყოფას დაჯერდებოდნენ და რომელიმე შვილთან ცხოვრებას გადწყვეტდნენ, მაშინ მათ შენახვაში ყველა შვილი მონაწილეობდა, ხოლო სამარხის გაღება იმ შვილს ევალებოდა, რომელთანაც მშობლები იმყოფებოდნენ.

განჩინება ამსარქისანთ მამუკოას შვილების გაყრის საქმეზე 1729 წ. ივლისის დამდეგს

და ქინამ არც სახლი ინდომა, არც ვალი. ვალიცა და დედაცა სიოფმა იკისრა. დანელსა და ქინას დედასთან ხელი არა აქს; სამარხი სიოფმა უნდა მისცეს.[244]

მშობლების წილთან მიმართებით საინტერესო პარალელის გავლება შეიძლება ცენტრალური კავკასიის მკვიდრ ხალხთა ჩვეულებით სამართალთან. დიდ პატრიარქალურ ოჯახში ერთადერთი სრულუფლებიანი მესაკუთრე იყო ოჯახის სათავეში მყოფი მამა. ი. ხარუზინის თქმით, „აქაც [ჩეჩნეთ-ინგუშეთი] ოჯახის უფროსს დიდი უფლებები ჰქონდა, მაგრამ, როგორც ფშავში, შეზღუდული, რადგან, თუ ოჯახის რომელიმე მამაკაცი წევრი უარზე იყო გაეყიდათ ქონება, ოჯახის უფროსს ან უარი უნდა ეთქვა ამაზე, ანდა ოჯახის გაყოფა უნდა დაეშვა. ოჯახის უფროსი მხოლოდ ოჯახის გაყოფის შიშით იყო შეზღუდული“.[245]

ვ. ითონიშვილის თანახმად, კავკასიის მკვიდრ ხალხებში სოფლის ყრილობა ჩვეულებითი სიმართლის ნორმების[246] გამოყენებით წყვეტდა ისეთ საკითხსაც, როგორიც იყო ოჯახის გაყრა, რომელიც, ჩვეულებრივ, მშობლების გარდაცვალების შემდეგ ხდებოდა. ასე რომ, „ბუნებრივია, რომ მშობლები თავისთავად გამორიცხულნი იყვნენ მონაწილეთა რიგებიდან, რამდენადაც ოჯახის გაყოფა მხოლოდ მათი გარდაცვალების შემდეგ ითვლებოდა კანონზომიერ მოვლენად“.[247]

ამგვარად, ჩვენ მიერ განხილული მასალიდან აშკარად იკვეთება ის, რომ მამის სიცოცხლეში გაყრისას ქონებას ყოფდა მამა, შესაბამისად, ერთ-ერთ მოწილე ანუ გაყრის სუბიექტები იყვნენ

---

[244] ქართული სამართლის ძეგლები, სასამართლო განჩინებანი, (XVI-XVIII სს.), ტ. IV, (ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1972, გვ. 321-323.

[245] Харузин И. Н., Заметки о юридическом быте Чеченцев и Ингушей. Сборник материалов по Этнографии, вып. Ш. 1888, ст. 122; მითითებულია ქართული ჩვეულებითი სამართალი, წიგნი IV, მეცნიერება, თბილისი, 1993, გვ. 108-109.

[246] ითონიშვილი ვ., ცენტრალური კავკასიელების საოჯახო ყოფა, თბილისი, 1969, გვ. 100-101.

[247] იქვე.

მშობლებიც. საოჯახო ქონების განაწილების დროს მშობლების წილი ცალკე გამოიყოფოდა.

ოჯახის გაყრისას მშობლების წილთან მიმართებით მსგავსი წესით ხელმძღვანელობდნენ როგორც ლოკალურ (საქართველო), ისე რეგიონალურ დონეზე (ცენტრალური კავკასია); ასევე ისიც, რომ ეს წესი მნიშვნელოვნად შეესაბამებოდა რომაულ სამართლში მოქმედ წესსაც.

V. 2. ქვრივი ქალი, როგორც მოწილე სუბიექტი ოჯახის გაყრის დროს

ჩვეულებითი სამართლის თანახმად, ოჯახში ქონება სულადობის მიხედვით ნაწილდებოდა. მაგრამ დაქვრივებულ დედას არა მარტო ვაჟიშვილებისა და შვილიშვილების, არამედ, გვერდითი ნათესავების არსებობის შემთხვევაშიც მხოლოდ სამკვიდროს სარგებლობის უფლება ჰქონდა.

ვახტანგ VI-ის თანახმად, ქმრის წილი ქონებიდან ქვრივს მხოლოდ ერთი მესამედი ეძლეოდა, მაგრამ მამულიდან წილი არ ეძლეოდა.

231. და თუ რამ თავის ქმრის კერძი საქონელი და სულადი არის, მისი მესამედი სამკუიდროდ გაყუეს იმ დედაკაცსა, მამულს გარდა.[248]

ოჯახის გაყრის დროს, საოჯახო ქონებიდან ქვრივი ქალისათვის მისაცემ წილთან მიმართებით ითვალისწინებდნენ რამდენიმე ფაქტორს: ფშავსა და ქისტებში, ჩვეულების მიხედვით, თუ ქალს შვილი ჰყავდა, მას ოჯახის წევრთა შეთანხმებით ქონების ორი წილი ეძლეოდა; ქონების გაყოფის დროს, „შეიძლებოდა მასში საბჭოს კაცებიც ჩაერიათ“.[249]

კანონის თანახმადაც, თუ ქვრივს შვილები ჰყავდა, მაშინ ბექა-აღბუღას სამართლის მიხედვით:

81. *შვილოსანი დაქვრივდეს, აბჯარი შვილთა მართებს, სასაქონლო – დიაცსა, სადა გინდა იყოს, ანუ ქმარი შეირთოს, ანუ თავისწინა სადმე იყოს.*
სამამულეცა ასრე, რომე ნუცა რას გაუყიდის, ნუცა რას გაუცემს.[250]

---

[248] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებული (ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1963, გვ. 541.

[249] ჯალაბაძე დ., მასალები ფშაურ და ქისტურ ჩვეულებით სამართალზე, რვ., 87, მითითებულია ქართული ჩვეულებითი სამართალი, წიგნი IV, მეცნიერება, თბილისი, 1993, გვ. 161.

[250] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებული (ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1963, გვ. 457.

თუ ქვრივი ქალი ხელმეორე ქორწინებაზე უარს იტყოდა და ერთადერთი შვილის გარდაცვალების შემთხვევაშიც ქმრის ოჯახში დარჩებოდა, მას ისეთივე პატივით უნდა მოპყრობოდნენ, როგორც ქმრის სიცოცხლეში.

231. ქ. *ვის შვილი დარჩეს, მას უკან მოკუიდეს, დედაკაცი დარჩეს უშვილოდ, თუ სახლში დადგების, რადგან ქმარი და შვილი იქ მოკვდომია, ისრევ თავის პატივით იყოს.*[251]

თუ ქვრივი მეორედ გათხოვდებოდა, გარდაცვლილი ქმრის ოჯახში წილზე ყოველგვარ უფლებას კარგავდა; მაგრამ ეს წესი არ ვრცელდებოდა მის პირად ქონებაზე: მზითევი მას სრულად ეძლეოდა, რადგან მისი პირადი ქონების განკარგვის უფლება სხვას არავის ჰქონდა:

261. *ქმარი რომ კიდეც მოუკუდეს და სხვა შეირთოს. თავის მზითვით ნასყიდი თან გაყუების, რომე მის მეპატრონეს ჴელი არა აქუს.*[252]

თუ უშვილო ქვრივი ქალი ხელმეორედ გათხოვდებოდა, მაშინ

განჩინება ამსარქისანთ მამუკოას შვილების გაყრის საქმეზე 1729 წ. ივლისის დამდეგს

ქ. ამ სიგელში რომ დანელას წილი სახლი სწერია, რადგან დანელას შვილი კაკლოა უძეოდ ამოვარდა და ამისმა მეუღლემ სხვა ქმარი შეირთო [თავის ქმრის] კაკლოას დისწული არუთინას მიეცა, რადგან თავის დედის მზითვისა იყო, ისევ ამ არუთინას მიეცა. სხვას არავის თავის ჴელი არა აქვს ამ სახლთან. [253]

თუ ქვრივი ქალი ოჯახს დატოვებდა, მშობლების ოჯახში დაბრუნდებოდა ან მონაზვნად აღიკვეცებოდა, მაშინ მას ქონება წილის სახით არ ეძლეოდა. ვახტანგ VI-ის სამართლის თანახმად, იგი

„სახლიდან საკაცოს საქონელს ვერ წაიღებს“.[254]

თუ ქვრივი ქალი უშვილო იყო ან თუ ქმარს მიატოვებდა მაშინ კანონის თანახმად, საკუთარი ქონება მზითევის სახით, რომელიც

---

[251] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებული (ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1963, გვ. 540-541.

[252] იქვე, გვ. 549.

[253] ქართული სამართლის ძეგლები, სასამართლო განჩინებანი, (XVI-XVIII სს.), ტ. IV, (ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1972, გვ. 321-323.

[254] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებული (ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1963, გვ. 541.

ოჯახის ყველა წევრის საერთო სარგებლობაში იყო, უკლებლივ უბრუნდებოდა მას. ვახტანგ VI-ის სამართლით:

81. *დიაცსა თუ ღმერთი შერისხდეს და შვილი არა ედგას, მისი ზითევი თანა გაყვეს დაუკლებად.*
84. *თუ რამ თავისი ზითევი გაეტანოს, ქმარყოფილი იმას ნუღარ სთხოვს.*
[...]
აგრეთვე, თუ რამ სამამულე ზითევი დარჩომოდეს, მისი არის.[255]

ფშავში არსებული ტრადიციის მიხედვით, თუ ქალს ვაჟიშვილი არ ეყოლებოდა, დაქვრივების შემთხვევაში მას „ოჯახიდან უწილოდ უშვებდნენ“.[256]

იყო შემთხვევები, როდესაც ქვრივ ქალს ქონების განკარგვას იმ მიზეზით ედავებოდენენ, რომ მას ვაჟიშვილი არ ჰყავდა. მოვიხმობთ გაყრის ერთ-ერთ საბუთს, რომლის თანახმად ირკვევა: გარდაცვლილ კაცს დარჩა ცოლი და ქალიშვილი. გარდაცვლილი ქმრის ნათესავები ქვრივს წილს ედავებოდნენ იმ მოტივით, რომ ოჯახში ვაჟიშვილი არ იყო, ქალიშვილი გათხოვდებოდა და ქმრის ოჯახში წავიდოდა; აქედან გამომდინარე, მათ ქვრივს მოძრავი ქონების განკარგვა არ დაანებეს. აი, რას ვკითხულობთ ამ საბუთში.

განჩინება ვახტანგ VI-ისა ფარსადან ციციშვილისა და მისი რძლის საქონლის გაყოფის საქმეზე 1716-1724 წწ.

ქ. ბრძანებითა მისითა ასრე იქნა: ქვემო ციციsVიი ფარსად[ა]ნ [და] მისი ძმისწული იასე და ვახტანგ თავის [რ]ძლის პაპუნას ცოლყოფილი, პაპუნას საქონელზე ელაპარაკებოდენ. და ნუსხა მოგვართვეს, რომე ამდენი ჩემის ძმის საქონელი დაგრჩაო, ჩვენ უნდა მოგვცესო.
ჩვენ რომე გავშინჯეთ, პაპუნას თუ რამ ჰქონოდა, ბატონის სამსახურზედ და გარეთ სხვას ალაგს ეშოვნა, რომე თავის მამულისა და ალაგისა არა ჰქონებოდა რა.
და რადგან ქალიც დარჩომოდა ან ქალსა და ან იმის სამკვდროზედ რომე არ მოხმაროდა და არ დახარჯულიყო, მართებული არ იყო.
ამ საქოლნისაგან ქალს – ზითევი და იმის ცოლს – სამკდრო და სარცო და პაპუნას სამარხს – ამ[ა]ებს რომე გამოვედით, ძირს მაგოდნი აღარა დარჩა რა. და ზოგიერთი პაპუნ[ა]ს სიკვდილზედ მის ძმებაც წ[ა]ედოთ.
ახლა კიდევ ამ საკაცოს იარაღისაგან რაც რომე ძირს დარჩომილა, უნდა მიეცეს: დაფერული ხანჯალი, ჩახმახის თოფი, ცხენი, კარავი, კიდევ პატარა კარავი, საბაზიეროს კარაბადინი, ქარგადნის ფარი,

[255] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებული (ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1963, გვ. 502.
[256] მერაბიშვილი ჯ., ივანე ცისკარიშვილის ცნობები თუშთა ჩვეულებით სამართალზე, მითითებულია ქართული ჩვეულებითი სამართალი, წიგნი I, მეცნიერება, თბილისი, 1988, გვ. 44.

ტაბლი, კიდევ ჩახმახის თოფი, ვერხცლის ხანჯლის ქარქაში, მოჭედილი კულა და კულის ძაბრი, სათლი.
რაც თეთრის თამასუქები იყოს – ესე[ე]ბი თავისმან უნდომ[მ]ა რძალმან ფარსადანს და მის ძმისწულებს მოსცეს. სხვა რიგად ამ საქმეზედ და საქონელზედ სალაპარაკო არა აქ[ვ]ს რა.
რაგინდა რა თავისის რძლისა რომე წ[ა]ეროთ, იმაზედაც თავის რძალი ელაპარაკებოდა, მაგრამ ესეც ჩაგვიტარებია, ერთმანერთთ]ან ხელი არა აქვთ.
ხელრთვა: ვახტანგ.[257]

ბ. ზოიძე ყურადღებას ამახვილებს ქვრივი ქალის წილზე – ***სასაპყროზე***, რომელზეც საუბარია ძეგლის დადების მე-18 მუხლში. კანონის თანახმად, „ქმრის მკვლელობის შემთხვევაში თუ ცოლი არ გათხოვდება, ღებულობს სისხლისაგან სასაპყროს – „მის მოკლული კაცის სისხლისაგან სასაპყრო მიეცეს ძალისა მსგავსად“.[258]

მოგვიანებით, ინდივიდუალური ტიპის ოჯახის გაყრისა და საოჯახო ქონების განაწილების დროს მამაკაცის მსგავსად, ქვრივი ქალიც იგივე უფლებებით სარგებლობდა. გ. ცეცხლაძის მიერ მოკვლეული მასალის საფუძველზე დასტურდება, რომ გურიაში „მას [ქვრივს] ქონების განაწილების უფლებაც ჰქონდა, რაც მხოლოდ ინდივიდუალურ ოჯახში იყო შესაძლებელი. დედა, ძირითადად, უმცროს ვაჟთან რჩებოდა საცხოვრებლად და წილად მასაც სარჩო ეძლეოდა. იშვიათ შემთხვევაში, იგი ცალკე ცხოვრებას მოითხოვდა“.[259]

ვ. ითონიშვილს მითითებული აქვს ის წესი, რომლის თანახმადაც მოქმედებდნენ კავკასიის ხალხები ქვირვთან მიმართებით. ზოგჯერ, ოჯახის გაყრის მომენტში თუ მოწილე გარდაცვლილი იყო, მისთვის განკუთვნილი წილის მიღების უფლება ენიჭებოდათ მის მემკვიდრეებს ვაჟიშვილის სახით. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ ჰქონდა შვილების ასაკს. „ობლების დედას წილი სრული სახით ბარდებოდა და ეს ქონება მისი ვაჟების ხელშეუხებელ ქონებას წარმოადგენდა, რომლის თანაბრად განაწილება მათ შეეძლოთ ცალ-ცალკე დაბინავების დროს. მთხრობელებმა ისიც აღნიშნეს, რომ მოწილეები ან მოწილეებთან ამ საკითხზე შეთანხმებული შუაკაცები [...] ქვრივს ყველაზე დიდ წილსაც კი აკუთვნებდნენ, ვინაიდან მას კისერზე აწვებოდა ობლების აღზრდის მძიმე მოვალეობა“.[260]

ცენტრალური კავკასიის მკვიდრ ხალხებში სულ სხვანაირად დგებოდა საკითხი მაშინ, როდესაც მოწილის ქვრივს მხოლოდ ქალიშვილები ჰყავდა. ჩვეულების მიხედვით, „უშვილო ან მხოლოდ ქალიშვილების პატრონ ქვრივს ქმრისთვის წლისთავის გადახდამდე შეეძლო თავის განკარგულებაში ჰქონოდა ქმრის კუთვნილი ქონება.

---

[257] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს., (ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ), მეცნიერება, თბილისი, 1972, გვ. 303.

[258] ზოიძე ბ., ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი, უფლება, თბილისი, 2000, გვ. 248.

[259] ცეცხლაძე გ., გურიის მოსახლეობის საოჯახო ყოფა, მეცნიერება, თბილისი, 1991, გვ. 94.

[260] ითონიშვილი ვ., ცენტრალური კავკასიელების საოჯახო ყოფა, თბილისი, 1969, გვ. 292-293.

ერთი წლის შემდეგ ეს ქონება გადადიოდა გარდაცვლილის ბიძაშვილების ხელში, რომლებთანაც ქვრივი საცხოვრებლად დარჩებოდა. თუ ქვრივი მათთან ცხოვრებას არ მოისურვებდა, მის გასათხოვარ ქალებს ბიძაშვილები თავისთან ამყოფებდნენ, ხოლო ცალკე ცხოვრების მსურველ ქვრივს სარჩოდ გამოუყოფდნენ უმნიშვნელო ქონებას".[261]

გარდა ამისა, ოჯახიდან ქვრივის ცალკე გამოყოფის საკითხი მისივე ინიციატივით შეიძლებოდა დასმულიყო ოჯახის გაყრამდეც. ასეთ ვითარებაშიც მას ეძლეოდა სარჩო საქონლისა და ფულის სახით, ხოლო შედარებით იშვიათად მიწის ნაკვეთიც. მ. კოვალევსკის ცნობით, „ქვრივის გარდაცვალების შემდეგ მის სახელზე არსებული ქონება კვლავ მოწილე მამაკაცების ხელში გადადიოდა. [...] ამავე ავტორის ცნობით, გაუყრელ ოჯახში დარჩენის შემთხვევაში ქვრივი ისეთსავე მდგომარეობას ინარჩუნებდა, როგორიც ჰქონდა მას ქმრის გარდაცვალებამდე. მაგალითად, დაქვრივებამდე რომ ის დიასახლისი ყოფილიყო, დაქვრივების შემდეგაც მის საპატიო მოვალეობად მოვალეობად რჩებოდა ისევ დიასახლისობა".[262]

საყურადღებოა აღინიშნოს ისიც, რომ ოსური ადათი „უძეო ქვრივს უფლებას აძლევდა ეფიქრა თავის მომავალზე. გარდაცვლილი ქმრის ნათესავებთან წინასწარი შეთანხმების შემდეგ, თუ ის სხვა კაცთან იყოლიებდა ვაჟს და მას ქმრის გვარს მიაკუთვნებდა, ქვრივი მოწილის უფლებას იძენდა, ისევე როგორც მემკვიდრედ შეიძლებოდა ჩაეთვალათ ქვრივის ქალიშვილის ის ვაჟი, რომელიც დაიბადებოდა ქვრივის ოჯახში, ოღონდ იმ პირობით, თუ ქვრივის ქალიშვილისათვის ქმრის მოყვანის უფლება საზოგადოებსათან შეთანხმებული იქნებოდა".[263]

ჩეჩნეთსა და ინგუშეთში მოქმედი წესის თანახმად, რადგან დედას და ქალებს წილი არ ეძლეოდათ, ხშირად მოწილე ვაჟს, რომელთანაც დედა და დები ძმების თანხმობით რჩებოდნენ, სხვა მოწილეებზე მეტ ქონებას აძლევდნენ.[264] სამაგიეროდ, დედას უფლება ჰქონდა ამოერჩია ძროხა და მიეყვანა იმ შვილთან, ვისთანაც ცხოვრება გადაეწყვიტა. გაყრის შემდეგაც ძმებს ევალებოდათ დებზე მზრუნველობა. „ქალი თუ გათხოვდებოდა ან გათხოვების ჟამს გარდაიცვლებოდა, მისი დასაფლავება ხდებოდა ძმების საერთო ხარჯით. დედის გარდაცვალების შემთხვევაშიც ხარჯს ეწეოდა ყველა შვილი და არა მარტო ის, რომელთანაც დედა სიკვდილამდე იმყოფებოდა".[265]

ამგვარად, განხილული მასალის საფუძველზე ნათლად გამოიკვეთა შემდეგი ფაქტი: როგორც საქართველოში, ისე ცენტრალური კავკასიის მკვიდრ ხალხებში (მცირედი სხვაობის მიუხედავად), ადათის თანახმად

---

[261] Леонтиевич Ф., Адаты Кавказских горцев, II, Одесса, 1883, ст.6; მითითებულია ითონიშვილი ვ., ცენტრალური კავკასიელების საოჯახო ყოფა, თბილისი, 1969, გვ. 292-293.

[262] იქვე, გვ. 293.

[263] იქვე.

[264] Харузин Н., Заметки о Юридическом быте чеченцев и ингушей, СМЭ, Москва, 1888, III, с.. 125 მითითებულია ითონიშვილი ვ., ცენტრალური კავკასიელების საოჯახო ყოფა, თბ.ილისი, 1969, გვ. 112.

[265] Харузин Н., Заметки о Юридическом быте чеченцев и ингушей, СМЭ, Москва, 1888, III, с.. 125 მითითებულია ითონიშვილი ვ., ცენტრალური კავკასიელების საოჯახო ყოფა, თბილისი, 1969, გვ. 112.

ქვრივ ქალს უწილოდ არ ტოვებდნენ, თუმცა მისთვის მისაცემ წილთან მიმართებით რამდენიმე არსებით ფაქტორს ითვალისწინებდნენ.

V. 3. ვაჟიშვილები, როგორც მოწილე სუბიექტები ოჯახის გაყრის დროს

მართალია, ოჯახის ინსტიტუტმა განვითარების დიდი გზა განვლო, მაგრამ მაინც პატრიარქალური ურთიერთობის პრინციპს ინარჩუნებდა; რადგან საოჯახო ქონების მოწილეებად, უპირატესად, ვაჟიშვილები მიიჩნეოდნენ. გვიანდელი ეპოქისათვის დამახასიათებელ მოვლენათა თანახმად, ოჯახის გაყრისას ქონების წილს იღებდა ყველა ძმა, ვისაც კი რაიმე წვლილი ჰქონდა შეტანილი საერთო საოჯახო დოვლათის შექმნაში. ასეთი უფლების მქონე პირს ***მოწილე*** ეწოდებოდა.

ზოგადი წესის თანახმად, ოჯახის გაყრისას ითვალისწინებდნენ ოჯახის წევრ მამაკაცთა რაოდენობას, რადგან გაყრისას ქონების გაყოფა უნდა მომხდარიყო იმდენ თანაბარ წილად, ოჯახის რამდენ მამაკაცსაც ჰქონდა წილის მიღების უფლება. ეს წესი მოქმედებდა საქართველოს ყველა კუთხეში.

მოწილე ძმებისათვის განსხვავებული წილის მიცემაც იცოდნენ. ამან შესაბამისი ასახვა ჰპოვა კანონებში. „ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნმა [...] დააკანონა საუფროსოს, საშუალოს და საუმცროსოს ინსტიტუტიტები“.[266] ძმების წილის აღმნიშვნელი ძირითადი ტერმინები მოცემულია ვახტანგ VI-ის სამართლის მე-100 მუხლში: „გაყრაში ეს ოთხი არის: საუფროსო, გასამყრელო, საუმცროსო და საშუალო“;[267]

ქიზიყის ეთნოგრაფიული მასალების შესწავლის საფუძველზე დ. ბოსტოღანაშვილი წერს, რომ [ქიზიყში] „ოჯახის გაყრისას სისხლისმიერი პრინციპი ვრცელდებოდა მხოლოდ მამაპაპეულ ქონებაზე, ხოლო შეძენილი ქონება ნაწილდებოდა ოჯახის წევრების მიერ, საერთო შრომაში მიღებული მონაწილეობის მიხედვით“.[268]

გ. ცეცხლაძის თანახმად, გურიაში „ნათესაური ურთიერთობების ხაზით მრავალრიცხოვან ოჯახში მოწილეები იყვნენ ძმები, ზოგჯერ მშობლებიც“.[269] ქონების გაყოფისას მამა ადათით დადგენილ წესს ემორჩილებოდა; „მამას არ ჰქონდა რომელიმე ვაჟიშვილის უწილოდ დატოვების უფლება“.[270] ამ წესიდან ზოგიერთ გამონაკლის შემთხვევას ქვემოთ აღვნიშნავთ.

ოჯახის გაყრის ხასიათი ასევე დამოკიდებული იყო მის სულად შემადგენლობაზე. „ქართული ტერმინებით – ***გაუყრელი ძმები*** და ***ერთსახლი ძმები*** – მოიაზრებოდა როგორც დიდი ოჯახისადმი პირთა

---

[266] დოლიძე ი., საქართველოს ჩვეულებითი სჯული, თბილისი, 1960, გვ. 117.

[267] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებული (ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1963, გვ. 507.

[268] ბოსტოღანაშვილი დ., ოჯახის გაყრის წესები აღმოსავლეთ საქართველოში, ჟურ. „სამართალი“, №1-2, 1998, გვ. 77.

[269] ცეცხლაძე გ., გურიის მოსახლეობის საოჯახო ყოფა, მეცნიერება, თბილისი, 1991, გვ. 89.

[270] იქვე.

ნათესაური კუთვნილება, ასევე, გაყოფის დროს მათი ქონებრივი უფლებები წილთან მიმართებით“.[271]

ფშავში, ჯ. მერაბიშვილის თანახმად, „როგორც ინფორმატორები ერთხმად აღიარებენ, გაყოფისას მოქმედებს ქონების თანაბარად განაწილების ზოგადი პრინციპი. მიუხედავად ამისა, ფშაური საოჯახო სამართალი იცნობს, აგრეთვე, გარკვეულ შედავათებსა და გამონაკლისებს ამ პრინციპიდან“.[272]

ჯ. მერაბიშვილი ასევე დასძენს, რომ მის მიერ მოკვლეულ ინფორმაციებში იგი ხვდება ცნობებს „იმ ქონებრივი ხასიათის უფლებებზე, რაც ოჯახის თითოეულ წევრს ენიჭება გაყრის დროს. თუმცა [...] ეს ცნობები ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს. ეს განსაკუთრებით ითქმის ქალისა და ბავშვის, აგრეთვე მშობლების უფლებრივ მდგომარეობაზე, რომლებიც, ზოგიერთი ცნობით, გათანაბრებულნი არიან სხვა წევრებთან, სხვა ცნობებით კი მათ ან სულ არ ეძლევათ ქონების წილი, ან ეძლევათ იგი განსაკუთრებული რაოდენობით“.[273]

დ. ჯალაბაძის თანახმად, ფშავებსა და ქისტებში მოქმედი წესის თანახმად, „ძმების გაყოფის შემთხვევაში მშობლებს ეძლეოდათ სამარხი, ქალს კი სათავნო, ძმებს შორის კი მხოლოდ ამის შემდეგ მოხდებოდა ქონების გაყოფა“.[274]

გაყრილობის წიგნი ნასყიდასი, ბაღდასარასი და ჯანუასი 1672წ. 8 მარტი

ქ. ნებითა, შეწევნითა და მდთის უწინ ღმთის თავდებობითა და პირობითა და შუამდგომლობითა და წმინდის ზეცის ძალთა თავარანგელოზთა მიქელ გაბრიელისათა მათის პირობითა და თავდებობითა და წმინდის მახატის მასატებისა და წმიდის გიორგისა და რაც რომე სინაქუსარში სწერიან მათის თავდებობითა და პირობითა ეს გაყრილობის წიგნი მოგეც მე, ნასყიდამა და ბაღდასარამა შენ, ჩუენს უფროს[ს] ძმას ჯანუასა ასე და ამა პირსა ზედა, რომე:
ძმათ ვიყავით, გავიყარნეთ. აწე რაც მამის ჩუენის მამულის, სახლის, კარის ჩუენი კერძი და წილი სრულ ყუელა თქუენზედ მოგყიდეთ და ავიღეთ ფასი, რითაც ჩუენი გული შეჯირდებოდა და ღმრთით ასრე გებედნიერის, როგორც თქუენი გული გინდოდეს.
გათავდა, გავიყარენით, ჩუენში აღარა დარჩა რა არას ფერისა სადავო და საყარყაშო ძმობის მეტი.

---

[271] Харадзе Р., Грузинская семейная община, т.I, Тбилиси, изд-во Советский писатель Грузии, , Заря Востока, 1961, с. 43.

[272] მერაბიშვილი ჯ., მასალები ფშავის ჩვეულებით სამართალზე, 1987, რვ; გვ.7-11; მითითებულია ქართული ჩვეულებითი სამართალი, წიგნი IV, მეცნიერება, თბილისი, 1993, გვ. 162.

[273] იქვე.

[274] ჯალაბაძე დ., მასალები ფშაურ და ქისტურ ჩვეულებითი სამართალზე, რვ. გვ. 30. ციტირებულია: ქართული ჩველებითი სამართალი, თბილისი, მეცნიერება, 1993, გვ. 163.

და თუ რამ სახლის კეთილი იყო ან სპილეძეური და ან სხუა რამე, ყუელა შუაჩი გავხყავით. დღეს იქით არც ჩუენ თქუენთან ჴელი ქონდეთ და არც ჩუენი შვილები თქუენს შვილებსა.[275]
და ამას უკან რომ კაცმან ერთმანერთსა მეორეთ შილთახი უყოს, უწინ მღთის შემცოდე იყოს, მერმე ყოვლის წმიდისა ზეცისა და ქუეყანისა და მისი სულიმც ნუ იხსნების იუდას სახერითა და კაენისა. ამინ და ამინ.
არის ამის მოწამე თავად ღმერთი და მისნი წმინდანი და ხორციელნი და უხურცონი; კაცთაგან: მელიქი ავთანდილ. ბეჭედი მელიქი ავთანდილ და მამასახლისი გიორგი. ბეჭედი: მამასახლისი გიორგი და იავანგულთა გარსუა და ოსინა და ყარყაშა, პაპუა და მელიქანთ ვართან. და მე, ოჰანას დამიწერია და მოწამეცა ვარ.
დაიწერა ქორონიკონსა ***ტნი****, მარტის ᲑᲒ. † †*[276]

გარდა ჩვენ მიერ ზემოხსენებული ტერმინებისა, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ძმების წილის აღსანიშნავად ასევე გამოიყენებოდა შემდეგი ტერმინები: ***სასაშუალო, საგამძღოლო, საქორწინო, საემეგო საუხუცესო, სადიდო, საუარესო***. სვანეთში მას ნამხოშიერს უწოდებენ, აჭარაში კი ოჯახის გაყოფის დროს, საოჯახო თემის უფროსისათვის საძმო წილს ზევით მიცემულ ასეთ დანამატ ქონებას ***საემეგოს*** ანუ ***საუმფროსოს*** უწოდებდნენ.[277]

თ. აჩუგბას ვარაუდით, „ჯერ უნდა გაჩენილიყო საემეგო, რადგან იგი მხოლოდ ძმებში ერთ-ერთ მოწილე ძმას ოჯახის გაძღოლისათვის ეძლეოდა“.[278]

ოჯახის უფროსისათვის დამატებითი ქონების მიცემა საქართველოს სხვა კუთხეებისათვისაც (მესხეთი, ქართლი, კახეთი, თუშეთი, რაჭა, გურია) იყო ნიშანდობლივი და აქაც ***საუფროსოს*** სახელწოდებით იყო ცნობილი. ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში ოჯახის უფროსისათვის გამოყოფილი დამატებითი წილის აღმნიშვნელად სხვა ტერმინებიც გვხვდება. ესენია იმერეთში – ***საუხუცესო***, სვანეთში – **ნამხოშიერ**. სვანური ნამხოშიერი ანუ საუფროსოს წილი თავად ძმების მიერ განისაზღვრებოდა.[279]

ზოგ საოჯახო თემში დამატებითი წილის სახით გამოიყოფოდა არა მარტო საუფროსო, არამედ მმართველობისათვის კუთვნილი დამატებითი წილიც. ამ შემთხვევაში ტერმინ საუფროსოს ნაცვლად გამოიყენებოდა ტერმინი ***საგამძღოლო***, რაც შედარებით გვიანი პერიოდის წარმონაქმნია. კერძოდ, იმერეთში ოჯახის უფროსი ძმისათვის გამოყოფილ დამატებით ქონებას ***საგამძღოლოს*** უწოდებდნენ. უფროსი ძმისათვის საუფროსო წილის გამოყოფის ტრადიცია შუა საუკუნეების ქართული სამართლის ძეგლებშიც დასტურდება და იგი **საუხუცესოს** სახელწოდებითაა

[275] ქართული სამართლის ძეგლები, სასამართლო განჩინებანი, (XVI-XVIII სს.), ტ. IV, (ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1972, გვ.127-128.
[276] იქვე.
[277] აჩუგბა თ., ოჯახი და საოჯახო ყოფა აჭარაში, მეცნიერება, თბილისი, 1990, გვ. 105.
[278] იქვე.
[279] იქვე.

ცნობილი. მაგალითად, ბაგრატ კურაპალატის სამართლის 155-ე მუხლი გვაუწყებს:

*თუ გლეხნი გაიყარნენ, უხუცესსა ძმასა ანუ თავის სახლი [თავნი] სახლი ანუ ერთი ვენაჯი, ანუ უფროსნი ჭურნი **საუხუცესოდ** სხვად შუა გაიყონ.*[280]

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, „***საუფროსო*** დიდი ოჯახის განვითარების გვიანდელ ეტაპზე, კერძოდ კი, საოჯახო თემის განვითარების იმ საფეხურზე უნდა იყოს გაჩენილი, როდესაც მის შიგნით ფეხს იკიდებდა შრომითი კოოპერაციის ნორმები, რაც საერთო-საოჯახო საკუთრების სფეროში კერძო მესაკუთრულ ელემენტებს ნერგავდა“.[281]

იმავე ავტორის თქმით, „უფროსისთვის გამოყოფილ წილს გურიაში ***საუფროსოს/საუმფროსოს*** უწოდებდნენ“.[282]

გურიის სამთავროს საბუთებში ასევე ჩანს, რომ თავადის სახლის ქონების გაყოფის დროსაც საუფროსოს ცალკე გამოყოფდნენ.[283] იმ შემთხვევაში, თუ „უფროსი ძმა უშვილო იყო, მაშინ, კანონის თანახმად, საუფროსო მის მომდევნო ძმას ეძლეოდა“.[284]

108. *თუ უფროსი ძმა უშვილოდ ამოვარდა, საუფროსო მისი შედეგისა არის; და თუ შვილი დარჩა, შვილისა არის. აგრეეგ, თუ უმცროსი ამოვარდა და შვილი არ დარჩა, საუმცროსო სხვა ძმისა არის.*[285]

ეთნოგრაფიული მასალა იმასაც მოწმობს, რომ საუფროსოს გამოყოფა იცოდნენ „მხოლოდ უფროსი ძმისთვის და არა საერთოდ ოჯახის უფროსისთვის“.[286] თუმცა გურიაში საუფროსო ყველა უფროს ძმას როდი ეძლეოდა, „მას მხოლოდ იმას გამოუყოფდნენ, ვისაც რაიმე განსაკუთრებული შრომითი ან მატერიალური წვლილი ჰქონდა ოჯახში“.[287]

ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ, მართალია, გურიაში საუფროსოს მიცემის წესი ეთნოგრაფიული მასალით დასტურდება, მაგრამ ოჯახის გაყრისა და ქონების განაწილების დროს XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე შედგენილ საბუთებში, საუფროსო იშვიათად არის მოხსენიებული. გ. ცეცხლაძეს თქმით, ამის მიზეზად „ის უნდა მივიჩნიოთ, რომ საუფროსოს ყველა ოჯახი არ გამოჰყოფდა და თუ გამოჰყოფდა, დანარჩენ ქონებას მხოლოდ ამის შემდეგ გაანაწილებდნენ.

---

[280] აჩუგბა თ., ოჯახი და საოჯახო ყოფა აჭარაში, მეცნიერება, თბილისი, 1990, გვ. 105.
[281] ცეცხლაძე გ., გურიის მოსახლეობის საოჯახო ყოფა, მეცნიერება, თბილისი, 1991, გვ. 95.
[282] იქვე.
[283] იქვე.
[284] იქვე.
[285] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებული (ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1963, გვ. 510.
[286] ცეცხლაძე გ., გურიის მოსახლეობის საოჯახო ყოფა, მეცნიერება, თბილისი, 1991, გვ. 95.
[287] იქვე.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ თუ ქონებას მამა ანაწილებდა, ეს საბუთები ზოგჯერ არც იწერებოდა“.[288]

როგორც ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე ირკვევა, საუფროსოს გამოყოფა დამოკიდებული იყო ოჯახის ეკონომიკურ მდგომარეობაზეც. პირველ რიგში, ამისთვის აუცილებელი იყო მამის სურვილი და მოწილე ძმების თანხმობა. თუ გაყრა მამის გარდაცვალების შემდეგ ხდებოდა, ძმა ძმას, საუფროსოს არ გამოუფდა მას საუფროსოს მოთხოვნის უფლება არ ჰქონდა. ამგვარად, როგორც იკვეთება, უფროსი ძმისთვის გურიაში საუფროსოს გამოყოფა მამის სიცოცხლეში ხდებოდა და ისიც იმ შემთხვევაში, თუ მას ოჯახში განსაკუთრებული წვლილი მიუძღოდა.

ოჯახის გაყრის დროს, აჭარაში „დიდი ოჯახის ქონება თანაბრად ნაწილდებოდა მოწილეებს შორის. მაგრამ ეთნოგრაფიული მასალები ასევე გვიჩვენებენ, რომ ქონების განაწილების დროს, მოწილეთა საერთო შეთანხმებით, შესაძლებლობის ფარგლებში, უფროს მოწილე ძმას, თუ იგი გაყრამდე ოჯახის წინამძღოლი იყო, ეძლეოდა დამატებითი ქონება“.[289] თუ ძმები მშობლების გარდაცვალების შემდეგ გაიყოფოდნენ, მაშინ ძირითად ოჯახში უფროსი ძმა რჩებოდა. ეს იმით არის ახსნილი, რომ უფროს ძმას მეტი ამაგი ჰქონდა ოჯახში და განაყრებზე ზრუნვაც მას ევალებოდა. ეს წესი დიდი ოჯახისათვის დამახასიათებელი მოვლენა იყო.

დასავლეთ საქართველოსაგან განსხვავებული ვითარება იყო საქართველოს მთიან რეგიონში, სადაც, მაგალითად, ფშავში „უფროს ვაჟს არავითარი საუფროსო არ ერგებოდა“.[290] ჩვენი აზრით, სავარაუდოდ ეს აიხსნება იმით, რომ ფშავში იცავდნენ ტრადიციულ ძველ წესს, რომლის მიხედვითაც, ოჯახის ქონება თანაბრად ნაწილდებოდა და რაიმე პრივილეგია არც ერთ მოწილეს არ ენიჭებოდა.

ოჯახის გაყრისას ზოგჯერ მხედველობაში იღებდნენ მოწილის პირად მდგომარეობასაც – დაოჯახებული/დასაოჯახებელი. როგორც წესი, თავის დროზე ყველა ცოლშვილიანი მოწილე ძმის საქორწინო ხარჯები საერთო საოჯახო ქონებიდან გაიღებოდა. ამიტომ ოჯახის განვითარების მოგვიანო ეტაპზე, როდესაც ოჯახის გაყრა ყველა მოწილის დაქორწინებამდე მისაღები გახდა, საუფროსოს გარდა, ოჯახის გაყოფისას გამოიყოფოდა დასაოჯახებელი ძმების წილიც ე.წ. ***გათანაბრების*** წილი; თ. აჩუგბას თქმით, აჭარაში „გათანაბრების წილს საქართველოს რეგიონების მსგავსად, ***საქორწინო*** *ანუ* ***საუმცროსო*** წილიც ეწოდებოდა, რამდენადაც საუმცროსო წილი შინაარსობრივად ყოველთვის საქორწინოს იდენტური იყო, რადგან იგი მხოლოდ უცოლო მოწილეს ეძლეოდა“.[291]

ამრიგად, დამატებითი ქონების სახით (პირუტყვი, ფული) დაუქორწინებელ მოწილეს ***საქორწინო*** *ანუ* ***საუმცროსო*** მიეცემოდა,

---

[288] ცეცხლაძე გ., გურიის მოსახლეობის საოჯახო ყოფა, მეცნიერება, თბილისი, 1991, გვ. 96.

[289] აჩუგბა თ., ოჯახი და საოჯახო ყოფა აჭარაში, მეცნიერება, თბილისი, 1990, გვ. 105.

[290] მერაბიშვილი ჯ., მასალები ფშავის ჩვეულებით სამართალზე, 1986, რვ., გვ. 28; მითითებულია ქართული ჩვეულებითი სამართალი, წიგნი IV, მეცნიერება, თბილისი, 1993, გვ. 164.

[291] აჩუგბა თ., ოჯახი და საოჯახო ყოფა აჭარაში, მეცნიერება, თბილისი, 1990, გვ. 107-108.

რათა მისთვის გამოყოფილი საძმო წილი მოწილე ძმების ქონების თანაბარი ყოფილიყო და მომავალში დასაოჯახებელ ძმებს საოჯახო თემის დახმარების გარეშე შესძლებოდათ ქორწილის გადახდა.

მიუხედავად იმისა, თუ როდის მოხდებოდა ოჯახის გაყრა – მშობლების სიცოცხლეში, თუ მათი გარდაცვალების შემდეგ – მამისეულ ოჯახში ტრადიციულად უმცროსი ვაჟი რჩებოდა და, შესაბამისად, მშობლების დაკრძალვის ხარჯები უმცროს შვილს ეკისრებოდა. მით უფრო, თუ მშობლებს ოჯახის გაყრისას თავიანთი კუთვნილი წილი მიღებული ჰქონდათ. იშვიათად ხდებოდა, რომ მშობლებს უფროს ან შუათანა შვილთან მოენდომებინათ ცხოვრება.

„ზოგჯერ უმფროს ძმას საუმცროსოს გამოუყოფდნენ. ***საუფროსოსა*** და ***საუმცროსოს*** (ხაზგასმა ჩვენია – მ.ხ.) გამოყოფის შემდეგ იყოფოდა დანარჩენი ქონება. ამასთან დაკავშირებით XVIII ს. იმერეთის სამეფოს ერთ-ერთ საბუთში ნათქვამია:

„ყოველნივე ჩუ?ნნი მამა-პაპად ნაღუაწნი წილხდომით უფროსისა საუფროსოსათა და წილხდომით უმცროსისა საუმცროსოსათა და სხუანი ყოველნივე სწორად წილ-ვიგდევით და ბარათით განვიკერძეთ და თჳს-თ სნი კერძო განვისაკუთრენით“.[292]

ქონების საუფროსო და საუმცროსო წილთან დაკავშირებით ძალზე საყურადღებო ინფორმაციას გვამცნობს თ. აჩუგბა, რომლის თანახმად, აჭარაში „საოჯახო უძრავ-მოძრავი ქონების განაწილების დროს მოწილის ასაკსა და ოჯახურ მდგომარეობას ყურადღება არ ექცეოდა. საქორწინო ქონების მიუღებლობის შემთხვევაში მოწილეს ჰქონდა მისი მოთხოვნის უფლება, მაშინ, როდესაც საუფროსო გამოყოფის უფლება არ ჰქონია უფროს მოწილეს. ეს უკანასკნელი მომენტი ნათლად მიგვითითებს, რომ საუმცროსოს გამოყოფის წესი მოწილეთა შორის თანასწორობის პრინციპს ექვემდებარებოდა, ისევე როგორც ამავე პრინციპით უფროს მოწილეს ზედმეტი ქონების, საუფროსოს მიღების პრეტენზიის უფლება არ ჰქონდა“.[293]

მოწილეებზე ქონების გაყოფის ზემოაღნიშნული პრინციპი ერთნაირად იყო დაცული როგორც ცოცხალი, ისე გარდაცვლილი მოწილეების მიმართ. გარდაცვლილთა წილს მათ ვაჟიშვილებს აკუთვნებდნენ. ვახტანგ VI-ის სამართლის თანახმად:

112. თუ ნასისხლი რამე არის, სწორედ უნდა გაიყონ. მაგრამ რომლის[308r]აც ნასისხლი არის, ან შვილი, ან მამა მომკუდარა, იმას უფროსი წილი დაედების.[294]

საქართველოში არსებული ჩვეულების მიხედვით, „ჩვეულებითი სამართლით, ყველა ძმა თანასწორუფლებიანი არის მამის სამკვიროდან

---

[292] ცეცხლაძე გ., გურიის მოსახლეობის საოჯახო ყოფა, მეცნიერება, თბილისი, 1991, გვ. 96-97.

[293] აჩუგბა თ., ოჯახი და საოჯახო ყოფა აჭარაში, მეცნიერება, თბილისი, 1990, გვ. 108.

[294] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებული (ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1963, გვ. 511.

თანაბარ წილს იღებს“.[295] თუმცა ეს ჩვეულება აშკარად ეწინააღმდეგება ვახტანგ VI-ის სამართლის მუხლს, რომელიც „არა მარტო ადგენს ***საუფროსოსა და საუმცროსოს, ასევე საშუალოს,*** რომლის ძალითაც ძმები საერთო ქონებიდან ან მამის სამკვიდროდან თანაბარ წილს იღებენ. ეს დადგენილება მხოლოდ აზნაურებზე ვრცელდებოდა და ძნელი დასაშვებია, რომ გლეხების ყოფაში უცხო ყოფილიყო საუფროსოსა და საუმცროსოს უფლებები, რომ უფროს ძმებს უმცროს ძმებთან შედარებით არანაირი უპირატეობა არ ჰქონდეთ. და მასთან დაკავშირებული უპირატესობები და შეზღუდვები, როგორც ჩანს არ არსებობს“.[296]

იყო შემთხვევა, როცა გაყოფისას ერთი ძმა მეორე ძმას თავისი ნებით უთმობდა გარკვეულ ქონებას. მაგალითად, 1661 წლის გაყრის ერთ-ერთ საბუთში ვკითხულობთ:

„ამბრიამ ასე უთხრა: მე ჴელი აღარა მაქუს, სრულ შენთვის დამინებებია“. [297]

ხშირად ისეც ხდებოდა, რომ მოწილეს, რომელთანაც დედა და დები რჩებოდნენ, ძმების თანხმობით სხვა მოწილეებზე მეტ ქონებას აძლევდნენ.

და თუ [186 v] გათხოვილი დები ყუანდეს, ორთ ერთის ძმის წაიღონ. და თუ ერთი ძმა იყოს და ერთი და ყუანდეს, და გათხოვილი იყოს, ორი წილი და ნახევარი ძმამ აიღოს და ერთის წილი და ნახევრის ნახევარი იმ დას მისცენ [შდრ. მუხლ.252]. და ერთი დანგი – დედასა.[298]

128. ქ. *გაყრა რომ მოჴდეს ძმაშია და ძმანი ყუელანი კაცობაში შესულიყუნენ, რომ არა ყუანდესთ მამა და იყუნენ თავის ჴელთმქონენი [145r], და გაიყარნენ, თუ წიგნით და თუ უწიგნოთ, მათ ერთმანეთისათვის ეღალატებინოს და დაემალოს რამე, და ძალი ექნას ერთმანეთში, ბძანებს რიგი არ არიან მართალი გაყრილნი*

ხშირი იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ასაკით უფროს ანდა სხვა ძმებთან შედარებით ფიზიკურად ბევრად უფრო ძლიერი ძმა უფრო ირჯებოდა და „მეტ საქმეს აკეთებდა“.[299] შესაბამისად, მეტი შეჰქონდა ოჯახის საერთო ქონებაში. ასეთი მონაგარის შესახებ „ჰსჯულნი“ „გაყრისათვის“ კარში ნათქვამია: „რაც შეეხება ძმების კეთილმონაგარს,

---

[295] Свод материаловъ по изученію экономического быта государственныхъ крестьян Закавказского края, Том I, Тифлис, 1887, с.168-169.

[296] იქვე.

[297] ქართული სამართლის ძეგლები, სასამართლო განჩინებანი, (XVI-XVIII სს.), ტ. IV, (ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1972, გვ. 111.

[298] იქვე, 317.

[299] ცეცხლაძე გ., გურიის მოსახლეობის საოჯახო ყოფა, თბილისი, მეცნიერება, 1991, გვ. 95.

„რომელს ძმასაც... საკუთრის გარჯით თეთრი თუ ქონება მოპოვებული ექნებოდა და თავისის ღვაწლით შემოტანილი იქიდამ იმის გარჯის და მოგების მიხედვით საჭირნახულოს მისცემდნენ და დანარჩომს ძმათ გაუყოფდნენ“.[300]

111. თუ კაცმან მამული რამე იყიდოს, გინა სხვა რამე, თავისით ანუ საერთოთი, მისი ასრე არის. თუ ან ძმა, ან სახლის კაცი წიგნში სწერია, გაყრაში წილი დაედების.[301]
მაგრამე, თუ იმ კაცს სასახლო არა დაუხარჯავს რა და თავისის საქონლით უყიდია, იმ სხვას ძმებს, როგორც საქონლის წილი შეხუდეს გამოიღოს, იმ ზომით იმ ნასყიდის წილი დაიდვან.[302]

როგორც აღვნიშნეთ, გაუყოფელი ოჯახის მთელი ქონება – მოძრავიც და უძვარიც – მამის განკარგულებაში იყო. მამის სიცოცხლეში ვაჟიშვილებს არ ჰქონდათ არც სამკვიდროს მოთხოვნის და არც საკუთარი შეხედულებისამებრ საოჯახო ქონების გაყოფის უფლება.[303] საქართველოს თითქმის ყველა მხარეში დიდი ოჯახის გაყრისას ოჯახის საერთო ქონებას მამა თანაბრად ანაწილებდა. თუმცა მამა უფლებამოსილი იყო დაესაჯა ბედოვლათი თუ მფლანგველი ვაჟიშვილი, გამოყოფოდა მას, თავიდან მოეხსნა პასუხისმგებლობა; ასევე შეეძლო მისთვის არ მიეცა წილი. გ. ცეცხლაძის თქმით, „მამას შეეძლო ერთი შვილისათვის მეტი მიეცა, ხოლო მეორეს – თუ უნდოდა – „მშრალზე დატოვებდა“. შვილის უწილოდ დატოვების წესი ცნობილი იყო კავკასიის სხვა ხალხებშიც[304].

აღნიშნულისაგან განსხვავებული ვითარება იყო აჭარაში, სადაც ოჯახის უფროსი ურჩ წევრსაც კი არ ტოვებდა უწილოდ. მას ოჯახის საერთო ქონებიდან „კუთვნილ წილს მისცემდა და ცალკე დაასახლებდა“.[305]

ჩვეულებითი სამართალი ძალზე დიდ ხელისუფლებას ანიჭებდა მამას, მაგრამ იმავდროულად დიდ პასუხისმგებობასაც აკისრებდა მას. ასე მაგალითად, ვაჟიშვილის ვალსა და მის მიერ მიყენებულ ზიანზე პასუხს აგებდა მამა. ვაჟიშვილის კრედიტორები თუ მის მიერ დაზარალებული პირები ზარალის ასანაზღაურებლად მამას მიმართავდნენ; მამას უფლება არ ჰქონდა თავი აერიდებინა პასუხისმგებლობისათვის იმ მოტივით, რომ მისმა ვაჟიშვილმა მისგან დაუკითხავად აიღო ვალი. მამა უფლებამოსილი იყო დაესაჯა მფლანგველი ვაჟიშვილი, დროულად გამოყოფოდა მას, ანდა, ბოლოს და ბოლოს, უარი ეთქვა მასზე და ამით თავიდან მოეხსნა პასუხისმგებლობა მის არამართებულ საქციელზე. მაგრამ ვიდრე მამა

---

[300] ფურცელაძე დ., სამოქალაქო ჰსჯულვილება, თბილისი, 1960, გვ. 33.
[301] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებული (ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1963, გვ. 511.
[302] იქვე.
[303] Харадзе Р., Грузинская семейная община, т.I изд-во Советский писатель Грузии, Заря Востока, Тбилиси, 1960, с. 48.
[304] ცეცხლაძე გ., გურიის მოსახლეობის საოჯახო ყოფა, მეცნიერება, თბილისი, 1991, გვ. 89-90.
[305] აჩუგბა თ., ოჯახი და საოჯახო ყოფა აჭარაში, მეცნიერება, თბილისი, 1990, გვ. 93-94.

და ვაჟიშვილი გაუყრელად ცხოვრობდნენ ერთჭერ ქვეშ, მამა პასუხს აგებდა მასზე.

დიდი ოჯახის გაყრისას ცენტრალური კავკასიის მკვიდრ ხალხებშიც იგივე პრინციპით ხელმძღვანელობდნენ. ოჯახის სულადობას პირველყოვლისა განსაზღვრავდა ძმების რაოდენობა და მათი ერთად ყოფნის ხანგრძლივობა. თუ შვილები მშობლებს გამოეყოფოდნენ დაქორწინებისთანავე, ოჯახის წევრთა რაოდენობა მათ გაყრამდე განისაზღვრებოდა მხოლოდ მშობლებისა და შვილების რიცხვით. იმ შემთხვევაში კი, როდესაც შვილები მშობლებთან დიდხანს რჩებოდნენ საცხოვრებლად, ოჯახს ახალი წევრები ემატებოდა რძლებისა და ბავშვების სახით.[306]

თუ ოჯახის წევრებს შეადგენდნენ მხოლოდ მშობლები და მათი ორი ცოლშვილიანი ვაჟი, ასეთ ვითარებაში შესაძელებლი იყო ოჯახის გაყრა ერთდროულად მომხდარიყო, ვინაიდან ორი ძმის ცალ-ცალკე დასახლებისა და რომელიმე შვილთან მშობლების დარჩენის ან მათი ცალკე გამოყოფის შემდეგ ოჯახის სეგმენტაციის პროცესი მთავრებოდა. ამ მხრივ შედარებით განსხვავებული იყო მდგომარეობა იმ ოჯახში, რომლის შემადგენლობაშიც იმყოფებოდა მრავალი სხვადასხვა ასაკის მქონე ძმა. ამგვარი ოჯახის დანაწილება ზოგჯერ ერთდროულად არ ხდებოდა და ადგილი ჰქონია ძმების სხვადსხვა დროს გამოყოფას, ჩვეულებრივ, ეს პროცესი იწყებოდა უფროსი ძმის გამოსვლით, რის შემდეგ შესაძლებელი იყო ასაკის შესაბამისად ასეთივე ნაბიჯი გადაედგათ მომდევნო ძმებს. ზოგიერთ შემთხვევაში კი უფროსი ძმის გამოყოფის შემდეგ სხვების თანდათანობით და სხვადასხვა დროს გამოცალკევების პროცესს კი არ ჰქონია ადგილი, არამედ დანარჩენი ძმები ერთად ცხოვრებას განაგრძოვნენ მანამდე, სანამ ყველა მათგანი არ დაცოლშვილებოდა და მხოლოდ ამის შემდეგ ერთდროულად იყრებოდნენ.[307]

ქონების გაყოფისას ზოგ მხარეში ყურადღება ექცეოდა მოწილის ასაკს (მით უფრო, სქესს), ზოგან – არა. ვ. ითონიშვილის მიერ მოძიებული ინფორმაციის თანახმად, კავკასიის მკვიდრ ხალხებში „ძმებს შორის ქონების განაწილების დროს მხედველობაში მიიღებოდა მათი ასაკიც, მაგრამ ძირითად პრინციპს მაინც მათ შორის თანასწორობის დაცვა წარმოადგენდა“.[308]

ოჯახის გაყრა თემის კაცების ჩარევით მოეწყობოდა თუ მათგან დამოუკიდებლად, ქონების გაყოფა უნდა მომხდარიყო იმდენ თანაბარ წილად, რამდენი კაციც ოჯახის გაყრის მომენტში წილის (ხ ა ჲ) მიღების უფლებით იყო აღჭურვილი. ასეთი უფლების მქონე პირს ერქვა მოწილ (ხ ა ჲ ჯ ი ნ), რომელიც, ვ. ითოშვილის თანახმად, გვევლინებოდა დიდი ოჯახის დაყოფის შედეგად ჩამოყალიბებული ახალი ოჯახის მეთაურად“.[309] [...] კავკასიის მკვიდრ ხალხებში „დიდი ოჯახის გაყრის შემდეგ მომავალ ახალ ოჯახებს სათავეში ექცეოდნენ მეორე მეორე თაობის წარმომადგენლები, მოწილეებადაც ისინი

[306] ითონიშვილი ვ., ცენტრალური კავკასიელების საოჯახო ყოფა, თბილისი, 1969, გვ. 147.
[307] იქვე, გვ. 177-178.
[308] იქვე, გვ. 277.
[309] იქვე გვ. 274-275 .

ითვლებოდნენ".[310] მონაწილედ მიიჩნეოდა ყველა ის მამაკაცი, რომელიც გაყრის შემდეგ გამოყოფილ ინდივიდუალურ ოჯახს ექცეოდა სათავეში. ამდენად, თუ ოჯახი გაყრის მომენტში 3-5 თაობას მოიცავდა, მოწილეებად გვევლინებოდნენ მეორე თაობის წარმოდადგენლები ე.ი გარდაცვლილ მოხუცთა (ოჯახის ყოფილ მეთაურთა) შვილები და ძმათა შვილები.[311]

ყველა ზემოხსენებულ ვითარებაში ქონების მიღების სრული უფლებით სარგებლობდა ყველა ასაკისა და მდგომარეობის მქონე ძმა. ის რასაც წილი (ჯოოჯ დაყ – წილი) ერქვა და რომელიც წარმოადგენდა ოჯახის ძირითადი დოვლათს (წინ ბოხამ – ოჯახის დოვლათი), იყოფოდა იმდენ თანაბარ ნაწილად, რამდენი ძმაც ოჯახში იმყოფებოდა. ოჯახი ნელ-ნელა გაიყრებოდა თუ ერთბაშად, სულ ერთია, ქონება ძმების რაოდენობის მიხედვით გადანაწილდებოდა. ოთხი ძმიდან რომ ერთი ცალკე გამოსულიყო, ხოლო ნადარჩენი კიდევ ერთად დარჩენილიყვნენ, გაყრილი ძმა გაიტანდა ქონების 1/4 ნაწილს, ხოლო დანარჩენი რჩებოდა გაუყრელ ძმებს, რომელთა სახელზედაც წილები პირველი ძმის გაყრის მომენტში უკვე გაპიროვნებული იყო და თითოეულ მათგანს კუთვნილი წილის გატანა ნებისმიერ დროს შეეძლო.[312]

მაგალითად, ქისტებში „კონკრეტული მონაცემების მიხედვითაც აშკარად ჩანს, რომ ყველა ძმა ქონების მიღების ერთნაირი უფლებით სარგებლობდა, გინდაც რომ მათ შორის ერთი ყოფილიყო მრავალშვილიანი, ხოლო სხვა მარტოოდენ ერთი შვილის მამა. ძმებს შორის ქონების განაწილებაში მათი შვილების რაოდენობა არავითარ როლს არ ასრულებდა. მაგრამ ძმების გაყრის მომენტში მხედველობაში მიიღებოდა, ერთი მხრივ, უცოლო ძმის მდგომარეობა, ხოლო, მეორე მხრივ, რომელიმე ძმის მრავალცოლიანობა. ორივე ეს მომენტი დაკავშირებული იყო სათანადო ხარჯების გამოღებასთან, სახელდობრ ურვადის გადახდის წესთან".[313]

მსგავსი წესი იყო ოსებშიც. ოსთა ადათების სათანადო მუხლებში მითითებულია, რომ მამის გარდაცვალების შემდეგ მის ქონებაზე მემკვიდრეობის უფლებით სარგებლოდბნენ ვაჟიშვილები, რომლებიც თანაბრად იყოფდნენ როგორც მამისაგან მემკვიდრეობით მიღებულ, ისე თავისი შრომით შექმნილ დოვლათს.[314]

სომხეთში არსებული წესის თანახმად, თუ გაყრისას ერთ-ერთი ძმა არასრულწლოვანი იყო და თუ მიიჩნევდა, რომ მას ქონება უსამართლოდ გაუყვეს, ასეთ შემთხვევაში, როდესაც ის მიაღწევდა 25 წლის ასაკს, მას შეეძლო ხელახლა წამოეჭრა ქონების გაყოფის საკითხი.

როგორც ზემოთ ითქვა, კავკასიის მკვიდრ ხალხებში, მას შემდეგ, რაც წესად შემოვიდა მშობლების სიცოცხლეში ოჯახის გაყრა, ასეთ ვითარებაში მშობლების დასაფლავება საერთო საოჯახო ხარჯით

---

[310] ითონიშვილი ვ., ცენტრალური კავკასიელების საოჯახო ყოფა, თბილისი, 1969, გვ. 274-275.
[311] იქვე, გვ. 100-101.
[312] იქვე, გვ. 177-178.
[313] იქვე, გვ 179-180.
[314] Леонтиевич Ф., Адаты Кавказских горцев, II, Одесса, 1883, ст.24,26,34-35 მითითებულია ითონიშვილი ვ., ცენტრალური კავკასიელების საოჯახო ყოფა, თბილისი, 1969, გვ. 277.

ხდებოდა, რადგან „დასაფლავების ძველი ტრადიცია მაინც ცოცხლობდა. მშობლები ცალკე ოჯახად იცხოვრებდნენ თუ რომელიმე შვილთან დამკვირდებოდნენ, ყველა შვილი ვალდებული იყო მონაწილეობა მიეღო მათი დასაფლავების საჭირო ხარჯების გამოღებაში“.[315] ოჯახის წილის გაყოფისას, მშობლების დამარხვის ხარჯებისათვის გაღებულ წილს პანკისის ხეობაშიც სამარხი ან *საყე* (ქისტების ენაზე) ეწოდებოდა. ოჯახის შესაძლებლობის მიხედვით, მშობლებს რამდენიმე სული პირუტყვის გაყვანაც შეეძლოთ.

მამის ხელისუფლების სისრულე და უსაზღვრობა ვლინდება ვაჟიშვილის ქონების გამოყოფის დროს კავკასიის მკვიდრ ხალხებშიც, რადგან ვაჟის წილის განსაზღვრა მამის ნებაზე იყო დამოკიდებული. როგორც ბატონი ზელენკსი აღნიშნავს, მამა უფლებამოსილი იყო და თავისუფლად შეეძლო „არაფერი არ მისცეს [ვაჟს] არც მისი საკუთრებიდან და არც მოძრავი საკუთრებიდან“. ჩვეულებითი სამართალი ამით მამის უზომო ხელისუფლების ფაქტს გამოხატავს. ცხადია, მამას შეეძლო ამ უფლების გამოყენება გამონაკლის შემთხვევებში, როცა ვაჟიშვილი სათანადო პატივისცემით არ ეპყრობოდა მამას, ან თუ ვაჟი იყო მფლანგველი. ასევე, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რეალურ ცხოვრებაში მამის დესპოტიზმი ქარწყლდებოდა შვილებისადმი მშობლიური სიყვარულით, ცოლისა და ოჯახის წევრებისადმი მიჯაჭვულობით. განვითარების შემდეგი ეტაპი არის საერთო ნაგებობაში ინდივიდუალური ოჯახებისათვის განსაზღვრული ნიშების გამოყოფა კედლებში, ხოლო მოგვიანებით – ცალკე ოთახებშიც კი. ეს ნიშები განკუთვნილი იყო ქონების იმ ნაწილის ცალკე შესანახად, რომელიც სათემო-საოჯახო საკუთრებას არ წარმოადგენდა.

კავკასიის მკვიდრ ხალხებში მშობლების დამარხვის ხარჯს ყველა შვილი, ძირითადად, ერთობლივად ეწეოდა, რითაც ისინი თავიანთ ძმას მდგომარეობას უმსუბუქებდნენ. ხარჯის გაწევა სავალდებულო იყო ორჯერ, გარდაცვალების ჟამს და წლისთავზე. თუ ოჯახს ჰქონდა შეძლება, მამის ქელეხების მოთავების შემდეგ მართავდნენ დოღსაც, რაც არ ეწყობოდა დედის გარდაცვალების შემთხვევაში, ვინაიდან, წესის თანახმად, ქალის სახელზე დოღის გამართვა მიუღებელი იყო.

საქართველოში მსგავსი შემთხვევა არ ფიქსირდება. ქისტებში არსებობდა ერთი საკმაოდ საინტერესო და უჩვეულო შემთხვევა, კერძოდ, „მამა საცხოვრებლად რჩებოდა ერთ შვილთან, ხოლო დედა მეორესთან“, მაგრამ ასეთი რამ უფრო იშვიათად ხდებოდა და უმთავრესად მშობლების ადგილსამყოფელს წარმოადგენდა მათი უმცროსი ვაჟის ბინა“[316].

ამგვარად, ჩვენ მიერ განხილული მასალის საფუძველზე აშკარად იკვეთება, რომ საოჯახო-სათემო ქონების თვითნებური გასხვისება ოჯახის უფროსს არ შეეძლო. ოჯახის უფროსს ეს უფლება მხოლოდ პატარა, კერძო საკუთრებაზე დაფუძნებულ ოჯახში ჰქონდა. ადათის თანახმად, დიდი ოჯახის გაყრის დროს პატრიარქალურ-გვაროვნული პრინციპით ხელმძღვანელობდნენ, საოჯახო ქონებიდან ყველა ძმას თავისი წილი გამოეყოფოდა; წილთან მიმართებით ძმათა ქონებრივი

[315] ითონიშვილი ვ., ცენტრალური კავკასიელების საოჯახო ყოფა, თბილისი. 1969, გვ 134-135.

[316] იქვე, გვ. 186.

უფლებები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა; გაუყოფელ ოჯახში გაწეული უფრო მეტი შრომისა თუ საოჯახო მეურნეობის გაძღოლისათვის უფროს ძმას დამატებითი ქონების წილი ეძლეოდა.

V. 4. ქალიშვილი, როგორც მოწილე სუბიექტი ოჯახის გაყრის დროს

ადათის თანახმად, საქართველოში ქალიშვილს საოჯახო ქონებიდან წილი არ ერგებოდა, მას მხოლოდ **მზითევი** ეძლეოდა; მის განკარგულებაში იყო ასევე **სათავნო**. ოჯახის გაყრისას მზითევი და სათავნო გაყოფას არ ექვემდებარებოდა. ***მზითევი*** იყო „ქონება, რომელსაც ქალს თან ატანდნენ მშობლები გათხოვებისას“.[317] საქართველოში ქალიშვილის გამზითვება წესად ჰქონდათ ყველა სოციალურ ფენაში. ქალიშვილის მზითევი დამოკიდებული იყო ოჯახის ეკონომიკურ შეძლებაზე.

ვახტანგ VI-ის სამართლის 257-ე მუხლის თანახმად,

თუ მდიდარი არის, მის ქალს მის წესით კაი საზითო მიეცემის.[318]

გაუყრელ ოჯახში მზითევს საერთო ქონებიდან გამოყოფდნენ, ხოლო ოჯახის გაყრის შემდეგ ქალიშვილის გამზითვება იმ ოჯახის მოვალეობას შეადგენდა, რომელშიც იგი ცხოვრობდა. მამა მზითევს სხვა მოწილეების თანხმობით გამოყოფდა. ქალიშვილისათვის მზითევის მიცემა, მისი კარგად გასტუმრება მამის მოვალეობად, მის ღირსებად მიიჩნეოდა. მამის გარდაცვალების შემდეგ დისთვის მზითევის მიცემა უფროს ძმას ევალებოდა. ამის შესახებ საგანგებოდ არის მითითებული ვახტანგ VI-ის სამართლის 110-ე მუხლში:

და [307ა] თუ ქალი არის, უნდა გაათხოოს და გა[ა]მზითოს ყმის ქალსავით. და თუ ენამუსების, ნამუსიანი კაცი ამას ხომ არ იკადრებს, კარგად არ გაისტუმროს! [319]

ხევში მზითევთან ერთად ქალიშვილს გათხოვებისას მამის სახლიდან „ატანდნენ ერთ დეკეულს ან 1-2 ცხვარს, რასაც ერქვა სათავნო“.[320] მზითევი იყო სიკვდილამდე ქალის პირადი საკუთრება, რაც შეეხება სათავნოს, ხევში გათხოვილი ქალი თუ არ გაყიდდა სათავნოს, დროთა განმავლობაში საერთო საოჯახო ქონების ნაწილი ხდებოდა.[321] ამგვარად, ხევში არსებული წესის თანახმად, თავისი ხასიათით სათავნო განსხვავდებოდა საქართველოს სხვა კუთხეებში არსებული

---

[317] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, „ენციკლოპედია“, თბილისი, 1986, გვ. 292.

[318] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებული (ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1963, გვ. 546.

[319] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებული (ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1963, გვ. 511.

[320] ითონიშვილი ვ., მოხევეების საოჯახო ყოფა, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1970, გვ. 119.

[321] ითონიშვილი ვ., მოხევეების საოჯახო ყოფა, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1970, გვ. 119.

სათავნოსაგან, რომელიც ყოველთვის ქალის პირად საკუთრებას წარმოადგენდა და ოჯახის სხვა წევრებს არ შეეძლოთ მისით სარგებლობა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვეულებითი სამართლით, გაუყოფელ ოჯახში პირადი საკუთრება არ არსებობდა. საერთო საოჯახო ქონებიდან მზითევი მხოლოდ ოჯახის გაყოფისას გამოიყოფოდა. ვიდრე ოჯახი ერთიანი იყო, ქალს თავისი მზითვით სარგებლობის განსაკუთრებული უფლება არ ჰქონდა, ამიტომ ქმრის ოჯახის ყველა წევრი სარგებლობდა მზითვით.

„საოჯახო ქონების განაწილების დროს რძლის მზითევი და ქალიშვილისათვის სამზითვოდ განკუთვნილი ნივთები გასაყოფ ქონებაში არ შედიოდა. დედა თავისი მზითევის გარკვეულ ნაწილს ქალიშვილს მისცემდა, ნაწილი კი ძირითად ოჯახში რჩებოდა. დედის მზითევზე ასეთივე უფლებები ჰქონდათ შვილებს დედის გარდაცვალების შემდეგაც“.[322]

ფშაველებისა და ქისტების ჩვეულებითი სამართლით, ოჯახის გაყრისას ქალიშვილს წილი არ ეკუთვნოდა; ოჯახში არსებული ქონება სულადობის მიხედვით ნაწილდებოდა, ხოლო ქალიშვილები უნდა გათხოვილიყვნენ და შესაბამისად, ოჯახიდან წასულიყვნენ. აღსანიშნავია ისიც, რომ „დაობლებულ ქალებს ახლო ნათესავები ზრდიდნენ და ათხოვებდნენ [...] საერთო ძალებით უმზადებდნენ მათ სათანადო სამკაულებსა და ტანსაცმელს, ე.ი. რისი წაღებაც ევალებოდა საერთოდ ქალს ქმრის ოჯახში. თუ გათხოვილი ქალი უშვილოდ გარდაიცვლებოდა, ტანსაცმელი და სამკულებიც უკანვე უბრუნდებოდა ქალის მშობლებს“.[323]

ზემოხსენებულ მხარეებში „თუ ქალი იყო, რომელსაც შვილი ყავდა, მას ორი წილი ეძლეოდა. ქონების გაყოფა თვით ოჯახის წევრთა შეთანხმებით ხდებოდა. მაგრამ შეიძლებოდა მასში საბჭოს კაცებიც ჩაერიათ“.[324]

ოჯახის გაყოფის დროს, დ. ჯალაბაძის ცნობით, „ძმებს [...] თუ დაც ყავდათ, მას გაყოფისას მზითევის გარდა არაფერი ეძლეოდა – „ქალ წილ არ აქვს“ – ხოლო თუ ის გაუთხოვარი დარჩებოდა, მას დარჩებოდა მშობლების სამარხი ქონება“.[325] ამის შესახებ ვახტანგ VI-ის სამართლის 257-ე მუხლის თანახმადაც, გაუთხოვარ ქალიშვილს წილის სახით ეძლეოდა ქონება, მაგრამ არა მიწის ნაკვეთი:

თუ გაუთხოვარი სახლში დარჩეს, თუ ღარიბია, ნახევარი საქონლისა მისცენ – ჩვენს ქუეყანას მამულს არ მისცემენ.

---

[322] ცეცხლაძე გ., გურიის მოსახლეობის საოჯახო ყოფა, მეცნიერება, თბილისი, 1991, გვ. 98.

[323] მერაბიშვილი ჯ., ივანე ცისკარიშვილის ცნობები თუშთა ჩვეულებით სამართალზე, მითითებულია ქართული ჩვეულებითი სამართალი, წიგნი I, მეცნიერება, თბილისი, 1988, გვ. 45.

[324] ჯალაბაძე დ., მასალები ფშაურ და ქისტურ ჩვეულებით სამართალი, რვ., გვ. 87; მითითებულია ქართული ჩვეულებითი სამართალი, წიგნი IV, მეცნიერება, თბილისი, 1993, გვ. 163.

[325] იქვე, 163-164.

ესეც იქნება, რომე ქალი დავარდეს მამის სახლში, იმას ამ გაჩენილისაგან ზითევისა უფროსი უნდა მიეცეს.[326]

თ. აჩუგბას მიერ მოძიებული ეთნოგრაფიული მასალების თანახმად, აჭარაში „დამოწმებული გათანაბრების წილი ფართო მნიშვნელობისაა. მასში, გარდა საუმცროსო (საქორწინო) წილისა, შედიოდა ***გასამზითვი*** თანხა, რომელიც გაყრის დროს მოწილეთა გასათხოვარ დებს გადაეცემოდათ. მაგრამ გვხვდება სხვა შემთხვევაც, როცა გასათხოვარი დისათვის ცალკე ქონებას არ გამოყოფდნენ და გათხოვების დროს მას ყველა ძმა ერთობლივი ძალებით გაამზითვებდა და ქორწილსაც ერთად გადაუხდიდა“.[327]

თუშებისა და ხევსურების მსგავსად ქისტებშიც ოჯახის გაყრისას მთელი ქონება ძმებს შორის იყოფოდა, გასათხოვარ დებს მზითევის გარდა არაფერს აძლევდნენ.

მოგვიანებით, მზითევის სახით ქალიშვილისათვის მიწის ნაკვეთიც გაიცემოდა, თუმცა გურიაში ძმები ცდილობდნენ მიწის ნაკვეთი ფულით ჩაენაცვლებინათ.[328] იმის დასტურად, რომ ქალიშვილს წილის სახით მიწის ნაკვეთი გადაეცემოდა, მოწმობს გაყრის ერთ-ერთი საბუთი. ის ეხება თავადი დებისა და ძმების გაყრას.

„ელენეს მიეცა ბეჟანთ ვარს სამის დღის ჯიბითკენ ერთის დღისა, ნაქვრიმალი ერთის დღისა, დამპალვალდათან ერთისა დღისა, აგრეთვე ვადის ლელის მიწა და გავერდისა ორი ხუთის დღისა უნდა გაიყოს შუაზედა ნახევარი მიეცეს ელენესა და ნახევარი ნიკოლოზასა, ვენახის ფარდში ერგო ჭირიან ღელე ნიკოლოზის მიჯნიდან ქვემოთ ეფემიას მიჯნამდე. ეფემიას ერგო მამის ვაკის მიწახუთის დღისა სადარეების მიწა და ერთის დღისაცა გძელ მიწა, სავენახეთ მიეცა ჭირიან ღელის ქვემოთი მიწა ელენეს მიჯნიდან ხევამდინა. ელენეს და ეფემიას მიეცათ ერთის დღის მიწა სახელად ჭყანტისა. მცირეწლოვანს ნიკოლოზას, რომლის ნაწილის მიღება იკისრა მშობელმა მამამ ფარსადან ტუხიევმა, დაიდო მის წილათ თელასთან ერთის დღისა, საყდრის გვერდზე სამის დღისა და ორდღე ნახევარისაცა ვადის ღელის მიწიდან ელენესთან ნარგებისა და ვენახის ფარდში ბეჟანის ვენახიდან ელენეს ზა ვენახამდე ამასაცა ჩვენ დაუსხით“.[329]

„ჩეჩნეთსა და ინგუშეთში მოქმედი წესის თანახმად, რადგან ქალებს წილი არ ეძლეოდათ, ხშირად [ხდებოდა ისედაც], რომ] მოწილე ვაჟს, რომელთანაც რჩებოდნენ დები, ძმების თანხმობით სხვა მოწილეებზე მეტ ქონებას აძლევდნენ. გაყრის შემდეგაც ძმებს ევალებოდათ დებზე მზრუნველობა. ქალი თუ გათხოვების ჟამს

[326] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებული (ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1963, გვ. 546.

[327] აჩუგბა თ., ოჯახი და საოჯახო ყოფა აჭარაში, მეცნიერება, თბილისი, 1990, გვ. 108.

[328] ცეცხლაძე გ., გურიის მოსახლეობის საოჯახო ყოფა, მეცნიერება, თბილისი, 1991, გვ. 97.

[329] საისტორიო ცენტრალური არქივი ფონდი 1448, ანაწერი №1, საქმე № 6229.

გარდაიცვლებოდა, მისი დასაფლავება ხდებოდა ძმების საერთო ხარჯით".[330]

ვ. ითონიშვილის მიერ მოკვლეული მასალები ცხადყოფს, რომ, კავკასიის მკვიდრ ხალხებში „ოჯახის გაყრის დროს ქონება ნაწილდებოდა არა სულების რაოდენობაზე, არამედ მხოლოდ მოწილე მამაკაცების რიცხვზე".[331] ამ ინფორმაციას ადასტურებს ფ. ლეონტიევიჩიც. კავკასიის მკვიდრ ხალხებში გასათხოვარი ქალი მოკლებული იყო უძრავ-მოძრავ ქონებაზე მემკვიდრეობის უფლებას. ამიტომ ოჯახის გაყრის მომენტში მისთვის წილის გამოყოფის საკითხი არც დგებოდა. იგი ასევე დასძენს, „მამას რომ ვაჟი არ ჰყოლოდა, ასეთ შემთხვევაშიც კი ადათი მისი ქონების ფლობის უფლებას ანიჭებდა არა ქალიშვილებს, არამედ გარდაცვლილის ახლო ნათესავ ვაჟებს".[332]

ამგვარად, ჩვენ მიერ განხილული მასალის საფუძველზე ნათლად გამოიკვეთა, რომ საქართველოში მოქმედი წესის თანახმად, ქალს საოჯახო ქონებიდან წილი არ ერგებოდა; მაგრამ ყველა წოდებისა და მდგომარეობის ქალისათვის მამის ოჯახიდან ქონების (ძირითადად მოძრავი ქონების) გატანების წესი მზითევის სახით, ერთგვარად, მოწმობს, რომ ქალს სრულიად უწილოდ მაინც არ ტოვებდნენ. ქალისათვის მზითევის მიცემა მამის (მისი გარდაცვალების შემთხვევაში კი უფროსი ძმის) მოვალეობად და ღირსებად მიიჩნეოდა. საოჯახო ქონების განაწილების დროს სათავნო და მზითევი გასაყოფი ქონების წილში არ შედიოდა; ქალის ქონებას ვერავინ შეეხებოდა.

V. 5. შვილიშვილი (ობოლი), როგორც მოწილე სუბიექტი ოჯახის გაყრის დროს

ადათის თანახმად, ოჯახის გაყრისას ქონების ბუნებრივ მოწილეებად ვაჟიშვილები მიიჩნეოდნენ, მაგრამ თუ ვაჟიშვილები მამის სიცოცხლეშივე გარდაიცვლებოდნენ, მაშინ მოწილეები იყვნენ შვილიშვილები.

ქართული სამართლის ძეგლებში ობლებთან მიმართებით გარდაცვლილი მამის ვალთან დაკავშირებით რამდენიმე მუხლია მოცემული. კერძოდ; ვახტანგ VI-ის სამართლის 133-ე და 134-ე მუხლში ვკითხულობთ:

133. ...თუ მოკუდა [მევალემ] ობლების დაზდამდი უნდა მოიცადოს, სანამდი ობლები თოთხმეტი-თხუთმეტის წლისა შეიქნებოდენ.[333]

---

[330] Харузин Н., Заметки о Юридическом быте чеченцев и ингушей, СМЭ, Москва, 1888, III, ст. 125.

[331] ითონიშვილი ვ., ცენტრალური კავკასიელების საოჯახო ყოფა, თბილისი, 1969, გვ. 115

[332] Леонтиевич Ф., Адаты Кавказских горцев, II, Одесса, 1883, ст.24, 96-97,177-178. მითითებულია ითონიშვილი ვ., ცენტრალური კავკასიელების საოჯახო ყოფა, თბილისი, 1969, გვ. 116.

[333] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებული (ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1963, გვ. 515.

134. თუ ქვრივი იყოს და ობლები წვრილი ყუანდეს, და მოვალემ ვალს ვალს თხოვნა დაუწყოს, სანამდის ობლები არ დაიზრდების, ვალი არ ეთხოების. და თუ ობოლსა და ქურივს აქუს რამე, და იმ მოვალეს სხვა მოვალე ჰყავს და აღონებს, რა გინდა რა უნდა მიაცემინოს, რომე, დიაღ, სარგებლით საქმე არ გაუჭიროს. [334]

დავით ბატონიშვილის სამართალში რამდენიმე მუხლი ეხება ობოლს. კანონის თანახმად, აზნაურთა წრის არასრულწლოვან ობლებს ენიშნებოდათ მეურვე, რომელიც განკარგავდა მათ წილ ქონებას.

[109][113] [11] ვექილიათუს ობოლთასა. მუხლი ვ
ვექილი მიიბარებს უძრავსა და მოძრავსა საქონელსა ობოლთასა და მისცემს ყოველსა წელსა ანგარიშსა მდივანბეგთა, რაოდენიცა წარუგიეს ყრმათა ზედა შენახვისათუს მათისა და ჰსწავლასა ზედა; ხოლო დანაშთი მიუცეს სარგებლითა ობოლთა მათ.[335]

ძველი საოჯახო ტრადიციით, ობოლს ერგებოდა მოწილე მამის მთლიანი ქონება და ბიძებიც, უმეტეს შემთხვევაში, მას კიდეც აკუთვნებდნენ მთლიან საძმო წილს. ამ ფაქტს ადასტურებს თ. აჩუგბა; აჭარაში მის მიერ შესწავლილი ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე, იგი წერს: „გარდაცვლილი მოწილისათვის გამოყოფილ ქონებას, ჩვეულებრივ, მის ვაჟიშვილებს აკუთვნებდნენ. ვაჟს, თუნდაც იგი აკვნის ბავშვი ყოფილიყო, მამის წილი მთლინად ეძლეოდა“.[336]

ოჯახის მესამე თაობის ანუ მოწილეთა შვილებისათვის გათანაბრების წილის მიცემის წესი მომდინარეობდა დიდი ოჯახის სამეურნეო ყოფისათვის დამახასიათებელი შრომითი ბუნებიდან; ამ შემთხვევაში იგულისხმება ის შრომისუნარიანი წევრი, რომელსაც თავისი წვლილი ჰქონდა შეტანილი ოჯახის საერთო ქონებაში. აქედან გამომდინარე, ოჯახის გაყრის დროს, მას გაწეული შრომის შესაბამისად ეძლეოდა წილი.

ეთნოგრაფიული მასალებით ასეთი შემთხვევები დასტურდება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. გ. ცეცხლაძე აღნიშნავს, რომ გურიაში „ნათესაური ურთიერთობების ხაზით მრავალრიცხოვან ოჯახში მოწილეები იყვნენ ძმები, ზოგჯერ მშობლებიც“.[337] გამონალისის სახით, ოჯახის გაყრისას შრომითი დამსახურებისათვის მოწილედ ხდიდნენ შვილიშვილებსაც. ნათქვამის დასტურად ავტორს მაგალითად მოხმობილი აქვს შემდეგი ფაქტი: „ესტატე დობორჯგინიძემ შვილსაც მისცა წილი და მოსწრებულ შვილიშვილსაც, იმიტომ რომ იმ შვილიშვილს ნაშრომი ჰქონდა ოჯახში“.[338] თუმცა გ. ცეცხლაძე იქვე ხაზგასმით აღნიშნავს ამგვარი წესის იშვიათობას გურიის რეგიონში და

---

[334] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებული (ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1963, გვ. 515.

[335] სამართალი ბატონიშვილის დავითისა, (ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო დ. ფურცელაძე), მეცნიერება, თბილისი, 1964, გვ. 174.

[336] აჩუგბა თ., ოჯახი და საოჯახო ყოფა აჭარაში, მეცნიერება, თბილისი, 1990, გვ. 104.

[337] ცეცხლაძე გ., გურიის მოსახლეობის საოჯახო ყოფა, მეცნიერება, თბილისი, 1991, გვ. 89.

[338] იქვე, 1991, გვ. 90.

წერს: „გურიაში იგი იშვიათი იყო და მიღებულ წესად ვერ მივიჩნევთ“.[339] გურიაში ოჯახი, სადაც პირდაპირი მემკვიდრე არ იყო, ქონება გვერდითი ხაზის უახლოეს ნათესავებს (ძმას, ძმისშვილს, ბიძაშვილს და სხვა) რჩებოდათ.[340]

აღსანიშნავია ისიც, რომ გათანაბრების წილით იგულისხმებოდა მოწილე ძმების შვილთა დაქორწინებისა და გათხოვებისათვის გამოყოფილი ქონებაც. კერძოდ, თუ სამი მოწილე ძმიდან ორს თითო დაქორწინებული შვილი ჰყავდა, მაშინ მესამე ძმის დაუქორწინებელი ვაჟისათვის საერთო საოჯახო ქონებიდან უნდა გაღებულიყო საქორწინო ხარჯი.[341]

თ. აჩუგბას თანახმად, დასტურდება, რომ „ამ დროს საერთო-საოჯახო ქონებაში ჩნდება გარკვეული ზღვარი ე.წ. **ბაბუის (პაპის) ქონებასა** და **შრომით შეძენილ** ანუ **ნაშრომ ქონებას** შორის. ეს იგივეა, რაც ქართული სამართლის ძეგლებში ცნობილი **მამული** და **მონაგები**, ხოლო ზოგადქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში დამოწმებული მამაპაპეული ქონება და **ოფლით მოპოვებული** ქონება. რაც დიდი ოჯახის განვითარების დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენდა და კლასობრივი საზოგადოებისა და კერძო საკუთრების პირობებში წარმოშობილ სამართლებრივ ნორმებს ეფუძნებოდა. სწორედ შრომით შეძენილი ქონებიდან ხდებოდა შრომისუნარიანი არამოწილე წევრებისათვის გარკვეული წილის მიცემა“.[342] ნ. ხარუზინის მიერ მოძიებული ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, მსგავსი წესი მოქმედებდა ცენტრალური კავკასიის მკვიდრ ხალხებშიც.

ზოგ შემთხვევაში ბიძები წინააღმდეგი იყვნენ, რომ მამის სრული წილი მიეცათ ობოლისათვის. ასეთი რამ უმეტესად მაშინ ხდებოდა, როდესაც დიდი ოჯახი შვილიშვილის მფარველი პაპის გადრაცვალების შემდეგ იყრებოდა. თ. აჩუგბა მის მიერ მოძიებული ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე იმასაც დასძენს, რომ „ამგვარი მოვლენა ძველი საოჯახო სამართლებრივი ნორმებისადმი დაუმორჩილებას ნიშნავდა, რაც ოჯახის განვითარების მოგვიანო პერიოდში უნდა იყოს გაჩენილი. საკითხი იოლად წყდებოდა, თუ პაპა წინასწარ წერილობით ან სიტყვიერად დაუბარებდა ოჯახის წევრებს, რომ გაყრის დროს ობოლი შვილიშვილისათვის მამისეული წილი სრულად მიეცათ“.[343]

ჩვეულებრივ, ობოლს უწილოდ არ ტოვებდნენ, მაგრამ მისი არასრულწლოვნობის გამო მისთვის განკუთვნილ წილს დედას აძლევდნენ. ცენტრალური კავკასიის მკვიდრ ხალხებში ადათის თანახმად, ობლებთან მიმართებით მათ ასაკს მნიშვნელობა არ ჰქონდა. ვ. ითონიშვილის თანახმად, „ობლების დედას წილი სრული სახით ბარდებოდა და ეს ქონება მისი ვაჟების ხელშეუხებელ ქონებას წარმოადგენდა, რომლის თანაბრად განაწილება მათ შეეძლოთ ცალ-ცალკე დაბინავების დროს. მთხრობელებმა ისიც აღნიშნეს, რომ მოწილეები ან მოწილეებთან ამ საკითხზე შეთანხმეებული შუაკაცები

---

[339] ცეცხლაძე გ., გურიის მოსახლეობის საოჯახო ყოფა, მეცნიერება, თბილისი, 1991, გვ. 90.
[340] იქვე.
[341] აჩუგბა თ., ოჯახი და საოჯახო ყოფა აჭარაში, მეცნიერება, თბილისი, 1990, გვ. 108.
[342] იქვე, გვ 108-109.
[343] იქვე, გვ. 104.

(შუაკაცი) ქვრივს ყველაზე დიდ წილსაც კი აკუთვნებდნენ, ვინაიდან მას კისერზე აწვებოდა ობლების აღზრდის მძიმე მოვალეობა“.[344]

ამგვარად, ძველი საოჯახო ტრადიციით ობოლს მოწილე მამის მთლიანი წილი ერგებოდა. მოგვიანებით, კანონის თანახმადაც, ობოლი შვილიშვილი უწილოდ არ უნდა დაეტოვებინათ.

V. 6. ზე[დ]სიძე, როგორც მოწილე სუბიექტი ოჯახის გაყრის დროს

ეთნოგრაფიული მასალებით დასტურდება, რომ ზედსიძეობა ფართოდ იყო გავრცელებული. ოჯახი, რომელსაც ძე არ ჰყავდა, ქალიშვილის გათხოვებისას სიძე შედიოდა სიმამრის სახლში.

ზედსიძეობის ინსტიტუტი ნათლად არის განმარტებული ვახტანგ VI-ის სამართლის 145-ე მუხლში, რომელშიც წერია:

თუ კაცი ამოვარდეს და ვაჟიშვილი არ დარჩეს, და ქალი დარჩეს, ის ქალი ვინც შეირთოს, თავისის მამის სახლ-კარი, საქონელი, მამული იმაქალს მიეცეს. იმ კაცის ვალიც იმ ქალმან და მისმა ქმარმან გადაიჴადოს.[345]

წინდახედულ მამას ერთადერთი ქალიშვილი ნათესავების მხრიდან ქონებრივი დავისაგან რომ დაეცვა, სიძე სიცოცხლეშივე შვილად აჰყავდა, რითაც ჩასიძებული ვაჟიშვილის სტატუსს იღებდა.

ამის შესახებ ვახტანგ VI-ის სამართალში წერია:

***157**. სიძისა შვილებულისა ასრე იცოდით: თუ წიგნითა შესრულ იყვნენ, მამული დაეწეროს, რა გაიყვნენ, საუხუცესო – მამულისა პატრონსა; სხუაჲ შუა გაუყავით*
და შეტანილი და დახუედრებული თავ-თავისი გაიტანონ.[346]

***257**. ესეც იქნების, რომე თავის ადგილზე ქმარი შეირთოს, პატრონი ბევრს ნურას უკითხავს.*[347]

ბ. ზოიძის აზრით, „ზედსიძეობა სიძის შვილების მსგავსია [...] სიძის შვილებაზე უფრო მაშინ ლაპარაკობენ, როდესაც სიძის ოჯახში შეყვანა მოხდებოდა მამის სიცოცხლეში. ასეთი ფაქტები კი მრავლად იყო“.[348] სიძის შვილების ყველაზე ძველი დოკუმენტი თარიღდება XV საუკუნით.

გურიაში, იმერეთში, აჭარაში უვაჟო ოჯახში ჩასიძება წესად ჰქონდათ. ამის უფლება ჰქონდა როგორც მამას, ასევე დედას;

---

[344] ითონიშვილი ვ., ცენტრალური კავკასიელების საოჯახო ყოფა, თბილისი, 1969, გვ. 292-293.

[345] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებული (ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1963, გვ. 517.

[346] იქვე, გვ. 469.

[347] იქვე, გვ. 546.

[348] ზოიძე ბ., ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი, უფლება, თბილისი, 2000, გვ. 197.

მშობლების გარდაცვალების შემდეგ, ზოგჯერ, თვით ქალიშვილსაც, რაც წესის დარღვევად მიიჩნეოდა. სამაგიეროდ, საქართველოს მთაში (ხევში, ხევსურეთი, ფშავში) ჩასიძება მიუღებელი იყო.[349] მსგავსი წესი არსებობდა ცენტრალური კავკასიის მკვიდრ ხალხებშიც.

ქალიშვილი, რომლიც ზედსიძეს მიიყვანდა მამის სახლში, უფლებამოსილი იყო მამრობითი მემკვიდრის მსგავსად, სამკვიდრო მიეღო.

რ. ხარაძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თუ ვაჟიშვილი მამის სახლში არ რჩებოდა, „სიმამარის სახლში ზედსიძედ შესვლით ვაჟიშვილი თავის წილს კარგავდა მამის სახლში. იმის გათვალისწინებით, რომ ჩასიძება ქართლელებში გამონაკლისს წარმოადგენდა, როგორც წესი, არ იღებდა თავის წილსა და [ოჯახში] გაყოფა მხოლოდ ძმებს შორის ხდებოდა“.[350] მაგრამ გ. ცეცხლაძე საპირისპიროს წერს: „ზედსიძედ წასულ კაცს მამის ოჯახიდან წილად ერგებოდა გარკვეული (მცირე) რაოდენობის ფული, ან რამე საოჯახო ნივთი, ზოგჯერ საქონელი. წილში მიწის ნაკვეთის მიცემის არც ერთი შემთხვევა არ დაგვიდასტურებია“.[351]

რ. თოფჩიშვილის მიერ მოძიებული ინფორმაციის თანახმად, „აფხაზებში ერთადერთი ქალიშვილის ყოლის შემთხვევაში იცოდნენ ზესიძეობაც, რაც ხალხში არაპოპულარული იყო. ასეთ შემთხვევაში ქონება ქალიშვილს და მის ოჯახს გადაეცემოდა. სხვა შემთხვევაში ქონების პატრონები სახლიკაცები, მოგვარეები ხდებოდნენ“.[352]

საქართველოში ჩასიძება დაიშვებოდა როგორც თავად-აზნაურთა, ისე გლეხთა შორის. იყო შემთხვევები, როდესაც თავადის ოჯახში ზედსიძედ მისული პირი ცოლის გვარს იღებდა, „რათა არა დავიწყებულ იქმნეს გვაროვნებაჲ კეთილშობილთა ჩვენთა“.[353] გლეხებში ჩასიძება სიძის ბატონის ნებართვის გარეშე არ დაიშვებოდა. „გლეხთა არა აქუს ნებაჲ უცხოთა ყმათა ზედსიძედ შემოსაყვანელად, უკეთუ არა არს ნება პატრონისა ზედსიძედ შემოსაყვანელისა მის, ამად, ვინათაგან უხამს არს მიღებაჲ ყმათა კეთილშობილთა“.[354]

ამგვარად, ზედსიძეობა, როგორც თავად-აზნაურთა, ისე გლეხთა შორის, ფართოდ იყო გავრცელებული საქრთველოს ბარში; საქართველოს მთაში (ხევში, ხევსურეთში, ფშავში) ჩასიძება მიუღებელი იყო. ზედსიძეობას მოწმობს როგორც ეთნოგრაფიული მასალები, ასევე ვახტანგ VI-ის სამართალიც. ზედსიძედ შესვლით ვაჟიშვილი თავის წილს კარგავდა მამის სახლში, სამაგიეროდ უვაჟო ოჯახის მთელი ქონება მის ხელში გადადიოდა.

---

[349] ზოიძე ბ., ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი, უფლება, თბილისი, 2000, გვ. 200; 202.

[350] Харадзе Р., Грузинская семейная община, т.I, изд-во Советский писатель Грузии, , Заря Востока, Тбилиси, 1960, ст. 54-55.

[351] ცეცხლაძე გ., მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის XXIII, მეცნიერება, თბილისი, 1987, გვ. 105.

[352] თოფჩიშვილი რ., კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია, თბილისი, 2007, გვ. 390.

[353] სამართალი ბატონიშვილის დავითისა, (ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო დ. ფურცელაძე), მეცნიერება, თბილისი, 1964, გვ. 23.

[354] იქვე.

V. 7. ბასტარდი, როგორც მოწილე სუბიექტი ოჯახის გაყრის დროს

თავდაპირველად, ქართული ჩვეულების მიხედვით, უკანონოდ შობილს ოჯახიდან წილი არ ეკუთვნოდა. ამავე შინაარსის ნორმა გვხვდება მოსეს სამართალში.[355] მაგრამ ქართული სამართლის ძეგლებში (ვახტანგ VI-ის სამართალი, მუხ. 110 ნაბიჭურისათვის, დავით ბატონიშვილი სამართალი, მუხ. 125 ზ. ნაბიჭურისათვის) გათვალისწინებულია ბასტარდების მდგომარეობა და მათთვის მცირედი ქონების გაღებას ადგენს.

ქალიშვილისათვის მზითევის მიცემა იმდენად სავალდებულო იყო ადათით, რომ ზემოხსენებული ძეგლების თანახმად, უკანონოდ შობილი ქალიშვილიც კი არ უნდა დაეტოვებინათ უმზითვოდ. იმ შემთხვევაში, თუ უკანონოდ შობილი ქალიშვილი თავის ძმებს ეყმობოდა, მაშინ ძმებს ევალებოდათ მისი, როგორც ყმის ისე, გამზითვება.

და [307v] თუ ქალი არის, უნდა გაათხოვოს და გა(ა)მზითოს ყმის ქალსავით. და თუ ენამუსების, ნამუსიანი კაცი ამას ხომ არ იკადრებს, კარგად არ გაისტუმროს.[356]

ან კიდევ

და უკეთუ იყოს ასული, მაშინ მიეცეს მცირედი რაიმე მზითევი.[357]

ვახტანგ VI-ის სამართლის იმავე მუხლის შემდეგი ნაწილი იპყრობს ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას, რომლის თანახმადაც იკვეთება, რომ უკანონოდ შობილ ქალიშვილს წილის სახით მიწის ნაკვეთს მხოლოდ იმ შემთხვევაში აძლევდნენ, თუ ერთ-ერთი მოწილე ძმა „ამოვარდებოდა“.

თუ ერთი ძმა ამოვარდა და ბუშის მეტი არა დარჩა რა, ჩვენს სამართალში ძმებმან ერთი ყმის მამულის ოდენი მამული უნდა მისცენ. თუ უნდოდეს, იმათთან დადგეს, და თუ უნდოდეს, ბატონს ეყმოს. მაგრამე საქონელიც უნდა უწილადონ ბიძაშვილებმან.[358]

ადათის თანახმად, ბუშს წილის სახით მამული არ ეძლეოდა; ამას კანონი კრძალავდა. „ნაბიჭურის წილი არ არის მამულში“.[359]

იმ შემთხვევაში, თუ ბასტარდი თავის ძმებს ყმად დაუდგებოდა, მაშინ, ვახტანგ VI-ის სამართლის 110-ე მუხლის თანახმად:

---

[355] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, სამართალი მოსესი, (გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1963, გვ. 115-116.

[356] იქვე, გვ. 511.

[357] სამართალი ბატონიშვილის დავითისა, (ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო დ. ფურცელაძემ), მეცნიერება, თბილისი, 1964, გვ. 73.

[358] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებული ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1963, გვ. 511.

[359] იქვე.

„სხვათ ჴელი არა აქუთ, არც ბიძასა და არც ბიძაშვილსა, ძმებმან ერთის ყმის ალაგს უნდა არჩინონ.
[...]
და თუ ძმებს ეყმოს, ძმათ სიტყუა არა აქუსთ, უნდა არჩინონ ყმურად“.[360]

მართალია, კანონით ბასტარდი არც მოწილე იყო და არც მემკვიდრე, მაგრამ თუ უძეო მამა მოინდომებდა მისთვის ქონების დატოვებას, მის ნებას ვერავინ შეეწინააღმდეგებოდა. ამის შესახებ დავით ბატონიშვილის სამართლის 125-ე მუხლში ვკითხულობთ:

ხოლო, უკე[ν]თუ არა ესვას ძე და ენებოს მემკვიდრეობა მისი თნებითა მეფისათა, ნურარაᲲმე დამაყენებელი ძალი მიეცემის.[361]

მართალია, წილთან მიმართებით ბასტარდების ქონებრივი უფლებები შეზღუდული იყო, მაგრამ გვიან ფეოდალური ხანის საქართველოში მათ ქონების მიღების უფლება სრულად არ ჰქონდათ ჩამორთმეული. ამ ფაქტს მოწმობს ჩვენ მიერ მოხმობილი შემდეგი საბუთი:

განჩინება გერმანოზიშვილის ბუშისათვის მამულში წილის დადების თაობაზე
1707 25 იანვარი

ქ. გერმანოზისშვილი პაპუა უშვილოდ გარდაიცვალა, შვილი არ დარჩა, ერთი ბუში დარჩა. დასტურ საქართველოში ბუშს საწილოდ მამულში ჴელი არა აქვ[ს], მაგრამ პაპუა თავის მამულსზე და სახლში ჭირნახული და დიდად გარჯილი კაცი იყო.
ამისთვის პაპუას ბუშს ბეჟუას ეს წილი დაუდევით მცოვრეთს: ქ. ზუბიტაშვილი გოგია კვამლი ერთი; ქ. ზარაქაშვილი აბისონა კვამლი ერთი, ქ. იქივ ირემაშვილი ხუცის საკვამლო ერთი; ქ. იქივ ასლამაზაშვილის საკვამლო ერთი.
ეს გლეხნი და სა[კ]ვამლო დღეს რისაც მამულის მქონებელნი იყვნენ, პაპუას ბუშს ბეჟუას უბოძეთ; და გუგუნამ და იესემ და[ა]ნებონ. და სხვას ამის მეტს მამულთა ჴელი არა აქვს საწილოდ, ისრევ ბიძებთან და ბიძაშვილებთან დადგეს, სხვასთან ნურვისთან წავა.
და როდესაც გუგუნა და იესე გაიყარნენ, საწილოდ და გასაყოფად ჴელი არა აქვთ.
და რომელთანაც ბიძასთან და ბიძაშვილებთან უნდოდეს, იმასთან მივიდეს და დადგეს, სხვასთან კი ნურავისთან წავა და ნურს ვის

[360] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებული (ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1963, გვ. 511.
[361] სამართალი ბატონიშვილის დავითისა, (ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო დ. ფურცელაძემ), მეცნიერება, თბილისი, 1964, გვ. 73.

ეყმობა; თუნდა გუგუნასთან იყოს, თუნდა იესესთან ამ სარჩოთა. ქორონიკონსა ***ტჟე****, იანვრის* ***კე****.*[362]

მაქ. კოვალევსკის ცნობით, სვანები განასხვავებდნენ ორი კატეგორიის ბასტარდებს. პირველ კატეგორიაში შედიოდნენ მეორე ქორწინების შედეგად შობილი ბავშვები, ხოლო მეორე კატორიგაში – საყვარლისაგან გაჩენილი ბავშვები. პირველი კატოგორიის ბასტარდები უფლებრივად კანონიერი შვილებს უტოლდებოდნენ და ქონების ნახევარ ან მესამედ წილს ღებულობნდნენ, ხოლო საყვარლისაგან გაჩენილი ბავშვებს წილი არ ეძლეოდათ. ასეთივე წესი მოქმედებდა ფშავსა და ხევსურეთში. მთისაგან განსხვავებით, ა. არღუთინსკის ცნობით, იმერეთში ოჯახის გაყრამდე მშობლები ბასტარდებს მიწის მცირე ნაკვეთს აძლებდნენ.[363]

„მართალია, სამართლებრივ პრინციპად მიღებული იყო ის, რომ „ნაბიჭვრის წილი არ არის მამულში“, მაგრამ, ამასთან ერთად თვით სამართალიცა და იურიდიული პრაქტიკაც იცნობს აქედან გადახვევებს; მეორეც ქართველ მთიელებში ნაბიჭვართა სამემკვიდრეო უფლებებზე იგრძნობა რომაული გავლენები“.[364]

მსგავსი წესი მოქმედებდა კავკასიაში ბასტარდების ანუ კავდასარების მიმართ; კანონიერი შვილების არსებობის შემთხვევაში, მათ წილი არ ეძლეოდათ.

ამგვარად, მართალია, უკანონოდ შობილს ქართული ჩვეულების მიხედვით ოჯახიდან წილი არ ეკუთვნოდა, მაგრამ თუ უძეო მამა მოინდომებდა მისთვის ქონების დატოვებას, მის ნებას ვერავინ შეეწინააღმდეგებოდა. ჰუმანურობის პრინციპიდან გამომდინარე, ვახტანგ VI-ის სამართალი და დავით ბატონიშვილის სამართალი ითვალისწინებს ბასტარდების მდგომარეობას და ადგენს მათთვის მცირედი ქონების გაღებას; ასევე, მზითევის მიცემას უკანონოდ შობილი ქალიშვილისთვის.

V. 8. გერი, როგორც მოწილე სუბიექტი ოჯახის გაყრის დროს

გერის, როგორც მოწილე სუბიექტის შესახებ, ქართული სამართლის ძეგლებში ვერაფერი მოვიძიეთ; რამდენიმე მუხლი ეხება გერს სომხური სამართლის ქართულ ვერსიაში. ერთ-ერთი მუხლის თანახმად, თუ კაცმა ცოლად ქვრივი შეირთო და პირობა დადო, რომ მის გერებსაც გაზრდიდა, მაშინ იგი ვალდებული იყო ეზრუნა მათ აღზრდაზე და ცოლისთვის არ ესაყვედურებინა; ხოლო თუ ასეთი პირობა მისთვის მიცემული არ ჰქონდა, მაშინ შეეძლო გერები სიმამრთან გაეშვა და ამით ყოველგვარი – მათ შორის წილის ან სამკვიდროს მიცემის – მოვალეობისაგან თავისუფლდებოდა.

---

[362] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს., (ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ), მეცნიერება, თბილისი, 1972, გვ. 223.

[363] ზოიძე ბ., ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი, უფლება, თბილისი, 2000, გვ. 228.

[364] იქვე, გვ. 227-228.

165. ქ. თუ ქმარი ცოლსა მისსა აგინებდეს და ავად ეპყრობოდეს, დღე ყოველ დაუ[162r]ყნარებლად უწყრებოდეს, თუ ცოლი მისი ნაქურივალი იყოს და გერებები მოყოლოდეს, და გერების გულისათვინ ისრე ეპყრობოდეს, თუ თხოვნაში მას კაცს პირობა დაედვას, მომეცითო და ობლებსაც მე შევინახაო და დავზდიო, – რადგან პირობა დაუც, პასუხი არა აქუს, უნდა შეინახოს, დასთმოს და ნუდ არცარას ურიგოს ცოლს თავისსა ჰკადრებს.
და თუ შენახვის პირობა არ დაუც, გააბრუნონ ცოლის მამის ნათესავთა მათკენ.[365]

იმავე ძეგლის 252-ე მუხლში არის ჩანაწერი, რაც გვაძლევს იმის ვარაუდის საფუძველს, რომ ოჯახის გაყოფისას ან სამკვიდროს განაწილებისას, ცდილობდნენ გერი უწილოდ დაეტოვებინათ; ამიტომ ეს პრობლემა გერისათვის თავიდან რომ აეცილებინა, პაპა სიცოცხლეშივე წერდა საბუთს, რითაც გერს გარკვეული სახის ქონებას აკუთვნებდა.

252. ...თუ სიცოცხლეში პაპამ წიგნით დააპატრონოს, შეუძლია. და იმგვარად გერისაც შეუძლია თავის სიცოცხლეში დაპატრონება, გინდა სხვისა ამათი, თავის სახლში. [366]

ამგვარად, გერისათვის წილის მიცემა დამოკიდებული იყო ან მამინაცვლის წინდაწინ გაცხადებულ პირობაზე, ან პაპის მიერ სიცოცხლეშივე დაწერილ საბუთზე, რითაც პაპა ქონების გარკვეულ წილს გერს აკუთვნებდა.

V. 9. ნაშვილები, როგორც მოწილე სუბიექტი ოჯახის გაყრის დროს

თემაზე მუშაობისას, ნაშვილების წილთან მიმართებით, აშკარა შეიქნა კვეთა ორ საკითხს შორის: ნაშვილები, როგორ მოწილე და ნაშვილები როგორც მემკვიდრე.

ჩვეულებრივ, შვილება ხდებოდა უშვილო ოჯახების მიერ. მშვილებელი შეიძლება ყოფილიყო ორივე სქესის პირი, ხოლო ნაშვილები უმეტესწილად ქმრის რომელიმე არასრულწლოვანი ნათესავი. ასე ხდებოდა ნაშვილები მშვილებელის ქონების მოწილე; მას ისევე ეკუთვნოდა წილი, როგორც ღვიძლ შვილს. „ცოლს (ქვრივს) შეეძლო ქმრის ახლომონათესავთაგანი შვილად აეყვანა და ქმრის ქონებაზედ დაეპატრონებინა“.[367] ეს შეიძლება იმით ავხსნათ, რომ ქვრივს არ სურდა ქმრის ქონება სხვა ოჯახის ხელში გადასულიყო.

იმ შემთხვევაში, თუ მშვილებლები უშვილო მეუღლეები იყვნენ, მაშინ ვახტანგ VI-ის სამართლის 261-ე მუხლის თანახმად, მთელი მათი

---

[365] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, მხითარ გოშის სამართალი, (გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1963, გვ 283-284..
[366] იქვე, გვ 316.
[367] ზოიძე ბ., ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი, უფლება, თბილისი, 2000, გვ. 206.

ქონება ნაშვილებს რჩებოდა. ამით მეუღლეების ქონებაზე პრეტენზიას ვერც ვერავინ განაცხადებდა და ქონება ვერც ბეითალმანად გამოცხადდებოდა.

ცოლმან და ქმარმან ერთი სხვის კაცის შვილი, დედმამიანი თუ უდედმამოდ ნაპოვნი, ობოლი, ვინმე გაგდებული, იყიდოს თუ იპოვნოს, იშვილოს და გაზარდოს, თავისი მამული და ქონება შვილისებრ მიასაკუთროს და მას უანდერძოს. [368]

ამგვარად, კანონის თანახმად, თუ მშვილებლები უშვილო მეუღლეები იყვნენ, მთელი მათი ქონება ნაშვილებს რჩებოდა; თუ ნაშვილები ქმრის რომელიმე არასრულწლოვანი ნათესავი იყო, მას ისევე ეკუთვნოდა წილი, როგორც ღვიძლ შვილს.

V. 10. ორსული, როგორც მოწილე სუბიექტი ოჯახის გაყრის დროს

ორსული ქალის წილთან მიმართებით, ფშავში არსებული ჩვეულების შესახებ ურთიერთსაპირისპირო ცნობებს გვაწვდიან ჯ. მერაბიშვილი და დ. ჯალაბაძე. ჯ. მერაბიშვილის თანახმად, „ოჯახის გაყრისას ყველაფერი თანაბრად ნაწილდებოდა, მშობლები ზედმეტ სამარხს იღებდნენ მხოლოდ. უფროს ვაჟს არავითარი საუფროსო არ ერგებოდა. არც ორსულ ქალს აძლევდნენ არაფერს ზედმეტს. იტყოდნენ: „წყალში თევზი ვის უფასებიაო“.[369] აღნიშნულის საპირისპირო ინფორმაციას გვაწვდის დ. ჯალაბაძე; „თუ ორსული ქალიც იყო, მაშინ მასაც გარკვეულ (მცირე) წილს აკუთვნებდნენ. ქალს თავის წილს აძლევდნენ მაშინ, თუ კი ისინი ჯვარდაწერილები იქნებოდნენ“.[370]

იმერეთში ორსული ქალის წილის შესახებ ა. არღუთინსკი წერს: „ქონების გაყოფის დროს მხედველობაში მიიღებოდა ქალის ორსულობა და მომავალი შვილისთვის მის დედას ნამეტად გამოუყოფდნენ ერთ კოდ (სამ ფუთ) პურს, ზოგჯერ კიდევ სიმინდსაც, დაახლოებით ორ ფუთს“.[371]

ქვრივი ორსულის შესახებ ერთი მუხლი მოცემულია ბერძნული სამართლის ქართულ ვერსიაში, სადაც 121-ე მუხლში წერია:

---

[368] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებული (ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1963, გვ. 548.

[369] მერაბიშვილი ჯ., მასალები ფშავის ჩვეულებით სამართალზე, 1986, რვ., გვ.28; მითითებულია ქართული ჩვეულებითი სამართალი, წიგნი IV, მეცნიერება, თბილისი, 1993, გვ. 164.

[370] ჯალაბაძე დ., მასალები ფშუარ და ქისტურ ჩვეულებით სამართალზე, 1987, რვ., გვ. 30; 36, მითითებულია ქართული ჩვეულებითი სამართალი, წიგნი IV, მეცნიერება, თბილისი, 1993, გვ. 163.

[371] Аргутинский А., Семейные разделы у имеретин. новое обозрение. Тбилиси, 1893 г., №3175, მითითებულია ზოიძე ბ., ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი, უფლება, თბილისი, 2000, გვ. 127.

ქ. რომელიც დედაკაცი ვაჟზე ორსული იყოს, მისთვის ვბრძანებთ – მამა რომ მოკუდეს, – რამეთუ მამისა მისისა ყოვლის სამკუიდრებელისაგან არა უმკუიდრო იქნების.[372]

ამგვარად, ორსული ქალის ქონების წილთან მიმართებით მართალია მკვლევართა მიერ ურთიერთსაპირისპირო ცნობები იკვეთება, მაგრამ ქონების გაყოფის დროს ზოგჯერ მაინც მხედველობაში მიიღებოდა ქალის ორსულობა და მცირედ წილს მასაც გამოუყოფდნენ ხოლმე, მით უფრო თუ ქალი ჯვარდაწერილი იყო.

V. 11. სნეული და შრომისუუნარო პირები, როგორც მოწილე სუბიექტები ოჯახის გაყრის დროს

ოჯახის გაყრისას ოჯახის სნეული ან შრომისუუნარო წევრის წილის შესახებ ქართული სამართლის ადრეულ ძეგლებში შესაბამისი ნორმები არ გვხვდება. საქართველოში ხსენებული პირების წილი და მათ მიმართ დამოკიდებულება ბერძნული და სომხური სამართლის ქართულ ვერსიებში მოცემული ნორმებით რეგულირდებოდა. კანონი მოითხოვდა, რომ ოჯახის წევრებს ეზრუნათ როგორც სნეულის, ისე შრომისუუნარო პირის მკურნალობასა და კვებაზე; ოჯახის წევრებს ღვთის ანაბარა არ უნდა დაეტოვებინათ და არ უნდა გაყროდნენ, ვიდრე ისინი არ გამოჯანმრთელდებოდნენ.

ოჯახის სნეულ პირებთან მიმართებით ბევრად უფრო პროგრესული და ჰუმანურია დავით ბატონიშვილის სამართალი; ბატონიშვილის სამართლის 167-ე მუხლი სათაურით „სნეულთა ძეთათვის“ ეხება ავადმყოფ პირებს. კერძოდ, თუ გაუყრელ ოჯახში არის სნეული ძმა, რომელსაც არ შეუძლია დამოუკიდებლად თავის რჩენა, ანუ შრომისუუნაროა (თუმცა კანონმდებელი არ აკონკრეტებს შრომისუუნარო ძმის სულიერ თუ ფიზიკურ სნეულებას), დავით ბატონიშვილის აზრით, ცალკე მოწილედ შრომისუუნარო ძმა მხოლოდ მისი განკურნების შემდეგ შეიძლება განხილულიყო.

ხოლო უკეთუ იყოს ძმა ერთი სნეულ, ნუ იკადრებენ მოსამართლენი გაყრად მისა, არამედ მისცენ მას საზრდო და საქმო; და ოდესცა განთავისუფლდეს, მაშინ ძალ-უცს გაყრად ძმათა თჳსთა. და უკეთუ სნეული განყარონ ძალით, არა არს შესაწყნარ გაყრაჲ მისი, ამად რომელ მსაჯულთა ძალისა ჰხამს შედრგინება(!) სამართლისა და არა უსამართლოსა.[373]

კანონი ასევე მოითხოვდა სენულ პირთათვის მეურვის დაწესებას; დავით ბატონიშვილის 167-ე მუხლში ჩამოთვლილია ყველა ის დაავადება, რომლის დროსაც ოჯახის სნეულ პირზე მეურვეობა უნდა დაწესებულიყო; კანონით დადგენილ ამ მოვალეობას ვინც არ

[372] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, სამართალი ბერძნული, (ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1963, გვ. 161.

[373] სამართალი ბატონიშვილის დავითისა, (ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო დ. ფურცელაძე), მეცნიერება, თბილისი, 1964, გვ. 24.

შეასრულებდა, მას პასუხი კანონის თანახმად უნდა ეგო. იმ შემთხვევაში, თუ შრომისუუნაროს ან სნეულს უცხო პირი მოუვლიდა და უპატრონებდა, მაშინ მისი კუთვნილი წილი ქონება სრულად რჩებოდა უცხო კაცს.[374] აქედან ნათლად იკვეთება, რომ ოჯახის საერთო ქონებიდან წილი შრომისუუნარო წევრსაც ეძლეოდა.

„და უცხომ კაცმა რომ შეიწყნარა და მოუარა იმათს სახლის კაცს, [105r] მისი მამული ყოველივე იმას მისცეს, ამისთვის რომე იმათ თავის სახლის კაცსა რატომ არ მოუარეს და არ უყურეს, იმ უცხომ კაცმა მოუარა და შეიწყნარა“.[375]

დავით ბატონიშვილის სამართლის წიგნის 295-ე მუხლი საგანგებოდ ეხება ამა თუ იმ ფიზიკური ნაკლის (ყრუ, მუნჯი,კოჭლი, კუტი) და არა გონებრივი ნაკლის მქონე პირს და ნათლად იკვეთება, რომ ოჯახის გაყრის დროს წილი მასაც გამოეყოფოდა.

„დათუ სხვაგვარი იყოს: კოჭლი, ანუ ბრმა, ანუ ბნედიანი, არ იყოს შეუტყობარი ანუ ასრე არ უნდა, რომე თავის თავის რჩოლა არ იცოდეს, და ჭკუაზე არა სჭირდეს რა, ან იყოს კუტი და საბყარი და ჭკუით ბრძენი – და სხვანიც ამისთანანი, რომე ბევრნი არიან, – დაჰპატრონდნენ მამულს, ნუ გარდააგდებენ საპატრონოდამ“.[376]

ამგვარად, ოჯახის გაყრის დროს კანონი ასევე ადეგნდა გარკვეულ წილს ოჯახის შრომისუუნარო პირისთვისაც, თუმცა მასთან მიმართებით, ოჯახის ჯანმრთელ წევრებს გარკვეულ ვალდებულებებსაც უწესებდა.

---

[374] ზოიძე ბ., ძველი ქართული მემკვიდროებითი სამართალი, უფლება, თბილისი, 2000, გვ. 28.

[375] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, სამართალი ბერძნული, (ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1963, გვ. 198.

[376] სამართალი ბატონიშვილის დავითისა, (ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო დ. ფურცელაძე), მეცნიერება, თბილისი, 1964, გვ. 92.

მეექვსე თავი

დიდი ოჯახის გაყრის ობიექტები

კერძო საკუთრების პირველი ნიშნები ყველგან, მათ შორის ჩვენშიც, ფაქტობრივად, ოჯახშივე ისახებოდა. როგორც აღვნიშნეთ, დიდი ოჯახის გაყოფამდე ოჯახის არც ერთ წევრს არ შეეძლო საოჯახო ქონებიდან წილის მოთხოვნა და ასევე თავისი უფლების დათმობა გარეშე პირისათვის.

ამდენად, ოჯახის გაყრის დროს ქონების განაწილება ოჯახისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. მრავალ მკვლევართა მსგავსად და ჩვენი აზრითაც, დიდი ოჯახების დაშლისა და ინდივიდუალური ოჯახებით თანდათანობით შეცვლის მზარდ პროცესში, განსაკუთრებული როლი ენიჭებოდა იმ პრინციპს, რითაც განისაზღვრებოდა ოჯახის საკუთრებაში არსებული ქონებიდან მოწილეთა ქონების ტიპი და რაოდენობა. ერთი მხრივ, ოჯახის ქონების გაყოფა-დანაწილება დიდი ოჯახის სეგმენტაციას იწვევდა, მეორე მხრივ კი, პირის ქონებრივი და უფლებრივი მდგომარეობის დადგენას. შესაბამისად, საოჯახო ყოფის შესწავლის თვალსაზრისით, ყველგან და მათ შორის საქართველოშიც, სწორედ ამიტომ ოჯახის გაყრისას არსებითი მნიშვნელობა ენიჭებოდა ზემოხსენებულ პრინციპს.

ისმის კითხვა: როგორ და რა ოდენობით განისაზღვრებოდა მოწილეთა წილი ოჯახის გაყრისას?

VI. 1. სათემო-საოჯახო ქონება

მამის სიცოცხლეში შვილებს დამოუკიდებელი წილის ქონა არ შეეძლოთ. ოჯახის წევრების ქონებრივი უფლებების განსაზღვრის ძირითადი კრიტერიუმი ოჯახისადმი მათი ფაქტიური კუთვნილება იყო. თავის მხრივ, ეს ვითარება ძმების გაუყრელობის პრინციპს ეფუძნებოდა. ვახტანგ VI-ის სამართლის 109-ე მუხლის თანახმად:

[307r] 109. ძველი რიგი ასრე არის. სანამდინ ძმანი ერთად არიან, ჭირი, ლხინი, საშოვარი, უშოვრობა, წანართმევი თუ ნაბოძები, ნაპოვნი თუ დაკარგული, რაც რამ ფერი, ყველა ერთი არის.[377]

სათემო-საოჯახო ქონების ყველაზე მნიშვნელოვანი წილი, უპირატესად, წინაპართაგან მემკვიდრეობითი მიღებული უძრავი ქონება იყო. ვახტანგ VI-ის სამართლის 106-ე მუხლის თანახმად, საზიარო ქონებასთან ერთად პატრონიმიის საკუთრებაში რჩებოდა.

[377] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებული (ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1963, გვ. 511.

106. სასაფლაო, ხატი, ჯვარი, საყდრის მამული ერთია. თუ არ გაჰყოფენ, ისის სჯობს, საყდრის ყმასა.[378]

„კომლის საუთრებას შეადგენდა სახლ-კარი, ბოსელი, სხვა ნაგებობანი, პირუტყვი, საოჯახო ნივთები, იარაღი, შრომის იარაღები“.[379] გარდა ამისა, ოჯახის ყველა წევრის საერთო მფლობელობაში იყო მოსავალი.

დიდი ოჯახის ქონების წარმოშობის წყაროს მიუხედავად, ასევე, თუ რა ნიშნით ფლობდა მას პირი (თუ მხედველობაში არ მივიღებთ სათავნოს, რომელიც იმთავითვე განკერძოებული იყო მისი მესაკუთრის ხელში), დიდ ოჯახში არსებული მთელი ქონება საერთო საკუთრებად მიიჩნეოდა.

სათემო-საოჯახო ქონებაზე საკუთრების უფლება გაუყოფლად ეკუთვნოდა მთელ ოჯახს; შესაბამისად, საოჯახო ქონების ამა თუ იმ ნაწილზე ოჯახის ცალკეულ წევრებს საკუთრების უფლება არ ჰქონდათ.

საკუთრების უფლების კოლექტიურ ხასიათზე აშკარად მეტყველებს ისიც, რომ ოჯახის რომელიმე წევრისათვის ნაჩუქარი ნებისმიერი ნივთი თუ პირუტყვი (ცხადია, ეს არ ეხება ქალის მზითევსა და სათავნოს) ოჯახის საერთო საკუთრებას წარმოადგენდა. ოჯახის გაყრისას ნაჩუქარი ნივთი შეიძლება დარჩენოდა იმავე პირს, ვისაც იგი აჩუქეს, მაგრამ კომლის სხვა წევრები მის სანაცვლო ნივთს აიღებდნენ. საერთოდ, საოჯახო ქონების ამგვარი სამართლებრივი რეჟიმი დიდი ოჯახისთვისაა დამახასიათებელი.

ვ. ითონიშვილის თანახმად, „რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ცხვარში ნამყოფი პირისათვის გამოყოფილ საჩუქარს ხევში ეწოდებოდა *საჯოხე*. [...] ცხვრების ან შეკაზმული ცხენის სახედ საჯოხეს გამოყოფა დამახასიათებელი იყო იმ ოჯახებისათვის, რომელთა ძირითად ეკონომიურ საფუძველს წარმოადგენდა მეცხვარეობა. საუფოროს ანალოგიურად, არც საჯოხეს ნორმა იყო განსაზღვრული“.[380]

იმავე ავტორის ინფორმაციით, „მოწილეების საერთო შეთანხმების შედეგად საჯოხეს აძლევდნენ არა მარტო მოწილე მეცხვარეს, არამედ უმცროსი თაობის იმ წარმომადგენელსაც, რომელსაც ამ მხრივ დიდი წვლილი ჰქონდა შეტანილი ოჯახის ეკონომიკაში“.[381] ვ.ითონიშვილი ასევე დასძენს: „კაცს, რომელიც წილის მიღების უფლებით არ სარგებლობდა, მაგრამ ოჯახის ერთ-ერთ მოამაგედ ითვლებოდა, საქონელი საჩუქრად ეძლეოდა იმ შემთხვევაშიც, როდესაც ის სხვა საქმიანობას (მემინდვრეობა, ქირაზე სიარული) ეწეოდა“.[382]

---

[378] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგის VI-ის სამართალი, (ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1963 წელი, გვ. 510.

[379] ზოიძე ო., ქართული ჩვეულებითი სამართალი, ტ. IV, მეცნიერება, თბილისი, 1993, გვ. 55.

[380] ითონიშვილი ვ., მოხევეების საოჯახო ყოფა, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1970, გვ. 116.

[381] იქვე, გვ. 117.

[382] იქვე.

მართალია, ოჯახის წევრებს ჰქონდათ პირადი საკუთრება, მაგრამ საკუთრების ეს უფლება მხოლოდ მათ მიერ პირადი მოხმარების საგნებსა და ნივთებზე ვრცელდებოდა. ამ ფაქტის შესახებ დ. ჯალაბაძე იმოწმებს ერთ-ერთი ინფორმატორის ნათქვამს: „ოჯახში ყველას ჰქონდა თავ-თავისი ქონება. ხოლო სანამ გაიყრებოდნენ, მაშინ ოჯახის მთელი ქონება საერთო იყოო“.[383]

ასე რომ, ქონების მფლობელი იყო არა ინდივიდი, არამედ ოჯახი, რომელიც შედგებოდა არა ერთი თაობის, არამედ რამდენიმე თაობის ინდივიდებისაგან. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გაუყრელ ოჯახებში უძრავ და მოძრავ ქონებაზე (მაგალითად, მიწაზე, სახლზე, წისქვილზე, საქონელზე და ა.შ.), საკუთრების უფლების კოლექტიური ხასიათი იყო გაუყრელი დიდი ოჯახის პატარა ოჯახისაგან განმასხვავებელი ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი.

საგვარეულო ქონება განუსხვისებელი იყო, მისი განკარგვა ოჯახის არც ერთ წევრს არ შეეძლო. „ქონება ოჯახის ისეთივე კუთვნილებაა, როგორც ფუნქცია კასტისა [...] სამემკვიდრეო მამულის გასხვისება ჯერ კიდევ მოვალეობის დარღვევად, ფიცის გატეხვის ტოლფას დანაშაულად მიიჩნეოდა“.[384]

ეთნოლოგები ხაზგასმით აღნიშნავენ იმ ფაქტს, რომ საოჯახო ქონების გაყოფისას ქონების გარკვეულ ნაწილის თანასაკუთრებაში დატოვებდნენ. ეს იყო ისეთი სახის ქონება, რომლის „გაყოფა ვერ ხერხდებოდა, ან მისი რომელიმე მოწილის ხელში ჩაგდებით მოსალოდნელი იყო ახლადშექმნილი ოჯახის გამდიდრება, მოწილეები მას საზიაროდ იტოვებდნენ. ასეთები იყო: წისქვილი, საფრექო (საქსოვი დაზგა), ხილის ბაღი, იალა საზაფხულო საძოვრებზე, ტყე და ზოგჯერ სათიბი ან სახნავი მიწაც კი“.[385]

გ. ცეცხლაძის თანახმად, „გაუყოფლად დატოვებული ქონების სახეობა ოჯახის ეკონომიკურ მდგომარეობაზე იყო დამოკიდებული.“[386] გურიაში საზიაროდ შეიძლება დარჩენილიყო სახლი; თუ ოჯახის გაყრის დროს არ ხერხდებოდა ახალგამოყოფილი ოჯახისთვის სახლის აგება, გაყრილი ძმები დროებით ერთ სახლში ცხოვრობდნენ, ასეთ შემთხვევაში ისინი ოთახებს ინაწილებდნენ. იმავე ავტორის თქმით, ეზოსა და საცხოვრებელი სახლის ზიარად დატოვების წესი გურიაში ცალკეულ შემთხვევაში დღემდე არის შემორჩენილი“.[387]

გაყრის შემდეგ, ხშირად ძმები ერთმანეთის მახლობლად სახლდებოდნენ, რაც გ. ცეცხლაძის თანახმად, გაპირობებული იყო შემდეგი ფაქტორებით: „1. ერთმანეთთან ტერიტორიული სიახლოვით ადვილდებოდა ძმებს შორის ურთიერთდახმარება. 2. ხშირი იყო მტრის თავდასხმები. ასეთ შემთხვევაში განაყარი ოჯახების სიახლოვე აუცილებლი იყო. მამაკაცი თუ გარე სამუშაოზე წავიდოდა, ცოლ-შვილს შინაურებთან ახლოს უშიშრად დატოვებდა. სწორედ ამ მიზეზით იყო

---

[383] ჯალაბაძე დ., მასალები ფშავის ჩვეულებით სამართალზე, 1987, რვ; 12; მითითებულია ქართული ჩვეულებითი სამართალი, ტ. I, მეცნიერება, თბილისი, 1988, გვ. 161-162.

[384] დიურკემი ე., სოციალური შრომის დანაწილება, „Carpe diem“, თბილისი, 2012, გვ.437.

[385] აჩუგბა თ., ოჯახი და საოჯახო ყოფა აჭარაში, მეცნიერება, თბილისი, 1990, გვ. 110.

[386] ცეცხლაძე გ., გურიის მოსახლეობის საოჯახო ყოფა, თბილისი, მეცნიერება, 1991, გვ. 104.

[387] იქვე, გვ. 104-105.

გამოწვეული ის, რომ ხშირ შემთხვევაში, ძმები ერთმანეთის გვერდით, ზოგჯერ საზიარო ეზოშიც კი ცხოვრობდნენ. მიუხედავად ამისა, განაყარი ოჯახები გაფანტულადაც სახლდებოდნენ, რაც სხვადასხვა მიზეზით იყო განპირობებული".[388]

პირუტყვიდან საზიაროდ შეიძლება დაეტოვებინათ ძროხა, ხარების ყოლა ყველა ოჯახისათვის აუცილებელი იყო. სამეურნეო ნაგებობიდან ზიარად ხმარობდნენ წისქვილს, ჩამურს, ჭურ-მარანს, საწნახელს; საზიაროდ ტოვებდნენ ჭას, საზედაშე ქვევრს, რომლის დაძვრა არ შეიძლებოდა.[389] აქედან გამომდინარე, „ვინც ოჯახში რჩებოდა, საზედაშე ქვევრი იმის კუთვნილება იყო. ზოგან გაყრის შემთხვევაში საზედაშე ქვევრი ხელუხლებელი რჩებოდა და ძმათა შვილებს შორის საერთო საკუთრებად ითვლებოდა. გაყოფის შემდეგ ოჯახიდან წასული საზედაშე ქვევრს ცალკე გაიჩენდა. უზედაშოდ არ შეიძლებოდა, რადგანაც მას დოვლათი და ბარაქა ჰქონდა".[390]

ჩვეულებრივ, „საერთო ქონებაზე ყველა მოზიარეს თანაბარი, მაგრამ დროებითი უფლება ჰქონდა. გარკვეული ხნის შემდეგ საზიარო ქონებას რომელიმე ძმა შეისყიდდა და ის ამ უკანასკნელის მუდმივ მფლობელობაში გადადიოდა".[391]

თ. აჩუგბას აზრით, საოჯახო ქონების საკუთრების საერთო ბუნებაზე ასევე მიგვანიშნებენ „აჭარის თითქმის ყველა ხეობაში. მრავლად შემორჩენილი ტოპონიმები: ზიარყანა, საზიარო, ორზიარი, სამზიარი, სამთზიარი, სამთაზიარი, ოთხზიარი, ხუთზიარი, ექვსზიარი და ა.შ. ეს გაუყოფელი ქონება მომავალში ნათესაური ჯგუფის ნეგროს (პატრონომიის) საკუთრებაში გადადიოდა და თაობიდან თაობას გადაეცემოდა. ეს ფაქტი ადასტურებდა „არა მარტო მოცემული ნათესაური ჯგუფის ყოფილი ერთიანი ოჯახიდან წარმომავლობას, არამედ ეს არის ამ ერთობის ზოგიერთი მომენტის დამამტკიცებელი ფაქტორიც".[392]

ჩვეულებრივ, როგორც მთაში, ისე ბარში შესასრულებელი სამუშაო ხასიათისა და სირთულის მიხედვით იყო დაყოფილი; ოჯახსა და საოჯახო მეურნეობაში შესასრულებელი საქმის რამდენიმე სახეობას იმის მიხედვით გამოყოფდნენ, თუ ვინ ასრულებდა სამუშაოს. ეს იყო „ერთი მხრივ, საქალური და საკაცური, მეორე მხრივ, საუმფროსო და საუმცროსო სამუშაოები".[393] თ. აჩუგბას მიხედვით, აჭარაში „ამგვარი წესი განსაკუთრებით დამახასიათებელი იყო რამდენიმე ასაკობრივი ჯგუფისა და თაობისაგან შემდგარი დიდი ოჯახისათვის".[394]

ამგვარად, დიდი ოჯახის პატარა ოჯახისაგან განმასხვავებელი ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი იყო საკუთრების უფლების კოლექტიური ხასიათი. ქონების წარმოშობის წყაროს მიუხედავად, მთელი ქონება დიდი ოჯახის საერთო საკუთრებად მიიჩნეოდა, რომლის განკარგვა ოჯახის არც ერთ წევრს არ შეეძლო. თუმცა საოჯახო ქონების

---

[388] ცეცხლაძე გ., გურიის მოსახლეობის საოჯახო ყოფა, თბილისი, მეცნიერება, 1991, გვ. 104-105.
[389] იქვე, გვ. 103-104.
[390] იქვე.
[391] იქვე.
[392] აჩუგბა თ., ოჯახი და საოჯახო ყოფა აჭარაში, მეცნიერება, თბილისი, 1990, გვ. 110.
[393] იქვე, გვ. 73.
[394] იქვე, გვ. 73-74.

გაყოფის დროს თანასაკუთრებაში ტოვებდნენ გაუყოფელ ქონებას, თაობიდან თაობას გადაეცემოდა და ნათესაური ჯგუფის ერთიანი ოჯახიდან წარმომავლობას მოწმობდა.

VI. 2. ოჯახის გაყრის დროს ქონების გაყოფის წესი

დიდ პატრიარქალურ ოჯახში, სადაც ოჯახის დაქვემდებარებაში შედიოდნენ არა მარტო ერთი გვარის პირები, არამედ ბიძაშვილები და მათი ოჯახები, ყველაფერი ეფუძნებოდა უფროსობის ინსტიტუტს. სამკვირდო ქონების გადაცემა და საოჯახო საკუთრების გაყოფის რიგითობა, ასევე საერთო ქონებიდან მისაღები წილი და მოცულობაც უშუალოდ ოჯახის სამართლებრივი მოწყობის ფორმაზე იყო დამოკიდებული და საოჯახო სამართლით განისაზღვრებოდა.

გაყრის შესახებ ვახტანგ VI-ის სამართალში [VII, *გაყრისათვის* მუხ. 40] ვკითხულობთ:

გაუყრელ ძმათა, ბიძათა და ბიძაშვილთა ერთობასა შინა შემთხვეული ჭირსა და ლხინში ხარჯი, ზარალი, მოგება, ვალი, ასაღებ-მისაცემი: ესე ყოველივე საერთოდ აღეთვლებოდათ...[395]

„ჩვენამდე მოღწეულ მრავალრიცხოვან აქტებში აღნიშნულია ოჯახის ქონების გაყოფის სამი ძირითადი სახე: *სახლოსნობა, საქონელი, მამულები.* მაგალითად, 1731 წლის საუბარია ძმებ მამულაშვილებს შორის ქონების გაყოფაზე, როცა თანაბარ საძმო წილებად გაიყო საოჯახო თემს მიკუთვნებული ნაგებობები, საქონელი და სამემკვიდრეო მიწები“.[396]

საოჯახო ქონებას მამა ან უფროსი ვაჟი ანაწილებდა, რაც კენჭისყრით ხდებოდა. „დაყოფა შეფარდებით იცოდენ ისე, რომ თვითოეულ წილში „სწორი“, ე.ი. თანასწორი კერძი ყოფილიყო. გასაყოფი ქონების ნაწილების ასეთ შეფარდებას „ურთიერთას შესწორება“ ჰრქმევია. [...] ამგვარად შეფარდებულ ქონებას *მონაწილეთა შორის წილის ყრითა ჰყოფდენ ხოლმე“*.[397] ვახტანგ VI სამართლის 104-ე მუხლში აღწერილია წილისყრის წესი:

...შეფარდებული მდივანმან სწორეს, ერთსნაირს ბარათზე უნდა დაწეროს, სწორედ წაკვეცოს, დაკეცოს, რომე ერთი-მეორეზედ მეტობით არ იცნობოდეს.
მეფე, თუ ვინც მოსამართლე ბრძანდებოდეს, იმან ჭელსაჭოცში უნდა ჩაყაროს, აურიოს, ამოიღოს და თვითო-თვითოს გარდუგდოს, რომელიც რომელს ერგოს, მდივანმა ზედ მოუწეროს. მაგრამ გარდაგდება რიგით უნდა, რამდენიც ძმანიც იყუნენ შეფარდებით.
[...]

[395] დოლიძე ი, საქართველოს ჩვეულებითი სჯული, თბილისი, 1960, გვ. 115.

[396] Харадзе Р.Л., Грузинская семейная община, т.II, , изд-во Советский писатель Грузии, Заря Востока, Тбилиси, 1961, с. 44.

[397] ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, ნაკვეთი მეორე, ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემა, ტფილისი, 1929, გვ. 377.

რჩევაც იქნების, – ჯერ ერთმან ირჩიოს შეფარდებული და მერმე რიგით ყუელამ ირჩიოს.[398]

ამ წესით გაყოფა იმდენად მისაღებად მიაჩნდათ, რომ მოწილეები ხვედრებულ წილს აღარ ასაჩივრებდნენ.

104. ...რამდენიც ძმ[306r]ანი არიან, იმდენი კომლი და კომლი უნდა შეაფარდონ, რომ ყუელანი დასჯერდენ, რომ სწორი ფარდი არისო, და რომელიც მერგების, ვჯერვარო.[399]

ვახტანგ VI-ის სამართალის ზემოაღნიშნულ მუხლში ხსენებული ტერმინები *ფარდი* და *შეფარდება* გვხვდება ოჯახის გაყრისას გურიისა და იმერეთის ყოფაში.

გაყოფას ექვემდებარებოდა არა მარტო მატერიალური ქონება, არამედ მომსახურე პერსონალიც (ყმა-გლეხები). ამის შესახებ აღნიშნულია ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 103 მუხლში.

[103[4]]. იქნების, გლეხი ოცი არ ყუანდეს, ან მეტი, ან ნაკლები იყოს, და იმისი საუფროსოს მიცემა ან გასამყრელოს აღება, ან საშუალოს აღება გაჭირდების. ამას კარგა გასინჯვა და მოსამართლისაგან გარკვევა უნდა, ჩათულა და ანგარიში უნდა. იქნების, ამდენი გლეხი იყოს გამორჩეული, საუფროსო ერგოს და საუარესო აღარ მისცენ; იქნების, არც გამორჩეული მიეცეს და არც უარესი, შუათანა, გლეხი მიეცეს, ან არა – ორი: ერთი, რომელიც კაი გლეხია, დააგდონ და ისრე სხვაში აარჩევინონ. ამას კარგი გასინჯვა უნდა.[400]

ამას მოწმობს ტატიშვილების გაყრის საქმეზე მიღებული განჩინებაც, რომელიც 1674 წლის 11 იანვრით არის დათარიღებული:

მოსამსახურე ბიჭები იყო გასაყოფი. პაპუას მიხვდა ხარშილაძე მამუკა, მისის ცოლ-შვილითა; და თამაზას – გულივერდაშვილი დათუნა, და ხოსიას – ხარშილაძეს ძმა ბერი.

კაცის მეფარიძეს ეცილებოდა პაპუას. და კაცია წადგა და თავისი თავი გამოიფიცა და პაპუას დარჩა მისის ცოლ-შვილითა.[401]

---

[398] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგ VI-ს სამართალი, (ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ის. დოლიძემ), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1696, გვ. 510.

[399] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგ VI-ს სამართალი, (ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ის. დოლიძემ), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1696, გვ. 510.

[400] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგ VI-ს სამართალი, (ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ის. დოლიძემ), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1696, გვ. 509.

[401] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, (ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ის. დოლიძემ), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1972, გვ. 133.

ინფორმატორთა ცნობით, გაყრისას ქონების გაყოფის სამართლებრივი მოწესრიგება და ორგანიზაცია ხდებოდა უშუალოდ ოჯახის ფარგლებში, ოჯახის უფროსის (მამა, უფროსი ძმა) მიერ. ოჯახის გაყოფისას გასაყოფი ქონება ზუსტად აღიწერებოდა და ზუსტად განისაზღვრებოდა თუ ვის რა ქონების წილი უნდა გადასცემოდა. ეს პროცესი, თავის მხრივ, მთელ რიგ სოციალურ-ეკონომიკურ მიზეზებს უკავშირდებოდა, ვინაიდან დიდი ოჯახის გაყოფის შემდეგ თითოეულ მათგანში ქონება დამოუკიდებელი, საკუთრების განკერძოებული სახით ყალიბდებოდა. ამ ფაქტს ნათლად მოწმობს 1672 წლის 8 მარტის წიგნი ნასყიდას, ბაღდასარას და ჯუანუას გაყრილობის შესახებ:

ძმათ ვიყავით, გავიყარნეთ. ასე რაც მამის ჩუენის მამულის, სახლის, კარის ჩუენი კერძი და წილი სრულ ყუელა თქუენზედ მოგყიდეთ და ავიღეთ ფასი, რითაც ჩუენი გული შეჯირდებოდა და ღმრთით ასრე გებედნიეროს, როგორც თქუენი გული გინდოდეს.
გათავდა, გავიყარენით, ჩუენში აღარა დარჩა რა არას ფერისა სადავო და საყარყაშო ძმობის მეტი.
და თუ რამ სახლის კეთილი იყო ან სპილეძეური და ან სხუა რამე, ყუელა შუაჩი გავხყავით. დღეს იქით არც ჩუენ თქუენთან ჭელი ქონდეთ და არც ჩუენი შვილები თქუენს შვილებსა.[402]

ხევში „სულზე ანაწილებდნენ მხოლოდ იმ წლის სარჩოს (მარცვლეულს, ფქვილს, პროდუქტებს), რომელ წელსაც ოჯახის გაყრა მოხდებოდა. ამ წესით განაწილებულ სარჩო-საბადებელს ხევში ეწოდებოდა *სულადი*“.[403]

რ. ხარაძის თანახმად, სათემო-საოჯახო ქონების გამოყოფისას ოჯახის ყველა წევრს შორის თანაბრად იყოფოდა მოსავალი. „მხოლოდ მეღვინეობის მიმდევარ ოჯახში ხდებოდა ღვინის განაწილება განსხვავებულად. ქართლში, კახეთსა და იმერეთში მხედველობაში მიიღებოდა ოჯახის წევრის სქესი და ასაკი, რაც მიუთითებდა მოცემული პირის მიერ ვენახის დამუშავების შესაძლებლობაზე [...] ზოგიერთ საოჯახო თემში ამავე წესით ნაწილებოდა სიმინდისა და ფეტვის მარაგი, მაშინ როცა [ქიზიყში] ხორბალი და ქერი ყოველთვის სულადობრივად ნაწილებოდა“.[404]

სულადს ასრე გაიყოფენ. ყმასა და მხლებელს გარდა, პურს, რამდენიც არიან შვილი თუ შვილიშვილი, ნაბიჭვარი, ყველაზე მისცემენ. ღვინოს, რამდენსაც სახლიშვილს მუშის თავს დგომა შეუძლია, ისრე ბარზედ გაიყოფენ.

---

[402] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, (ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ის. დოლიძემ), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1972, გვ. 127.

[403] ითონიშვილი ვ., მოხევეების საოჯახო ყოფა, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1970, გვ. 118.

[404] Харадзе Р.Л., Грузинская семейная община, т. II, изд-во Советский писатель Грузии, Заря Востока, т.II, Тбилиси, 1961, с. 44.

თუ ბერი ყავს ვისმე და საჴელო არა აქვს, სულადი იმასაც მიეცემის.[405]

იმ კუთხეებში, სადაც მევენახეობას მისდევდნენ, საწნახელს იყოფდნენ; მაგალითად, ტატიშვილების გაყრის საქმეზე 1674 წ. 11 იანვარის განჩინებაში ვკითხულობთ:

საწნახელი ოცდა[ა]თ მარჩილათ დავაფასეთ თაღრიანათ, ფასი ხოსიამ გაიღო.[406]

„დამოწმებულია ქონების განაწილების ისეთი წესიც, როცა ერთი მოწილე საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობებს დაანაწილებდა, მეორე კი – სახნავ მიწებს, მესამე – სათიბებს, მეოთხე – პირუტყვს და ა.შ. ცალკეული გამანაწილებელი ცდილობდა თანაბრად გაეყო ქონება, რადგანაც მის მიერ დაყოფილ წილებს ჯერ სხვები აირჩევდნენ და ბოლო წილი მას ხვდებოდა. ასე რომ, თუ არათანაბრად გაყოფდა ქონებას, ასეთ შემთხვევაში მას შეიძლებოდა მცირე წილი რგებოდა“.[407]

გარდა ამისა, ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით ასევე ცნობილია, რომ გურიაში „ყველაფერს რომ გაყოფდნენ, გაარიგებდნენ, მერე ცალკეულ წილზე ლატარიას მოაწყობდნენ, ვისაც რომელი წილი მოუწევდა, იმით დაკმაყოფილდებოდა [...] ისევე როგორც საქართველოს ყველა კუთხეში, გურიაშიც სულადობის მიხედვით ნაწილდებოდა გაყრის მომენტში არსებული პროდუქტი – სიმინდი, ღომი, ღვინო, არაყი, ხილი, ლობიო და სხვა. იმერეთსა და რაჭაში ღვინო ძმებზე ნაწილდებოდა, და არა სულადობით“.[408]

მთიან რეგიონებში, „თუშეთში, ფშავსა და ხევში, სადაც საოჯახო თემის ძირითადი საქმიანობა მეცხოველეობა იყო, სულადობრივად იყოფოდა როგორც მარცვლეული, ისე რძის [პროდუქტების] მარაგი. საოჯახო თემის წევრებს შორის პურისა და ღვინის მარაგის გაყოფის ხსენებული სისტემის შესახებ ლაპარაკია არის ვახტანგ VI-ის სამართალში“.[409]

როგორც საქართველოში, ისე ცენტრალური კავკასიის მკვიდრ ხალხებში დიდი ოჯახის გაყრის დროს გაყოფას ექვემდებარებოდა ოჯახის საკუთრებაში არსებული ყველა სახის ობიექტი. ვ. ითონიშვილის თქმით, ცენტრალურ კავკასიაში მოქმედი ადათის თანახმად, „ქონების განაწილების მომენტში არ უწევდნენ ანგარიშს არც მოწილეთა შვილების წლოვანებას და არც რაოდენობას. ერთ მოწილეს რომ ათი შვილი ჰყოლოდა და მათ შორის ცოლშვილიანებიც, ხოლო მეორე მოწილე სულ უშვილო ყოფილიყო, ქონება მათზე

---

[405] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგ VI-ის სამართალი, (ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ის. დოლიძემ), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1963 წელი, გვ. 512.

[406] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, (ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ის. დოლიძემ), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1972, გვ. 134.

[407] აჩუგბა თ., ოჯახი და საოჯახო ყოფა აჭარაში, მეცნიერება, თბილისი, 1990, გვ. 101-102.

[408] ცეცხლაძე გ., გურიის მოსახლეობის საოჯახო ყოფა, მეცნიერება, თბილისი, 1991, გვ. 91; 102..

[409] Харадзе Р.Л., Грузинская семейная община, т.II, изд-во Советский писатель Грузии, Заря Востока, Тбилиси, 1961, с. 44-45.

თანაბრად ნაწილდებოდა. სულებზე იყოფოდა მხოლოდ იმ წლის სარჩო – პურეული და პროდუქტები“.[410]

ოსების ნათესაობისა და მემკვიდრეობის საკითხის შესწავლის საფუძველზე მაქ. კოვალევსკიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ქონებრივ-სამართლებრივი ურთიერთობის ანალოგიური სისტემა არსებობდა ოსებშიც, საოჯახო თემის წევრებს შორის. „როცა მამები და ბავშვები/შვილები, ძმები და ძმისშვილები გამოთქვამენ გაყრის სურვილს და წინასწარ იღებენ სავარაუდოდ თავიანთ წილს, პირველად ხდება აუცილებელი, რომ განისაზღვროს მათი წილი – და ამ აუცილებლობით აკმაყოფილებენ სამკვიდროს მიღების რიგითობის ჩვეულებას. პირველ რიგში ისინი საზღვრავენ სამკვიდროში თითოეულის რიგითობასა და მოცულობას, განასხვავებენ აგნატებსა და sui-ს ხაზს, რომელთაგანაც ერთნი გამოდევნიან მეორეებს, ასევე წყვეტენ საკითხს იმის შესახებ, ორივე სქესის წარმომადგენლებს მიუწვდებათ თუ არა ხელი სამკვიდროზე”.[411]

ამგვარად, დიდი ოჯახის გაყოფის დროს გაყოფას ექვემდებარებოდა როგორც მატერიალური ქონება, ისე ყმა-გლეხები. ქონების გაყოფა ხდებოდა შეფარდებით. ამ წესით ქონების გაყოფა იმდენად მისაღებად მიაჩნდათ მოწილეებს, რომ ხვედრებულ წილს აღარ ასაჩივრებდნენ.

VI. 3. ოჯახის გაყრის დროს მშობლების წილად გაცემული ქონება

როცა დიდი ოჯახი პირველი თაობის, კერძოდ, მამის და დედის სიცოცხლეში იყრებოდა, მაშინ ქონებას ყოფდა მამა. ოჯახის გაყრისას საერთო ქონებიდან მოწილეებისათვის გამოყოფილ „ქონების თვითოეულ „ნაწილ“-ს „ხუედრი“-ც ეწოდებოდა“;[412] საერთო ქონებიდან მოწილის მიერ თავისი წილის მიღებას კი – წილის გატანა ეწოდებოდა.[413] ხუედრის,[414] როგორც წილის აღმნიშვნელი ტერმინის შესახებ გ. ცეცხლაძე წერს – გურიაში თითოეულ მოწილეს თავისი წილი ანუ ხვედრებული წილი ერგებოდა.[415]

საერთო ქონების გარკვეული წილი მშობლების სახელზეც გამოიყოფოდა. მათ წილ ქონებას *სამარხი* ეწოდებოდა და სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა სახელით იწოდებოდა. კერძოდ, *სადიდო, სანახ-სამარხი, ასამწევრო, აწევის წილი, ხუედრი, მოსამლელო, სამკვდრინო, სარჩო.*

---

[410] ითონიშვილი ვ., ცენტრალური კავკასიელების საოჯახო ყოფა, თბილისი, 1969, გვ. 100-101.

[411] Ковалевский М.М., Современной обычай и древный закон. Обычное право осетин в историко-сравнительной освещений, Т. I, М. 1886, с. 318.

[412] ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, ნაკვეთი მეორე, ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემა, ტფილისი, 1929, გვ. 377.

[413] მენთეშაშვილი ს., ქიზიყური ლექსიკონი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1943, გვ 243.

[414] ხუედრი – ესე არს წილად ხვედრებული; ორბელიანი ს.ს., ლექსიკონი ქართული, ტ. II, მერანი, თბილისი, 1993, გვ. 432.

[415] ცეცხლაძე გ., გურიის მოსახლეობის საოჯახო ყოფა, მეცნიერება, თბილისი, 1991, გვ. 90.

ისმის კითხვა – რა სახის და რა ოდენობის ქონება გაიღებოდა მშობლების წილის სახით?

ოჯახის გაყრის დროს მშობლებისათვის მიცემულ ქონების ნაწილს *სადიდო* ეწოდებოდა. ჩვეულებრივ, „ძმები როცა გაიყრებოდნენ, მშობლები შვილებს ან წილში ჩაუდგებოდნენ და იმდენსავეს მიიღებდნენ, რამდენსაც თითოეული შვილი (ეს არ იყო მიღებული), ან საერთო ქონებიდან ნაწილს, თავიანთ სამყოფს სიკვდილამდე, აიღებდნენ (წილზე ნაკლები გამოდიოდა ხოლმე ჩვეულებრივ, მაგრამ თუ ცოტა დოვლათი ჰქონდათ, მაშინ წილზე მეტიც გამოვიდოდა), დანარჩენს შვილები სამკვიდროს, ანუ სამარხსაც აიღებდნენ. გაყრის შემდეგ თუ უნდოდათ, რომელსამე შვილთან გავიდოდნენ, თუ არადა ცალკე იქნებოდნენ“.[416] წილში ჩადგომა ხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ ოჯახს მცირე ქონება ჰქონდა და ოჯახის გაყრისას ძმებისათვის გაცილებით მომგებიანი იყო მშობლების სადიდოსა და სამარხის მიცემის ან დისათვის მზითევის გატანების ნაცვლად, ისინი წილში ჩაეყენებინათ და ოჯახის ქონება მათთვის, როგორც მოწილეებისათვის, ისე გადაეცათ. თუ ოჯახი დიდ ქონებას ფლობადა, მაშინ მშობლები და დები თავად ითხოვდნენ ძმად ჩაყენებას „იმ აზრით, რომ ბევრი გაეტანათ სახლიდან, რაც უკანონოდ ითვლებოდა“.[417] თუ ოჯახის ქონება ძალზე მცირე იყო, მაშინ ძმები თანასწორად გაიყოფდნენ ქონებას, ხოლო მშობლებსა და დას უწილოდ დატოვებდნენ– წილიდან ამოაგდებდნენ, მაგრამ მშობლებს მათ გარდაცვალებამდე რიგ-რიგობით უპატრონებდნენ.

ს. მენთეშაშვილი ქიზიყურ ლექსიკონში *სამარხს* ასე განმარტავს: „1. დასამარხავად (დასასაფლავებლად) გადადებული ქონება; 2. სამკვიდრო, დასამარხავად მიცემული წილი მშობლებისათვის გაყრის დროს, როცა ოჯახი ირღვეოდა და ძმები იყრებოდნენ, მშობლებს აძლევდნენ სამარხად ცხვარს სამიოდეს, ძროხას და მისთ. ეს ხელუხლებელი იყო, ვერავინ შეეცილებოდა“.[418]

მშობლების წილს აჭარში *ასამწევრო* ეწოდებოდა. ზოგიერთ სოფელში *აწევის წილს* ან *სამკვდრინოს* უწოდებდნენ. ასამწევროს სახით მშობლებს ეძლეოდათ თითო ძროხა ან რამდენიმე თხა-ცხვარი. მშობლებს სხვა ქონება არ ეძლეოდათ, თავიანთი წილის მიღების შემდეგ, ისინი ერთ-ერთ მათ მიერ არჩეულ, უმეტესად უმცროს შვილთან რჩებოდნენ. მათი გარდაცვალების შემდეგ ასამწევროდ გამოყოფილ პირუტყვს შვილები გაყიდნენ და ფულს მოხუცების *ასაწევად* ანუ დასაკრძალავად გაღებული თანხის დასაფარავად მოიხმარდნენ. თ. აჩუგბას აზრით, „ამიტომაც მშობლებისათვის გამოყოფილ პირუტყვს ასამწევრო დაერქვა. იმ შემთხვევაშიც, როცა ოჯახის გაყრის დროს მშობლებიდან მხოლოდ დედა იყო ცოცხალი, ამ უკანასკნელს მაინც ეძლეოდა ასამწევრო, ხოლო უფროს შვილს – საემეგო“[419].

იგივე ავტორი მის მიერ მოკვლეული მასალების საფუძველზე წერს, რომ ოჯახის გაყრის დროს აჭარაში, ასამწევროსთან ერთად, არსებობდა *მოსამლელო* ქონების გამოყოფის წესიც. „მოსამლელოში“

---

[416] მენთეშაშვილი ს., ქიზიყური ლექსიკონი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1943, გვ. 151-152.
[417] იქვე, გვ. 237; 243.
[418] იქვე, გვ. 151-153.
[419] აჩუგბა თ., ოჯახი და საოჯახო ყოფა აჭარაში, მეცნიერება, თბილისი, 1990, გვ. 106.

იგულისხმება როგორც „პირუტყვი, ისე გარკვეული რაოდენობის სახნავ-სათიბი მიწები, მოსამლელო წილი ეძლეოდა როგორც მამას, ისე დედას. მშობლები მათთვის გამოყოფილ მოსამლელოებს ისინი აერთიანებდნენ ერთ-ერთი შვილის ქონებასთან, კერძოდ, იმასთან, ვისთანაც გადაწყვეტდნენ ცხოვრებას. მოსამლელოდ გამოყოფილი ქონება მშობლების მოვლა-პატრონობას ხმარდებოდა. როგორც ჩანს, აქედან წარმოდგა სიტყვა „მოსამლელოც“.[420]

თუ მოხუცი მშობლები გაყრისას უარს იტყოდნენ წილზე იმ მიზნით, რომ შვილებს მეტი რგებოდათ, ასეთ შემთხვევაში, შვილები ვალდებულნი იყვნენ მშობლებისათვის ყოველწლიურად ეძლიათ სარჩო, რაც ეთნოგრაფიული მასალით, ძირითადად, სხვადასხვა რაოდენობის სიმინდს წარმოადგენდა. სარჩოს სახით მშობლებისათვის ასევე გამოიყოფოდა როგორც უძრავი, ისე მოძრავი ქონება. ამის შესახებ გ. ცეცხლაზე წერს: „გურიის ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, სარჩო შეიძლებოდა ყოფილიყო: 1. მიწის ნაკვეთი, 2. ნაგებობა, იშვიათად სახლი, ხშირად მცირე ზომის ნაგებობა, მაგ.: ხულა//ბეღელი ან ნალია, 3. საქონელი, უფრო ძროხა. სარჩო ეს იყო მშობლების ძირითადი საარსებო წყარო“.[421]

მთიულეთ-გუდამაყარში თუ დიდი ოჯახის გაყოფა მშობლების სიცოცხლეში ხდებოდა, ისინიც იღებდნენ თავინთ წილს. მამას, წესის მიხედვით, შეეძლო გამოეტანა ერთი დღიური სახნავი მიწა და, ოჯახის შესაძლებლობის მიხედვით, ცხვარი, თხა, ძროხა, პურეული და პროდუქტები. მამისათვის განკუთვნილ მიწის ნაკვეთს მთიულეთ-გუდამაყარში ერქვა *სანახი ანუ შესანახი,* ხოლო ცხვარ-ძროხას და სურსათს *სამარხი ანუ დასამარხი.* ერთად მთელი ეს დოვლათი სანახ-სამარხად იწოდებოდა. მაშასადამე, სანახი და მოსამლელო ეს იყო მიწის ნაკვეთი, ზოგჯერ პირუტყვი, რომელიც განკუთვნილი იყო მშობლების სარჩენად, ხოლო სამარხი და ასამწევრო კი იყო პირუტყვი და სურსათი, რომელიც მშობლების დასამარხად. იყო განკუთვნილი. მსგავსი ვითარება მოწმდება საქართველოს სხვა კუთხეებშიც. ყოველ მოწილე ვაჟს ასევე ევალებოდა გაეღო სათანადო წილი მშობლების დასაკრძალავად, ე.წ. „სამარხი“. თ. აჩუგბას აზრით, „სანახი და სამარხი აჭარული მოსამლელო-ასამწევროს იდენტურ მოვლენად უნდა ჩაითვალოს“.[422]

ქონების გასხვისებისას, ფშავში ოჯახის უფროსს უნდა გაეთვალისწინებინა ოჯახის წევრ სრულწლოვან მამაკაცთა აზრი. გ. დავითაშვილს ეს სრულიად მართებულად მიაჩნია, „რადგანაც საუბარია საოჯახო საკუთრებაში არსებულ ქონებაზე, მათი მესაკუთრენი ფშავში მხოლოდ მამაკაცები იყვნენ“.[423]

თუმცა გ. დავითაშვილი არ გამორიცხავს, რომ იმ ქონების გასხვისებისას, რომელსაც ქალები იყენებდნენ საოჯახო მეურნეობაში,

---

[420] აჩუგბა თ., ოჯახი და საოჯახო ყოფა აჭარაში, მეცნიერება, თბილისი, 1990, გვ. 107.

[421] ცეცხლაძე გ., გურიის მოსახლეობის საოჯახო ყოფა, მეცნიერება, თბილისი, 1991, გვ. 93.

[422] აჩუგბა თ, ოჯახი და საოჯახო ყოფა აჭარაში, მეცნიერება, თბილისი, 1990, გვ. 107.

[423] დავითაშვილი გ., მასალები ფშავის ჩვეულებით სამართალზე, რვ., 1990, გვ. 5. მითითებულია ქართული ჩვეულებითი სამართალი, ტ. IV, მეცნიერება, თბილისი, 1993, გვ. 108.

„ოჯახის დიასახლისის თანხმობაც ყოფილიყო საჭირო, როგორც ამას ერთ-ერთი ინფორმატორი აღნიშნავს“.[424]

თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქალს თავის ქონებაზე (სათავნო, მზითევი) საკუთრების უფლება ჰქონდა. თუ ქვრივი თავის კუთვნილ წილ ქონებას (მაგალითად, პირუტყვს) მონასტერს შესწირავდა, ასეთ შემთხვევში, კანონის თანახმად, ქონების მოთხოვნა შვილებს ეკრძალებოდათ.

ესე ეგების, რომე მონასტერთა შიგა შესწიროს, და მას შვილნი ნუ ეცილებიან.[425]

ქვრივი ქალის გარდაცვალების შემთხვევაში მზითევი მის მშობლებს უბრუნდებოდა.

და თუ დიაცი მოკვდეს, [ზითევი] მისა სამშობლოსა მართებს, აგრევე დაუკლებლად.[426]

კავკასიის მკვიდრ ხალხებში არსებული წესის თანახმად, დედას უფლება ჰქონდა ამოერჩია ძროხა და მიეყვანა იმ შვილათან, ვისთანაც ცხოვრებას გადაწყვეტდა. [...] დედის გარდაცვალების შემთხვევაშიც ხარჯს ეწეოდა ყველა შვილი და არა მარტო ის, რომელთანაც დედა სიკვდილამდე იმყოფებოდა.[427]

ამრიგად, მშობლების სიცოცხლეში დიდი ოჯახის გაყრის დროს ქართული ჩვეულებითი სამართლისა და ქართული სამართლის ძეგლების თანახმადაც, საერთო ქონების გარკვეული წილი მშობლების სახელზეც გამოიყოფოდა. მათ წილ ქონებას სამარხი, სადიდო, სანახ-სამარხი, ასამწევრო, აწევის წილი, მოსამლელო, სამკვდრინო, სარჩო ეწოდებოდა.

VI. 4. ოჯახის გაყრის დროს ვაჟიშვილების წილად გაცემული ქონება

ადათის თანახმად, ძმების მიერ ქონების მფლობელობა მხოლოდ დიდი ოჯახის გაყოფის შემდეგ ხდებოდა. ოჯახის წევრებს შორის ქონებრივ-სამართლებრივ ურთიერთობას ქონების გაყოფის სისტემა განაპირობებდა. დიდ გაუყოფელ ოჯახში ვაჟიშვილების მთელი ქონება – ინდივიდუალურად გამომუშავებული ფული, მათ მიერ შეძენილი ნებისმიერი სახის მოძრავი თუ უძრავი ქონება, ყველაფერი მამის სრულ

---

[424] დავითაშვილი გ„ მასალები ფშავის ჩვეულებით სამართალზე, რვ., 1990, გვ. 5. მითითებულია ქართული ჩვეულებითი სამართალი, ტ. IV, მეცნიერება, თბილისი, 1993, გვ. 108.

[425] სამართალი აღბუღასი, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებული (ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1963, გვ. 456-457.

[426] იქვე, გვ. 456-457.

[427] Харузин Н., Заметки о Юридическом быте чеченцев и ингушей, СМЭ, Москва, 1888, III, ст. 125, მითითებულია ითონიშვილი ვ., ცენტრალური კავკასიელების საოჯახო ყოფა, თბილისი, 1969, გვ. 112.

განკარგულებაში გადადიოდა. მართალია, ოჯახის წევრ მამრობითი სქესის პირებს ჰქონდათ პირადი საკუთრება, მაგრამ მათი ეს უფლება მხოლოდ ჩასაცმელ-დასახურავზე ვრცელებოდა; თვით იარაღიც კი ოჯახის საერთო საკუთრებად ითვლებოდა. ამრიგად, გაუყრელ ოჯახში ცხოვრებისას ვაჟიშვილებს პირადი მოხმარების ნივთების გარდა, საკუთრების უფლება სხვა არაფერზე ჰქონოდათ.

დიდი ოჯახის ქონების გაყოფის დროს, ვაჟებს შორის ქონების გაყოფა მამის მიერ თანაბრად ხდებოდა. ჩვეულებითი სამართლის თანახმად, გაყოფას ექვემდებარებოდა როგორც მოძრავი ქონება, ისე ყველა სანადელო გამოსაღები, ასევე შენობა-ნაგებობაც. ამის შესახებ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში ვკითხულობთ:

107. საქონელი გაყრაში რაც ქონდესთ, ან მამისა, ან დედისა, ან უშვილოს ბიძისა თუ ძმისა, ასეთი რომე სიცოცხლეში არ მიეცეს თავ-თავისათვის და ისრე საერთოდ დაეგდოსთ, იმისი ასრე იქნას.
რომელიც საერთოდ სახალხოდ ან ქრთამად, ან ბატონზე, ან საერთოს ძველსა და ახალს ვალზე დახარჯულა, ის ჩავლილი არის. რაც ალაგს არის, საძმო არის.
თუ ერთს მეორეზედ უფროსი სათავისთაოდ დაუხარჯავს, იმისი პასუხი უნდა გასცეს. ზითევი თავთავისი არის; თუ რამ სახალხოდ დახარჯულა, პასუხი უნდა მისცენ.
ძმურად – უფროსმან – საუფროსო, უმცროსმან – საუმცროსო, ასრე ყოფილა.
ახლა ასრე არის. თუ თავისის ნაშოვნის საქონლით ან იშოვნა რამე, ან იყიდა, მაგდენს წილს ძმათათვის არას მიაცემინებენ.
მაგრამ ძმებს ან ვალისაგან, ან სისხლისაგან, ან სხვის რისგანმე ნაქნარი საქმე გაუჭირდეს და ვალი დაედვას, და მამულის გასყიდვის მეტი ღონე არა ქონდეს, მეორეს ძმას ქონდეს რამე, თავისი წილიც იმან მისცეს – ის მამული იმისი დაჭსნილი იქნების, სხვათ ჭელი არ ექნების.[428]

ქალებთან შედარებით, პირადი ქონების სახით ვაჟიშვილებს ბევრი არაფერი გააჩნდათ. მ. ბალიაური და ნ. მაკალათია ყურადღებას ამახვილებენ ვაჟისთვის გამოყოფილ „*საფერხეზე*“. ფშავში არსებული ტრადიციის თანახმად, „შეძლებული ოჯახი „მამაკაცს“ გამოუყოფდა ცხენს, რომელსაც „საფერჭე“ ერქვა“. ლ. ბოძაშვილი წერს, რომ ფშავში „საფერჭეს ბარგს არ აჰკიდებდნენ.[429] საფერჭე „მამაკაცის“ მფლობელობაში იყო მანამ, სანამ იგი ოჯახის უფროსის მოვალეობას ასრულებდა. ოჯახის სხვა წევრის „მამაკაცად“ არჩევის შემთხვევაში, საფერჭე მასზე გადადიოდა“.[430]

იმავე ავტორების თანახმად, სათავნოდ გამოყოფილი „საფერჭე“ განსხვავდებოდა ოჯახის „მამაკაცის“ კუთვნილი „საფერჭისაგან“;

---

[428] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებული (ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1963, გვ. 510.
[429] ბოძაშვილი ლ., ფშავი და ფშაველები, თბილისი, 1988, გვ. 41, მითითებულია ქართული ჩვეულებითი სამართალი, წიგნი IV, მეცნიერება, თბილისი, 1993, გვ. 56.
[430] ზოიძე ო., ქართული ჩვეულებითი სამართალი, წიგნი IV, მეცნიერება, თბილისი, 1993, გვ. 56.

ავტორები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ვაჟისთვის სათავოდ გამოყოფილ „საფერჭეზე“ დუმს ყველა ის ავტორი, ვისაც ფშავის ჩვეულებებზე რაიმე დაუწერია. მათ მიაჩნიათ, რომ „ფშაური ოჯახის განვითარების გარკვეულ ეტაპზე (XX საუკუნე), ქალის სათავნოს გავლენით გაჩნდა ვაჟის სათავნოც. შესაძლოა, ინფორმატორთა ხსოვნაში „მამაკაცის“ „საფერჭემ“ ტრანსფორმაცია განიცადა და ვაჟის სათავნოს სახე მიიღო. ან კიდევ შეიძლება ინფორმატორები აღწერენ იმ წესს, რომელიც ხევსურეთში არსებობდა და რომლის მოქმედებას ფშავში არ გამოვრიცხავთ. ხევსურეთში თუ ოჯახს ცხენი არ ებედებოდა, ცხენს შვილის სახელზე ზრდიდნენ: „იქნებ ცხენების იღბალი გამაჰყვესო“. ცხენს ეტყვიან: „ამის სახელზედამც იქნება; ამის ბედ-იღბალიმც ზიდიასა-დ გაშვემა-დ, დიდმ ანგელოზმ გაგამრავლას-გაგაბევროსო“.[431]

ქართული ფეოდალური სამართლით, თუ ოჯახის გაყრა ოჯახის უფროსის გარდაცვალების შემდეგ მოხდებოდა, „მაშინ საოჯახო ქონებას ანაწილებდა ის ძმა, რომელიც ოჯახის უფროსის მოვალეობას ასრულებდა“.[432]

როგორც წინა თავში აღვნიშნეთ, „გაყრაში ეს ოთხი არის: *საუფროსო, გასამყრელო, საუმცროსო* და *საშუალო*“.[433] ხსენებული წილის გამოყოფის შესახებ მრავალ ძეგლში არის მითითება. მაგალითად, საუფროსო წილის გამოყოფა მოწმდება ბექასა და აღბუღას სამართალში 48 და 49 მუხლებით; ბაგრატ კურაპალატის სამართლის 153-155 მუხლებით; ვახტანგ VI-ის სამართლის 100-101, 103 მუხლებით.

საუფროსო ქიზიყურ ლექსიკონში განმარტებულია შემდეგნაირად: „ოჯახის გაყრისას, ძმების თანხმობით, უფროსი ძმისათვის საერთო ქონებიდან წინდაწინ გადადებული ნაწილი. უფროს ძმას ამას აკუთვნებდნენ იმიტომ, რომ მან ოჯახში ძმებზე უწინ დაიწყო მონაგრება. დარჩენილ ქონებას „ძმაზე ეყოფდნენ“.[434]

ის, თუ რა და რა რაოდენობის ქონება გაიცემოდა საუფროსოს სახით, ამის შესახებ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში ვკითხულობთ:

საუფროსო ასრე არის და ასრე უნდა. რისაც ან აზნაურისა, ან გლეხისა პატრონნი იყუნენ, უმამულოს, ბოგანოს გარდაისად ყუელა მეფის მდივანსა აანუსხვინონ, იანგარიშონ.[435] რამდენიც კომლი დადგეს ოც კომლზე ერთს უკეთესს, რომელიც უნდა, უფროსი გამოირჩევს და ერთს უარესს – სხვა ძმები, რომელიც იმათ უნდა, იმას მისცემენ. და რამდენიც ოცი კომლი ეყოლების,

---

[431] ბალიაური მ., მაკალათია ნ., მასალები აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა სამეურნეო ყოფის ისტორიიდან, თბილისი, 1989, გვ. 22-23; მითითებულია ქართული ჩვეულებითი სამართალი, წიგნი IV, მეცნიერება, თბილისი, 1993, გვ. 58.

[432] ცეცხლაძე გ., გურიის მოსახლეობის საოჯახო ყოფა, მეცნიერება, თბილისი, 1991, გვ. 87.

[433] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგ VI-ის სამართალი, (ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1963, გვ. 507.

[434] მენთეშაშვილი ს., ქიზიყური ლექსიკონი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1943, გვ. 161.

[435] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებული (ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1963, გვ. 507

ყუელაზე ასრე იქმონენ. დარჩების ბოგანო და იმაზედაც ასრე უნდა იქნას.
მაგრამ ბოგანო ამას ქუიან, რომე ვენაჯი არა ქონდეს, თვითო სახლი და რჩობის ალაგი ექნების, და მიწა ან ექნების და ან არა. ამგვარი [304v] ბოგანო იმ ზეითს გლეხებში არ ჩაითვლების, ამაზე ცალკე უნდა ააღებინონ. ვენაჯის მქონეს გლეხს ბოგანო არა ქუიან, რაგინდ სხვ მამული ნაკლებად ქონდეს.[436]

ეთნოგრაფიული მასალების თანახმად, ოჯახში უფროს ძმისათვის დამატებითი ქონების მიცემა წესად ჰქონდათ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში: გურია, აჭარა, იმერეთი, მესხეთი, ქართლი, კახეთი, თუშეთი, რაჭა და ძირითადად ყველგან საუფროსოდ იწოდებოდა. გარდა ამისა, „ამ ზედმეტ ნაწილს „საუხუცესო“-ს ეძახდნენ [...] საუხუცესოს რომ გამოვიდოდენ, საერთო ქონებას ძმებს შორის თანასწორად გაჰყოფდენ ხოლმე“.[437]

აჭარაში უფროს მოწილე ძმას, „თუ იგი გაყრამდე ოჯახის წინამძღოლი იყო, ეძლეოდა დამატებითი ქონება პირუტყვის, შენობის, სამშენებლო მასალის ზოგჯერ ფულის სახით“.[438]

თ. აჩუგბას აზრით, „საუფროსო წილის გამოყოფის საფუძველი უნდა ვეძიოთ არა უბრალოდ ოჯახის უფროსის ავტორიტეტში, არამედ ოჯახის კეთილდღეობისათვის, განსაკუთრებით, საოჯახო მეურნეობის უნარიანი გაძღოლისა და საოჯახო დოვლათის გამრავლებისათვის გაწეულ შრომაში“.[439]

გურიაში უფროს ძმას საუფროსოდ „მიწის ნაკვეთს იშვიათად მისცემდნენ [...] საუფროსოდ გამოჰყოფდნენ ძროხას, საწნახელს, ჭურს ან რაიმე საოჯახო ნივთს“.[440]

გ. ცეცხლაძე იმოწმებს ივ. შილაკაძეს, რომლის ცნობითაც, გურიაში „საუფრსოდ უზდახუთ მანაც ეიღებდნენ და ცლკე გადმოდობდნენ, მერე ხდებოდა დანარჩენი ქონების განაწილება“. საუფროსოდ ფულის გამოყოფა გვიანდელი მოვლენა ჩანს. უფროსი ძმისადმი პატივისცემას იმით გამოხატავნდნენ, რომ მას წილში შედარებით უფრო მოშენებულ მიწის ნაკვეთს მისცემდნენ ხშირად, საუფროსოს სახით გამოიყოფოდა საუკეთესო ცხენი, მიწის ნაკვეთი ან ნაგებობა, სამშენებლო მასალა და სხვა; ხოლო მეცხოველეობის მიმდევარ საოჯახო თემში – სულადი საქონელი“.[441]

---

[436] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებული (ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1963, გვ. 507.
[437] ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, ნაკვეთი მეორე, ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემა, ტფილისი, 1929, გვ. 377.
[438] აჩუგბა თ., ოჯახი და საოჯახო ყოფა აჭარაში, მეცნიერება, თბილისი, 1990, გვ. 102-105.
[439] იქვე.
[440] ცეცხლაძე გ., გურიის მოსახლეობის საოჯახო ყოფა, მეცნიერება, თბილისი, 1991, გვ. 96.
[441] იქვე.

ჯ. მერაბიშვილის მიერ მოძიებულ ინფორმაციის თანახმად, ფშავში იცოდნენ საუფროსო წილის მიცემა, „მაგრამ არ იყო აუცილებელი“.[442]

საუფროსო წილი გაყრის მრავალ საბუთში იხსენიება. მაგალითისათვის მოვიხმობთ, განჩინებას როინ და პაატა ჯავახიშვილების მამულის გაყოფის შესახებ, რომელიც 1632-1658 წლებით თარიღდება.

და ჭელმწიფის ბრძანებით ელიაზარას მამული, დღეს რისაც მამულის მქონებელი იყოს, უკლებრივ საუფროსოდ პა[ა]ტას დაუდევით. და ამას გარეთად, რაც ან ვენაჯი, ან მიწა-წყალი, სასახლე და ჭურ-მარანი იყოს, სწორად გაიყონ. და ორი გლეხი როინს დარჩა მსახლობელი და სხუა პა[ა]ტასა.[443]

ასევე თანაბრად იყოფოდა ქვევრები. გამონაკლისი იყო საზედაშე ქვევრი, რომლის დაძვრა არ შეიძლებოდა. მას აკუთვნებდნენ იმ ძმას, რომელიც ოჯახში რჩებოდა და საერთო საკუთრებად ითვლებოდა. ვახტანგ VI-ის სამართლის 103-ე მუხლის მიხედვით,

ქუევრის საუფროსო აიღების და სხვა ქუევრი ძმაზე უნდა გაიყონ.[444]

კავკასიის მკვიდრ ხალხებში საუფროსოს გამოყოფა დამოკიდებული იყო მხოლოდ მოწილეების საერთო შეთანხმებაზე. ჩვენი ყურადღება მიიპყრო იმ ფაქტმა, რომ საქართველოსაგან განსხვავებით, სადაც მშობლების სახლში უმცროსი ვაჟიშვილი რჩებოდა, კავკასიაში პირიქით იყო – „უფროს მოწილეს, პირველ რიგში უთმობდნენ მამაპაპეულ სახლს, ვინაიდან ერთობის კერაზე დარჩენა და ამ კერიდან განაყარი ოჯახების შემდგომი კავშირის შენარჩუნება, რაც ძირითადად გამოსახულებას პოულობდა სულიერი კულტურის სფეროში, მის კომპეტენციას შეადგენდა“.[445]

მოგვიანებით, ოჯახის გაყრისას შუათანა ძმისათვის/ძმებისათვისაც გამოიყოფოდა წილი ოჯახის საერთო ქონებიდან. შუათანა ძმისთვის/ძმებისათვის გაცემულ წილს *სასაშუალო* ეწოდებოდა.

სასაშუალო წილის გამოყოფა მოწმდება ვახტანგ VI-ის სამართლის 102 და 103 მუხლებით. 102-ე მუხლში აღნიშნულია, რომ ადრე სასაშუალო წილი არ არსებობდა და მისი დაწესება მეფე გიორგი XI-ის სახელს უკავშირდება.

---

[442] მერაბიშვილი ჯ., მასალები ფშავის ჩვეულებით სამართალზე, 1986, რვ; გვ. 19, მითითებულია მითითებულია ქართული ჩვეულებითი სამართალი, წიგნი IV, მეცნიერება, თბილისი, 1993, გვ. 163.

[443] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, (ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ის. დოლიძემ), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1972, გვ. 111-112.

[444] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგ VI-ის სამართალი, (ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ის. დოლიძემ), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1963, გვ. 508.

[445] ითონიშვილი ვ., ცენტრალური კავკასიელების საოჯახო ყოფა, თბილისი, 1969, გვ. 280.

102. საშუალო ასრე არის: აქამდინ შუას ძმას არას მისცემდენ, თუ არ დიდად მოჭირნახულესა, მაგრამ ახლა მეფემან პატრონმან გიორგიმ განაწესა, რომე შუათანას ძმებსაც ერთს რასმე მისცემენ. თუ სამი და ოთხი შუათანა ძმები არიან, ამ გლეხების ოცისთავი იანგარიშონ, რამდენიც კომლი დადგეს, ის შუათანას ძმებს გაუყონ ერთი მეორეზე; რომელიც უფრო მოჭირნახულე იყოს, ისრე გაუყონ.[446]

შუათანა ძმების წილის შესახებ ეთნოგრაფიულ მასალებში მწირი ინფორმაციაა. ჩვენი აზრით, ეს იმით შეიძლება აიხსნას, რომ თავდაპირველად ოჯახის გაყრისას ძმებს შორის საოჯახო ქონება თანაბრად ნაწილდებოდა; მოგვიანებით, საუფროსო და საუმცროსო წილი საგანგებოდ გამოყვეს რათა ხაზი გაესვათ უფროსი ძმის მიერ ოჯახში გაწეული მეტი გარჯილობისათვის და უმცროსი ძმისათვის იმ ვარაუდით, რომ ის დასაქორწინებელი უნდა ყოფილიყო. ასაკის გამო მას უფროს ძმებთან შედარებით იმდენი არ მოეთხოვებოდა; ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ, ჩვეულებირვ, უმცროსი ძმა მშობლების სახლში რჩებოდა და სახლი ასაშენებლი არ ჰქონდა.

თუ ოჯახში რამდენიმე შუათანა ძმა იყო, თითოეულ მათგანს თანაბარი წილი ეკუთვნოდა. ამ ფაქტს ადასტურებს საარქივო მასალებში სასაშუალო წილის შესახებ ჩვენ მიერ მოძიებული ცნობები. აღნიშნულის დასტურად მოვიხმობთ საბუთს ოთხი ძმა სოლოღაშვილის ოჯახის გაყრის შესახებ:

...ათზე ერთი იესეს მიეცით საუფროსოდ, მიეცი ერთი ზაზასა და იოანეს სასაშუალოდ [ხაზგასმა ჩვენია – მ. ხ.] და სხვა ოთხთან ძმათა სასწორომად გაუყავით. და ყველგან მიჯნები ჩაუსხით და სხვაგან სოფლებში ნავენახობები სადაც ჰქოდესთ ყველგან ისე გაიყონ როგორც ბორბალისა და ტაგნაგეთსა და სხვის სოფლებში ჩვენ არსად გაგვიყვია და ისიც ასე გაიყონ გაზო მანათზე ერთი იესემ აიღოს საუფროსოდ და ოცზე ერთი ზაზა და იოანემ სასაშუალოდ [ხაზგასმა ჩვენია – მ.ხ.] აიღონ. სხვა ოთხთავ ძმათა სასწოროდ გაიყონ...[447]

შუათანა ძმის წილის შესახებ მოხვიმობთ კიდევ ერთ საბუთს, რომელშიც ასევე ჩანს, რომ ოჯახის გაყრის დროს წილი შუათანა ძმისათვისაც გამოიყოფოდა. განჩინება გოსტაშაბიშვილების გაყრაზე, დათარიღებული 1711-1724 წწ.

ქ. გოსტაშაბიშვილიების ამილღანბარისა და მათის ძმების ბეჟანისა და გოსტაშაბის ერთობა და ძმობა აღარ მოჴდა, გაიყარნენ. რომელიც საქართველოს წესი და რიგი იყო, ისრე გაგვიყრია; მამული გაგვიყვია, ყველას ბარათი უჭირავს: უფროს[ს] საუფროსო, საშუალოს ბეჟანს საშუალო [ხაზგასმა ჩვენია – მ.ხ.] მივეცით;

[446] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებული (ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1963, გვ. 507.
[447] საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1448 საქმე № 8109.

უმცროს[ს] სასახლის შენობა არა ჰქონდა რა, და იმისთვინ წერაქვის ერთი კომლი ბეგთაშა მივეცით. [448]

რაც შეეხება უმცროსი ძმის წილს ანუ საუმცროსოს, ამის შესახებ საუბარია ბექასა და ადბუღას სამართლის 49-ე მუხლში, ასევე ვახტანგ VI-ის სამართლის 103-ე მუხლში.

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 103-ე მუხლში ზუსტად არის მითითებული, თუ რა ეძლეოდა უმცროსი ძმას წილის სახით.

[305r] 103. უმცროსი ძმისა საუმცროსო – სასახლე: რომელიც მამასა, გინა ძმათა სასახლედ შემოუფარგლავთ ანუ ფუძედ დაუჭირავთ, იმაში რაც შენობა უქნიათ, ყველა უმცროსისა არის; შიგ რაც ბაღი იყოს და დაჰყუების, ისიც მისი არის. და გარეთ – კალო-საბძელიცა.[449]

თუ გასაყოფი იყო კოშკი, მაშინ ვახტანგ VI-ის სამართლის იმავე მუხლის თანახმად:

უმცროსს ფასი უნდა გამოართვან და დააკმნევინონ.[450]

საუმცროსო წილი ქიზიყურ ლექსიკონში განმარტებულია როგორც „უმცროსისათვის განკუთვნილი ქონება. გაყრის დროს ძმები თანაბარ წილს იღებდნენ, მაგრამ უფროსი ძმა თუ საუფროსოს (ნ) აიღებდა, მაშინ მცირეწლოვან უმცროს ძმას (ან ძმებს) საუმცროსო ეძლეოდა იმდენი, რამდენიც მას დავაჟკაცებამდე ეყოფოდა. საუმცროსო ეძლეოდა ქონების კვალობაზე და აგრეთვე ძმათა შეთანხმებით“.[451]

ადათის თანახმად, რადგან მშობლები უმცროს ვაჟთან რჩებოდნენ, ამიტომ მამისეული სახლი მას რჩებოდა, სამაგიეროდ მას ევალებოდა უფროსი ძმებისათვის საცხოვრებელი სახლის წილი ფულის სახით გადაეხადა, ან რაიმე სხვა ნაგებობა მიეცა. „უმცროსი ძმის უპირატესობა ის იყო, რომ უმეტეს შემთხვევაში, მას სახლის აშენება არ უწევდა“.[452]

თუ საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების თანაბრად განაწილება ვერ ხერხდებოდა, მაშინ ნაგებობას შეაფასებდნენ და ისე გაყოფდნენ. გ. ცეცხლაძე ხაზგასმით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ „საცხოვრებელ სახლზე ეს წესი იშვიათად ვრცელდებოდა. მთხრობელთა გადმოცემით, „სახლის დაშლა არ ვარგა“, „თავნაკლავ ოჯახს არავინ არ დაშლის“, სახლის დაშლას ხალხი ავის

---

[448] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, (ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1972, გვ. 259-260.

[449] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებული (ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1963, გვ. 508.

[450] იქვე.

[451] მენთეშაშვილი ს., ქიზიყური ლექსიკონი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1943, გვ. 161.

[452] ცეცხლაძე გ., გურიის მოსახლეობის საოჯახო ყოფა, თბილისი, მეცნიერება, 1991, გვ. 92.

მომასწავებლად მიიჩნევდა“.[453] ხოლო „სამზადი სახლი, ე. წ. *ქუხნა* მოწილეებს ცალ-ცალკე ჰქონდათ“.[454]

საუმცროსო წილს ასევე ეწოდებოდა *საქორწინო წილი*, რადგან იგი მხოლოდ უცოლო მოწილეს ეძლეოდა.[455] თუ უმცროსი ვაჟიშვილი საქორწინო წილს არ მიიღებდა, მას უფლება ჰქონდა აღნიშნული წილი მოეთხოვა. მაგრამ აჭარაში „საუფროსოს გამოყოფის უფლება არ ჰქონია უფროს მოწილეს“.[456]

საუმცროსო ანუ *საქორწინო* წილს *გათანაბრების* წილიც ეწოდებოდა.[457] „ოჯახის განვითარების მოგვიანო ეტაპზე, როცა ყველა მოწილის დაქორწინებამდე ოჯახის გაყრა მისაღები გახდა, დაუქორწინებელ მოწილეს დამატებითი ქონება ე.წ. გათანაბრების წილი (პირუტყვი, ფული) მიეცემოდა საქორწინო ხარჯებისათვის, რათა მასზე გამოყოფილი საძმო წილი სხვებისას გაწონასწორებოდა“.[458]

ოჯახის გაყრისას თუ რომელიმე ძმას ცუდი წილი შეხვდებოდა (ანუ თუ მის მამულზე გზა გადიოდა, ან მიუდგომელი იყო, ან საღვარე ანუ ხევის პირას მდებარე მამული ერგებოდა და წვიმის დროს ნიაღვრით ჩარეცხვის საშიშროება იყო), ასეთ წილს *საუარესო* ეწოდებოდა. ოჯახის გაყრის დროს ამას ითვალისწინებდნენ და ასეთ მოწილეს კომპენსაციის სახით ცოტა მეტ წილს გამოუყოფდნენ ხოლმე.[459]

წილების საკითხის დამუშავებისას ჩვენი ყურადღება მიიპყრო ერთმა საბუთმა, რომელშიც შემდეგი საინტერესო ფაქტი იკვეთება. საბუთი ეხება ძმების გაყრას, რომელთა შორისაც იმდენად კარგი ურთიერთობა იყო, რომ ერთმა ძმამ საკუთარი ნებით დაუთმო თავისი წილი ქონება მეორე ძმას. განჩინება პაატასა და ამბრიას გაყრის საქმეზე

> *წამოვედით, ვენახებში ჩამოვედით. ორი საწნახელი ორის თაღრით უწილოთ დავანებე. იმ საწნახელს წინ სიგრძით ერთი საბელი განი უწილოთ დავანებე. სამი საბელი ახალშენში მერგებოდა, მაგრამ უწილოთ დავანებე. ერთი საბელი ძველს შენში იყო. და ესე[ე]ბი ყველა უწილოდ ამბრიას დავანებე.*[460]

ოჯახის ქონების გაყოფისას ასევე გამოიყოფოდა მეფის წილი ანუ *გასამყრელო.* ამ სახის წილის შესახებ ნახსენებია ვახტანგ VI-ის სამართლის 101-ე მუხლში:

---

[453] ცეცხლაძე გ., გურიის მოსახლეობის საოჯახო ყოფა, თბილისი, მეცნიერება, 1991, გვ. 92.

[454] ცეცხლაძე გ., გურიის მოსახლეობის საოჯახო ყოფა, თბილისი, მეცნიერება, 1991, გვ. 103.

[455] აჩუგბა თ., ოჯახი და საოჯახო ყოფა აჭარაში, მეცნიერება, თბილისი, 1990, გვ. 107-108.

[456] იქვე, გვ. 108.

[457] იქვე.

[458] იქვე, გვ. 107-108.

[459] მენთეშაშვილი ს., ქიზიყური ლექსიკონი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1943, გვ. 161; 163.

[460] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, (ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1972, გვ. 118-119.

გასამყრელო ჴელმწიფოსა არის. რა რომ უფროსი საუფროსოს აღებას გაათავებს, მერე ოცისთავს, როგორც ჴელმწიფეს ეპრიანების, იმისთანას გლეხს აიღებს, თუ უნდა ერთს ალაგს, თუ უნდა დაფანტვით; იქნების დიდს თავადზე სოფელიც აიღოს. მაგრამ ესე გასამყრელო ასრე ჴელმწიფისა არის, რომე როგორც თავისი სახასო ისრე ეს არის. ეპრიანების, თვითან დაიჭერს; იქნების, სხვას უბოძოს; იქნების, იმათშივე ერთსა და ერთს უბოძოს, და იქნების, ორთავს აქრთამებინოს ერთად, ისი სჯობს. აზნაური-შვილზედაც აიღებს გასამყრელოსა, და თუ ეპრიანება, არ აიღებს.[461]

ამრიგად, როგორც ქართული ჩვეულებითი, ისე ქართული სამართლის ძეგლებით დიდი ოჯახის გაყრის დროს მთავარ მოწილეებად ვაჟიშვილები განიხილებიან. ვაჟებს შორის ოჯახის მოძრავ-უძრავი ქონების გაყოფა მამის მიერ თანაბრად ხდებოდა. წილი ყველა ვაჟიშვილს ეძლეოდა, უწილოდ არც ერთი ვაჟი არ რჩებოდა; განსაკუთრებული წილის სახით ძმებს ასევე ეძლეოდა საუფროსო, სასაშუალო და საუმცროსო. გარკვეული ფაქტორების გათვალისწინებით, ხსენებული წილის ოდენობაც ზუსტად განისაზღვრებოდა.

VI. 5. ოჯახის გაყრის დროს ქალიშვილების წილად გაცემული ქონება

ოჯახის გაყოფისას ქალიშვილს წილი არ მიეცემოდა. ოჯახის უფროსის გარდაცვალების შემთხვევაშიც, ქალიშვილი გამოირიცხებოდა მოწილეთაგან. ადათის თანახმად, ქალიშვილს შეეძლო მხოლოდ მოძრავი ქონების წაღება, ისიც მზითევის სახით. უძრავ ქონებაზე, და მით უფრო მიწაზე, საკუთრების უფლება ქალს ქმრის ოჯახშიც შეზღუდული ჰქონდა.

თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, ქონების ფლობის თვალსაზრისით, ქალიშვილი ბევრად პრივილეგირებული იყო მამაკაცთან შედარებით. იგი ბავშვობიდანვე ფლობდა პირადი შრომით შეძენილ ქონებას, რომელიც მისი ასაკის მატების კვალობაზე მატულობდა და სიკვდილამდე მის ერთადერთ მესაკუთრედ რჩებოდა. „ხშირად ბაშვები (გოგონები) მეზობლის პირუტყვს მწყემსავდნენ განსაზღვრული საფასურით და ამ გზითაც ზრდიდნენ საკუთარ ქონებას; თავიანთი ოჯახის პირუტყვის მწყემსვა მათ მოვალეობად ითვლებოდა და მასში რაიმე გასამრჯელოს არ იღებდნენ“.[462]

ბავშვობიდანვე ამ გზით შეძენილ ქალიშვილის ქონებას *სათავნო* ეწოდებოდა; სათავნოს წარმოშობის წყარო იყო მშობლების მიერ ქალიშვილისათვის ქონების გამოყოფა და საოჯახო მოვალეობის

[461] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებული (ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1963, გვ. 508.

[462] ზოიძე ო., ქართული ჩვეულებითი სამართალი, წიგნი IV, მეცნიერება, თბილისი, 1993, გვ. 56-57.

შესრულების შემდეგ ქალის მიერ დახარჯული პირადი შრომა. სათავნოში შედიოდა მოქსოვილ-შეკერილი ფარდაგები, ტანსაცმელი, საქორწინო საჩუქრები.

რ. ხარაძე თავის ნაშრომში „ქართული საოჯახო თემი“ კარგად და ამომწურავად გადმოგვცემს ქალის ქონების – სათავნოს – არსს. იგი აღნიშნავს, რომ „სათავნო ეს არის კონკრეტულად ქალისთვის განკუთვნილი საქონელი და ფული; ის ქონება, რომელიც ქალისთვის დაბადების დღიდანვე მიჰქონდა საჩუქრის სახით; ქორწილში პირადად მისთვის გადაცემული საჩუქრები“.[463] ქალიშვილის სათავნოს შეადგენდა „მოქსოვილ-შეკერილი ფარდაგები, ტანსაცმელი, საქორწინო საჩუქრები“.[464]

როგორც მაჩაბელი წერს, მას შემდეგ, რაც გოგონას დამოუკიდებლად შეეძლო ამა თუ იმ სამუშაოს შესრულება, იგი იძენდა, „პირადი კაპიტალის ქონის უფლებას“,[465] და მშობლები მას სათავნოდ გამოუყოფდნენ ერთ ან რამდენიმე საქონელს, ცხვარს. პირუტყვი ქალის საკუთრებად მიიჩნეოდა და თავად უვლიდა მას. მთელი ნამატი სათავნოს მესაკუთრისა იყო. ქალიშვილის მცირეწლოვნობის გამო, შვილის სათავნოს მშობლები განაგებდნენ, მაგრამ ისინი ვალდებულნი იყვნენ ოჯახის წევრების თანდასწრებით ანგარიში ჩაებარებინათ სათავნოს მესაკუთრისათვის.[466]

„ფშავში ქალს კერძო საკუთრებაში ჰქონდა თავის სათავნო. მას ყოველგვარი ნებართვის თუ თანხმობის გარეშე თავისი შეხედულებისამებრ შეეძლო, გაეყიდა მის სათავნოში შემავალი ნებისმიერი ქონება. ეს დასტურდება ალ. ოჩიაურთანაც, იგი ერთ-ერთი შუაფხოელი ოჯახის ქალებზე წერს: ქალი არა მხოლოდ ყიდდა მის სათავნოში შემავალ ქონებას და ყიდულობდა რაიმეს მისი „სათავნო ფულით“, არამედ ასესხებდა, აქირავებდა, აჩუქებდა, ცვლიდა მას. იგი ამ ხელშეკრულებათა სუბიექტიც იყო“.[467]

ოჯახში ქალიშვილების საქმიანობისა და მათ მიერ შეძენილი ქონების შესახებ ალ. ოჩიაურის მიერ ფშავში ჩაწერილი მასალა გვამცნობს: „პავლე ჩარბოდაშვილის ოჯახის ქალები, თავის მოკრეფილ ხილს და ანწლის არაყს ყველა მათგანი თვითონ ყიდდა და თავის სასარგებლოდ იყენებდა იმით ნაშოვნ ფულს. [...] როცა თავის სათავნო ფულს გაიჩენდნენ, მერე ამ ფულით ყიდულობდნენ ქერს, ამზადებდნენ და ჰხდიდნენ არაყებს და არაყს ისევ ფულად აქცევდნენ. თავის საკუთარ ქერს თესავდნენ კიდეც. მუშასაც ამუშავებდნენ საკუთარი თანხებით და მოსავალიც ხომ საკუთარი იქნებოდა. მოსავლის ქერს ქალები თავთავისთვის ინახავდნენ, ზოგს არაყსაც გამოხდიდნენ და გაყიდდნენ [...] ქალები თავის სათავნო ძროხებსაც აქ ინახავდნენ და

---

[463] Харадзе Р.Л., Грузинская семейная община, т.I, , изд-во Советский писатель Грузии, Заря Востока, Тбилиси 1960, с .55.

[464] ზოიძე ო., ქართული ჩვეულებითი სამართალი, წიგნი IV, მეცნიერება, თბილისი, 1993, გვ. 57.

[465] Мачабели М., Экономический быт государственных крестьян Тионетского уезда, Тифлисской Губернии. Материалы для экономического быта государственных крестьян Закавказского Края, т. 5. Тифлис, 1887, ст. 400.

[466] იქვე, გვ. 400.

[467] ალ. ოჩიაურის არქივი, მესაქონლეობა და მომთაბარეობა ფშავში, სოფ. შუაფხო, რვ., I. გვ. 30, 1951, მითითებულია ქართული ჩვეულებითი სამართალი, წიგნი IV, მეცნიერება, თბილისი, 1993, გვ. 109.

იმის ნაწველ-ნადღვებს კი პატრონები თავის სასარგებლოდ იყენებდნენ, ე.ი. ვისიც სათავნო იყო, ის სარგებლობდა თავის ძროხის ნაწველ-ნადღვებით“.[468]

დ. ჯალაბაძე იმოწმებს ერთ ინფორმატორს, რომლის თქმითაც, „ზოგჯერ მამა ქალს სათავნოდ ხორბლეულსაც კი უთესავდა“.[469] ასეთი გზით მიღებული მოსავალი ქალიშვილის სათავნოს გაზრდის ერთ-ერთი ფორმა იყო.

გარდა ამისა, სათავნოს სახით გლეხი ქალიშვილის პირად საკუთრებას შეადგენდა დედის მიერ ნაჩუქარი ძროხა, ქალს ეკუთვნოდა „კრუნჩხის პური“ და „ქერის ნაბოლარი“, [...] რომელსაც ქალები აგროვებდნენ, ფქვავდნენ და მიღებულ მარცვალს ან ყიდდნენ ან მეზობელთან ერთად თესავდნენ. გლეხი ქალის ქონება მის შვილებზე გადადოდა. თუ მზითევი მცირე იყო, მაშინ ქალიშვილს გადაეცემოდა; თუ არა, მაშინ ვაჟიშვილებსა და ქალიშვლებს შორის ნაწილდება.[470]

ამგვარად, სათავნოს სახით ოჯახში ქალიშვილს საკმაოდ მნიშვნელოვანი ქონების დაგროვება შეეძლო და რაც არსებითია, ამ ქონებაზე საკუთრების უფლებაც მას ეკუთვნოდა. გათხოვების შემდეგ ქალიშვილს ქმრის ოჯახში მიჰქონდა როგორც სათავნო, ისე მზითევი.

რაც შეეხება მზითევში გატანებულ ქონებას, ჩვეულებრივ, მშობლების ოჯახიდან ქალიშვილს მზითევში ატანდნენ მოძრავ ნივთებს – პირადი მოხმარების ნივთებს – ტანსაცმელს, საოჯახო-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საგნებს – ხურჯინებს, სუფრა-ფარდაგებს, ჭურჭელს, სპილენძის თუნგს, კიდობანს, ზოგჯერ პირუტყვსაც. თავდაპირველად მზითევში ქვეშაგებს მხოლოდ მაღალი წრის ოჯახების ქალიშვილებს აძლევდნენ, მოგვიანებით, ეს წესი დაბალი ფენის ოჯახებშიც დამკვიდრდდა.

გურიაში, გ. ცეცხლაძის თქმით, „გათხოვებისას ქალს აძლევდნენ აგრეთვე: 1. ფულს – მცირე რაოდენობით, 2. საქონელს – ძირითადად, ძროხას, [...] 3. იშვიათ შემთხვევაში – მიწის ნაკვეთს. ქალს მიწის ნაკვეთს საკუთრებად კი არ აძლევებდნენ, არამედ იმისთვის, რომ ესარგებლა. საქონლისა და მიწის მიცემა მზითევში, გურიის ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, სასურველი, მაგრამ არა აუცილებელი წესი იყო. მზითევში ფულის გატანება XIX საუკუნეში გაჩენილი მოვლენა ჩანს. გურიაში ეს წესი, ძირითადად, წარჩინებული და საეკლესიო წრის ოჯახებში იყო გავრცელებული, და მას ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა განსაზღვრავდა“.[471]

მთელი ამ ქონების სრული მესაკუთრე და განმკარგულებელი იყო ქალი, მაგრამ სანამ ოჯახი ერთიანი იყო, ქალს მზითვით სარგებლობის განსაკუთრებული უფლება არ გააჩნდა, რამეთუ, ჩვეულებითი

---

[468] ალ. ოჩიაურის არქივი, მესაქონლეობა და მომთაბარეობა ფშავში, სოფ. შუაფხო, 1951, რვ. 3, გვ. 30-32, მითითებულია ქართული ჩვეულებითი სამართალი, წიგნი IV, მეცნიერება, თბილისი, 1993, გვ. 57.

[469] ჯალაბაძე დ., მასალები ფშავის ჩვეულბით სამართალზე, 1987, რვ. გვ. 37, მითითებულია ქართული ჩვეულებითი სამართალი, წიგნი IV, მეცნიერება, თბილისი, 1993, გვ. 56.

[470] Харадзе Р.Л., Грузинская семейная община, т.I, , изд-во Советский писатель Грузии, Заря Востока, Тбилиси 1960, с.55.

[471] ცეცხლაძე გ., გურიის მოსახლეობის საოჯახო ყოფა, თბილისი, მეცნიერება, 1991, გვ. 98.

სამართლის მიხედვით, გაუყოფელ ოჯახში მთელი ქონება საერთო იყო, ამ გაგებით, ქალი გამონაკლისს არ წარმოადგენდა. მზითვით სარგებლობდა ქმრის ოჯახის ყველა წევრი. საერთო საოჯახო ქონებიდან მზითევი მხოლოდ ოჯახის გაყოფისას გამოიყოფოდა ცალკე. „საოჯახო ქონების განაწილების დროს რძლის მზითევი და ქალიშვილის სამზითვოდ განკუთვნილი ნივთები გასაყოფ ქონებაში არ შედიოდა“.[472]

ფშავში მოქმედი წესის თანახმადაც, „რძლის მზითევსა და სათავნოზე არც ქმრის ოჯახს და არც თვითონ ქმარს ჰქონდა რაიმე უფლება. კომლის ვალებზე ქალი თავის ქონებით პასუხს არ აგებდა. თუ ქალის თანხმობით მისი ქონება ოჯახის საჭიროებისათვის დაიხარჯებოდა, შემდეგში დანახარჯი აუცილებლად უნდა ანაზღაურებულიყო“.[473]

XIX საუკუნეში უკვე გამონაკლისებიც დაიშვებოდა და წილის სახით უძრავ ქონებას ქალიშვილიც იღებდა. „ქალიშვილები მამის მიწებიდან, გათხოვებისას თანაბარ წილს იღებენ“.[474]

დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ რეგიონში, კერძოდ, ოზურგეთის მაზრაში, რუსი მკვლევარის (მ. ნოსოვიჩის) თანახმად, ქალიშვილი მხოლოდ იმ შემთხვევაში იღებდა უძრავ ქონებას, თუ ოჯახში ვაჟიშვილი არ იყო; ქალიშვილი მიწის ნაკვეთს მზითევის სახით იღებდა; მაგრამ გათხოვების შემთხვევაში მიწის ნაკვეთი ქალიშვილის ქონებად კი არ ითვლებოდა, არამედ მისი ქმრის მფლობელობაში გადადიოდა.

ქალიშვილისათვის წილის თუ მზითევის სახით უძრავი ქონების გატანებაზე წერს დავით ბატონიშვილი. კერძოდ, თუ ოჯახის გაყრის შემდეგ კაცს წილის სახით ერგო მიწის ნაკვეთი და ამ კაცს მხოლოდ ქალიშვილი ჰყავდა, მაშინ „ბუნებითისამებრ სჯულისა და სამართლისა“[475] ქალიშვილს მზითვად ერგებოდა მამის წილი მამული; ხოლო თუ მამა გაუყრელი იყო, მაშინ ქალიშვილს „მზითევი ბიძაწულთაგან და ბიძათა თვისთაგან, და მზითევიცა იგი, რომელიცა დედასა მისსა მოჰყოლია, უძრავი, გინა მოძრავი, და შეძენილიცა მამისაგან [...] მით რომე მეათვრამეტე წილი არს მამულისა ასულთათვის მარადის განწესებული“.[476] და იქვე დასძენს, რომ ამ მამულს ქალიშვილს ნურავინ შეეცილება, „არამედ იზედსიძოს ვინმე იმა მამულზედ“.[477]

ფულისა და მიწის ნაკვეთის ურთიერთშენაცვლების საკითხს მამისა და სიძის ოჯახების მატერიალური მდგომარეობა განსაზღვრავდა. იყო შემთხვევები, როდესაც ეკონომიკური თვალსაზრისით, მამის ოჯახს ქალიშვილისს გამზითვება სირთულეს

---

[472] ცეცხლაძე გ., გურიის მოსახლეობის საოჯახო ყოფა, თბილისი, მეცნიერება, 1991, გვ. 93.

[473] ზოიძე ო., ქართული ჩვეულებითი სამართალი, წიგნი IV, მეცნიერება, თბილისი, 1993, გვ. 57.

[474] Свод материаловъ по изученію экономического быта государственныхъ крестьян Закавказского края, т.I, с. 184.

[475] სამართალი ბატონიშვილის დავითისა, (ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო დ. ფურცელაძე), მეცნიერება, თბილისი, 1964, გვ. 23.

[476] იქვე

[477] იქვე, გვ. 204.

უქმნდა. როდესაც ოჯახი ხელმოკლების გამო ქალიშვილისათვის მოძრავი ქონების მიცემას ვერ ახერხებდა, ოჯახი უძრავ ქონებას მიწის სახით „უმზითვებდა“; ასეთ შემთხვევაში ძმები ცდილობდნენ დისთვის მიწის ფასი მიეცათ და მიწა თავისთვის დაეტოვებინათ.[478]

თუ ერთი სოფლის მცხოვრები ქორწინებდა მეორე, სხვა სოფლის მცხოვრებ ობოლ გოგოზე, რომელიც მამისეულ უძრავ-მოძრავ ქონებას ფლობდა, სიძე გოგოს სახლში ზედსიძედ შედიოდა; ხდებოდა ოჯახის უფროსი, მისი ქონების მფლობელი და შესაბამისად, ვალდებული იყო გადაეხადა ყველა გამოსაღები და ბეგარა, რისი გადახდაც თავის დროზე სიმამრს ეკისრებოდა.[479]

დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ რეგიონში, კერძოდ, ოზურგეთის მაზრაში, რუსი მკვლევარის (ნოსოვიჩის) თანახმად, ქალი მხოლოდ იმ შემთხვევაში იღებდა უძრავ ქონებას, თუ ოჯახში მამრობითი სქესის მემკვიდრე საერთოდ არ არსებობდა; თუ ქალიშვილი ერთადერთი მემკვიდრე იყო, იგი როგორც მემკვიდრე მიწის ნაკვეთს იღებდა მზითევის სახით, ამ შემთხვევაში მზითევი იცვლებოდა მემკვიდრეობით. მაგრამ გათხოვების შემთხვევაში მიწის ნაკვეთი ქალიშვილის ქონებად კი არ ითვლებოდა, არამედ მისი ქმრის, ანუ სიძის საკუთრებაში გადადიოდა.

გარდა ამისა, იმავე ავტორის თქმით, მამის ქონების გაყოფა ქალიშვილებს შორისაც თანაბარი წილის საფუძველზე ხდებოდა. ჩვეულების თანახმად, ყველა ქალიშვილი თანასწორუფლებიანი იყო; „ქალიშვილები მამის მიწებიდან, გათხოვებისას თანაბარ წილს იღებენ“.[480]

გურიაში გათხოვილ ქალიშვილს მამის ოჯახიდან ყოველწლიურად ეძლეოდა გარკვეული სახის ქონება, რომელსაც *არჩივი* ეწოდებოდა. „არჩივი ეს იყო სურსათი, რომელიც ქალიშვილისთვის დედ-მამას ან მათი დავალებით ვინმეს უნდა მიეტანა, არჩივის მიტანა ახალი წლიდან წყალკურთხევამდე (ნათლიღებამდე) პერიოდში იცოდნენ, უფრო ხშირად კი ნათლისღებას. ზოგი არჩივს კალანდასაც წაიღებდა. არჩივის შესახებ ეთნოგრაფიული მასალა ასეთ სურათს გვაძლევს: არჩივში უნდა ყოფილიყო: ერთი ნაჭერი ღორის ხორცი, აუცილებლად; შეძლებისდაგვარად: ქათამი, ინდაური, ხაჭაპურები (ღვეზელი), არაყი, ღვინო და სხვა. [...] ქალიშვილისთვის არჩივის მიტანა 3 წელიწადს სავალდებულოდ ითვლებოდა, შემდეგ კი ეს სურვილზე და როგორც ქალის, ასევე სიძის ოჯახის ეკონომიკურ მდგომარეობაზე იყო დამოკიდებული. ძმები არ იყვნენ ვალდებულნი დისთვის არჩივი მიეტანათ, თუმცა ზოგჯერ ასეთ შემთხვევებსაც ჰქონდა ადგილი“.[481]

105. იქნების, ზოგს ძმაში სათავისთაოდ ნასყიდობა იციან; ან მანდილოსანი თავისის მზითვით იყიდის რასმე მამულსა. ამის გასინჯვა უნდა. თუ [306v] სასახლოსა და მამულის გამოსაღებით

---

[478] ცეცხლაძე გ., გურიის მოსახლეობის საოჯახო ყოფა, თბილისი, მეცნიერება, 1991, გვ. 97.

[479] Свод материаловъ по изученію экономического быта государственныхъ крестьян Закавказского края, Т. I, Тифлис, 1887, с. 839.

[480] იქვე, გვ. 839.

[481] ცეცხლაძე გ., გურიის მოსახლეობის საოჯახო ყოფა, თბილისი, მეცნიერება, 1991, გვ. 101.

არ არის ნასყიდი. და წიგნში დასყიდვაში არას გარეულა, არას ემართლებიან; თუ არადა, საერთოდ უყიდნიათ და ერთი იქნების.[482]

ოჯახის გაყრის შემდეგაც ძმებს ევალებოდათ დებზე მზრუნველობა. ქალი თუ გათხოვდებოდა ან გათხოვების ჟამს გარდაიცვლებოდა, მისი დასაფლავება ხდებოდა ძმების საერთო ხარჯით.[483]

იგივე ითქმის ცენტრალური კავკასიის მკვიდრ ხალხებში არსებულ ადათებზეც. დიდ ოჯახებში ქალების უფლებები ძალზე შეზღუდული იყო; ოჯახიდან მათ არა წილი, არამედ მზითევი ეძლეოდათ თვით ოჯახის უფროსის მეუღლეც კი მხოლოდ სხვა წევრ ქალებთან მიმართებით სარგებლობდა მცირედი უპირატესობით. ქალებს მხოლოდ აზრის გამოთქმა შეეძლოთ, მაგრამ მათი აზრი ოჯახის მამაკაცი წევრების მიერ მისაღებ გადაწყვეტილებაზე გავლენას არ ახდენდა.[484]

ამრიგად, ქართული ჩვეულებითი სამართლის თანახმად, ოჯახის გაყოფისას ქალიშვილს წილი არ ეძლეოდა. მზითევის სახით მას ეძლეოდა მხოლოდ მოძრავი ქონება; მზითევზე უფლება გააჩნდათ უკანონოდ შობილ ქალიშვილებსაც. ქალიშვილის პირადი შრომით შეძენილი ქონება იყო სათავნო, რომელიც მის საკუთრებად მიიჩნეოდა. კომლის ვალებზე ქალი თავისი ქონებით პასუხს არ აგებდა. ვახტანგის სამართლის ძალით ზედსიძეობის დროს დედისერთა ქალიშვილი მშობლების მოძრავ-უძრავი ქონების სრული მფლობელი ხდებოდა.

VI. 6. ოჯახის გაყრის დროს მიწის განაწილების წესი

ოჯახის გაყრის დროს მოძრავი ნივთების გაყოფა შედარებით მარტივად წყდებოდა. დიდი ოჯახის გაყრის დროს მცირემიწიან საქართველოში საგანგებო ყურადღების ობიექტი იყო მიწა. მფლობელობის მიხედვით მიწები იყოფოდა: სახელმწიფო, სათემო, საკომლო, ასევე საეკლესიო საკუთრებაში არსებულ მიწებად, რის საფუძველზეც მიწა განსხვავებულ სამართლებივ რეგლამეტნაციას ექვემდებარებოდა.

თემში შემავალი სოფლების მიწებს სათემო მიწები ეწოდებოდა. დ. ჯალაბაძე წერს: „რამდენიმე წელიწადში ერთხელ სათემო მიწები ნაწილდებოდა ეგრეთ წოდებულ აღლუმებად. აღლუმის ქვეშ იგულისხმებოდა მიწის თანატოლი რაოდენობით განაწილება გვარებზე, თემში შემავალი სოფლების მიხედვით, ე.ი. თემში იმდენი აღლუმი იგულისხმებოდა, რამდენი გვარიც იყო თემში შემავალ სოფლებში. მიწა აღლუმის შიგნით ნაწილდებოდა ოჯახების მიხედვით კომლზე. თუ აღლუმის შიგნით რაიმე ცვლილება მოხდებოდა, მაგ., კომლთა რიცხვის ზრდა-დაკლებასთან დაკავშირებით, მაშინ აღლუმის შიგნით მიწა

---

[482] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებული (ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1963, გვ. 510.

[483] Харузин Н., Заметки о Юридическом быте чеченцев и ингушей, СМЭ, Москва, 1888, III, ст. 125, მითითებულია ითონიშვილი ვ., ცენტრალური კავკასიელების საოჯახო ყოფა, თბილისი, 1969, გვ. 112.

[484] იქვე.

ხელახლა უნდა გადანაწილებულიყო. აღლუმის მთლიანი ამოწყვეტა ან გადასვლა, საცხოვრებელი ადგილის მიტოვება, იწვევდა მთლიანად აღლუმის მიწების ხელახალი სათემო ბჭობის საგნად ქცევას".[485]

საკომლო მიწებს განეკუთვნებოდა საკარმიდამო ნაკვეთები, ბაღ-ვენახები (ანუ მიწები, სადაც ვენახი, ან სხვა მრავალწლიანი ნარგავები ჰქონდათ გაშენებული) და დაჩემებული (სახნავი) მიწები.[486] საქართველოს აღმოსავლეთ რეგიონში (კახეთში) კომლის მიწები (ბაღი, ვენახი, ბოსტანი) თანაბრად იყოფოდა ძმებზე, ასევე ოჯახის წევრ ძმისშვილებსა და ბიძაშვილებზე.

ქონების განაწილების დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა მიწების დაზომვას და მათ თანაბარ დანაწილებას, რადგან „იმის გათვალისწინებით, თუ რა როლს ასრულებდა მიწა ხალხების ცხოვრებაში, მიწის საკუთრება საუკუნეების განმავლობაში განხეთქილების ვაშლი იყო ცალკეულ თემსა და საზოგადოებრივ ერთეულებს შორის".[487]

აღნიშნულ სირთულეს განაპირობებდა საზოგადოებაში გაბატონებული შეხედულება: საგვარეულო მიწა უნდა განაწილებულიყო ვაჟიშვილებს შორის და არ უნდა მოხვედრილიყო სხვა გვარის საკუთრებაში. ჩვეულებითი სამართლით, სახლის დამფუძნებლად მამაკაცი მიიჩნეოდა. მოწილეებს შორის მიწა თანაბრად ნაწილდებოდა, არ შეიძლებოდა, რომ ერთ მოწილეს მხოლოდ სახნავი მიწები რგებოდა, მეორეს სათიბი, მესამეს ზვარი და ა.შ. ამ ფაქტს მოწმობს გაყრილობის შემდეგი წიგნი:

განჩინება ტატიშვილების გაყრის საქმეზე
1674 წ. 11 იანვარის

[...] სახასო მიწები რაც იყო მძვივლეთებმა გავყავით, თვითონ ჩვენ გავყავით, მესამედი პაპუასა სასახლის სანაცლო მიწა მივეცით; თამაზასა და ხოსიას – აქათ სალთხუცის მიდგმამდი, ზეით გზამდინ, ქვეით კიდო გზამდინ, ქვემოთ დათუას მიწის მიდგმამდი; ღვერთეთს ჭიჭინაძე, რისაც მქონებელი იყო; სახასო ზვრის მესამედი, ზეით კერძი ახალშენი იყო, ცოტა მისის კორდითა, მესამედი.[488]

საქართველოს როგორც მთიან რეგიონებში, ისე ბარში, ოჯახის უფროსს ოჯახის საკუთრებაში არსებული საკომლო მიწების ერთპიროვნულად განკარგვა არ შეეძლო. ფშაველ ინფორმატორთა უმრავლესობის ცნობით, ქონების გასხვისებისას ოჯახის უფროსი ვალდებული იყო მიწასთან დაკავშირებული ყველა საკითხი ოჯახის

---

[485] ჯალაბაძე დ., მიწათმოქმედება ფშავ-ხევსურეთში, თბილისი, 1963, გვ. 6-7; მითითებულია ქართული ჩვეულებითი სამართალი, წიგნი IV, მეცნიერებ", თბილისი, 1993, გვ. 63.

[486] ბოსტოდანაშვილი დ., მიწათმფლობელობა აღმოსავლეთ საქართველოში, თბილისი უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2004, გვ. 31.

[487] Свод материаловъ по изученію экономического быта государственныхъ крестьян Закавказского края, Том I, Тифлис, 1887, ст. 93.

[488] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, (ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1972, გვ. 132-134.

სრულწლოვან მამაკაცებთან შეეთანხმებინა და მათი აზრი გაეთვალისწინებინა, რადგან საკითხი ეხებოდა საოჯახო საკუთრებაში არსებულ ქონებას, რომლის მესაკუთრენი ფშავში მხოლოდ მამაკაცები იყვნენ. საერთო ქონებიდან მისაღები წილი და მოცულობაც უშუალოდ ოჯახის სამართლებრივი მოწყობის ფორმაზე იყო დამოკიდებული. ქართული ჩვეულებითი სამართლის თანახმად, „იგი [ოჯახის უფროსი] შეზღუდული იყო ოჯახის წევრ, უფროსი თაობის მამაკაცთა თანხმობის აუცილებელი პირობით მაინც“.[489]

მსგავსი პირობა მოითხოვებოდა აჭარაშიც. თ. აჩუგბა წერს, რომ „ამგვარი საკუთრების პირობებში მიწის ნაკვეთის ყიდვა-გაყიდვა შესაძლებელი იყო მხოლოდ და მხოლოდ ოჯახის სრულასაკოვან წევრთა საერთო შეთანხმების საფუძველზე“.[490]

საქმე სხვაგვარად იყო ინდივიდუალური ოჯახის შემთხვევაში. ამის შესახებ დ. ბოსტოღანაშვილი წერს: „დიდი ოჯახისაგან განსხვავებით, ინდივიდუალურ ოჯახში, სადაც მხოლოდ ცოლ-ქმარი და მათი შვილები ცხოვრობდნენ, ოჯახის უფროსი იყო ინდივიდუალური მესაკუთრე, ოჯახის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე გადაწყეტილებას ოჯახის უფროსი მამაკაცი ინდივიდუალურად იღებდა. კერძო მესაკუთრეების როლში გამოდიოდნენ დიდი ოჯახის დაშლის შედეგად წარმოშობილი ინდივიდუალური ოჯახის მეთაურები, რომელნიც უკვე ერთპიროვნულად ახორციელებდნენ საკუთრების უფლებას კუთვნილი მიწის ნაკვეთებზე და სიღნაღელი ვაჭრები, რომლებიც იძენდნენ საკომლო თუ გლეხთა კერძო საკუთრებაში არსებულ მიწებს“.[491]

სოფლად უმიწო სახლი იშვითობა იყო. გლეხების ყოფაში სახლი და ოჯახი განუყრელად იყო დაკავშირებული მიწის მფლობელობასთან. ცალკე დამოუკიდებელი ოჯახის შექმნა შეეძლო მხოლოდ იმ პირს, ვისაც მიწის ნაკვეთი საკუთრებაში ჰქონდა. დიდი ოჯახის უძრავი ქონების უმთავრეს სახეობას სახნავ-სათესი მიწები განეკუთვნებოდა. საქართველოს მთიან რეგიონში აღნიშნული კატეგორიის მიწები, ძირითადად, „სოფლის ტერიტორიაზე იყო განლაგებული, ნაწილი კი პატარ-პატარა ნაკვეთების სახით გაფანტული იყო დასახლებული უბნის განაპირას, მახლობელი მთების ფერდობებზე და ტყის ზოლში“.[492]

დიდი ოჯახის (საოჯახო თემის) უძრავ ქონებაზე საკომლო საკუთრება განისაზღვრებოდა სისხლისმიერი პრინციპით და იგი ოჯახის წევრ მამაკაცებს ეკუთვნოდათ.[493] საკომლო მიწები ოჯახის წევრთა განუყოფელ კუთვნილებას წარმოადგენდა და არ დაუბრუნდებოდა სოფლის საზოგადოებას, თუკი კომლის თუნდაც ერთი წევრი ცოცხალი იყო (მათ შორის ბოლო კამერალური აღწერის შემდეგ გამოყოფილნიც).[494]

---

[489] ბოსტოღანაშვილი დ., მიწათმფლობელობა აღმოსავლეთ საქართველოში, თბილისი უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2004, გვ. 50.

[490] აჩუგბა თ., ოჯახი და საოჯახო ყოფა აჭარაში, მეცნიერება, თბილისი, 1990, გვ. 53.

[491] იქვე, გვ. 50-51.

[492] აჩუგბა თ., ოჯახი და საოჯახო ყოფა აჭარაში, მეცნიერება, თბილისი, 1990, გვ. 52.

[493] ბოსტოღანაშვილი დ., მიწათმფლობელობა აღმოსავლეთ საქართველოში, თბილისი უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2004, გვ. 31.

[494] Аргутинский А., Матерялы для изучения экономического быта государственных крестьян Закавказского края, т. 4 ,ч. 2, с. 209, მითითებულია ბოსტოღანაშვილი დ., მიწათმფლობელობა აღმოსავლეთ საქართველოში, თბილისი უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2004, გვ. 32.

განჩინება ტატიშვილების გაყრის საქმეზე
1674 წ. 11 იანვარი

სახასო მიწები რაც იყო მძვივლეთებმა გავყავით, თვითონ ჩვენ გავყავით, მესამედი პაპუასა სასახლის სანაცვლო მიწა მივეცით; თამაზასა და ხოსიას – აქათ სალთხუცის მიდგომამდინ, ზეით გზამდინ, ქვეით კიდო გზამდინ, ქვემოთ დათუას მიწის მიდგმამდი; ღვერთეთს ჭიჭინაძე, რისაც მქონებელი იყო; სახასო ზვრის მესამედი, ზეით კერძი ახალშენი იყო, ცოტა მისის კორდითა, მესამედი.

ხევში ოჯახის გაყრის აღწერისას ვ. ითონიშვილი აღნიშნავს, რომ თითეულ მოწილეს ვერ შეხვდებოდა ხარისრხობრივად ერთნაირად კარგი მიწის წილი, ამიტომ „ერთ წილად ჩააგდებდნენ მამულის მცირე, მაგრამ საუკეთესო ნაჭერს, ხოლო მეორე წილად მასზე დიდსა და შედარებით მიუსავლიან ნაკვეთს. ხარიასხიანი და უხარისხო ნაკვეთების განაწილება ისე უნდა მომხდარიყო, რომ ყველა მოწილეს შეხვედროდა ერთიც და მეორეც“.[495]

ოჯახის გაყოფის დროს მიწის ნაკვეთების განაწილებისას დიდი ყურადღება ექცეოდა ყველა მოწილისათვის კარგი „სამოსახლო“ ადგილის გამოყოფას. ითვალისწინებდნენ მიწის ნაკვეთის ფართობს, მიწის ხარისხს, მდებარეობასა და მოსავლიანობას. „შესაძლოა, გაყოფის დროს მიწის ნაკვეთები განსხვავებული ზომით შეხვედროდათ მოწილეებს, მაგრამ მათზე მიღებული მოსავალი თანაბარი უნდა ყოფილიყო“.[496]

ასე მაგალითად, ძმების პაატასა და ამბრიას 1661 წლის გაყრის საბუთში ვკითხულობთ:

„ჩამოვედით. ჩემს ვენახებს შუა იმისი ვენაჯი არის, ისიც წყლის მამული არის. გავზომეთ, ექვსი საბელი გამოვიდა. ნახევარი მე მერგო და ნახევარი ამბრიასა. იმაში მეტი მოვიდა და ისიც ამბრიას მივეცით.
[...]
სხვა მინდრის მიწა, მთა და ბარი, წყალი, წისქვილი – ნახევარი ივანასა და ნახევარი ამბრიასა. [497]

გ. ცეცხლაძის თქმით, „ოჯახის კუთვნილი მიწა უმრავლეს შემთხვევაში, ერთ მთლიან ნაკვეთს არ წარმოადგენდა. ეს მიწები 2-3 ან მეტ ადგილას მდებარეობდა, ამიტომაც ძალზე ძნელი იყო მათი თანაბარი განაწილება, მით უფრო, რომ მიწის სხვადასხვა ნაკვეთი დანიშნულებით განსხვავდებოდა. [...] ამასთანავე მხედველობაში

[495] ითონიშვილი ვ., მოხევეების საოჯახო ყოფა, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1970, გვ. 113.
[496] ცეცხლაძე გ., გურიის მოსახლეობის საოჯახო ყოფა, თბილისი, მეცნიერება, 1991, გვ. 91
[497] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, (ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1972, გვ. 119.

მიიღებოდა ისიც, რომ განაყარ ოჯახს წილში უნდა რგებოდა, პირველ რიგში, ეზო (კარმიდამო), ასევე საყანედ ვარგისი მიწაც და ვენახიანი ადგილიც. [...] უძრავი ქონების სიაში ჩამოთვლილია 13 სხვადასხვა დასახელებისა და ზომის ნაკვეთი, რომელიც მას ოჯახის გაყრის შემდეგ წილში ჰქონდა მიღებული. ჩამოთვლისას მითითებულია აგრეთვე მიწის ნაკვეთის საზღვრები, სახეობა და ფასი".[498]

სამოსახლო ადგილისათვის აუცილებლი იყო წყალი, ამიტომ წყალსაც მოწილე განაყართა რაოდენობის მიხედვით ყოფდნენ ნაკადულებად, რასაც მოწმობს ვახტანგ VI-ის სამართლის 114-ე მუხლი:

რუს სარწყავს წყალს, როგორც მამულს გაიყოფენ ძმანი, ისრე წყალი იმდენ ნაკადულად გაიყოფის.[499]

ასევე ითვალისწინებდნენ ბაღ-ვენახთან მისასვლელი გზის მოხერხებულობას. მაგალითად, ამის თაობაზე მითითებულია განჩინებაში ტატიშვილების გაყრის საქმეზე

ზვრის გზა ასრე გაგვიჩენია: ნეხვისა და მუშის დროსა, სეხნიას ყმის სამძღვარს აქეთ შეიაროს, თამაზმა და ხოსიამ ვერ დაუშალოს და სიმწიფის დროს თავისი კერძის ღობიდამ იაროს.[500]

მიწის ნაკვეთს ძმები საერთო სარგებლობაშიც იტოვებდნენ. ასეთ საზიარო ადგილებს გაყრილი ძმები რიგ-რიგობით ამუშავებდნენ, ზოგჯერ აქირავებდნენ და მიღებულ შემოსავალს იყოფდნენ ან „საუბნო დღეობაში ხარჯავდნენ ან შესწირავდნენ თავიანთ საგვარეულო სალოცავს".[501] ეს იმით შეიძლება ავხსნათ, რომ საზიაროდ დატოვებული ნაკვეთი ბევრ მუშა ხელს ითხოვდა; ჩვეულებრივ, ასეთი მიწის ნაკვეთი სოფლიდან მოშორებით მდებარეობდა და მასზე მიღებულ მოსავალს ძმები თანაბრად იყოფდნენ. საზიაროდ ძმებს ასევე შეიძლება დაეტოვებინათ მაღლარი ვენახი. ამ სახის ვენახი თითოეულ მოწილეს უნდა შეხვედროდა, რათა ოჯახი ღვინის გარეშე არ დარჩენილიყო. მცირემიწიანობის გამო ეზოც შეიძლება საზიაროდ დაეტოვებინათ.

თ. აჩუგბას თქმით, აჭარაში არსებული ადათის თანახმად, „ზოგჯერ, როდესაც ნაკვეთის დანაწილება არ ხერხდებოდა, გამოსავალს პოულობდნენ მიწების „ურთიერშებადლებაში",[502] ასეთ შემთხვევაში, ითვალისწინებდნენ შემდეგ გარემოებებს:

1. ნაკვეთის მდებარეობას – ახლო თუ შორი, მიწის ხარისხს და მის მოსავლიანობას;

---

[498] ცეცხლაძე გ., გურიის მოსახლეობის საოჯახო ყოფა, თბილისი, მეცნიერება, 1991, გვ. 91

[499] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებული (ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1963, გვ. 512.

[500] იქვე, გვ. 133.

[501] ითონიშვილი ვ., მოხევეების საოჯახო ყოფა, საბჭოთა საქართველო, თბილისი, 1970, გვ. 113.

[502] აჩუგბა თ., ოჯახი და საოჯახო ყოფა აჭარაში, მეცნიერება, თბილისი, 1990, გვ. 102.

2. იმ ფაქტს, რომ ისედაც მცირე ფართობის ნაკვეთი დაქუცმაცებას ძნელად ექვემდებარებოდა,

3. ასევე, იმასაც, რომ „მისი რომელიმე მოწილის ხელში ჩაგდებით მოსალოდნელი იყო ახლადშექმნილი ოჯახის გამდიდრება [...] ცალკეული ოჯახები და გვარები ურთიერთშეთანხმებით ფლობდნენ და სარგებლობდნენ ხილის ბაღს, იალა საზაფხულო საძოვრებს, ტყეს და ზოგჯერ სათიბ ან სახნავ მიწასაც კი“.[503]

ჩვეულებითი სამართალი სახლის დამფუძნებლად მამაკაცს მიიჩნევდა; პირს, რომელსაც შეიძლება მიწის ნადელი ჰქონოდა, ნებისმიერი მიწის ნაკვეთის მფლობელის მსგავსად, შეეძლო დამოუკიდებელი ოჯახის შექმნა. ოჯახის გაყოფისას მიწის ნაკვეთების დანაწილების შედეგად, მშობლების უძრავი ქონება უმცროს თაობებს შორის რამდენიმე მცირე ნაწილად იყოფოდა. თუმცა საოჯახო საკუთრების გაუყოფლობის შემთხვევაში, როდესაც ფიზიკურად შეუძლებელი იყო საკუთრების განცალკევება, გაუყოფადი საკუთრება საერთო საგვარეულო ქონებაში რჩებოდა, რითაც მისი მფლობელი ცალკეული ოჯახები ურთიერთშეთანხმებით სარგებლობდნენ. ამგვარად, მიწის თანამფლობელობა ნაკარნახევი იყო საერთო ინტერესებით.

მიწის თანამფლობელობა მიზანშეწონილად მიიჩნეოდა იმ შემთხვევაში, თუ ნაკვეთი გაუყოფადი იყო ანუ როდესაც მფლობელთა რაოდენობა დიდად აღემატებოდა მიწის ნაკვეთის მოცულობას. ამის შესახებ ხაზგასმით არის აღნიშნული ერთ-ერთ ნაშრომში: „ხშირ შემთხვევაში მიწის ნაკვეთის ფაქტობრივი გაუყოფადობით იყო განპირობებული ნაკვეთის თანამფლობელობა მფლობელებს შორის. თუ ნაკვეთის მოცულობა მცირე, მფლობელთა რაოდენობა კი დიდი იყო, მაშინ გაყოფის შედეგად წარმოიქმნებოდა დამუშავებისათვის გამოუსადეგარი მცირე ზომის მიწის ნაკვეთები, რომლებიც ყოველგვარ სამეურნეო დანიშნულებასა და ღირებულებას კარგავდა. ამიტომ, ასეთ შეთხვევაში თანამფლობელი-მოგვარეები მიწის გაყოფას კოლექტიურ მფლობელობას ამჯობინებენ“.[504]

მიწის იჯარით აღების დროსაც კოლექტიურ მიწათსარგებლობას ამჯობინებდნენ.

აღმოსავლეთ საქართველოში იყო შემთხვევები, როდესაც სასულიერო პირებიც სარგებლობდნენ სასოფლო მიწებით. ამის შესახებ დ. ბოსტოღანაშვილი წერს, რომ „სახაზინო გლეხების გარდა სასოფლო მიწებით, თუმცა შეზღუდულად, სარგებლობენ სასულიერო პირები და აზნაურები (მემამულეები) გლეხების უფლებებით. მათ კერძო საკუთრებაში გააჩნიათ აგრეთვე საკარმიდამო ნაკვეთები და ბაღ-ვენახები“.[505]

გურიაში ქალიშვილს იმ შემთხვევაში შეეძლო მიწის ნაკვეთს დაუფლებოდა, თუ ოჯახს ვაჟი არ ჰყავდა; მაშინ მთელი ქონება, მათ შორის მიწის ნაკვეთიც, გარდაცვლილი ოჯახის უფროსის მეუღლის – ქვრივის ან ქალიშვილის მფლობელობაში გადადიოდა. თუ ოჯახში რამდენიმე ქალიშვილი იყო, ისინი მამისეულ ქონებას თანაბრად

---

[503] იქვე, გვ. 110.

[504] Свод материаловъ по изученію экономического быта государственныхъ крестьян Закавказского края, Том I, Тифлис, 1887, ст.168-169.

[505] ბოსტოღანაშვილი დ., მიწათმფლობელობა აღმოსავლეთ საქართველოში, თბილისი უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2004, გვ. 50-51.

ინაწილებდნენ, ე.ი. „მამული უმკვიდროს დაშთომილი“, მდედრობით სქესსა და მის ჩამომავლობაზე გადადიოდა. ასეთივე უფლებები ჰქონდა ქალს სამცხე-ჯავახეთში, აჭარაში; ხოლო იმერეთში ქალიშვილის გათხოვებისას მიწა არასოდეს გადადოიდა მის მფლობელობაში. უძეო ოჯახის უფროსის გარდაცვალების შემდეგ ნათესავები ყველა ღონეს ხმარობდნენ, რომ მიწა სხვა გვარის ხელში არ გადასულიყო.[506]

მიწის მოწილეებთან მიმართებით, მსგავსი ადათი მოქმედებდა ცენტრალურ კავკასიის მკვიდრ ხალხებშიც. რ.თოფჩიშვილი წერს: „ჩვეულებითი სამართლით პირდაპირ მემკვიდრეებად მხოლოდ მამაკაცები ითვლებოდნენ. უმემკვიდრეოდ დარჩენილი ოჯახის სახვნელი მიწა და სათიბი თემის საკუთრებაში გადადიოდა. დანარჩენ უძრავ ქონებას (ბაღი, წისქვილი, სამეურნეო ნაგებობები) და მოძრავ ქონებას უახლოესი ნათესავები ეუფლებოდნენ“.[507]

ვ. ითონიშვილ ადასტურებს იმ ფაქტსაც, რომ „დიდი ოჯახის გაყრის შემდეგ მომავალ ახალ ოჯახებს სათავეში ექცეოდნენ მეორე თაობის წარმომადგენლები, მოწილეებადაც ისინი ითვლებოდნენ“.[508]

VI. 7. კეთილმონაგები ქონების განკარგვის წესი.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ ისიც, თუ როგორ ხდებოდა ოჯახის გაყრის დროს კეთილმონაგები ქონების განკარგვა. ჩვეულებრივ, ვიდრე ოჯახი გაუყრელი იყო, ოჯახს გარე სამუშაობზე წასული ვაჟიშვილი თავის ნაშოვნ ფულს ოჯახის საერთო ქონებას შეურთებდა ხოლმე, მაგრამ ოჯახის გაყრის დროს ამას მხედველობაში იღებდნენ.

ძმის კეთილი მონაგარის შესახებ დავით ბატონიშვილის სამართლის 227-ე მუხლში „ძმისაგან უცხოსა ქუჱყნით ნივთის მოტანისათვის“ წერია:

უკეთუ ძმა ერთი წარვიდეს უცხოსა ქუჱყნასა და მუნით გარჯილობითა თვისითა მოიტანოს რაჲმე, უკეთუ იკონომიაჲ ძმათა გაუყრელთა ერთი არს, მაშინ გაყრასა სხვათაცა უცს წილი, – რომელიცა შემდგომად გაყრისა მიეცეს მომტანელსა მას წილი ორი: ერთი გარჯილობისათვის, ხოლო მეორე არშივი თჳისი, და მესამედი – სხუათა ძმათა, ამად ვინაჲდგან ყოველივე სახლისა ნაკლულევანებაჲ ანუ სარგებელი ერთი ჰქონიესთ.
[...]
და უკეთუ იშოვნონ წყალობაჲ და ერთი უმეტესობდეს ან კეთილკაცობით, ან ბატონის კარგის ყმობით და ან მეტითა რაჲთამე, რომლისა მიზეზითა გამოიწყალობონ, მაშინ ნაშოვნისა მისგან აიღოს საჭირნახულოჲ მშოვნელმან, მით რომე შრომა და

[506] ცეცხლაძე გ., გურიის მოსახლეობის საოჯახო ყოფა, მეცნიერება, თბილისი, 1991, გვ. 100.
[507] თოფჩიშვილი რ., კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია, თბილისი, 2007, გვ. 345-346
[508] ითონიშვილი ვ., ცენტრალური კავკასიელების საოჯახო ყოფა, თბილისი, 1969, გვ. 274-275.

ღვაწლი მოიზიდვენ განსვენებასა, და სხვა მებრ კანონისა განიყონ.[509]

ასევე, ქონების განაწილებისას ცალკე გამოყოფდნენ *მონაგებ მიწებს* (ასე იწოდებოდა „ოფლით მოპოვებული“ მიწა) და სამკვიდრო ანუ მამა-პაპეულ მიწებს. მონაგები მიწების გაყოფისას თავიანთ წილს იღებდნენ არა მარტო ოჯახის მამის ვაჟიშვილები, არამედ ის უფროსი ბიძაშვილებიც, რომელთაც თავიანთი შრომით ქონების გაზრდაში წვლილი შეიტანეს.[510] ამრიგად, კეთილმონაგები ქონების განკარგვის უფლება საოჯახო თემის ყველა მონაწილეზე ვრცელდებოდა, რადგან ისინი საოჯახო თემის ახალ სამართლებრივ კატეგორიას წარმოადგენდნენ.

თუ ერთ-ერთი ძმა გამჭრიახი აღმოჩნდებოდა და თავისი გარჯით ოჯახის საერთო ქონებას საგრძნობლად გაზრდიდა, მაშინ ოჯახის გაყრისას ვახტანგ VI-ის სამართლის თანახმად:

[103[1]]. თუ დაკარგული მამული იშოვნა რომელმაც ძმამ, გინდა უფროსი იყოს და გინდა უმცროსი და გინდა საშუალო, რომელიც ისრე გამოჩენით იშოვნის, რომ მისის სიკეთით შეემატნოს, იმაზედ ოცისთავი საჭირნახულო მიეცემის.[511]

თუ გაუყრელი ოჯახის რომელიმე წევრი თავისი პირადი მოხმარებისათვის სათავისოდ შეიძენდა რაიმეს, მაშინ ოჯახის გაყრისას უნდა დაედგინათ რა სახსრებით იყო შეძენილი სათავისო ქონება. იმ შემთხვევაში, თუ სათავისო ქონება პირადი სახსრებით ჰქონდა შეძენილი, მაშინ როგორც დავით ბატონიშვილი აღნიშნავს,

„და ოდეს რომელმანმე ძმათაგანმან და გაუყრელმან სახლისკაცმან საკუთრად იშოვა რამე თჳთ და მუნ მოძმენი და მონათესავენი არა მოხსენებულან და არც არს მათს შორის პირობის წიგნი, იგი გაყრისა წილსა ნუ შთავარდების, არამედ დაუშთეს მხოლოდ შემძინებელსა“.[512]

ხოლო თუ ქონება საერთო სახსრებით იყო შეძენილი, მაშინ ოჯახის გაყრისას სათავისო ქონება საერთო წილში იანგარიშებოდა.

[105]. იქნების, ზოგს ძმაში სათავისთაოდ ნასყიდობა იციან; ან მანდილოსანი თავისის მზითვით იყიდის რასმე მამულსა. ამის გასინჯვა უნდა. თუ [306v] სასახლოსა და მამულის გამოსაღებით

---

[509] სამართალი ბატონიშვილის დავითისა, (ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო დ. ფურცელაძე), მეცნიერება, თბილისი, 1964, გვ. 127-128.

[510] Харадзе Р., Грузинская семейная община, т. I, Тбилиси, изд-во Советский писатель Грузии, Заря Востока, 1960, с. 54.

[511] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებული (ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1963, გვ. 509.

[512] ფურცელაძე დ., სამოქალაქოს ჰსჯულვილება, თბილისი, 1960, გვ. 34

არ არის ნასყიდი. და წიგნში დასყიდვაში არას გარეულა, არას ემართლებიან; თუ არადა, საერთოდ უყიდნიათ და ერთი იქნების.[513]

VI. 8. ვალის გადახა ოჯახის გაყრის დროს

ჩვეულებრივ, ოჯახის გაყრის დროს ვალიც გაყოფას ექვემდებარებოდა. თუ ოჯახს ვალი საერთო საოჯახო საჭიროებისათვის ჰქონდათ აღებული, მაშინ ოჯახის გაყრის დროს ყველა მოწილეს ვალი თანაბრად უნდა გადაეხადა, ან შეიძლებოდა ერთ ძმას დაკისრებოდა ვალის სრულად გასტუმრება, მაშინ მას ოჯახის გაყრისას მეტი წილი მიეცემოდა; ანდა ვალი თავად ამღებს ან მის შთამომავლებს უნდა გადაეხადათ. ამის შესახებ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 141-ე მუხლში ვკითხულობთ:

პაპას თუ პაპის მამას რომ ვალი აეღოს, მისი შვილი და შვილიშვილი ბევრად გაყრილიყვნენ ან დაკარგულიყონ, იმისი წილი მამული როგორც გაეყოსთ, ისრე ვალი მისცენ.[514]

ვახტანგ VI-ის სამართლის მიხედვით იკვეთება, რომ ქალს (ქვრივს, ქალიშვილს, დას) ვალის გადახდა არ ევალებოდა.

146. თუ კაცი ამოვარდეს და დედისა და დის მეტი არა დარჩეს რა, მისი ვალი დედასა და დას არ ეთხოვება, თუ რამ კაცს საქონელი დარჩოამია, იმით უნდა გარდიჯადონ, დედისა და დის საქონელთან ჴელი არა აქუთ.[515]

სრულწლოვანებამდე ვალის გადახდა ობლებსაც არ მოეთხოვებოდათ.

თუ ქვრივი იყოს და ობლები წვრილი ყუანდეს, და მოვალემ ვალს თხოვნდა დაუწყოს, სანამდის ობლები არ დაიზრდების, ვალი არ ეთხოების.[516]

დაახლოებით იმავე შინაარსის მუხლია მოცემული დავით ბატონიშვილის სამართლის წიგნში; მხედველობაში მაქვს მუხლი *ვალის აღებისათვის.*

და უკეთუ ემართოს ობოლსა ვალი, ნუ ეთხოების მას და ნურცა მზრდელსა, გარნა მოვალემან მიიღოს მამული მისი და იქმენს პატრონ, ვიდრე მოვიდეს ყრმა იგი ჰასაკსა; და იდეს მოვიდეს

[513] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებული (ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1963, გვ. 509.
[514] იქვე, გვ. 517.
[515] იქვე, გვ. 518.
[516] იქვე, გვ. 515.

ჰასაკსა, მაშინ მივიდენ ორნივე მსაჯულთა წინაშე და ანგარიშითა მეტ-ნაკლებობა მათი განასროწონ მსაჯულთა წინაშე.[517]

სამოქალაქო ჰსჯულვილებაში ვალის შესახებ ვკითხულობთ:

(გარდაცვლილ კაცთათვის. მუხ. 37) „გაყრისას [...] რაც ქონება ანუ ვალი ექნებოდათ [...] ყოველსავე თანასწორ გაიყოფდნენ"; (VII. გაყრისათვის. მუხ. 47) გაყრისას თუმცა რომლისამე ძმისაგან აღებულ ვალსაც საერთოს ქონებიდამ მისცემდნენ ანუ როგორც ქონებას გაუყოფდენ [...] ისე ვალსაცა...;
გაყრის დროს ვისაც რა ერთი ვალი შეხვდებოდა [...] ის იმას უნდა გარდაეხადა...".[518]

განჩინება ხოლუაშვილების ვალის საქმეზე
1675-1685

ქ. ხოლუაშვილები გაიყარენ, ბატ[ონ]თან იჩივლეს, ვალოზედ დეობდეს და ხოსიკა აღარ მიუდგა, ასე უთხრა: „ჩემი და ქიოტიშვილს ყავსო და ჩემი კერძი ვალი იმაშიდ გამიბარებია, ვალს აღარ გადავიხდი".
და ეს ბატონმა უწყინა ხოსიკასა.
ახლა ამ ძმებმა უთხრეს ხოსიკასა, მამუკამა და გიგიამა: ეს გოგო სწორეთ გამოვიყვანათო და ვალიც სწორეთ გადავიხადოთო. და ხოსიკამ აღარ ქნა: „ჩემ კერძს ვალშიდ ჩემი და მიმიცემია".
ახლა ხოსიკას უბრძანა ბატონმა პაატა აბაშიძემ: „ცოდვა და მადლი შენი იყოს შენი დისა".
ახლა დავსხედით ბატონის ბრძანებით ქიშოტი სახ[ლთხ]უცესი, გიორგი, ორთავ ზურაბ ასისთ[ა]ვი, ხაენა მამასახლისი, გიორგი მღვდელი. ბატონის ბრძანებით და ღმრთითა ეს ასე გაგვისამ[ა]რთლებია: ვალი სამა[თ] გადავახდევინეთ და მამული ოთხად გაგვიყვია.[519]

VI. 9. ბეითალმანი ქონების განკარგვა

რაც შეეხება უპატრონო ქონებას. ისმის კითხვა: ვინ ეუფლებოდა უპატრონოდ დარჩენილ ქონებას?

ცხადია, იყო შემთხვევები, როდესაც ოჯახი ისე ამოწყდებოდა, რომ არც პირდაპირი ნათესავი დარჩებოდა და არც გვერდითი ხაზით ნათესავი. ასეთ შემთხვევაში ოჯახის ქონება უპატრონოდ იწოდებოდა. საქართველოს კუთხეების მიხედვით, ქართულ ენაში არის უპატრონო ქონების აღმნიშვნელი რამდენიმე ტერმინი. მაგალითად, *დაპსებული, გადასული, გადაშენებული, გატიალებული, უპატრონო, გუმოკილერი*

---

[517] სამართალი ბატონიშვილის დავითისა, (ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო დ. ფურცელაძე), მეცნიერება, თბილისი, 1964, გვ. 39.
[518] ფურცელაძე დ., სამოქალაქოს ჰსჯულვილება, თბილისი, 1960, გვ. 32-34.
[519] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს.), (ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ), მეცნიერება, თბილისი, 1972, გვ. 150-151.

ოჯახი.[520] მაგრამ უპატრონო ქონების აღსანიშნ ტერმინად, ძირითადად, მაინც არაბული წარმოშობის სიტყვა *ბეითალმანი* დამკვიდრდა და დღემდე ასე იხმარება.

როგორც წესი, ასეთ ქონებას ეუფლებოდა მეფე ან ბატონი. საერო პირის უპატრონოდ დარჩენილ ანუ ბეითალმან ქონებას ძირითადად ხელმწიფე განკარგავდა. ამას მოწმობს ვახტანგ VI-ის სამართლის 113-ე მუხლი:

თუ კაცი უშვილოდ ამოვარდა, მისი მამული ჴელმწიფისა არის, ვისაც უნდა, უბოძებს.[521]

ალ. ოჩიაურის მიერ მოძიებულ მასალებზე დაყრდნობით, ბ. ზოიძე აღნიშნავს, რომ საქართველოს მთიან რეგიონში – ხევსურეთი, ფშავი, მთიულეთი – იცოდნენ ბეითალმანი ქონების სალოცავებისათვის გადაცემა. სვანეთში უმემკვიდრეო ოჯახის ქონება ძმებს, შორეულ ნათესავებსა და ხატს შორის ნაწილდებოდა; ბეითალმანი ქონების გაყოფის დროს მეტი წილი ეკლესიას ერგებოდა.[522]

რაც შეეხება თავად სასულიერო პირის ბეითალმან ქონებას, ეპისკოპოსის უძრავი ბეითალმანი ქონება სრულად რჩებოდა ეკლესიას, ხოლო მოძრავი ქონება სამად იყოფოდა. ამის შესახებ ვახტანგ VI-ის სამართალში 175-ე მუხლში ვკითხულობთ:

ებისკოპოზის ბეითალმალი ჩვენს მიხდომაში სრულობით საყდრისა უნდა იყოს, მაგრამე ვითაც საქართველო ღარიბი და უსაქონლო ქუეყანა არის, აგრე რიგად არც ჴელმწიფის შემოსავალი არის
[...]
და იმათ გარ[321r]ეთად თუ რამე დარჩების თეთრი, ფარჩა, ვერცხლი, პური, ღვინო და პირუტყუი, იმისგან ერთი წილი საჴელმწიფო არის, ერთი წილი საყრდისა, ერთი წილი ებისკოპოზის ძმებისა, რომ ებისკოპოზი დამარხონ.[523]

დავით ბატონიშვილი ნაწილობრივ იზიარებს ვახტანგ VI-ის პოზიციას ეპისკოპოსის ბეითალმან ქონებასთან მიმართებით:

გარნა ეპისკოპოსისა და სხუათა ეკკლესიისაგანთა დანაშთომი მიეცემის ეკკლესიათა, გარდა კონდაკისა მიერ მონაღვაწისა

---

[520] ზოიძე ბ., ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი, უფლება, თბილისი, 2000, გვ. 270.

[521] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებული (ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1963, გვ. 512.

[522] ზოიძე ბ., ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი, უფლება, თბილისი, 2000, გვ. 285.

[523] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებული (ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1963, გვ. 524-525.

ნივთისა, რომლისაცა ნებაჲ დამოკიდებულ არს ნებასა ზედა მისსა.[524]

მაგრამ მას მიუღებლად მიაჩნია სხვა სახის ქონების ნათესავებისათვის წილად გადაცემა.

კვალადცა ვიხილე მე სამართალსა შინა მეფისა ვახტანგისასა, რომელ დანაშთომსა ეპისკოპო[14]ზისასა პურსა და ღვინოსა უყოფდა მონათესავეთა მისთა, რომელიცა უჯეროდ ვრაცხე მე, მით რომე ეკკლესიისა მამულისა და ყმათა ნამუშავარი საკუთრად არს ეკკლესიისა და არა სხუათა.[525]

ამგვარად, ეთნოგრაფიული მასალებისა და ქართული ფეოდალური სამართლის ძეგლების განხილვის საფუძველზე შევეცადეთ წარმოგვეჩინა ოჯახის გაყრის შედეგად მიწის, როგორც განსაკუთრებული უძრავი ქონების, ვალისა და ბეითალმანის გაყოფის სამართლებრივი რეგულაციის ძირითადი ასპექტები. ხსენებული ქონების სახეებთან დაკავშირებითაც ყურადღებით ეკიდებოდნენ გამყოფ პირთა უფლებებს. კანონმდებელი გადაწყვეტილებას იღებდა საქმის ფაქტობრივი მდგომარეობის შესაბამისად, თუმცა ჩვეულებითი სამართლის ოდინდელ წესებსაც ითვალისწინებდა.

VI.10. ოჯახის შეყრა

დიდი ოჯახების გაყრა, მართალია, სულ უფრო ინტენსიურ ხასიათს იძენდა საქართველოში, მაგრამ არცთუ იშვიათად ხდებოდა ოჯახების შეყრაც. ძველ ქართულ სამართალში ოჯახთა შეყრის პროცესი ერთ-ერთ აქტუალურ საკითხად განიხილებოდა. ამ პროცესის აღსანიშნად ტერმინი ***შეყრილობა*** გამოიყენებოდა. თავდაპირველად, ოჯახის შეყრა ჩვეულებითი სამართლით რეგულირდებოდა; მოგვიანებით ოჯახის შეყრის წესები სათანადოდ აისახა ქართული სამართლის ძეგლებში.

ოჯახის შეყრა უფრო გვიანდელი ინსტიტუტია. საქართველოში ოჯახების შეყრა ყველა სოციალური წრისათვის იყო დამახასიათებელი. ჩვეულებრივ, ოჯახის შეყრა იყო ადრე გაყრილი საგლეხო თუ საფეოდალო დიდი ოჯახის – გაუყრელი ძმების, მათი მშობლების, შვილებისა და შვილიშვილების ანუ აღმავალი და დაღმავალი ახლო ნათესავების რამდენიმე თაობის – კვლავ გაერთიანება.

ჩვენამდე მოღწეული მრავალრიცხოვანი ეთნოგრაფიული და იურიდიული დოკუმენტების საფუძველზე რ. ხარაძე წერს: „შეყრილობა ოდესღაც დაკარგული ნათესაობის აღდგენას წარმოადგენდა. ეს

[524] სამართალი ბატონიშვილის დავითისა, (ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო დ. ფურცელაძე), მეცნიერება, თბილისი, 1964, გვ. 14.
[525] იქვე.

კავშირი იდებოდა როგორც საგლეხო, ისე საფეოდალო წრეებში“[526] და ურთიერთდახმარების ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენდა.

ისმის კითხვა: როდის და რატომ ხდებოდა ოჯახის შეყრა?

VI.11 გაყრილ ოჯახთა ურთიერთობა

პირველ რიგში, უნდა შევეხოთ განაყარ ოჯახთა შორის ურთიერთობის ტრადიციას; ჩვენი აზრით, ეს იყო შეყრის ერთგვარი წინა პირობა, რადგან, ფაქტობრივად, ოჯახის გაყრა არ ნიშნავდა განაყოფთა შორის ურთიერთობის სრულად მოშლას; პირიქით, განაყარი ოჯახები მხარში ედგნენ ერთმანეთს ჭირსა თუ ლხინში. ეს ერთობა ვლინდებოდა წინაპრის კულტთან დაკავშირებულ საერთო წეს-ჩვეულებების ჩატარებაში, როდესაც ურთიერთობის შენარჩუნების მიზნით, განაყარი ოჯახები და ახლო ნათესავები ერთად იკრიბებოდნენ. ეს ჩვეულება გავრცელებული იყო საქართველოს ყველა კუთხეში, განსაკუთრებით მთაში, სადაც სალოცავები მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ადგილობრივთა ცხოვრებაში და ადგილობრივი მამაკაცების იდენტობის განუყოფელი ნაწილი იყო. ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს ადგილობრივთა რელიგიური რიტუალების, წეს-ჩვეულებებისა და ა. შ. დაწვრილებითი ეთნოგრაფიული აღწერა. ეს მასალა წარმატებით შეიძლება იქნეს მოძიებული ამ საკითხის შესახებ არსებულ სპეციალურ ლიტერატურაში, მოგზაურთა ჩანაწერებში, სამეცნიერო გამოკვლევებში. უნდა აღინიშნოს ის, რომ დადგენილი ადათ-წესების დაცვა და სალოცავებთან მიმართებაში რიდისა და კრძალვის გამოჩენის ტრადიცია დღემდე შემორჩა. ამას მოწმობს ის, რომ დღესასწაულების დროს (ლომისობის, ათანგენობის და ა.შ.) მთაში სალოცავებთან ერთმანეთს კვლავიდებურად ხვდებიან როგორც ადგილობრივები, ასევე, ბარში გადასახლებული ხევსურები, მოხეევები, თუშები და ფშაველები.

გარდა ამისა, ისიც გვინდა აღვნიშნოთ, რომ მთაში ურთიერთდახმარების გარეშე ცხოვრება პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. ეს განსაკუთრებით მკვეთრად ვლინდებოდა ზამთრის პერიოდში, რაც ასევე ხელს უწყობდა ადგილობრივთა ერთობის განმტკიცებას. სამეურნეო თუ ყოფითი საქმეების შესრულებისას ასეთი ურთიერთდახმარებაც დღემდე შემორჩა საქართველოს მთაში.

გარდა ამისა, გაყრილი ოჯახების ერთიანობის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი იყო ისიც, რომ გამოყოფილ ოჯახშიც, ძირითადად, ოჯახის უფროსი მამაკაცის უფლებები ვრცელდებოდა. მამას კვლავინდებურად დიდი გავლენა ჰქონდა განაყოფ შვილებსა და მათ ოჯახებზე.

განაყარი ოჯახების წევრთა შორის ურთიერთობას ასევე ხელს უწყობდა ძმათა საერთო სარგებლობაში სათიბის, საძოვრის, სახნავი მიწების დატოვების ფაქტები,[527] ასევე დადასტურებულია საოჯახო

---

[526] Харадзе Р. Грузинская семейная община, т. I, Тбилиси, изд-во Советский писатель Грузии, Заря Востока, Тбилиси, 1960, с. 46.

[527] აჩუგბა თ., ხალხური საოჯახო სამართლის ნორმები აჭარაში (ქონებრივ-უფლებრივი მდგომარეობა) კრებულში: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა, მეცნიერება, თბილისი, 1983, ტ. X, გვ. 61-62.

გამოყენების საგნების – წისქვილის, დიდი სპილენძის ქვაბის, სამუშაო იარაღების გაუყოფლობის შემთხვევები.[528]

ეთნოგრაფიული მასალებით დგინდება, ძველი მემკვიდრეობითი სამართლი კი მოწმობს: „ამდენად, გაყრა არ აშორებს ოჯახის წევრებს ერთიმეორისაგან, ეკონომიკურად და სულიერად მაინც რჩება რაღაც საერთო ღირებულებები, რომელზეც მათი უფლება თანასწორია“.[529]

ივ. ჯავახიშვილის თანახმად, „შეყრილობა მხოლოდ კერძო ცხოვრების მოვლენა იყო და ამის გამო მხოლოდ საბუთებშია აღნუსხული“.[530] ისევე როგორც ოჯახის გაყრას, ოჯახების შეყრასაც თავისი წესები ჰქონდა და ჩვეულებრივ, შეყრილობა საგანგებოდ ფორმდებოდა წერილობითი ხელშეკრულებით შეყრილობის წიგნის სახით, რომელშიც ზუსტად იყო განსაზღვრული შეყრილ ოჯახის წევრ-სუბიექტთა უფლებები მათ მფლობელობაში არსებული ქონებისადმი და ის პირობები, რომელთა შესრულება შეყრილი ოჯახის ყველა წევრისთვის სავალდებულო იყო.

1798 წლის შეყრილობის საბუთში წერია:

„ტფილისის აოხრების შემდგომ, ჩემმა ძმამ ყიზლარითგან ჩემი რძალი გამოისყიდა და მე იმის ჩამოსაყვანად ყიზლარში წავედი და ჩამოვიყვანე. თუმცა მე და ჩემი ძმა და რძალი გაყრილები ვიყავით და ცალ-ცალკე ვცხოვრობდით, მაგრამ ჩვენი საერთო კეთილდღეობის გულისათვის ერთ ოჯახად შევიყარენით. ჩვენ უნდა ერთი ერთმანეთს ვუშველოთ, ვიმუშაოთ და ვაჭრობა ვაწარმოვოთ და ყველაფერი გავაკეთოთ, რაც ჩვენი სახლისათვის სასარგებლო იქმნება და ჩვენ შორის სიტყვები „ჩემია“, ან „შენია“ არ უნდა იყოს, არამედ ყველაფერი რაცა გვაქვს და რაც გვექმნება, ველასა თანასწორ წილად უნდა გვეკუთვნოდეს. ვინც ჩვენგან გამოყოფას მოისურვებს, ჩვენი სახლითგან უარაფროდ გავიდეს, სახლში შემოსულ ჩვენ პატარძალს ჩვენი სახლის უფროსმა უნდა მისი მზითევი ჩამორთვას და მას ამის ხელწერილი მისცეს. თუ მას ფულები ექმნება, ჩვენი სახლის უფროსმა სათავნოს მიუმატოს. ჩვენი სახლის ქვრივს გათხოვება შეუძლია და თუ გათხოვდა, უნდა მზითევიც დაუბრუნდეს და სამარხავიც მიეცეს სოფლური წესით. სახლში ყველაფერს ჩვენი სახლის უფროსი [...] განაგებს: იმის დაუკითხავად ვერავინ თავის დანიშნულ საცოლოსაც-კი ვერაფერს აჩუქებს. ქალებს უფლება არა აქვთ თავიანთთვის თავისით რაიმე იყიდონ. მათ ეძლევათ ყოველ კვირა წმინდა სანთელი და რაც-კი ეკლესიისათვის არის საჭირო. ყველა იმათ უნდა ერთნაირად ჩაიცვან და დაიხურონ: ქალებს უფლება არა აქვთ სხვადასხვანაირი და ძვრიფასი ტანისამოსები ჩაიცვა, ხოლო თუ ვინმე მათგანი დიდი კაცობას მოინდომებს, უნდა ჩვენი სახლითგან ხელცარიელი გავიდეს. მთელ ჩვენ სახლეულობაში ყველას ერთი

---

[528] Бахиа С., Порядок раздела семьи в Абхазии в прошлом. В кн.: Исторический сборник, Т. 1971, Т. 2, ст. 448-449; მითითებულია ზოიძე ბ., ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი, უფლება, თბილისი, 2000, გვ. 43.

[529] ზოიძე ბ., ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი, უფლება, თბილისი., 2000, გვ. 43.

[530] ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია, წიგნი I, ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემა, ტფილისი, 1928, გვ. 153.

მოძღვარი უნდა ჰყავდეს და ერთი ნათლია. თუ ნათლია ხელმოკლე იქნება, ნათლობის ხარჯს ჩვენი სახლიკე კისრულობს“-ო.[531]

ოჯახების შეყრა გვიანობამდე, XX საუკუნემდე შემორჩა, რასაც მოწმობს შეყრის საბუთი, რომელიც თარიღდება 1924 წლით. ეს საბუთი მოიპოვა გ. ჩიტაიამ და გადასცა ივ. ჯავახიშვილს.

ვდებთ პიროვნობის ხელწერილს ჩვენ გორის მაზრა ახალქალაქის თემის ამავე თემის სოფელ გრაკალში მცხოვრებნი ნინიკა სუარისძე და მისი შვილები ვანო და ნიკო და სვიმონი ესე მამა შვილიანათ ოთხივე პირნი მაზედა ეხლა შავერთდით 1924 წ. იანვრის 3 დღესა როგორც ყოფილა ძველათა და ამით ვდებთ პიროვნობის ხელწერილსა ორივე პირნი ვისაც ოჯახში ამოგვაჩნდეს სიმტყუვნე და ღალატი ეს მტყუანი პირნი გავიდეთ ცარილეზედა წილიდანა და მტყუანს პირს არ გაგვივიდეს საჩივარში რაზედაც ვემოწმებით ერთი მეორეს ჩვენის საკუთარის ხელის მოწერითა.

1. ვანო სუარისძე
2. +++ ნინიკა სუარისძე
3 +++ ნიკო სუარისძე
4. +++ სიმონ სუარისძე

გაყრის წიგნის მსგავსად, ოჯახების შეყრის საბუთიც იწყებოდა ღვთის, მამისა, ძისა და სულიწმინდის ხსენებით. შემდეგ იწერებოდა შეყრის მსრუველი პირები და ის ქონება, რაც ოჯახების შეყრის შედეგად ერთიანდებოდა. შეყრის საბუთის ბოლოს იდებოდა პირობა, რომ თანხმობით ერთად განკარგავდნე საერთო უძრავ-მოძრავ ქონებას; და სრულდებოდა შეყრილი ოჯახების უფროსების ხელმოწერებით. ივ. ჯავახიშვილს მოხმობილი აქვს ოჯახის შეყრის რამდენიმე ასეთი საბუთი. ასე მაგალითად, 1717 წლის საბუთში წერია:

ნებითა და შეწევნითა ღვთისათა... ესე ძმობის წიგნი მოგართვით თქვენმა ძმისწულებმა დათუნამ და პაატამ თქვენ ბიძა ჩვენს იესეს, შვილსა თქვენსა ოთარსა და გერმანოზსა, ასე და ამა პირსა ზედა: გაყრილნი ვიყავით და ისევ ერთმანეთის თავი მოვინდომეთ და ისევ ძმათ შევიყარენით. ეს პირობა დავზდევით (sic), რომ მამის მამული და ბიძის და ოთარისაც და რაც ჩვენი მამა-პაპათ მამული იყოს, ნასყიდიცა და უსყიდიცა, ყველა გაგვიერთებია; რაც ერთობაში შევიმატოთ, საერთო იყოს, რაც დაგვეკარგოს ისიც საერთო იყოს. ...ჩვენ რომ ვალი გუმართებს ოცი თუმანი, საერთოდ გადავიხადოთ, და სხვა, რაც დარჩეს თავ-თავისთვის გარდავიხადოთ. თქვენდა უკითხავად არც მამული გავსცე, არც დაგირბიო კაცი, არც გამოვიყვანო მსახური და მხლებელი; თუ პური და ღვინო

[531] ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია, წიგნი I, ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემა, ტფილისი, 1928, გვ. 155-156.

გადაგუოჩეს, საერთოთ მოვიხმაროთ, ან მამული ვიქრთამოთ, ან ვიყიდოთ, ყველა საერთოთ იყოს.[532]

ამგვარად, ოჯახის გაყრა არ ნიშნავდა განაყოფთა შორის ურთიერთობის სრულად მოშლას; განაყარ ოჯახთა შორის ურთიერთობის ტრადიცია – ჭირსა თუ ლხინში თანადგომა – შეყრის ერთგვარი წინა პირობა იყო. ამ პროცესის აღსანიშნად ტერმინი ***შეყრილობა*** გამოიყენებოდა.

VI. 12. ოჯახის შეყრის მიზეზები

შეყრილობა იმდენად გავრცელებული ყოფილა, რომ ამ ინსტიტუტს საგანგებოდ ეძღვნება თავი დავით ბატონიშვილის სამართალშიც; კერძოდ, **კე** თავის **ᲑᲐ** მუხლი „შეყრისათვის"; „მოყვასთა" შეყრისათვის საჭიროა „თანხმობა მეფეთა და მსაჯულთათა".[533] ამის შესახებ 210-ე მუხლში წერია:

უკეთუ სწადდეს მოყვასთა შეყრაჲ მოყვსისა, მაშინ იქმნებოდეს ესე თანჴმობითა მეფეთა და მსაჯულთათა.[534]

ქონების გაერთიანება შეყრილობის დროს, რა თქმა უნდა, ერთმანეთის კეთილსინდისიერი გატანით უნდა გამართლებულიყო, *ბედოვლათობის* გახშირება კი საკანონმდებლო ჩარევას მოითხოვდა.[535]

126. ქ. *თუ უნდოდეს ვისმე ვისიც შეყრა ძმაფიცად წიგნით, და შეიყაროს, და შეიქნას იმათში ერთობა, რაც რამ ქონდესთ და ან რაც მოიგონ, საერთო იქნეს თუ არა?* [536]

158. *თუ უწიგნოდ შესრულ იყვნენ, შეტანილი და ჭირნახული გაჰყვეს და შესმულ-შეჭმული არა იჴსენოს.*[537]

ოჯახების შეყრა სხვადასხვა მიზეზით იყო გაპირობებული. დ. ფურცელაძეს მიაჩნია, რომ ოჯახის შეყრა ძირითადად ეკონომიკური ფაქტორით იყო განპირობებული. „როცა განაყრებს შორის ერთ-ერთ ოჯახს გაუჭირდებოდა და სიდუხჭირიდან გამოსვლის საშუალება ესპობოდა, გაყრილი ოჯახები კვალავ ერთად შეიყრებოდნენ და მთელ

---

[532] ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია, წიგნი I, ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემა, ტფილისი, 1928, გვ. 153.
[533] ხელნაწერი H 2330, იხ. აგრეთვე დავით ბაგრატიონი, დასახ. თხზ. მუხ. 946-947
[534] სამართალი ბატონიშვილისა დავითისა, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო დ. ფურცელაძემ, მეცნიერება, თბილისი, 1964, გვ. 118.
[535] ფურცელაძე დ., სამოქალაქოს ჰსჯულვილება, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა თბილისი, 1960, გვ. 35-38.
[536] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებული (ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1963, გვ. 259.
[537] იქვე, გვ. 469.

ქონებას შეაზიარებდნენ, განურჩველად იმისა ვის მეტი შეძლება ჰქონდა და ვის ნაკლები".[538]

ზოგი „*შეყრილობის წიგნი*"[539] მოწმობს, რომ XVIII ს. „შეყრილობისადმი მისწრაფება და პროცესი ქართველი ერის ყველა წრეში იყო უმაღლესითგან მოყოლებული სოფლელებამდე. ცხოვრების უშიშროების შესაქმნელად გაყრილ-დაშორებული წევრები საერთო გასაჭირის დასაძლევად შეერთება-შეკავშირებაზე ზრუნავდნენ. ამნაირად გაყრილი ან დაშლილი ოჯახი, ან საგვარეულო კვლავ ერთდება, მამულს აერთებს და საერთო მეურნეობის წარმოებას იწყებს".[540]

1798 წლის შეყრილობის საბუთში წერია:

„ტფილისის აოხრების შემდგომ, ჩემმა ძმამ ყიზლარითგან ჩემი რძალი გამოისყიდა და მე იმის ჩამოსაყვანად ყიზლარში წავედი და ჩამოვიყვანე. თუმცა მე და ჩემი ძმა და რძალი გაყრილები ვიყავით და ცალ-ცალკე ვცხოვრობდით, მაგრამ ჩვენი საერთო კეთილდღეობის გულისათვის ერთ ოჯახად შევიყარენით. ჩვენ უნდა ერთი ერთმანეთს ვუშველოთ, ვიმუშაოთ და ვაჭრობა ვაწარმოვოთ და ყველაფერი გავაკეთოთ, რაც ჩვენი სახლისათვის სასარგებლო იქმნება და ჩვენ შორის სიტყვები „ჩემია", ან „შენია" არ უნდა იყოს, არამედ ყველაფერი რაცა გვაქვს და რაც გვექმნება, ველასა თანასწორ წილად უნდა გვეკუთვნოდეს. ვინც ჩვენგან გამოყოფას მოისურვებს, ჩვენი სახლითგან უარაფროდ გავიდეს, სახლში შემოსულ ჩვენ პატარძალს ჩვენი სახლის უფროსმა უნდა მისი მზითევი ჩამორთვას და მას ამის ხელწერილი მისცეს. თუ მას ფულები ექმნება, ჩვენი სახლის უფროსმა სათავნოს მიუმატოს. ჩვენი სახლის ქვრივს გათხოვება შეუძლია და თუ გათხოვდა, უნდა მზითევიც დაუბრუნდეს და სამარხავიც მიეცეს სოფლური წესით. სახლში ყველაფერს ჩვენი სახლის უფროსი [...] განაგებს: იმის დაუკითხავად ვერავინ თავის დანიშნულ საცოლოსაც-კი ვერაფერს აჩუქებს. ქალებს უფლება არა აქვთ თავიანთთვის თავისით რაიმე იყიდონ. მათ ეძლევათ ყოველ კვირა წმინდა სანთელი და რაც-კი ეკლესიისათვის არის საჭირო. ყველა იმათ უნდა ერთნაირად ჩაიცვან და დაიხურონ: ქალებს უფლება არა აქვთ სხვადასხვანაირი და ძვრიფასი ტანისამოსები ჩაიცვა, ხოლო თუ ვინმე მათგანი დიდი კაცობას მოინდომებს, უნდა ჩვენი სახლითგან ხელცარიელი გავიდეს. მთელ ჩვენ სახლეულობაში ყველას ერთი მოძღვარი უნდა ჰყავდეს და ერთი ნათლია. თუ ნათლია ხელმოკლე იქნება, ნათლობის ხარჯს ჩვენი სახლივე კისრულობს"-ო.[541]

შეყრილ ოჯახებს ქონებაზე თანაბარი უფლება ენიჭებოდათ. როდესაც გარკვეული დრო გავიდოდა, შეყრილი ოჯახები კვლავ

---

[538] ფურცელაძე დ., სამოქალაქოს ჰსჯულვილება, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა თბილისი, 1960, გვ. 35-38.

[539] ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია, წიგნი I, ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემა, ტფილისი, 1928, გვ. 153.

[540] იქვე, გვ. 156.

[541] ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია, წიგნი I, ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემა, ტფილისი, 1928, გვ. 155-156.

იყრებოდნენ და ქონებას თანაბრად ინაწილებდნენ. თანაბრად იყოფოდა არა მარტო შეყრის მომენტში, არამედ ერთად ცხოვრების დროს ერთობლივი შრომით შექმნილ-დაგროვილი დოვლათიც. ამგვარი ურთიერთობების განხილვის საფუძველზე რ. ხარაძე გამოთქვამს მოსაზრებას, რომ „შეყრილობის ინსტიტუტში შემორჩენილია საოჯახო თემის ძირითადი მხარეები, იმ სახით, როგორითაც ისინი წარმოიქმნენ“.[542]

შეყრილობის ერთგვარ სახეობად განიხილებოდა სიძის შვილება, რასაც მოწმობს ბაგრატ კურაპალატის სამართლის 157-ე მუხლი

სიძისა შვილებულისა ასრე იცოდით: თუ წიგნითა შესრულ იყვენენ, მამული დაეწეროს; რა გაიყვნენ, საუხუცესო – მამულისა პატრონისა; სხუად შუა გაუყავით
და შეტანილი და დახუედრებული თავ-თავისი გაიტანონ.[543]

თუმცა იყო შემთხვევები, როდესაც საერთო მეურნეობისა და მუშახელის გაზრდის მიზნით, ოჯახის რიცხოვნობის ზრდა ხდებოდა არა განაყარი ოჯახის წევრთა შეყრით, არამედ რამდენიმე მონათესავე ოჯახის ერთ საოჯახო თემად გაერთიანებით. წერილობითი და საველე ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე XIX ს. ბოლოს და XX ს. დასაწყისში საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დამოწმებულია ნათესავ და არანათესავ ოჯახთა შეყრის მაგალითები, რაც უცხო მოვლენა არ იყო არც აჭარისათვის და არც კახეთისათვის, სადაც გონელაანების საოჯახო თემის მასშტაბები ოჯახის მუშახელის რაოდენობას არ ემთხვეოდა. ხელოვნური გაერთიანების (შეყრილობის) ნაცვლად, რომელიც, როგორც ირკვევა, თანაბარ საძმო პირობებს ეფუძნებოდა, ოჯახმა გაზარდა მუშახელის რაოდენობა სამუშაოდ დაქირავების გზით“.[544]

რ. ხარაძის თანახმად, „შეყრილობის ძირითადი პრინციპი სრულად პასუხობდა სათემო ოჯახის წყობილებას, რომელიც დაინტერესებული იყო საერთო მეურნეობის შემოღებითა და გაძღოლით”.[545]

მოკვლეული მასალების გაცნობის საფუძველზე, ფაქტობრივად დასტურდება, რომ, წესისამებრ, შეყრილობა საგანგებოდ ფორმდებოდა წერილობითი ხელშეკრულებით, რომელშიც ზუსტად იყო განსაზღვრული შეყრილ ოჯახის წევრ-სუბიექტთა უფლებები მათ მფლობელობაში არსებული ქონებისადმი და ის პირობები, რომელთა შესრულება შეყრილი ოჯახის ყველა წევრისათვის სავალდებულო იყო ჩვეულებრივ, შეყრილობის ხელშეკრულების დასაწყისში მოხსენიებული იყვნენ შესაყრელი ოჯახების უფროსები, შემდეგ მოცემული იყო ხელშეკრულების დადების მიზანი, შეყრილი ოჯახების ქონების

---

[542] Харадзе Р. Грузинская семейная община, т. I, Тбилиси, изд-во Советский писатель Грузии, Заря Востока, Тбилиси, 1960, с. 47.

[543] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებული (ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1963, გვ. 469.

[544] Харадзе Р. Грузинская семейная община, т. I, Тбилиси, изд-во Советский писатель Грузии, Заря Востока, Тбилиси, 1960, ст. 67.

[545]Харадзе Р. Грузинская семейная община, т. I, Тбилиси, изд-во Советский писатель Грузии, Заря Востока, Тбилиси, 1960, ст. 67.

დეტალური ჩამონათვალი და ბოლოს მოწმეები, რომლებიც ხელმოწერით ადასტურებდნენ დადებულ ხელშეკრულებას.

შეყრილობის წიგნი მერალიბეგ ციციშვილისა
დავით ციციშვილისადმი
1744-1750წწ.

ქ. ნებითა და შეწევნითა მღთისითა ესე ძმო[ბის] წიგნი მოგეცით ჩვენ, თქვენმან ბიძაშვილმან ქალანთარმან მერალიბეგ, ძმისწულმან ჩემ[მ]ან ივანემან, შვილმან ჩემ[მ]ან ედიშერ, ძმამან ჩემ[მ]ან თამაზმან თქვენ, ჩვენს ბიძაშვილს დავითს და პა[ა]ტას და დემეტრეს.
ასე რომ ცოტას ხანს მამა ჩვენები გაყრილიყვნენ. მას უკან ისევ სახლისკაცობა ექნათ. ავი დროს გულისათვის ერთმანეთში ცოტა რამ სამდურავი გამოგვერია. ბატონის მეფის თეიმურაზის ბრძანებით ისევ ძმობაზე შევრიგდით. რაც ერთმანერთზედ დანაშაულობა გვქონდა, ხელი ევიღევით, ძმობა და სახლისკაცობა მოვინდომეთ და ისევ შევიყარენით ძმათა.
დავითს და პა[ა]ტას უნდა გახლდესთ: „ბუნიათისშვილი ნიკოლოზ თავის ყმითა და მამულითა, ქიმაძე თავის მამულით, ნასყიდაშვილები თავის მამულით, კოპაძე თავის მამულით, ქობულაშვილი თავის მამულითა, აბრამისშვილი თავისის მამულით. ამათ არც ეთხოვებოდეს ხემწიფის სათხოვარი, არც ჩვენი, არც ღალა, არც კულუხი.
[...]
დღეს და დღეის იქით რაც ხემწიფიდამ შემოვიმატოთ, ან რაც მამულიდამ ნასყიდობა შემოვიყიდოთ, საერთო იყოს; რაც სათავნოდამ ვიყიდოთ და შემოვიმატოთ, ერთმანერთ[თ]ან ხელი არა გვქონდეს.
ჩვენ სანამ ცოცხალი ვიყვნეთ არ გავიყარნეთ. რომელმაც ერთმანერთზე დავაშაოთ რამე და გაყრა მოვინდომოთ, მამულიდამ ხელი ავიღოთ. თუ ჩვენმან შვილებმან გაყრა მოინდომონ, როგორც ქართლის დასტური იყოს იმ რიგით გაიყარონ.
ხემწფის სათხოვარს თქვენთან ხელი არ ქონდეს. თუ ხემწიფის სათხოვარი არ ეთხოვებოდეს, თქვენ მამულს გამოსავალთან ხელი არა ქონდეს, არც არ[ა] მთხოვოთ.
თუ ამაში ვიმტყუვნოთ რამე, ჯერ ვიყოთ მხთის შემ[ცო]დე, მერმე ჩვენის ხემწიფისა.
დაიწერა ესე წიგნი კარ[ისა?]...

მარცხენა კიდეზე
ქ. ჩვენ, ბატონი არჩილ, ამის მოწამე ვართ.
ქ. ჩვენ, სარდალი ქ[ა]იხოსრო, ამის მოწამე ვართ.
ქ. ჩვენ, აბაშიძე ვახუშტი, ამისი მოწამე ვარ.
ქ. მე, ქეშიქჩიბაში რევაზ, ამისი მოწამე ვარ.
ქ. მე, თარხანი ლუარსაბ, ამისი მოწამე ვარ.
ქ. მე, ჩხეიძე გორგასალ, ამისი მოწამე ვარ.

ქ. მე, ფარსადან უზბასი, ამისი მოწამე ვარ.[546]

ზემოთქმულის დასტურად მოვიხმობთ საქართველოს ცენტრალურ არქივში დაცულ 1834 წლის შეყრილობის ერთ-ერთ ხელშეკრულებას.

წელსა ჩყლდ-სა იანვრის კ-ს დღესა
ეს შეყრის წერილი დავწერეთ ჩვენ ახმანში მოცოვრებელმა და თან
და სოსაი და ჩუენის ბიძაშვილმა გაბრილის ობლებმა ჩუენს
ბატონს იოსებ --- ასე რომ ჩუენ შევიყარენიტ ერთ ძმათა და თამ
და სოსაიმ უნა შევინახოთ ჩუენი ბიძაშვილები ერთგულთ ვალის
ერთი უნა იყოს საშვარიც ერთი უნდა იყო რომელზედაც ვასკვნით
ჩუენ ---
დათისა და სოსაის აქვთ:
აქ. ორი კამეცი ფურ კამბეჩა
აქ ცხენი ფაშაში
ვა აქ ოცდახუთი მსხვილი ღორი
იქ ათი წვრილი გოჭი
--- ორი ბატი
აქ --- ცული
აქ ერთი ბარი
--- ორი ქუაბი
არ ერთი ქაფქირი
ბქ ორი მოფი
აქ ერთი ტაფა
ექ ხუთი ფუტკარი
და ქ ცვარი რვა წვრილ მსხვილი

გაბრიელის ობლებს აქვთ
დქ ხარ-კამეჩი ოთხი
დქ ფურ-კამეჩი
აქ ერთი თხა
აქ ერთი ბარი
აქ ორი ცული
აქ ერთი ქუაბი
აქ ტაფა
აქ ერთი რყი
აქ ერთი ?ტეხე
აქ ხუთი ძირი ფუტკარი

დათმ არა აქვს ვალი ხუთი თუმანი
იმ ობლებს აქვთ ვალი შვიდი თუმანი სამარხს გარდა
არის ამისი მოწამე და ნად მოცრე ნატუალი ზაქარია დედაური ისე
კოტორაშვილი გოგილა ავუშელაშვილი გავრცა ჟოჟოლა---
ს.ზ. ახმანში მცხოვრებ სანდრო ზაქარიასზე
დუდაურისაგან
2 საბუთი

[546] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII, სასამართლო აზრა-ოქმები და კერძო-სამართლებრივი აქტები, (ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ), მეცნიერება, თბილისი, 1985, გვ. 898-899.

1834“ [547]

ვახტანგ VI-ის სამართლის შედგენის წინა ხანებში, როგორც მოსალოდნელი იყო, შეყრილი ოჯახის წევრები ნასყიდზე უფლებას მაინც პიროვნულად, თავისთვის ინარჩუნებდნენ, რასაც მოწმობს საბუთი (1675-1685 წ.)

პირობა მოგეც მე სარდალმან თამაზ თქვენ, ჩემს ძმასა, მდივანბეგს ვახტანგს... ძმობისა და სახლის კაცობის პირობაზე ვიყო... ერთნი ვიყვნეთ, რაც ან ლ~თითა და ან ბატონით, მომცეს და ვიშოვოთ, ნასყიდს გარდა, საერთო იყოს. (სჯ~ს სძ~ლნი II, 208)

1717 წლის „*ძმობის წიგნ*ში“ უშუალოდ ვალის ერთობლივად გადახდაზეა საუბარი:

გაყრილნი ვიყავით... და ისევ ძმათა შევიყარენით. ეს პირობა დავზდევით... რომ... მამული... ნასყიდიცა და უსყიდიცა, ყველა გაგიერთებია: რაც ერთობაში შევიმატოთ, საერთო იყოს, რაც დაგვეკარგოს ისიც საერთო იყოს... ჩვენ რომ ვალი გუმართებს ოცი თუმანი, საერთოდ გადავიხადოთ, და სხვა, რაც დარჩეს, თავ-თავისთვის გარდავიხადოთ... ან მამული ვიქრთამოთ, ან ვიყიდოთ, ყველა საერთო იყოს...“ (*სჯ~ს სძ~ლნი I, 445*).

მართალია, ზოგ შემთხვევაში ვალის გადახდაზე საგანგებოდ არაფერია ნათქვამი, მაგრამ ოჯახის შეყრის შემდეგ საერთო ქონებრივი პასუხისმგებლობა მაინც ცალსახად ივარაუდება, რასაც მოწმობს 1778 წელს „*ერთობის წიგნის*“ ერთი ასეთი ჩანაწერი:

...პაპა ჩემი და მამა შენი... გაყრილიყვნენ და მას უკან ძმობისა და სახლის კაცობის სიყვარულით ძმათ შეყრილიყვნენ... მას უკან კიდევ გაყრილიყვნენ და ახლა ჩვენ... მოვინდომეთ ძმათ შეყრა და ერთად ყოფნა... რაც პაპას ჩემს... წილი გამოჰყოლია სამკვიდრო, თუ ნასყიდობა და თუ მას უკანდელი შემატებული ყმა და მამული, დღეს რისაც მქონებელი ვარ... ამით ძმათა შეგყრივარ... შენი წილი ნასყიდი... ლხინში თუ ჭირში საძმოთ უნდა მოვიხმაროთ...“ (*სჯ~ს, სძვ. 1, 102-102*).

დაახლოებით ამასვე მოწმობს 1777 წლის საბუთიც:

„...რაც გვაბადია და მომავალში გვექნება ჩვენ თანასწორად უნდა გვეკუთვნოდეს... და რასაც შევიძენთ, საერთო უნდა იყოს...“

საქმე რომ სწორედ შეყრილობის ინსტიტუტს ეხება, ამას უფრო დამაჯერებელად მოწმობს 268-ე მუხლი:

[547] შეყრიყლობის წიგნი, ცსსა, 1448, საქმე 8399.

<კაცი რომ> თავის სახლისკაცს გაეყაროს... (თუ უშვილო კაცი იყოს და) შეეყაროს ვისმე... ისრევ უშვილოთ მოკვდეს, იმისი მამულიცა და ქონებაცა ვისაც შეჰყრია, იმას უნდა დარჩეს[548].

ერთი სიტყვით, ვიდრე ოჯახები შეყრილები იყვნენ მათ თანაბარი უფლება ენიჭებოდათ ქონებაზე. დავით ბატონიშვილის სამართალი ითვალისწინებდა ხელახალ გაყრას, რაც იშვიათი არ ყოფილა.[549] როდესაც გარკვეული დროის შემდეგ შეყრილი ოჯახები კვლავ გაიყრებოდნენ, ჩვეულებრივ, ერთად შეძენილ მთელ ქონებასა და დოვლათს თანაბრად ინაწილებდნენ; საერთო მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთები კი კვლავ მათ მესაკუთრე ოჯახთა ხელში გადადიოდა. „ის მიწები კი, რაც ოჯახებს შეყრილობამდე ჰქონდათ შეძენილი, ოჯახების გაერთიანების მომენტში ერთიანდებოდა და მისი მოსავალიც გაყრამდე ერთობლივად მოიხმარებოდა, მაგრამ გაყრის დროს ეს ნაკვეთები კვლავ მათი მესაკუთრე ოჯახების ხელში გადადიოდა“.[550]

გვართა შეყრილობას ერთ-ერთი საფუძველი თავდაცვის მიზნით ძლიერ გვართან სუსტის მიკედლება იყო. ასეთ შემთხვევაში სუსტ გვარს ევალებოდა სათანადო წესის შესრულება – ხარის დაკვლა ძლიერი გვარის კოშკთან. „ამ დღიდან ის იღებდა მფარველის გვარს და უზრუნველყოფდა თავის უშიშროებას. სუსტი გვარი იღებდა იმის უფლებასაც, რომ ესარგებლნა შემფარებელი გვარის საძოვრებით, სათიბებით და ტყით, ხოლო სახნავები მათ ცალკე ჰქონდათ კერძოს საკუთრებაში“.[551] რ. ხარაძე აღნიშნავს ხსენებული წესის მსგავსებას ხევსურულ ჩვეულებასთან და წერს: „გვარების შეყრისა და ამასთან დაკავშირებით ხარის დაკვლის ეს წესი მოგვაგონებს *ჯარ – ქვაბით* შემოყრის ხევრუსულ ჩვეულებას“.[552]

თუმცა, როგორც გ. ცეცხლაძე აღნიშნავს, ოჯახის შეყრას მასობრივი ხასიათი არ ჰქონია. ეთნოგრაფიულ მასალებზე დაყრდნობით იგი წერს: „თუ კაცს ცოლი მოუკვდებოდა და შვილი არ დარჩებოდა, ის რომელიმე ძმასთან ცხოვრებას ირჩევდა, სახლ-კარს გაყიდდა და თავისი ქონებით ძმასთან და მისი ოჯახის წევრებთან ერთად განაგრძობდა ცხოვრებას“.[553] იმავე ავტორის თანახმად, გურიაში ოჯახების შეყრის მეორე მიზეზი იყო ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა. ამ შემთხვევაში, ეს განპირობებული იყო ოჯახის სიდუხჭირით. თუ გაყრილ გაღარიბებულ ოჯახს დამოუკიდებლად არსებობდა უჭირდა,

---

[548] ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებული (ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1963, გვ. 551.

[549] ხელნაწერი H 2330, იხ. აგრეთვე დავით ბაგრატიონი, დასახ. თხზ. მუხ. 946-947

[550] Далгат Б. Материалы по обычному праву ингушей, ИИНИИК, II-III, ст. 351, მითითებულია ითონიშვილი ვ., ცენტრალური კავკასიელების საოჯახო ყოფა, თბილისი, 1969, გვ. 135-136.

[551] Далгат Б. Материалы по обычному праву ингушей, ИИНИИК, II-III, ст. 312-313., მითითებულია ითონიშვილი ვ., ცენტრალური კავკასიელების საოჯახო ყოფა, თბილისი, 1969, გვ.135-136.

[552] ხარაძე რ. ხევსურული ძირი და გვარი, „მიმომხილველი“, I, თბილისი, 1949, გვ.

[553] ცეცხლაძე გ., გურიის მოსახლეობის საოჯახო ყოფა, მეცნიერება, თბილისი, 1991, გვ. 18.

მაშინ ოჯახი „მამისეულ ოჯახს ან რომელიმე ძმის ოჯახს შეეკედლებოდა“.[554]

მთაში (ხევი, მთიულეთი, გუდამაყარი, თრუსოს ხეობა) გაყრილი ოჯახების ხელახალი შეყრის პროცესი კომლობრივი გადასახადის გამოღებასთან იყო დაკავშირებული. ოჯახების გაყრა იწვევდა საკომლო გამოსაღების ზრდას ხაზინის სასარგებლოდ, ხოლო შეყრის შედეგად ხელოვნურად მცირდებოდა კომლთა რიცხვი და ამდენად, ხაზინის შემოსავალიც.[555]

„ამგვარად, XIX საუკუნის წერილობითი და ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით აშკარა უნდა იყოს, რომ ოჯახების შეყრილობას ხევში აპირობებდა ეკონომიური ინტერესები. ამიტომ იმ პროცესშიც, რომელიც ნ. ჭილაშვილმა გაგვაცნო, უნდა დავინახოთ ფიქტიური შეყრილობა, ისევე როგორც ხშირ შემთხვევაში მიმართავდნენ ფიქციურ გაყრილობასაც. [...] როგორც ნ. ნიკიფოროვი[556] წერს, ხელისუფლებას განსაკუთრებული ყურადღება მიუქცევია ოჯახების გაყრის საქმისათვის, ვინაიდან დიდი ოჯახების დანაწილება ინდივიდუალურ ოჯახებად იწვევდა მუშა ხელისა და დოვლათის შემცირებას. ამ პროცესის შენელების მიზნით, ხელისფულებას შეუმუშავებია პროექტი, რომლის მიხედვით გაყრა დასაშვები ყოფილა მხოლოდ ოჯახის უფროსის, სასოფლო საზოგადოების წარმომადგენლისა და გუბერნიის უფროსის თანხმობით“.[557]

ფაქტობრივად, ეს იყო ფორმალური შეყრილობა, ერთგვარი გამოსავალი, რადგან ოჯახების შეყრაში მთიელები პოულობდნენ საკომლო გადასახადის შემცირების რეალურ გზას.[558]

ვ. ითონიშვილის თანახმად, მართალია, ოჯახების რეალური შეყრის ფაქტი მთხობელებმა ვერ დაასახელეს. სამაგიეროდ, აღნიშნეს არაერთი შემთხვევა, როცა ეკონომიურად გაჭირვებული კაცი, თავისი ოჯახით ახლო ნათესავებმა გარკვეული დროით შეიხიზნეს და შემდეგ, როდესაც ოჯახი გაიყარა, მთელი საოჯახო ქონება თანაბრად იმდენ წილად გაყვეს, რამდენი მოწილეც იყო ოჯახში და ერთი-ერთი მოწილე შეხიზნებული ნათესავი იყო. ასეთი შეყრის მიზანი იყო სიღატაკიდან თავის დაღწევა, რაც ახლობელი ნათესავების ჰუმანური მხარდაჭერით გამოიხატებოდა.[559]

შეყრილობის ინსტიტუტი არსებობდა ცენტრალური კავკასიის მკვიდრ ხალხებშიც. ოჯახებისა და გვარების შეყრილობა სხვადასხვა მიზეზით იყო გაპირობებული. ძირითადად, გაყრილი ოჯახების კვლავ შეყრა ურთიერთდახმარების ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენდა. ასე მაგალითად, ინგუშების ყოფაში არსებული წესის თანახმად, როცა განაყრებს შორის ერთ-ერთ ოჯახს გაუჭირდებოდა და სიდუხჭირიდან გამოსვლის საშუალება ესპობოდა, გაყრილი ოჯახები კვალავ ერთად

[554] იქვე.

[555] ითონიშვილი ვ., მოხევეების საოჯახო ყოფა, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1970, გვ. 122.

[556] Никифоров Н., Экономический быт государственных крестьян Душетского уезда Тифлисской губернии, МИЭБГЗК, т. V, ч. II, Тифлисб 1887, ст. 24

[557] ითონიშვილი ვ., მოხევეების საოჯახო ყოფა, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1970, გვ. 126.

[558] ითონიშვილი ვ., მოხევეების საოჯახო ყოფა, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1970, გვ. 123.

[559] იქვე გვ. 124

შეიყრებოდნენ და მთელ ქონებას შეაზიარებდნენ, განურჩველად იმისა ვის მეტი შეძლება ჰქონდა და ვის ნაკლები.

უნდა აღვნიშნოთ, რომ, მართალია, ჩვენი საკვლევი საკითხი არ ყოფილა შეყრილობა, მაგრამ ამ საკითხს შევეხეთ ზოგადად იმდენად, რამდენადაც – ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის განმსაზღვრელი რიგი ისტორიული მიზეზის გამო – საკუთრების განკერძოებასთან ბრძოლაში ოჯახის და ქონების ერთიანობის შენარჩუნების მიზნით სამოქალაქოს ჰსჯულვილებაში დახასიათებული ვითარება სინამდვილისაგან დიდად არ განსხვავდებოდა.

ამგვარად, განხილული მასალის საფუძველზე შეჯამების სახით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ შეყრილ ოჯახებს ქონებაზე თანაბარი უფლება ენიჭებოდათ; მიზეზის მიუხედავად, შეყრილობის ინსტიტუტთან მიმართებითაც ყველა საკითხი თავდაპირველად ჩვეულებითი სამართლით რეგულირდებოდა, მოგვიანებით კი ოჯახის შეყრის წესები სათანადოდ აისახა ქართული სამართლის ძეგლებში..

ყოველივე ეს კიდევ ერთხელ ნათლად მოწმობს ქართული სამართლებრივი აზროვნების მაღალ დონეზე. როდესაც გარკვეული დრო გავიდოდა, შეყრილი ოჯახები კვლავ იყრებოდნენ და ქონებას თანაბრად ინაწილებდნენ.

დასკვნა

კვლევის პროცესში განვიხილეთ ის, რაც, ჩვენი აზრით, ღირებულია ოჯახის გაყრის ინსტიტუტთან დაკავშირებულ თავისებურებათა ნათელსაყოფად ქართულ სამართლებრივ სისტემაში. ჩვენ მიერ საკვლევი საკითხი გაანალიზებული იქნა ქართული სამართლის ძეგლების, საარქივო მასალების, იურიდიულ-ისტორიული და ეთნოგრაფიული შრომებიდან მოხმობილი მაგალითების საფუძველზე. კვლევისას შევეცადეთ, გამოგვევლინა კავშირები ერთი მხრივ, მკვლევარ-მეცნიერთა თეორიულ მიდგომებს შორის და, მეორე მხრივ, კვლევის პროცესში წამოჭრილ კონკრეტულ საკითხებსა და პრობლემებს შორის. შევეცადეთ, სამართლებრივი კუთხით წარმოგვეჩინა ოჯახის გაყრასთან დაკავშირებული პრობლემები, რომლებიც, თეორიული ხასიათის იურიდიულ ნაშრომებში ისტორიულ-სამართლებრივი კუთხით, ცალკე საკითხად გამოკვლეული და სიღრმისეულად შესწავლილი პრაქტიკულად არ არის. ამდენად, არსებითი მნიშვნელობა აქვს ეთნოგრაფთა მიერ მოძიებულ ცნობებს, რომლებიც გვიქმნიან წარმოდგენას ადრეფეოდალური და გვიანფეოდალური ხანის საქართველოში მოქმედი როგორც ოჯახის გაყრის საფუძვლებზე, მიზეზებსა და პირობებზე, ისე გაყრის სუბიქტთა სამართლებრივ უფლებამოსილებაზე და მათ ქონებრივ უფლებებზე.

ქართული ჩვეულებითი სამართლებრივი კულტურისა და იურიდიული აზროვნების განვითარების ჭრილში, ჩვენ მიერ პრობლემატიზებული იქნა ოჯახის გაყრასთან დაკავშირებულ კონკრეტულ არსებით საკითხთა (ოჯახის გაყრის მიზეზები და ფორმები – გაყრა უცხო პირის/პირთა მონაწილეობით და უცხო პირის/პირთა მონაწილეობის გარეშე, ოჯახის გაყრის სუბიექტები და გაყრის შედეგად გასაყოფი ობიექტები, სახელმწიფოს დამოკიდებულება ოჯახის გაყრისადმი) ფართო წრე და მათი სამართლებრივი შედეგები. საკვლევ საკითხთან დაკავშირებით, გამოვკვეთეთ ოჯახის გაყრის განსხვავებული და მსგავსი მიზეზები. აღნიშნულთან დაკავშირებით, შევაჯერეთ ეთნოგრაფთა და იურისტთა ინტერპრეტაციები; შევეცადეთ, ოჯახის გაყრის ინსტიტუტის განსაკუთრებული მნიშვნელობის დემონსტრირებას. ჩვენი აზრით, მხოლოდ ლოკალური (მხედველობაში გვაქვს საქართველო) კვლევის შედეგად არის შესაძლებელი ლოკალურის მნიშვნელობის გააზრება რეგიონალურის (ცენტრალური კავკასია) ფარგლებში; მეორე მხრივ, ლოკალურისა და რეგიონალურის კვლევისას თავს იჩენს გლობალურიც.

სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილი კვლევის ძირითადი შედეგები და მეცნიერული სიახლე შემდეგი სახით შეიძლება შევაჯამოთ:

1. შედარებითი ისტორიის ჭრილში ოჯახის ინსტიტუტის განხილვამ (მისი განმსაზღრელი ნიშნების გათვალისწინებით), ნათელი სურათი მოგვცა იმის შესახებ, თუ როგორ განვითარდა და რა ცვლილებები განიცადა ოჯახის ინსტიტუტმა საქართველოში. ფორმათა გენეზისისა და სტრუქტურის მიხედვით, საქრთველოში არსებობდა გვაროვნული, დიდი პატრიარქალური და ინდივიდუალური ოჯახი; ასევე, შეინიშნება მატრიარქატის კვალი, რის არსებობასაც ნათლად მოწმობს დის შვილებისადმი ბიძის (დედის ძმის) დამოკიდებულება და მოვალეობა;

კერძოდ, ობოლი დისშვილის აღზრდა, ზოგ შემთხვევაში, მისთვის ქონების გარკვეული წილის მიცემა.

ჩვენ მიერ განხილული მასალის საფუძველზე აშკარად იკვეთება, რომ, მსოფლიოს ცივილური სამყაროს მსგავსად, საქართველოშიც ოჯახის ტიპი იცვლებოდა საზოგადოებრივ ურთიერთობათა ცვლილების კვალობაზე. ადრეფეოდალური ხანიდან, ქართული საზოგადოებრივი ორგანიზმის ძირითად უჯრედს წარმოადგენდა დიდი ოჯახი, რომელიც ქმნიდა ერთიან რელიგიურ, ნათესაურ და სამეურნეო საწყისებზე დაფუძნებულ ორგანიზმს, ხოლო საოჯახო ურთიერთობები, საზოგადოებრივ ურთიერთობათა მსგავსად, ჩვეულებითი სამართლის ნორმებით რეგულირდებოდა. დიდი ოჯახის სიძლიერის გარანტი მისი ერთიანობა და გაუყოფლობა იყო, რასაც მნიშვნელოვნად განაპირობებდა ერთად ცხოვრების ტრადიციად ქცეული ფსიქოლოგიური ფაქტორი, მეორე მხრივ კი, ეკონომიკური და თავდაცვითი ინტერესები. ქონების წარმოშობის წყაროს მიუხედავად, მთელი ქონება დიდი ოჯახის საერთო საკუთრებად მიიჩნეოდა. პატარა ოჯახისაგან დიდი ოჯახის განმასხვავებელი ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი იყო საკუთრების უფლების კოლექტიური ხასიათი, რომლის განკარგვა ოჯახის არც ერთ წევრს არ შეეძლო. საოჯახო-სათემო ქონების თვითნებური გასხვისება ოჯახის უფროსსაც არ შეეძლო; ასეთი უფლება მას ჰქონდა მხოლოდ პატარა, წარმოების კაპიტალისტური წესის განვითარების კვალობაზე წარმოქმნილ კერძო საკუთრებაზე დაფუძნებულ ოჯახში, რომელიც დიდი პატრიარქალური ოჯახისაგან განსხვავებულ სოციალურ მიკროუჯრედს წარმოადგენდა.

2. ადრეფეოდალური ხანის საქართველოში ოჯახის გაყრა იმდენად მიუღებელი და იშვიათი იყო, რომ ქართული სამართლის ადრეულ ძეგლებში ოჯახის გაყრის შესახებ მუხლები არ გვხვდება. ოჯახის გაყრის ჩვეულების აღმოცენება პირდაპირ დაკავშირებულია დიდი ოჯახის ინსტიტუტის მოშლასთან. ქართულ ჩვეულებით სამართალში ოჯახის გაყრის აღსანიშნად გამოიყენებოდა ტერმინები „გაყრა“, „გაყოფა“, „გარიგება“, „გაფარდება,“ რითაც ახალი, დამოუკიდებელი ოჯახების შექმნა და თითოეული მათგანის მყარად განსაზღვრული საკუთარი ქონება იგულისხმებოდა. ოჯახის გაყრის პროცესი რეგულირდებოდა ჩვეულებითი სამართლის წესებით; მოგვიანებით, როდესაც ოჯახის გაყრამ ინტენსიური ხასიათი მიიღო, ჩვეულებითი სამართლის წესები სათანადოდ აისახა ქართული სამართლის წერილობითი ძეგლების საკანონმდებლო ნორმებში.

ოჯახის შიდა საქმეებში სახელმწიფო არ ერეოდა. ქართული სამართლის ძეგლებით დასტურდება, რომ ოჯახის გაყრის თაობაზე სარჩელის მაშინვე დაკმაყოფილება მიზანშეწონილად არ მიიჩნეოდა; ოჯახის გაყრა ხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ ოჯახის გაუყრელად შენარჩუნება შეუძლებელი იყო. მიზეზის მიუხედავად, გაყრის არსებითი საფუძველი მაინც იყო, ერთი მხრივ, ეკონომიკური ფაქტორი, შრომის დანაწილების სულ უფრო მეტად სპეციალიზაცია და, მეორე მხრივ, ოჯახის უფროსის ავტორიტეტის დაკნინება.

3. ოჯახის საერთო ქონების გაყოფის სამართლებრივი რეგულირება როგორც ოჯახის გაყრის, ისე მემკვიდრეობის დროს ჩვეულებითი სამართლის მიხედვით ხდებოდა. საერთო მიზნისა და შედეგის მიუხედვად, ორივე შემთხვევაში ქონება დამოუკიდებელი საკუთრების

განკერძოებული სახით ყალიბდებოდა და მთელ რიგ სოციალურ-ეკონომიკურ მიზეზებს უკავშირდებოდა. საერთო მიზნისა და შედეგის მიუხედავად, გაყრის ინსტიტუტი და მემკვიდრეობის ინსტიტუტი მაინც განსხვავდება ერთმანეთისაგან. აღნიშნულიდან გამომდინარე, არამიზანშეწონილია როგორც მათი დაპირისპირება, ისე გაიგივება.

დიდი ოჯახის გაყრის მიზეზის მიუხედავად, საქართველოს ყველა კუთხეში, მთასა თუ ბარში, არსებობდა ოჯახის გაყრის ორი ფორმა: გაყრა უცხო პირის/პირთა მონაწილეობის გარეშე და გაყრა უცხო პირის/პირთა მონაწილეობით. უცხო პირის/პირთა მონაწილეობის გარეშე გაყრისას ქონების გაყოფის სამართლებრივი მოწესრიგება და ორგანიზაცია ხდებოდა უშუალოდ ოჯახის ფარგლებში, ოჯახის უფროსის (მამა, უფროსი ძმა) მიერ. ოჯახის გაყოფისას გასაყოფი ქონება ზუსტად აღიწერებოდა და განისაზღვრებოდა, თუ ვის რა ქონების წილი უნდა გადასცემოდა. ქონების გაყოფის სამართლებრივი რეგულირების თვალსაზრისით, არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, თუ როდის ხდებოდა გაყრა – ოჯახის უფროსის სიცოცხლეში თუ მისი გარდაცვალების შემდეგ. ოჯახის გაყოფის მსგავსი ფორმები მოქმედებდა არა მხოლოდ საქართველოს ყველა მხარეში, არამედ ცენტრალურ კავკასიაშიც.

ოჯახის გაყრის ორივე ფორმის ძირითადი ასპექტების ფონზე, გამოვკვეთეთ რამდენიმე საკითხი: ა) ქონების განაწილების დროს მოწილეებს შორის უთანხმოებებისა და პრობლემურ საკითხთა მოსაგვარებლად მოყავდათ გარეშე პირი მედიატორი; ბ) ლათინურ ტერმინ „მედიატორის“ ეკვივალენტური მნიშვნელობით ქართულ ჩვეულებით სამართალში იხმარებოდა ტერმინები – „შუაკაცი“, „გამრიგე“. გ) ოჯახის გაყრის დროს მედიატორთა მეშვეობით ქონების გაყოფა სამართლიანად რეგულირდებოდა; ამ ფაქტს მოწმობს მათი მეშვეობით ოჯახის გაყრის სიხშირე და მედიატორობის ინსტიტუტის არსებობის ხანგრძლივობა. მედიატორთა მეშვეობით ოჯახის გაყრის ფორმა გასული საუკუნის ბოლომდე გამოიყენებოდა.

4. ოჯახის გაყრასთან დაკავშირებით მოწილე სუბიექტთა ქონების საკითხის რეგულირებისას კანონმდებელი ხელმძღვანელობდა სახელმწიფო ინტერესებით; გადაწყვეტილებას იღებდა კანონის საფუძველზე, საქმის ფაქტობრივი მდგომარეობის შესაბამისად; თუმცა, იმავდროულად, ჩვეულებითი სამართლის ოდინდელ წესებსაც ითვალისწინებდა. ოჯახის გაყრის დროს დგებოდა გაყრის წიგნი, რომელშიც ზუსტად იყო განსაზღვრული შემდეგი სამართლებრივი საკითხები: ა) როგორ და რა ფორმით იყრებოდა ოჯახი; ბ) ვინ იყვნენ გაყრის სუბიექტები; ზუსტად იყო მითითებული თითოეული სუბიექტის ვინაობა; გ) რომელ მოწილეს ქონების რა წილი ერგებოდა ოჯახის გაყრის დროს; დ) ვინ ესწრებოდა ოჯახის გაყრის ფაქტს; ე) ვის მიერ და რამდენ ეგზემპლარად ხდებოდა გაყრის საბუთის ჩაწერა; ბოლოს მიეთითებოდა ოჯახის გაყრის ზუსტი თარიღი და დოკუმენტი მოწმეთა ხელმოწერით ან ბეჭდით დასტურდებოდა. გვიანფეოდალური ხანის საქართველოში გაყრის წიგნი იყო სათანადო ფორმითა და წესების დაცვით, სამართლის ნორმათა შესაბამისად შედგენილი დოკუმენტი. ჩვენ მიერ შესწავლილი გაყრის დოკუმენტები აშკარად მეტყველებს ქართული სამართლებრივი აზროვნების განვითარებაზე, გაყრის საბუთის იურიდიულ [სამართლებრივ] გამართულობაზე.

5.გაყრის ფორმის მიუხედავად (ოჯახის გაყრა უცხო პირის/პირების მონაწილეობით თუ მათ გარეშე), ქონების გაყოფის სამართლებრივი რეგულირების თვალსაზრისით, არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, თუ როდის ხდებოდა გაყრა – ოჯახის უფროსის სიცოცხლეში, თუ მისი გარდაცვალების შემდეგ. გვიანფეოდალური ეპოქისათვის დამახასიათებელ მოვლენათა თანახმად, ოჯახის გაყრისას ქონების წილს იღებდა ყველა, ვისაც კი რაიმე წვლილი ჰქონდა შეტანილი საერთო საოჯახო დოვლათის მოპოვებაში; ქონების განაწილების დროს მოწილის ასაკსა და ოჯახურ მდგომარეობას ყურადღება არ ექცეოდა; მოწილეებს შორის ქონება თანაბრად ნაწილდებოდა. დიდი ოჯახის გაყრის დროს გაყოფას ექვემდებარებოდა როგორც მატერიალური ქონება, ისე ყმა-გლეხები.

ოჯახის გაყრის ინსტიტუტის ორივე ფორმის ძირითადი ასპექტების ფონზე გამოვკვეთეთ რამდენიმე საკითხი:

ა) ოჯახის გაყრის დროს საერთო ქონების გაყოფა-დანაწილება დიდი ოჯახის სეგმენტაციას იწვევდა, მეორე მხრივ კი, პირის ქონებრივი და უფლებრივი მდგომარეობის დადგენას. შესაბამისად, საქართველოში საოჯახო ყოფის შესწავლის თვალსაზრისით, მრავალ მკვლევართა მსგავსად და ჩვენი აზრითაც, დიდი ოჯახების დაშლისა და ინდივიდუალური ოჯახებით თანდათანობით შეცვლის მზარდ პროცესში, არსებითი მნიშვნელობა ენიჭებოდა იმ პრინციპს, რომლის საფუძველზეც განისაზღვრებოდა ოჯახის ქონების მოწილე სუბიექტები, ოჯახის საკუთრებაში არსებული გასაყოფი ქონების ტიპი და რაოდენობა.

წილის მიღების უფლების მქონე პირი მოწილედ იწოდებოდა. საერთო ქონებიდან მოწილეებისათვის გამოყოფილ ქონების წილს „ხუედრი“-ც ეწოდებოდა; ქონების გაყოფა ხდებოდა შეფარდებით. ამ წესით ქონების გაყოფა იმდენად მისაღებად მიაჩნდათ მოწილეებს, რომ ხვედრებულ წილს აღარ ასაჩივრებდნენ. მოწილის მიერ თავისი წილის მიღებას წილის გატანა ეწოდებოდა. არსებითად, სწორედ ამ მომენტიდან ხდებოდა ოჯახის თითოეული წევრი განცალკევებული ქონების მფლობელი და მასზე უფლების მატარებელი. ოჯახის ქონების გაყოფისას ასევე გამოიყოფოდა მეფის წილი ანუ *გასამყრელო.* ამ სახის წილის შესახებ ნახსენებია ვახტანგ VI-ის სამართალში.

ბ) მშობლების სიცოცხლეში ოჯახის გაყრის დროს, ყველაფერი თანაბრად ნაწილდებოდა, მშობელი უმცროს შვილთან რჩებოდა. ქართული ჩვეულებითი სამართლისა და ქართული სამართლის ძეგლების თანახმადაც, ქონებას ყოფდა მამა; საერთო ქონების გარკვეული წილი მშობლების სახელზეც გამოიყოფოდა. შესაბამისად, ერთ-ერთი მოწილე ანუ გაყრის სუბიექტები იყვნენ მშობლებიც. მათ წილ ქონებას სამარხი, კუთხეთა მიხედვით კი, ასევე, ეწოდებოდა *სადიდო, სანახ-სამარხი, ასამწევრო, აწევის წილი, მოსამლელო, სამკვდრინო, სარჩო.* ოჯახის გაყრისას მშობლების წილთან მიმართებით, არსებითად, მსგავსი პრინციპით ხელმძღვანელობდნენ ცენტრალური კავკასიის მკვიდრ ხალხებშიც.

გ) მამის სიცოცხლეში დიდ გაუყოფელ ოჯახში შვილებს დამოუკიდებელი წილის ქონა არ შეეძლოთ; ვაჟიშვილებს პირადი მოხმარების ნივთების (ჩასაცმელ-დასახურავი) გარდა საკუთრების უფლება სხვა არაფერზე ჰქონოდათ; თვით იარაღიც კი ოჯახის საერთო

საკუთრებად ითვლებოდა. ოჯახის წევრების ქონებრივი უფლებების განსაზღვრის ძირითადი კრიტერიუმი ოჯახისადმი მათი ფაქტიური კუთვნილება იყო. ეს ვითარება ძმების გაუყრელობის პრინციპს ეფუძნებოდა. ვაჟიშვილების მიერ ინდივიდუალურად გამომუშავებული ფული, მათ მიერ შეძენილი ნებისმიერი სახის მოძრავი თუ უძრავი ქონება, ყველაფერი მამის სრულ განკარგულებაში გადადიოდა.

დიდი ოჯახის გაყრის დროს, როგორც ქართული ჩვეულებითი, ისე ქართული სამრთლის ძეგლებით, მთავარ მოწილეებად ვაჟიშვილები განიხილებოდნენ. ოჯახის წევრებს შორის ქონებრივ-სამართლებრივ ურთიერთობას ქონების გაყოფის სისტემა განაპირობებდა. გაყოფას ექვემდებარებოდა როგორც მოძრავი ქონება, ისე ყველა სანადელო გამოსაღები, ასევე შენობა-ნაგებობაც. ვაჟებს შორის ოჯახის მოძრავ-უძრავი ქონების გაყოფა მამის მიერ ხდებოდა, არც ერთი ვაჟი არ რჩებოდა უწილოდ. გარკვეული ფაქტორების გათვალისწინებით, წილთან მიმართებით ძმათა ქონებრივი უფლებები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა; გაუყოფელ ოჯახში გაწეული უფრო მეტი შრომისა თუ საოჯახო მეურნეობის გაძღოლისათვის უფროს ძმას დამატებითი ქონების წილი *საუფროსო* ეძლეოდა. შუათანა ძმისთვის/ძმებისათვის გაცემულ წილს *სასაშუალო* ეწოდებოდა. მცირეწლოვან უმცროს ძმას (ან ძმებს) *საუმცროსო* წილი ეძლეოდა იმდენი, რამდენიც მას დავაჟკაცებამდე ეყოფოდა. ძმათა შეთანხმებით, საუმცროსო წილის ოდენობა ზუსტად განისაზღვრებოდა ოჯახის ქონების კვალობაზე; *საუმცროსო* ანუ *საქორწინო* წილს *გათანაბრების* წილიც ეწოდებოდა. ოჯახის გაყრისას რომელიმე ძმას თუ ცუდი წილი შეხვდებოდა, ასეთ წილს *საუარესო* ეწოდებოდა. ოჯახის გაყრის დროს ასეთ მოწილეს კომპენსაციის სახით ცოტა მეტ წილს გამოუყოფდნენ ხოლმე.

დ) მართალია, ოჯახის ინსტიტუტმა განვითარების დიდი გზა განვლო, მაგრამ დიდი ოჯახის გაყრის დროს პატრიარქალურ-გვაროვნული პრინციპით ხელმძღვანელობდნენ: საოჯახო ქონების მოწილეებად, უპირატესად, ვაჟიშვილები მიიჩნეოდნენ. ეს წესი მოქმედებდა საქართველოს ყველა კუთხეში. ადათის თანახმად, საქართველოში ქალიშვილს საოჯახო ქონებიდან წილი არ მიეცემოდა. ოჯახის უფროსის გარდაცვალების შემთხვევაშიც, ქალიშვილი გამოირიცხებოდა მოწილეთაგან. ადათის თანახმად, ქალიშვილს შეეძლო მხოლოდ მოძრავი ქონების წაღება, ისიც მზითევის სახით. ძალზე რთული წესები მოყვა მზითევის ინსტიტუტის წარმოქმნას; დადგინდა მეუღლეთა უფლებები როგორც საკუთარი, ისე მეორენახევრის წილი ქონების მიმართ. ყველა წოდებისა და მდგომარეობის ქალისათვის მამის ოჯახიდან მზითევის სახით მოძრავი ქონების გატანების წესი მოწმობს, რომ ქალს მაინც არ ტოვებდნენ სრულიად უწილოდ. ქალისათვის მზითევის მიცემა მამის (მისი გარდაცვალების შემთხვევაში კი უფროსი ძმის) მოვალეობად და ღირსებად მიიჩნეოდა.

ქონების ფლობის თვალსაზრისით, ქალიშვილი ბევრად პრივილეგირებული იყო ვაჟიშვილთან შედარებით. იგი ბავშვობიდანვე ფლობდა პირადი შრომით შეძენილ ქონებას *სათავნოს*, რომელიც მისი ასაკის მატების კვალობაზე მატულობდა და სიკვდილამდე მთელი ამ ქონების სრული მესაკუთრე და განმკარგულებელი იყო. სანამ ოჯახი ერთიანი იყო, ქალს მზითვით სარგებლობის განსაკუთრებული უფლება

არ გააჩნდა, რამეთუ, ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, გაუყოფელ ოჯახში მთელი ქონება საერთო იყო, ამ გაგებით, ქალი გამონაკლისს არ წარმოადგენდა. მზითვით სარგებლობდა ქმრის ოჯახის ყველა წევრი. საერთო საოჯახო ქონებიდან მზითევი მხოლოდ ოჯახის გაყოფისას გამოიყოფოდა ცალკე. დიდი ოჯახის გაყრისას მზითევი და სათავნო გაყოფას არ ექვემდებარებოდა. კომლის ვალებზე ქალი თავისი ქონებით პასუხს არ აგებდა. ვახტანგ VI-ის სამართლის მიხედვით იკვეთება, რომ ქალს ოჯახის ვალის გადახდა არ ევალებოდა.

ე) განხილული მასალის საფუძველზე, ქვრივი ქალის წილთან მიმართებით ნათლად გამოიკვეთა რამდენიმე ფაქტი: 1.ადათის თანახმად, უწილოდ არ ტოვებდნენ ქვრივ ქალს, თუმცა მისთვის მისაცემ წილთან მიმართებით რამდენიმე არსებით ვითარებას ითვალისწინებდნენ. 2.ვახტანგ VI-ის სამართალი და დავით ბატონიშვილის სამართალი ადგენს მზითევის მიცემას უკანონოდ შობილი ქალიშვილისათვისაც. 3.ორსული ქალის ქონების წილთან მიმართებით, მართალია, მკვლევართა მიერ ურთიერთსაპირისპირო ცნობები იკვეთება, მაგრამ ქონების გაყოფის დროს ზოგჯერ მაინც მხედველობაში მიიღებოდა ქალის ორსულობა და მცირედ წილს მასაც გამოუყოფდნენ ხოლმე, მით უფრო თუ ქალი ჯვარდაწერილი იყო.

ვ) ძველი საოჯახო ტრადიციით, დიდი ოჯახის გაყრის დროს ქონების წილი ეძლეოდა ობოლს, ზედსიძეს, ნაშვილებს, ოჯახის შრომისუუნარო წევრს. ობოლს ერგებოდა მამის მთლიანი წილი; მოგვიანებით, კანონის თანახმადაც, ობოლი შვილიშვილი უწილოდ არ უნდა დაეტოვებინათ.

ზედსიძეობას მოწმობს როგორც ეთნოგრაფიული მასალები, ასევე ვახტანგ VI-ის სამართალიც. ვახტანგის სამართლის ძალით, ზედსიძეობის დროს დედისერთა ქალიშვილი მშობლების მოძრავ-უძრავი ქონების სრული მფლობელი ხდებოდა; ზედსიძედ შესვლით ვაჟიშვილი თავის წილს კარგავდა მამის სახლში, სამაგიეროდ უვაჟო ოჯახის მთელი ქონება მის ხელში გადადიოდა. ზედსიძეობა ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოს ბარში, როგორც თავად-აზნაურთა, ისე გლეხთა შორის; საქართველოს მთაში (ხევში, ხევსურეთში, ფშავში) ჩასიძება მიუღებელი იყო.

კანონის თანახმად, თუ მშვილობლები უშვილო მეუღლეები იყვნენ, მთელი მათი ქონება ნაშვილებს რჩებოდა; თუ ნაშვილები ქმრის რომელიმე არასრულწლოვანი ნათესავი იყო, მას ისევე ეკუთვნოდა წილი, როგორც ღვიძლ შვილს.

ოჯახის გაყრის დროს კანონი ასევე ადგენდა გარკვეულ წილს ოჯახის შრომისუუნარო პირისთვისაც, თუმცა მასთან მიმართებით, ოჯახის ჯანმრთელ წევრებს გარკვეულ ვალდებულებებსაც უწესებდა.

გერისთვის წილის მიცემა დამოკიდებული იყო ან მამინაცვლის წინდაწინ გაცხადებულ პირობაზე, ან პაპის მიერ სიცოცხლეშივე დაწერილ საბუთზე, რითაც პაპა ქონების გარკვეულ წილს გერს აკუთვნებდა.

ქართული ჩვეულების მიხედვით, უკანონოდ შობილს ოჯახიდან წილი არ ეკუთვნოდა, მაგრამ თუ უძეო მამა მოინდომებდა მისთვის ქონების დატოვებას, მის ნებას ვერავინ შეეწინააღმდეგებოდა. ჰუმანურობის პრინციპიდან გამომდინარე, ვახტანგ VI-ის სამართალი და დავით ბატონიშვილის სამართალი ითვალისწინებს ბასტარდების

მდგომარეობას და ადგენს მათთვის მცირედი ქონების გაღებას; ასევე, მზითევის მიცემას უკანონოდ შობილი ქალიშვილისთვის.

ზ) ეთნოგრაფიული მასალებისა და ქართული ფეოდალური სამართლის ძეგლების განხილვის საფუძველზე შევეცადეთ წარმოგვეჩინა ოჯახის გაყრის შედეგად მიწის, როგორც განსაკუთრებული უძრავი ქონების გაყოფის, ასევე, ვალისა და ბეითალმანის სამართლებრივი რეგულაციის ძირითადი ასპექტები.

მცირემიწიან საქართველოში მფლობელობის მიხედვით მიწები იყოფოდა: სახელმწიფო, სათემო, საკომლო, ასევე საეკლესიო საკუთრებაში არსებულ მიწებად, რის საფუძველზეც მიწა განსხვავებულ სამართლებივ რეგლამეტნაციას ექვემდებარებოდა. დიდი ოჯახის გაყრის დროს საგანგებო ყურადღების ობიექტი იყო მიწა. ჩვეულებითი სამართლით, სახლის დამფუძნებლად მამაკაცი მიიჩნეოდა. საგვარეულო მიწა უნდა განაწილებულიყო ვაჟიშვილებს შორის და არ უნდა მოხვედრილიყო სხვა გვარის საკუთრებაში. ქონების განაწილების დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა მიწების დაზომვას და მათ თანაბარ დანაწილებას; მოწილეებს შორის მიწა თანაბრად ნაწილდებოდა; არ შეიძლებოდა, რომ ერთ მოწილეს მხოლოდ სახნავი მიწები რგებოდა, მეორეს სათიბი, მესამეს ზვარი და ა.შ. ამ ფაქტს მოწმობს გაყრილობის არაერთი წიგნი.

სოფლად უმიწო სახლი იშვითობა იყო. გლეხების ყოფაში სახლი და ოჯახი განუყრელად იყო დაკავშირებული მიწის მფლობელობასთან; ცალკე დამოუკიდებელი ოჯახის შექმნა შეეძლო მხოლოდ იმ პირს, ვისაც მიწის ნაკვეთი საკუთრებაში ჰქონდა. პირს, რომელსაც შეიძლება მიწის ნადელი ჰქონოდა, მიწის ნაკვეთის მფლობელის მსგავსად, შეეძლო დამოუკიდებელი ოჯახის შექმნა. საოჯახო საკუთრების გაუყოფლობის შემთხვევაში, გაუყოფადი საკუთრება საერთო საგვარეულო ქონებაში რჩებოდა, რითაც მისი მფლობელი ცალკეული ოჯახები ურთიერთშეთანხმებით სარგებლობდნენ. ამგვარად, მიწის თანამფლობელობა ნაკარნახევი იყო საერთო ინტერესებით. მიწის მოწილეებთან მიმართებით, მსგავსი ადათი მოქმედებდა ცენტრალურ კავკასიის მკვიდრ ხალხებშიც.

მიწის ნაკვეთს ძმები საერთო სარგებლობაშიც იტოვებდნენ. ასეთ საზიარო ადგილებს გაყრილი ძმები რიგ-რიგობით ამუშავებდნენ, ზოგჯერ აქირავებდნენ და მიღებულ შემოსავალს იყოფდნენ ან საუბნო დღეობაში ხარჯავდნენ ან შესწირავდნენ თავიანთ საგვარეულო სალოცავს. საზიაროდ დატოვებული ნაკვეთი ბევრ მუშახელს ითხოვდა; ჩვეულებრივ, ასეთი მიწის ნაკვეთი სოფლიდან მოშორებით მდებარეობდა და მასზე მიღებულ მოსავალს ძმები თანაბრად იყოფდნენ. საზიაროდ ძმებს ასევე შეიძლება დაეტოვებინათ მაღლარი ვენახი. ამ სახის ვენახი თითოეულ მოწილეს უნდა შეხვედროდა, რათა ოჯახი ღვინის გარეშე არ დარჩენილიყო. მცირემიწიანობის გამო ეზოც შეიძლება საზიაროდ დაეტოვებინათ.უმემკვიდრეოდ დარჩენილი ოჯახის სახვნელი მიწა და სათიბი თემის საკუთრებაში გადადიოდა. დანარჩენ უძრავ ქონებას (ბაღი, წისქვილი, სამეურნეო ნაგებობები) და მოძრავ ქონებას უახლოესი ნათესავები ეუფლებოდნენ.

ჩვენ მიერ განხილულია ისიც, თუ როგორ ხდებოდა ოჯახის გაყრის დროს კეთილმონაგები ქონების განკარგვა. ჩვეულებრივ, ვიდრე ოჯახი გაუყრელი იყო, ოჯახს გარე სამუშაობზე წასული ვაჟიშვილი

თავის ნაშოვნ ფულს ოჯახის საერთო ქონებას შეურთებდა ხოლმე, მაგრამ ოჯახის გაყრის დროს ამას მხედველობაში იღებდნენ. ქონების განაწილებისას ცალკე გამოყოფდნენ *მონაგებ მიწებს* (ასე იწოდებოდა „ოფლით მოპოვებული“ მიწა) და სამკვიდრო ანუ მამა-პაპეულ მიწებს. მონაგები მიწების გაყოფისას თავიანთ წილს იღებდნენ არა მარტო ოჯახის მამის ვაჟიშვილები, არამედ ის უფროსი ბიძაშვილებიც, რომელთაც თავიანთი შრომით ქონების გაზრდაში წვლილი ჰქონდათ შეტანილი. ამრიგად, კეთილმონაგები ქონების განკარგვის უფლება საოჯახო თემის ყველა მონაწილეზე ვრცელდებოდა, რადგან ისინი საოჯახო თემის ახალ სამართლებრივ კატეგორიას წარმოადგენდნენ.

ჩვეულებრივ, ოჯახის გაყრის დროს გაყოფას ექვემდებარებოდა ვალიც. თუ ოჯახს ვალი საერთო საოჯახო საჭიროებისათვის ჰქონდათ აღებული, მაშინ ოჯახის გაყრის დროს ყველა მოწილეს ვალი თანაბრად უნდა გადაეხადა, ან შეიძლებოდა ერთ ძმას დაკისრებოდა ვალის სრულად გასტუმრება, მაშინ მას ოჯახის გაყრისას მეტი წილი მიეცემოდა; ანდა ვალი თავად ამღებს ან მის მემკვიდრეებს უნდა გადაეხადათ. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 141-ე მუხლის თანახმად, სრულწლოვანებამდე ვალის გადახდა ობლებსა არ მოეთხოვებოდათ. დაახლოებით იმავე შინაარსის მუხლია მოცემული დავით ბატონიშვილის სამართლის წიგნში; მხედველობაში მაქვს მუხლი *ვალის აღებისათვის.*

ცხადია, იყო შემთხვევები, როდესაც ოჯახი ისე ამოწყდებოდა, რომ არც პირდაპირი ნათესავი დარჩებოდა და არც გვერდითი ხაზით ნათესავი. ასეთ შემთხვევაში ოჯახის ქონება უპატრონოდ იწოდებოდა. საქართველოს კუთხეების მიხედვით, ქართულ ენაში არის უპატრონო ქონების აღმნიშვნელი რამდენიმე ტერმინი. მაგალითად, *დაპსებული, გადასული, გადაშენებული, გატიალებული, უპატრონო, გუმოკილერი ოჯახი.* მაგრამ უპატრონო ქონების აღსანიშნ ტერმინად, ძირითადად, მაინც არაბული წარმოშობის სიტყვა *ბეითალმანი* დამკვიდრდა და დღემდე იხმარება. როგორც წესი, საერო პირის უპატრონოდ დარჩენილ ანუ ბეითალმან ქონებას ძირითადად ხელმწიფე განკარგავდა. ამ ფაქტს მოწმობს ვახტანგ VI-ის სამართლის 113-ე მუხლი. სასულიერო პირის უძრავი ბეითალმანი ქონება სრულად რჩებოდა ეკლესიას, ხოლო მოძრავი ქონება სამად იყოფოდა, რასაც მოწმობს ვახტანგ VI-ის სამართალის 175-ე მუხლი; დავით ბატონიშვილი ნაწილობრივ იზიარებს ვახტანგ VI-ის პოზიციას ეპისკოპოსის ბეითალმან ქონებასთან მიმართებით, მაგრამ მას მიუღებლად მიაჩნია სხვა სახის ქონების ნათესავებისათვის წილად გადაცემა.

ეთნოგრაფიული მასალებისა და ქართული ფეოდალური სამართლის ძეგლების განხილვის საფუძველზე, ნაშრომის ბოლო თავში შევეცადეთ ზოგადად წარმოგვეჩინა ის ფაქტიც, რომ ოჯახის გაყრა არ ნიშნავდა განაყოფთა შორის ურთიერთობის სრულად მოშლას. გაყრის შედეგად ოჯახის წევრთა ურთიერთობა ერთმანეთთან სრულად არ წყდებოდა და ნათესავთა შორის ამა თუ იმ სახით მაინც გრძელდებოდა. საოჯახო ქონების გაყოფის დროს თანასაკუთრებაში ტოვებდნენ გაუყოფელ ქონებას, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა და ნათესაური ჯგუფის ერთიანი ოჯახიდან წარმომავლობას მოწმობდა. ხშირი იყო გაყრილი ოჯახების კვლავ შეყრა. ქართულ სამართალში შეყრის პროცესის აღსანიშნად ტერმინი

შეყრილობა გამოიყენებოდა. თავდაპირველად, ოჯახის შეყრა ჩვეულებითი სამართლით რეგულირდებოდა; მოგვიანებით, ოჯახის შეყრის წესები სათანადოდ აისახა ქართული სამართლის ძეგლებში. შეყრილობის ინსტიტუტს საგანგებოდ ეძღვნება თავი დავით ბატონიშვილის სამართალშიც. ოჯახების შეყრა იმდენად გავრცელებული იყო, რომ XX საუკუნემდე შემორჩა, რასაც მოწმობს 1924 წლით დათარიღებული შეყრის საბუთი. შეყრილობის ინსტიტუტი არსებობდა ცენტრალური კავკასიის მკვიდრ ხალხებშიც.

ოჯახების შეყრა გაპირობებული იყო სხვადასხვა მიზეზით, ძირითადად, ეკონომიკური ფაქტორით და ურთიერთდახმარების ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენდა. გაყრილი ოჯახების ხელახალი შეყრის პროცესი კომლობრივი გადასახადის შემცირებას იწვევდა; გვართა შეყრილობას ერთ-ერთი საფუძველი თავდაცვის მიზნით ძლიერ გვართან სუსტის მიკედლება იყო. შეყრის ერთგვარი წინა პირობა, ჩვენი აზრითაც იყო განაყარ ოჯახთა შორის ურთიერთობის ტრადიცია – ჭირსა თუ ლხინში თანადგომა, წინაპრის კულტთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებების ერთად ჩატარება; ეს ერთობა ასევე ვლინდებოდა ძმათა საერთო სარგებლობაში არსებული მოძრავი თუ უძრავი ქონებით. შეყრილ ოჯახებს ქონებაზე თანაბარი უფლება ენიჭებოდათ. როდესაც გარკვეული დრო გავიდოდა, შეყრილი ოჯახები კვლავ იყრებოდნენ და ქონებას თანაბრად ინაწილებდნენ. თანაბრად იყოფოდა არა მარტო შეყრის მომენტში, არამედ ერთად ცხოვრების დროს ერთობლივი შრომით შექმნილ-დაგროვილი დოვლათიც. საერთო მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთები კვლავ მათ მესაკუთრე ოჯახთა ხელში გადადიოდა. ჩვეულებრივ, შეყრილობა საგანგებოდ ფორმდებოდა წერილობითი ხელშეკრულებით, რომელშიც ზუსტად იყო განსაზღვრული შეყრილ ოჯახის წევრ-სუბიექტთა უფლებები მათ მფლობელობაში არსებული ქონებისადმი და ის პირობები, რომელთა შესრულება შეყრილი ოჯახის ყველა წევრისათვის სავალდებულო იყო ამრიგად, შეყრილობის ინსტიტუტის ზოგადი მიმოხილვაც ნათლად მოწმობს შეყრილობის ინსტიტუტთან დაკავშირებული სამრთლებრივი რეგულირების წესის გამართულობას

დასასრულ, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დისერტაციაზე მუშაობის პროცესში ჩვენი მიზანი იყო ეთნოგრაფიული მასალებისა და ქართული ფეოდალური სამართლის ძეგლების განხილვის საფუძველზე გამოგვეკვეთა, ერთი მხრივ, დიდი ოჯახის გაყრის ინსტიტუტის არსებითი მიზეზები, ფორმები, მეორე მხრივ, დიდი ოჯახის გაყრის მოწილე სუბიექტთა უფლებები, მათი წილი და გასაყოფი ნივთების სამართლებრივი რეგულაციის ძირითადი ასპექტები. ყოველივე აღნიშნულის ფონზე კი წარმოგვეჩინა ოჯახის გაყრის ინსტიტუტთან დაკავშირებული ქართული სამართლებრივი აზროვნების კულტურა, რომლის მაღალ დონეზე ნათლად მეტყველებს გაყრის მოწილე სუბიექტების მიმართ და გაყოფის ობიექტებისადმი (უძრავ-მოძრავი ქონების სახით) ქართული ჩვეულებითი სამართლით მოქმედი ნორმები და რეგულირების წესი. მოგვიანებით, როდესაც სამართლის წერილობითი ძეგლები შეიქმნა, კანონმდებელი გადაწყვეტილებას იღებდა საქმის ფაქტობრივი მდგომარეობის შესაბამისად, თუმცა ჩვეულებითი სამართლის ოდინდელ წესებსაც ითვალისწინებდა.

ყოველივე ეს კიდევ ერთხელ ნათლად მოწმობს ქართული ჩვეულებითი და ფეოდალური ხანის სამართლებრივი აზროვნების მაღალ დონეს.

ჩვენი აზრით, ოჯახის გაყრის საფუძველთა შესწავლა, ზოგადად, მსგავს პრინციპთა ძიების საშუალებაა. ვფიქრობთ, ამ მიმართულებით კვლევა საინტერესო და ღირებულია იმდენად, რამდენადაც საშუალება გვეძლევა ხელახლა გავიაზროთ და ნათელვყოთ ოჯახის გაყრის ფორმები, ოჯახის გაყრის ინსტიტუტთან დაკავშირებული თავისებურებები ქართულ სამართლებრივ სისტემაში, სახელმწიფოს დამოკიდებულება ოჯახის გაყრისადმი. გამოკვლევა შეიძლება გამოყენებული იქნეს იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტების მიერ ისტორიულ ჭრილში ოჯახის გაყრის ინსტიტუტის სამართლებრივი კუთხით შესასწავლად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აჩუგბა თ., ოჯახი და საოჯახო ყოფა აჭარაში, თბილისი, 1990.
2. აჩუგბა თ., ხალხური საოჯახო სამართლის ნორმები აჭარაში (ქონებრივ-უფლებრივი მდგომარეობა), სდსყკ, X, თბილისი, 1983
3. ბახია-ოქრუაშვილი ს., აფხაზთა ჩვეულებითი სამართალი, თბილისი, 2014.
4. ბექაია მ., ოჯახის განვითარების სოციალური პრობლემები, თბილისი, 1980.
5. ბექაია მ., საოჯახო და საქორწინო ტრადიციების მნიშვნელობა თანამედროვე ქართული ოჯახის სიმტკიცისათვის, თბილისი, 1981.
6. ბექაია მ., ძველი და ახალი საქორწინო ტრადიციები აჭარაში, ბათუმი, 1974.
7. ბოსტოღანაშვილი დ., მიწათმფლობელობა აღმოსავლეთ საქართველოში, თბილისი, 2004.
8. ბოსტოღანაშვილი დ., ოჯახის გაყრის წესები აღმოსავლეთ საქართველოში, ჟურნ. სამართალი, №1-2, 1998.
9. ბოსტოღანაშვილი დ., დიდი ოჯახი აღმოსავლეთ საქართველოში (ქიზიყის მასალების მიხედვით).
10. გარიშვილი მ., დავით გიორგის ძე ბაგრატიონის (ბატონიშვილის) პოლიტიკური და იურიდიული შეხედულებანი, თბილისი, 2004
11. გაყრილობის წიგნი, ცსსა, 1448, 8109.
12. გოგინაშვილი ი., ხელოვნური ნათესაობა მთიულეთსა და გუდამაყარში, კრებულში ეთნოგრაფიული ძიებანი, თბილისი, 1988.
13. დავითაშვილი გ., სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბილისი, 2004.
14. დიურკემი ე., სოციალური შრომის დანაწილება, თბილისი, 2012.
15. დიურკემი ე., სოციოლოგიის მეთოდის წესები, თბილისი, 2001.
16. დოლიძე ი., საქართველოს ჩვეულებითი სჯული, თბილისი, 1960.
17. დოლიძე ი., ძველი ქართული სამართალი, თბილისი, 1953.
18. ზოიძე ბ., ძველი ქართული მემკვიდრეობითი სამართალი, თბილისი, 2000.
19. თევდორაძე გ., ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში, წიგნი II, თბილისი, 1939.
20. თოფჩიშვილი რ., კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია, თბილისი, 2007
21. ითონიშვილი ვ., ცენტრალური კავკასიელების საოჯახო ყოფა, თბილისი, 1969.
22. ითონიშვილი ვ., მოხევეთა საოჯახო ყოფა, თბილისი, 1970.
23. ითონიშვილი ვ., ქართული ეთნოგრაფიული ნარკვევები, თბილისი, 1989.
24. ითონიშვილი ვ., ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი, 1960.
25. იველაშვილი თ., საქორწინო წეს-ჩვეულებანი სამცხე-ჯავახეთში, თბილისი, 1987.
26. მაკალათია ს., თუშეთი, თბილისი, 1983.
27. მაკალათია ს., ფშავგი, თბილისი, 1985.
28. მამარდაშვილი გ., საოჯახო ყოფა და რწმენა-წარმოდგენები ლეჩხუმის მოსახლეობაში, თბილისი, 2006.

29. მამულია გ., კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბება ძველ ქართლში, თბილისი, 1979.
30. მაჩაბელი ნ., ქართველი ხალხის საოჯახო ყოფის ისტორიიდან (მზითვის ინსტიტუტი აღმოსავლეთ საქართველოში), თბილისი, 1976.
31. მაჩაბელი ნ., ქორწინების ინსტიტუტი ქართლში, თბილისი, 1977.
32. მგელაძე ნ., ბუნობის მნიშვნელობისათვის გურიის მთიანეთში (სურების ხეობის ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით), სდსყკ, XIII, თბილისი, 1986.
33. მენთეშაშვილი სტ., ქიზიყური ლექსიკონი, თბილისი, 1943.
34. მონტესკიე, შ.ლ., კანონთა გონი, თბილისი, 1994.
35. ნადარეიშვილი გ., ქართული საოჯახო სამართლის ისტორიიდან, თბილისი, 1965.
36. ნადარეიშვილი გ., ძველი ქართული საოჯახო სამართალი, თბილისი, 1996.
37. ნადარეიშვილი გ., განქორწინება ქართული სამართლის მიხედვით, ქართული სამართლის ისტორიის საკითხები, თბილისი, 1973.
38. ნადარეიშვილი გ., ქალის უფლებრივი მდგომარეობა ფეოდალურ საქართველოში, ქართული სამართლის ისტორია.
39. ნიჟარაძე ბეს., (თავისუფალი სვანეთი) ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, ტ. I, თბილისი, 1962.
40. რუსო ჟ.ჟ., მსჯელობა ადამინათა შორის უთანასწორობის დასაბამისა და საფუძვლების შესახებ, თბილისი, 2009.
41. სახოკია თ., ეთნოგრაფიული ნაწერები, სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტი გამომცემლობა, თბილისი, 1956.
42. სურგულაძე ივ., ნარკვევები საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, თბილისი, 2001.
43. სურგულაძე ივ., საქართველოს სახელმწიფო სა და სამართლის ისტორიისათვის, ტ. I-II, თბილისი, 1952.
44. სამართალი ბატონიშვილის დავითისა, დ. ფურცელაძის რედაქტორობით, თბილისი, 1964.
45. ფარდის ფურცელი, 1904, ჩმმ ხელნაწერი ფონდი, №1566.
46. ფურცელაძე დ., სამოქალაქო ჰსჯულვილება, თბილისი, 1960.
47. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებული (ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ), თბილისი, 1963.
48. ქართული სამართლის ძეგლები, სასამართლო განჩინებანი, (XVI-XVIII სს.), ტ. IV, (ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ), 1972.
49. ქართული სამართლის ძეგლები, სასამართლო განჩინებანი, (XVIII-XIX სს.), ტ. VI, (ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ), თბილისი, 1977.
50. ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, თბილისი, 1978.
51. ქართული ჩვეულებითი სამართალი, ტ. I, თბილისი, 1988.
52. ქართული ჩვეულებითი სამართალი, ტ. II, თბილისი, 1990.
53. ქართული ჩვეულებითი სამართალი, ტ. III, თბილისი, 1991.
54. ქართული ჩვეულებითი სამართალი, ტ. IV, თბილისი, 1993.
55. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი, 1986.

56. ცეცხლაძე გ., გურიის მოსახლეობის საოჯახო ყოფა, თბილისი, 1991.
57. ცეცხლაძე გ., ოჯახის გაყრისა და საოჯახო ქონების განაწილების წესები გურიაში (ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით), მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XXIII, თბილისი, 1987.
58. შტაერმანი ე., რომის სამართალი, ჟურნ. „სამართალი“, №2, 1992.
59. წულაძე ალ., ეთნოგრაფიული გურია, საბჭოთა საქართველო, თბილისი.
60. ჭყონია ი., ქორწინების ინსტიტუტი მთიულეთში, თბილისი, 1955.
61. ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, თხზულებანი XII ტომად, ტ. VI, თბილისი, 1982.
62. ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, ნაკვეთი მეორე, ტფილისი, 1928.
63. ჯავახიშვილი ივ., ქართული სამართლის ისტორია, წიგნი პირველი, ტფილისი, 1928.
64. Аргутинский Д.М., Материалы для изучения экономического бытия государственных крестян Закавказского края, т.VI, Тбилиси, 1886.
65. Барон Ю., Система гражданского римского право, СПб, 2005.
66. Ковалевский М., Очерки, Происхождения и развития семьи и собственности, под.ред. проф. Косвена М.О., Перевод с французского Моравекого С.П., Москва,1939.
67. Ковалевский М.М., Современной обычай и древный закон. Обычное право осетин в историко-сравнительной освещений, Т. I, М. 1886.
68. Косвен М.О., Семейное община и патримогия, Москва, 1963.
69. Харадзе Р,, Грузинская семейная община, т. I Тбилиси, 1960.
70. Харадзе Р., Грузинская семейная община, т.II Тбилиси, 1961.
71. Харузин Н., Заметки о Юридическом быте чеченцев и ингушей, СМЭ, Москва, 1888.
72. Экономический быт государственных крестьян Тианетского уезда, Тифлисской Губернии. Материалы для экономического быта государственных крестьян Закавказского Края, Т. 5.Тифлис, 1887.
73. Digeste ou Pandectes. Livre Cinquantième, Paris, 1995.